

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

დოქტორანტის ხელმძღვანელი

ნუცა ბათიაშვილი

მეხსიერება, რომლითაც ვცხოვრობთ: ქართული და

აფხაზური ნარატივების კომპლექსურობის კვლევა

დოქტორანტი

გურანდა ბურსულაია

სექტემბერი, 2020

თბილისი

სარჩევი

სარჩევი	ii
სამადლობელი	iv
შესავალი	1
მეთოდოლოგია	13
თავი I ქართული სიჩუმე: ხელოვნურად განცალკევებული ერთობა	22
შესავალი	22
ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორიული ჩარჩო	27
1.1 ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ხანა (1993-2003): ტრავმული სიჩუმე	31
1.2 ვარდების რევოლუციის შემდეგ პირველი წლები (2004-2008): პერსონიზირებული სიჩუმე	36
1.3 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი წლები (2009-2019): მსხვერპლის სიჩუმე	48
1.4 ტრავმული ნარატივის ავტორი და ადრესატი	54
თავის შეჯამება	60
თავი II აფხაზური ნაციონალიზმი: კაენისა და აბელის დიქტომია	62
შესავალი	62
2.1 აგორა-ფოლკლორი და საბჭოთა ნაციონალური იდეა: 1810-1917 წლები	63
2.2 თავისუფლება - ოკუპაციის დიქტომია: 1917-1921 წელი	77
2.3 მშვიდობიანი გამოზომილი ცხოვრების მცირე კუნძული: 1921-1931 წლები	95
2.4 „დიდი ეთნიკური ტერორი“: 1931-1938 წლები	109
2.5 ეთნო-თანამედროვე-მმართველობა: 1993-2020	118
თავის შეჯამება	123
თავი III ნარატივების ასიმეტრია: აფხაზეთი, როგორც ტკივილი	126
შესავალი	126

3.1 ქართული ნარატივი: კერა აფხაზეთში	129
3.1.1 მიკროგეოგრაფია	132
3.1.2 სივრცის გასაკრალურება	136
3.1.3 დაბრუნება მომავალში	141
3.2. აფხაზური ნარატივი	146
3.2.1 სამამულო ომი	148
3.2.2 ომის მეხსიერება მემორიალებში	154
3.2.3 ოკუპაციის დუალიზმი: მეხსიერება თუ რეალობა	161
3.3 ქტონავტოკრატია	164
3.3.1 „აფსუობის“ თეორია	166
3.3.2 ქართველების „გააფხაზება“	176
3.3.3 აფხაზეთის დემოგრაფია მეოცე საუკუნეში	179
3.3.4 შიდა-გარე მტერი	182
თავის შეჯამება	183
თავი IV როლების კარუსელი: ბრძოლა ჰეგემონიის წინააღმდეგ	186
შესავალი	186
4.1 ქართული ნარატივი: „იმპერიალიზმთან მეზრძოლი შუქურა“	188
4.2 აფხაზური ნარატივი: „დაჩაგრული რაინდი“	195
4.3 რუსული ნარატივი: „გულუხვი სული“	201
თავის შეჯამება	212
დასკვნა	214
ბიბლიოგრაფია	221

სამადლობელი

„მე ბედნიერი დოქტორანტი ვარ“ - ეს სიტყვები ბევრჯერ მითქვამს ჩემი კვლევის ოთხი წლის მანძილზე. ეს ყველასთვის გასაკვირი და ჩემთვის ნორმადქცეული ფრაზა ჩემი ხელმძღვანელის, ნუცა ბათიაშვილის, დამსახურებაა და სამადლობელიც სწორედ მისგან მინდა დავიწყო! ნუცა ორ როლს ითავსებდა ჩემთან მუშაობისას. პირველი, როგორც კულტურის ანთროპოლოგი და ამ მხრივ მისი პროფესიონალური მენტორობა იყო სინათლე გვირაბის ბოლოს ჩემთვის უცხო, მაგრამ ძალიან საინტერესო სფეროს შესწავლის გზაზე. მეორე, როგორც ფსიქოლოგი (მისი პირველი პროფესია) ზუსტად მიუხვდა რა ჩემს ფსიქოტიკს ისე ააწყო ჩვენი თანამშრომლობა, რომ პროცესი ყოფილიყო ნაყოფიერი, ჩემი პიროვნული ცნობისმოყვარეობა არ განელებულიყო, ხოლო შედეგით ორივე ვყოფილიყავით კმაყოფილი. მე მას ვემადლიერები თავისუფლებისთვის, ჩემი აზრის უპირობო პატივისცემისთვისა (განსაკუთრებით მაშინ, როცა განსხვავებულად ვუყურებდით გარკვეულ საკითხებს) და თანადგომისთვის!

თავისუფალი უნივერსიტეტი იყო არჩევანი, რომელიც ერთი წამითაც არასდროს არ მინანია და ეს თითოეული ლექტორის თუ ადმინისტრაციის თანამშრომლის დამსახურებაა. თითოეულის მიმართ მაქვს უსაზღვრო მადლიერება და განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩემი პირველი ლექტორი, თამთა ხალვაში,

რომელიც ჩემთვის ანთროპოლოგის ეტალონია; მერაბ ღაღანიძე, რომლის თანადგომა პირველივე დღიდან იყო უდიდესი სტიმული, რომ პრეზენტაციიდან პრეზენტაციამდე აშკარა პროგრესი მეჩვენებინა; ტატო ალექსიძე, რომლის კომენტარებიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემი პირველი სტატიის გამოქვეყნებისთვის.

დოქტორანტურის უმნიშვნელოვანესი ერთი წელი შვედური ინსტიტუტის სტიპენდიით მალმოს უნივერსიტეტში RUCARR-ის კვლევით ცენტრში გავატარე. ეს გამოცდილება ფასდაუდებელია ჩემი, როგორც მკვლევრისა და პიროვნების განვითარებისთვის! ამისთვის დიდი მადლობა ჩემს „მასპინძლებს“ კატრინე გოთფრედსენსა და კარინა ვამლინგს. ჩემს სკანდინავიელ მეგობრებს: ჰენრიკ, საბინა, იული. ასევე, თომას ვიერს, რომელიც ძალიან დამეხმარა სტიპენდიაზე განაცხადის შევსებისას.

კოლეგები და მეგობრები ჩემი ცხოვრების მონაპოვარია. რთულია ინატრო მათზე უფრო დიდი ქომაგები. სწავლისა და სამუშაოს შეთავსება ჩემი უფროსების, თემურ არბოლიშვილისა და ნუკრი მილორაგას, ხელშეწყობით შევძელი. სამოქალაქო ფორუმის, სჰცა, კრისპისა და კავკასიური სახლის თანამშრომლების უპირობო ნდობა, როგორც პიროვნული ისე პროფესიული, ძალიან დიდი იმედი და განვითარების სივრცე იყო ჩემთვის! მარიამი, ანა, თაკო - მეეჭვება თქვენი ამაგის სათანადო გადახდა შევძლო ოდესმე. მირანდა, თეა, ეკა, ქეთი, თაკო და თაკო, ანა, გიერმო, პაულო - მეგობრობა თუ რა არის თქვენ მასწავლეთ. სოფო, იოსებ, ანდრეი,

დიანა, სოფიკო, რაიანი და მარიშა, დომენიკი, კრისპის გოგოები, ალა, ირაკლი, ირაკლი, თიკო და ნინო, კამი, ნათია, ელენა, სალომე, დაჩი, მალაქია, ელენე, მარკო, დიეგო, შოკო, ნათია, რავილი, ჰამზა - მადლობა, რომ არ გბეზრდებათ ჩემთან აფხაზეთზე საუბარი, შთაგონების წყარო ხართ ჩემთვის! თათია, მადლობა რომ გულდასმით წაიკითხე ეს ნაშრომი და შენი უმნიშვნელოვანესი კომენტარები გამიზიარე! მადლობა ჩემს აფხაზ მეგობრებს, რომელთა სახელებს ანონიმურად ვტოვებ, კეთილგანწყობისთვის და ჩემი, ხშირად განსხვავებული, მოსაზრების პატივისცემისთვის. ბევრით ვარ დავალებული ჩემი სტუდენტებისგან, სამშვიდობო დიალოგებისა და პროექტების ორგანიზატორი/მონაწილეებისგან.

ეს დისერტაცია ვერ იქნებოდა სრულყოფილი ჩემი რესპოდენტების გარეშე. მათი გახსნილობა, უანგარობა და გულწრფელობა არის ის, რაც მთელი ცხოვრება გამყვება და მემახსოვრება! მადლობა სახელმძღვანელოს ავტორებს: გია ანჩაბაძეს, დავით მაღაზონიას, ოთარ ჯანელიძეს, თემურ პაპასქირს. თბილისში დევნილთა სკოლის დირექტორს: სვეტლანა რურუას, რომელიც თავისი საქმის დიდი ენთუზიასტია! მასწავლებლებს: ლელა ინასარიძეს, კახა ყალიჩავას, დავით ჯაფარიძეს. მოსწავლეებს, რომელთა რიცხვიც ძალიან დიდია. სკოლას „XXI საუკუნე“. ჩემს მშობლიურ #2 საჯარო სკოლას, განსაკუთრებით, მადლენა მასწავლებელს ხელშეწყობისთვის და ელისო მასწავლებელს სახელმძღვანელოების მოწოდებისთვის!

და ბოლოს, ვემადლიერები ოჯახსა და ნათესავებს, რომლებმაც განსაზღვრეს ჩემი სიყვარული საკუთარი იდენტობისა და პიროვნების მიმართ.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო მამიდა, დეიდები, ბებიები და ბაბუა. ჩემი ძმა, ანდრო, ჩემი ყველაზე დიდი იმედი და თანამოაზრეა. კონკრეტულად დისერტაციაზე მუშაობისას მამამ გამოავლინა დიდი დაინტერესება და ექსკლუზიურ ამბებს მიყვებოდა აფხაზეთზე. ამ დისერტაციას ვუძღვნი დედას, მარინა ჩაბრავას! ჩემი დოქტორანტურობის „ბედი“ მან დააპროექტა, ალბათ, მაშინ, როცა 90-იანებში თავისი დაუცველი დისერტაცია სოხუმში დატოვა, საკუთარ კარიერულ წინსვლაზე შეგნებულად უარი თქვა და იმაზე მეტი მოგვცა ემოციურად, ფსიქოლოგიურად და ფინანსურად მის შვილებს, ვიდრე ეს ობიექტურად იყო შესაძლებელი. ზუსტად ვიცი, რომ მის გარეშე ჩემი ცხოვრება არასდროს არ იქნებოდა ასეთი ფერადი, შემდგარი და შინაარსიანი.

შესავალი

მართლაცდა, კაცმა რომ იკითხოს, რატომ ბრუნდება ადამიანი ყოველთვის უკან? ან რის მიხედვით აგნებს იმას, რაც „საკუთარის“ სახელითაა ცნობილი („საკუთარი სახლი“, „საკუთარი მიწა“, „საკუთარი ქვეყანა“)? რატომ სულ პირდაპირ არ მიდის? რა ძალა მოქმედებს ასეთი, რა ბიძგი, რა იმპულსი? ვინ მისცა ადამიანს ეს ბიძგი და ეს იმპულსი? და თუ ვინმემ მისცა, რატომ ისეთი ბიძგი არ მისცა, რომ ადამიანს არასოდეს აზრად არ მოსვლოდა, უკან დაბრუნება თუ შეიძლება და სულ პირდაპირ ევლო, ერთხელ აღებული გეზით? რით ხელმძღვანელობს ის, ვინც იმპულსებს არიგებს? რას ეყრდნობა მისი არჩევანი? შემთხვევითობას? მიზანდასახულობას? ანდა რამდენად ძლიერია ადამიანში უკან დაბრუნებისკენ მიდრეკილება? არ შეგვიძლია, გადავლახოთ ეს მიდრეკილება და მთელი სიცოცხლე ვიაროთ წინ, ერთი მიმართულებით? (ქარჩხაძე, 2009: 18).

2016 წელს ჩემი სადოქტორო კვლევის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ეს პასაჟი -ჯემალ ქარჩხაძის რომანიდან „ქარავანი“ - შეხვედრაზე ყოფნისას გამახსენდა და დღემდე მაფიქრებს. შეხვედრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ ძირითადად დევნილის სტატუსის მქონე ახალგაზრდებისთვის იყო ორგანიზებული. მონაწილეთა ასაკი 22 წელს თითქმის არ აღემატებოდა, შესაბამისად, მათი უმრავლესობა უკვე აფხაზეთის ომის შემდეგ, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დაიბადა. დაახლოებით 28 წლის, არა დევნილი დოქტორანტი ამ ღონისძიებაზე ერთ-ერთი მომხსენებელი იყო.

მან საკუთარი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სამოყვარულო გამოკითხვა ჩაატარა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში დაახლოებით 100 დევნილ ახალგაზრდას ჰკითხა დაბრუნდებოდნენ თუ არა ისინი სოხუმში, თუკი მათ ამის შესაძლებლობა მიეცემოდათ იმ მომენტში ან ახლო მომავალში. მისი რესპოდენტების უმრავლესობამ დასმულ კითხვას უარყოფითად უპასუხა. მათ აღნიშნეს, რომ თავიდან ცხოვრების დაწყება თბილისზე ინფრასტრუქტურულად და ინსტიტუციურად ბევრად ნაკლებად განვითარებულ სოხუმში არ სურდათ. ისინი თავს კომფორტულად გრძნობდნენ დედაქალაქში და მომავალს (პიროვნულ თუ პროფესიულ ზრდას) აქ ხედავდნენ. მკვლევარმა ეს სიტუაცია განზოგადებული ფორმით აღწერა და გულწრფელად გააზიარა თავისი აზრი, რომ ამ შედეგებზე დაყრდნობით, დროის გასვლასთან ერთად, ის ხედავს გარკვეულ საფრთხეს ახალგაზრდა დევნილებში აფხაზეთში დაბრუნების სურვილის შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

დოქტორანტს მსჯელობის დასრულების შესაძლებლობა არ მიეცა. მისმა გამოსვლამ მსმენელებში დიდი ვნებათაღელვა და უკმაყოფილების ტალღა გამოიწვია. ზოგიერთი ფეხზე წამოდგა, ზოგიერთი ადგილიდან საუბრობდა და უეცრად ოთახში პროტესტის ნიშნად ბევრი ადამიანი ერთდროულად და ხმამაღლა ალაპარაკდა. ორგანიზატორებისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა მოწვეულთა დამშვიდება. ამის შემდეგაც მომხსენებლის გაკიცხვა ჩურჩულის ფორმით, პირად საუბრებში გაგრძელდა. მახსოვს, „ჩემი მეზობლები“ დაუფარავ აღშფოთებას მეც მიზიარებდნენ.

ისინი თვლიდნენ რომ მათ პირადი შეურაცხყოფა მიაყენეს, რომ მკვლევარს საკითხი საერთოდ არ ესმის და რაც მთავარია, სპიკერს იმ ახალგაზრდების, რომელთაც „უარი თქვეს სოხუმში ცხოვრებაზე“, დასახელება და ჩვენება მოსთხოვეს. ემოციურ ფონზე ამ რესპოდენტებს რამდენჯერმე „ქვეყნის მოღალატეები“ უწოდეს.

1992-1993 წლების ომში გადაზრდილი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი საქართველოსთვის აფხაზეთზე დე-ფაქტო კონტროლის დაკარგვითა და 300 000-მდე აფხაზეთში მცხოვრები ძირითადად ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დევნილობით დასრულდა. შესაბამისად, ტრავმული ნარატივი აფხაზეთთან კონტექსტში მოსალოდნელი იყო და არც პირველად მესმოდა. თუმცა, ახალგაზრდების ასეთმა ერთსულოვნად აგრესიულმა რეაქციამ გამოცა და დამაფიქრა. იმ პერიოდისთვის სამართალმცოდნეობის მაგისტრი ვიყავი და სოც-ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, განსაკუთრებით კი კულტურის ანთროპოლოგიასთან, არანაირი შეხება არ მქონია. ამიტომაც, ჩემი ინტერესი კითხვის სახით შემდეგნაირად ჩამოვაყალიბე: სხვა ადამიანების მეხსიერების შესისხლხორცებასა და გათავისებას რა ფაქტორები უწყობენ ხელს პირადი მეხსიერების არარსებობის პირობებში? ეს დილეტანტური შეკითხვა და საკუთარი სოხუმური იდენტობის მიმართ უსაზღვრო ცნობისმოყვარეობა ოთხწლიანი კვლევით დაგვირგვინდა. ამ დროის განმავლობაში ვსწავლობდი თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ ქართული და აფხაზური კოლექტიური

მეხსიერებების მთავარი პოსტულატების, მისი შექმნისა და შენარჩუნების ტექნიკების ანარეკლს.

კოლექტიური მეხსიერება ერის ან სახელმწიფოს ერთი თაობის წარმომადგენლებს შორის წარსულის გაზიარებული წარმოდგენაა, რომელიც განსაზღვრავს მათ ქმედებებს აწმყოსა და მომავლში (Wertsch, 2008; Paabo, 2008; Licata & Klein, 2005). სოციალურ გარემოში (Halbwachs, 1992) ათვისებული „გაზიარებული მეხსიერება“ (*shared remembering*) (Olick, 1999) „კულტურული რესურსი“ (*cultural resource*) (Batiashvili, 2018) ხდება. მისი სამიზნე ჯგუფი თითოეული პიროვნება, ფართო საზოგადოება და არა მხოლოდ ისტორიკოსები ან „წარსულის“ სხვა პროფესიონალიებია (Seixas, 2004). მიზანი კი ლოიალურად და პატრიოტულად განწყობილი მოქალაქეების აღზრდა, წახალისება და მობილიზებაა (Paabo, 2008). ამისთვის იქ, სადაც ინდივიდუალური მეხსიერება არ არსებობს, ის კოლექტიურად უნდა იქნას შექმნილი და გადმოცემული (Anderson, 1991).

კოლექტიური მეხსიერება, როგორც აკადემიური დისციპლინის საგანი, პოპულარული 1970-იანი წლებიდან გახდა, თუმცა ტერმინის შემოტანასა და დარგის დასაბამს მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგ მეცნიერს, მორის ჰოლბვაქსს (1877-1945) უკავშირებენ. კოლექტიურ მეხსიერებისა და ისტორიოგრაფიის რაობის, ფუნქციისა და მათ შორის, განმასხვავებელი ნიშნების შესახებ დებატი დღემდე აქტუალურია (Wertsch & Roediger, 2008; Assmann, 2008; Batiashvili, 2018; Seixas, 2004). ყველაზე ზოგადი მსჯელობის მიხედვით, ისტორია ეყრდნობა წყაროებს, მაშინ

როდესაც მეხსიერება აიგება ნარატივებით, რომლებიც ორ კითხვას სცემენ პასუხს - „რა მოხდა და ვინ ვართ ჩვენ“ (*what happened and who we are*) (Batiashvili 2018: 45). იან ასმანმა (1997) შემოიღო შუალედური ტერმინი „მნემოისტორია“ (*mnemohistory*), რომელიც „ინტერესდება არა წარსულით, როგორც ასეთი, არამედ თუ როგორ ახსოვთ ის“ (9) და ამით თავად ხდება ისტორიოგრაფიის შესწავლის ობიექტი (Assmann, 2008).

კოლექტიური მეხსიერება პირად მეხსიერებად (*personal memory*) (Adler, 2014) უნდა იქცეს. ის წარსულის იმგვარი გაცოხლებაა, რაც აწმყოში მასთან მიკუთვნებულობას, ხოლო მომავალში მასზე დაყრდნობით ქცევის მოდელს განსაზღვრავს. ამგვარად, კოლექტიური მეხსიერება საჯაროდ ხელმისაწვდომი „ცოცხალი“ სოციალური ფაქტია (Halbwachs, 1992).

კოლექტიური მეხსიერება თხრობისთვის სხვადასხვა მედიუმს იყენებს. მაგალითად, ისტორიის სახელმძღვანელოებს (Fuchs, 2011; Lassig, 2009; Issitt, 2004; Simons & Masschelein, 2008; Grever & Van der Vlies, 2017), მემორიალებს (Vinitzky-Seroussi 2002; Wagner-Pacifi & Schwartz, 1991; Paabo, 2008; Forest & Johnson, 2011), გამოფენებსა და მუზეუმებს (Gotfredsen, 2013; Connerton 1989), მხატვრულ ნაწარმოებს (Hemer, 2012; Layton, 1986), ფილმებს (Winter, 2001), ეროვნულ სიმბოლიკას - დროშა, გერბი, ფული, საფოსტო მარკა (Goshadze, 2008), ეროვნულ არამატერიალურ გენოფონდს - მითები, ლეგენდები, ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები, ტრადიციები (Smith, 1999) და სხვა. ამ ინსტრუმენტებს სიუზან რასმუსენი (2002) „მნემონიკურ მოწყობილობებს“ (*mnemonic devices*) უწოდებს. ისინი მუდმივ „შენახვასა და

რეპროდუქციას“ (*maintain and reproduce*)საჭიროებენ (Batiashvili 2018: 30). სოციალურ-პოლიტიკური დისკურსის ცვლილებასთან ერთად ნარატივების ტრანსფორმაცია ხშირია. წარსულის რეკონსტრუქცია თანამედროვე საზოგადოების ღირებულებებიდან და შეხედულებებიდან გამომდინარე მუდმივად ხორციელდება (Halbwachs, 1992). მეხსიერების ავტორები სხვადასხვა სუბიექტები არიან, მაგალითად პოლიტიკური დისკურსი, პოლიტიკური ელიტა, მედია, სამოქალაქო საზოგადოება და სხვა. მათზე უფრო დაწვრილებით პირველ თავში ვისაუბრებ აფხაზეთის ომის შესახებ ქართული ნარატივის განხილვისას.

აკადემიური ლიტერატურა კონფლიქტურ საზოგადოებებში კოლექტიური მეხსიერების ფორმირებას, ძირითადად, „შეჯიბრებით ვიქტიმიზაციას“ (*competitive victimhood*) (Vollhardt, 2012), „სიძულვილის ნარატივებს“ (*hate narratives*) და “ერთმანეთისგან ჰერმეტიულად დალუქულ ნარატივებს“ (*sealed narratives*) (De Waal, 2003: 125, 142) უკავშირებს. შესაბამისად, აპრიორი ნაგულისხმევია, რომ დაპირისპირებული მხარეების თხრობა მონოლოგური და ურთიერთგამომრიცხავია. მართალია, კონფლიქტის მონაწილეებისთვის ურთიერთწინააღმდეგობა წარსულის მოვლენების აღქმასა და შეფასებებში, დიდი ალბათობით, ყოველთვის გამოვლინდება, მაგრამ ეს დებატი უფრო მეტად ისტორიოგრაფიის ნაწილი იქნება. რაც შეეხება კოლექტიურ მეხსიერებას, როგორც ზემოთ განვიხილე, მისთვის წარსულზე უფრო მეტად აწმყო და მომავალი, კერძოდ, დროის ამ მონაკვეთებში მიკუთვნებულობისა და იდენტობის საკითხებია პრიორიტეტული. აქცენტი კეთდება არა დროგარდასულ

მოვლენაზე, არამედ მის შედეგებსა და ზეგავლენაზე მოცემულ მომენტში. ეს აქცენტები ან ხმები (*voices*), მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში, უფრო ხშირად ჩუმი და ასიმეტრიული და არა არტიკულირებული და დიქტომიურია. ცვალებადი (ქართული) და უცვლელი (აფხაზური) ნარატივების ჩამოყალიბება „დაფარული პოლემიკის“ (*hidden polemic*) (Bakhtin, 1984) და „დაფარული ტრანსკრიპტის“ (*hidden transcript*) (Scott, 1990) ფორმით მიმდინარეობს.

მეტად პოლიტიზირებულ და ტრავმულ ქართულ-აფხაზურ ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტში დეკლარირებული „მტრობა“ (აფხაზური ნარატივი) და მესამე მხარის ბრალეულობით დარღვეული „ძმობა“ (ქართული ნარატივი) ყველაზე გაჟღერებული და თვალსაჩინო ტრაფარეტული ხმებია. მათ ფონზე კონფლიქტის ნიუანსურობა, თავისებურება, გაუმჟღავნებელი თუ „დაფარული“ დეტალები ხშირად უგულებელყოფილია. ამ კონფლიქტის ნარატივების სოც-პოლიტიკური ლანდშაფტი და ადრესატები ასიმეტრიულია. თუ ერთისთვის ეს საქართველო-აგრესორი და რუსეთი-გადამრჩენელია, მეორესთვის ეს რუსეთი-ოკუპანტი და დასავლეთი-მშველელია. 1992-1993 წლის ომისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ ქართული და აფხაზური ნარატივები თვისებრივად განსხვავებული ენობრივი ტროპებით საუბრობენ. მიმდინარე პოლიტიკური დისკურსი ლეგიტიმაციის საფუძვლად იყენებს წარსულის იმგვარ შეფასებებს, რომლებიც კოგნიტური და ვერბალური არგუმენტების საფუძველს ენის სიმბოლიზმში ეძებენ (Batiashvili, 2018).

ეს დისერტაცია არის მცდელობა გამოიკვლიოს, გაშალოს და გაშიფროს ის მეტაფორები (Lakoff & Johnsen, 2003), რომლებიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ კოლექტიურ მეხსიერებაში კოდური სიტყვებით მეორდება. ამ ჩამოყალიბებული წინასწარშეგონებების მულტიპერსპექტიული განხილვა წვლილს შეიტანს ქართულ-აფხაზური კომპლექსური ურთიერთობების მიმართულებით მრავალხმოვანი აკადემიური ცოდნის შექმნის საქმეში. პოლიტიკური ნარატივების ჩონჩხის, ლოგიკის, მიზნის შესწავლა ხელს უწყობს დამკვიდრებული მონოლოგური თხრობის დეკონსტრუქციას. ალტერნატიული იდეების, თეზისებისა და არგუმენტების გაჟღერება კი ამდიდრებს საჯარო დისკურსს და ავითარებს წარსულის შესახებ ცოდნის კრიტიკულ ანალიზს.

აფხაზეთის ომის შესახებ ქართული და აფხაზური ისტორიოგრაფია ფაქტობრივად ჩანაცვლებულია კოლექტიური მეხსიერებით. სახელმძღვანელოები ამის ერთ-ერთი დემონსტრირებაა. წინამდებარე ნაშრომის ძირითადი ფოკუსი იყო იმის კვლევა, თუ: (1) როგორ და რისთვის ხდება მეხსიერების ინსტრუმენტალიზაცია და პოლიტიზირება და (2) წარსულის შესახებ წარმოდგენებს რა ზეგავლენა აქვთ მიმდინარე და მომავლის სოციო-პოლიტიკურ ხედვებსა და პროექტებზე.

დისერტაცია ოთხი თავისგან შედგება. მისი ნაწილები თემატური და კონფლიქტის მხარეების მრავალხმიანობის თვალსაზრისით დაბალანსებულია. ამ ნაშრომში არ მივყვები მოვლენების ქრონოლოგიას, არამედ ცალკეული

ფუნდამენტური და რელევანტური საკითხების გარშემო ვავითარებ მსჯელობას. ესენია: სიჩუმე, ნაციონალიზმი, ვიქტიმიზაცია და როლები კონფლიქტში.

პირველ თავში, „ქართული სიჩუმე: ხელოვნურად განცალკევებული ერთობა“, ქართულ-აფხაზური ომის შესახებ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში კოლექტიური მეხსიერების ტრანსფორმაციას განვიხილავ. უფრო კონკრეტულად, თუ ვინ არის ამ ნარატივების ავტორი და რა ფორმით ხდება მისი ასახვა ეროვნულ სასწავლო კურიკულუმში. ასევე, კონტექსტის უკეთ გაგებისთვის მოკლედ მომყავს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში საკვანძო მოვლენების ქრონოლოგია. აკადემიურ ლიტერატურაში, სახელმძღვანელოები ოფიციალური დისკურსის უშუალო გამხმევანებლად განიხილება. კოლექტიურ მეხსიერებაში სახელმძღვანელოების როლის მიმოხილვაზე დაყრდნობით ახალ არგუმენტს ვავითარებ და ვამტკიცებ, რომ სახელმწიფო რიტორიკა სხვადასხვა სოციალური აქტორების, როგორცაა პოლიტიკური ელიტები, სამოქალაქო საზოგადოება, განათლების სისტემის მონაწილეები (მაგალითად, მასწავლებლები, სახელმძღვანელოს ავტორები) და სხვა ძალიან დიდ ზეგავლენას განიცდის. მისი მონაწილეობა ნარატივების ფორმირებაში ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთანგარიშგასაწევია. ამას გარდა, ვსაუბრობ სიჩუმეზე, რომელიც დავიწყების ფორმად, მეხსიერების ნაკლებობის/არ არსებობის გვერდით ეფექტადაა მიჩნეული. ამ მიმართულებით არსებული ნაშრომებისა და ჩემი ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე სიჩუმის ფენომენს დამოუკიდებელ კატეგორიად განვიხილავ. სხვანაირად, სიჩუმეს ნარატივის შესაქმნელად აქტიურ,

მიზანმიმართულ ინსტრუმენტად და არა პასიურ და სათქმელის ნაკლებობით გამოწვეულ აქტად მოვიაზრებ. ლინგვისტურად და გზავნილის თვალსაზრისით სიჩუმე ისეთივე მჭევრმეტყველი და არტიკულირებულია, როგორც სიტყვების სიმრავლე.

მეორე თავში, „აფხაზური ნაციონალიზმი: კაენისა და აბელის დიქტომია“, აფხაზური ნაციონალიზმის ისტორიულ საფუძვლებს, მისი წარმოშობის მიზეზებსა და განვითარების გზას მიმოვიხილავ. კაენისა და აბელის მეტაფორას ორი შრე აქვს. ერთი, კომპლექსური ძმობის ისტორია, სადაც ყველაზე დიდი „ცოდვა“ ღალატია. ხოლო მეორე, აბსოლუტური სიკეთისა და ბოროტების ამბავი, მათი საწყისების ჭიდილი და კონფლიქტი სადაც სიკეთის გამარჯვება იმთავითვე ლეგიტიმური და კანონზომიერია. აფხაზური ნაციონალიზმი სწორედ მეორე ხაზით მიდის და დისკურსს აბსოლუტური სიკეთისა (ეთნო-ეროვნული ინტერესი) და აბსოლუტური ბოროტების (მტერი, ოკუპანტი) დაპირსპირებაზე აგებს. ეთნოდისკურსის მიხედვით, აფხაზეთი, აბელის მსგავსად, უწყინარი, პატიოსანი და მშვიდობისმოყვარე, ხოლო საქართველო, კაენის დარად, იმპერიალისტი და მჩაგვრელია. მეოცე საუკუნეში აფხაზურმა ნაციონალიზმმა ორი ეთნო-ეროვნული პროექტი და საბჭოთა ნაციონალური იდეა პარალელურად შეითავსა. აფხაზური ტრადიციული სახალხო თავყრილობების (აიზარა) მაგალითზე აფხაზური ეთნო-ეროვნული ხედვის საკვანძო მომენტებს გავშლი. საბჭოთა ნაციონალიზმის პოლიტიკის (კორენიზაცია) ჭრილში კი აფხაზეთში პატრონ-კლიენტური მმართველობის მოდელსა და მის შედეგებზე ვისაუბრებ.

მესამე თავში, „ნარატივების ასიმეტრია: აფხაზეთი, როგორც ტკივილი“, ქართული და აფხაზური ასიმეტრიული ვიქტიმიზაციის ნარატივებზე ვისაუბრებ. ასიმეტრიულობა კონფლიქტის მხარეების ურთიერთაღქმასა და აფხაზეთის, როგორც საკრალური სიმბოლოს, კონოტაციაში გამოიხატება. აფხაზეთი, სულიერი და მატერიალური ტერიტორია, ლეგიტიმური და ერთადერთი სამშობლო ან მისი განუყოფელი ნაწილი, სიამაყის ან სინანულის ტკივილია. ერთი მხარე ამაყობს სამამულო ომში დაღვრილი სისხლის ფასად შენარჩუნებული მშობლიური მიწით. ჰეროიზაციის დისკურსი, ომში გამარჯვების ინსტრუმენტალიზაცია და კომემორაციის პრაქტიკები თანამედროვე აფხაზეთში პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმაციის წყაროა. მეორე მხარე კი გლოვობს ფიზიკური და სულიერი საგანძურის, მშობლიური სამოთხის დაკარგვას და დაბრუნების მოლოდინით ცხოვრობს. ვირტუალური ნოსტალგიური კერის (*home*) შექმნა და “მიწასთან” (*land*), „ადგილსა“ (*place*) და „სივრცესთან“ (*space*) მიკუთვნებულობის გრძნობის ჩამოყალიბებაზეა მიმართული. გმირობისა თუ „სახლის“ ნარატივების შენარჩუნებისთვის სხვადასხვა მედიუმებისა და პლატფორმების საშუალებით შექმნილი „მეხსიერების ადგილები“ (*lieux de mémoire*) (Nora, 1989) გამოიყენება.

მეოთხე თავში, „როლების კარუსელი: ბრძოლა ჰეგემონიის წინააღმდეგ“, ქართული, აფხაზური და რუსული ნაციონალიზმის ნარატივებში აფხაზეთის ომში თვითგამოცხადებულ თუ მიკუთვნებულ ფუნქციას/ადგილს გავაანალიზებ. უფრო კონკრეტულად კი ამ როლების გენეზისსა და პოლიტიკური ინტერესებიდან

გამომდინარე სტრატეგიულობას შეეხები. ეს როლები ანგარიშგასაწევი და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია დე-ფაქტო თუ დე-იურე ხელისუფლების მიმართ შიდასაზოგადოებრივი თუ საერთაშორისო მიმდებლობისა თუ მოწონებისთვის. თეორიულ ჩარჩოდ ჰოლსტის (1970) შიდა და საგარეო პოლიტიკაში როლურ თეორიასა და კარპმანის (1968) „დრამატულ სამკუთხედს“ გამოვიყენებ. ამ თავში, კონფლიქტში საქართველოს¹, აფხაზეთისა და რუსეთის ფედერაციის შიდა და გარე როლებზე ვისაუბრებ.

ეს დისერტაცია ერთ სივრცეში ათავსებს პოსტ-კონფლიქტური ქართული და აფხაზური საზოგადოებების სხვადასხვა საჯარო და პოლიტიკურ დისკურსებს და კრიტიკულად აანალიზებს მათ. ჩემთვის საინტერესოა მეხსიერების შექმნის ისტორია და მისი პოლიტიკურ მექანიზმად გამოყენების მეთოდოლოგია. უფრო კონკრეტულად კი ამ ნარატივებში პერიოდული ცვლილებების, ტრანსფორმაციის პროცესისა თუ ტოტალური უცვლელობის მიზეზები და სტრატეგიულობა.

¹ **ტერმინები:** აქ და მთელს დისერტაციაში როცა ვიყენებ საქართველოს, ვგულისხმობ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიას, ხოლო როცა ვიყენებ აფხაზეთს, ვგულისხმობ დე-ფაქტო აფხაზეთის ტერიტორიას. აფხაზი - ეთნიკურად აფხაზი, ხოლო აფხაზეთელი - აფხაზეთის დღევანდელი თუ ომამდელი მკვიდრი ეთნიკური მიკუთვნებულობის მიუხედავად.

მეთოდოლოგია

დისერტაციაში თვისებრივი კვლევის მეთოდს ვიყენებ. კერძოდ, პირველადი და მეორადი (Coffin, 2006) წერილობითი და ვიზუალური წყაროების კონტენტ, კონტექსტუალურ და დისკურს ანალიზს. ამისთვის ვკონცენტრირდები იმ სიტყვიერ და შინაარსობრივ კოდებზე/ენობრივ კონსტრუქციებზე, რომლებიც კონკრეტულ სოციალურ გარემოში იძენენ კონკრეტულ მნიშვნელობას და მათ დეკომპოზიციას ვახდენ (Bernard, 2006). ჩემი ძირითადი და უმთავრესი ემპირიული მასალა 1993 წლიდან (აფხაზეთის ომის დამთავრებიდან) 2020 წლამდე გრიფირებული ქართული და აფხაზური სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებია. სახელმძღვანელოების შესწავლისთვის ყოველმხრივ მეთოდს ვიყენებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვსწავლობ არა მხოლოდ პარაგრაფის ტექსტობრივ ნაწილს, არამედ მისთვის განკუთვნილ მოცულობასა და ადგილს მთელს წიგნში, ვიზუალურ გაფორმებას, სააზროვნო ან საშინაო დავალების კითხვებს, გრაფიკებს, ავტორების ბიოგრაფიას და სხვა საგულისხმო დეტალებს (Issitt, 2004; Grever and Van der Vlies, 2017; Fuchs, 2011). ნაშრომში ყველაზე აქტუალურ და სკოლის ისტორიის მასწავლებლების მიერ ფართოდ გამოყენებად სახელმძღვანელოებს ვიყენებ (ეს მხოლოდ ქართულ სახელმძღვანელოებს ეხება). აფხაზური სულ ორი სახელმძღვანელოა (Бражна & Лакоба, 2015; Куакуаскир, 2010), ორივე რუსულ ენაზე (აფხაზურად ისტორიის

სახელმძღვანელო არ არსებობს). რვა საქართველოს ისტორიის (ასათიანი, 1995; ასათიანი და სხვები, 2012; ანჩაბაძე და სხვები, 2008; კვიტაიშვილი და სხვები, 2008; ვაჩნაძე & გურული, 2001; ლომაშვილი, 2000; მეძმარიაშვილი და სხვები, 2014; ჯანელიძე და სხვები, 2015) და ერთი „ჩემი საქართველოს“² (თოფჩიშვილი და სხვები, 2018) სახელმძღვანელოა.

გარდა სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებისა, თითოეულ ნარატივზე საუბრისას, კოლექტიური მეხსიერების შექმნის მრავალფეროვან მედიუმებს ვიყენებ. ეს ეხება იურიდიულ დოკუმენტებს (კანონები, ოფიციალური განცხადებები, დადგენილებები, საარქივო მასალა, ეროვნული სასწავლო გეგმა), სხვადასხვა მედია პლატფორმისთვის გაკეთებულ განცხადებებს, ფართო გაგებით კულტურის სფეროს ნაწარმოებს (ფილმები, სიმღერები, მხატვრული ლიტერატურა). უფრო კონკრეტულად, ამ მედიუმების გენეალოგიით ვინტერესდები და შესაბამის თეორიასთან კონტექსტში მათ კონცეპტუალიზაციას ვახდენ. წყაროებს ვარჩევ ნარატივებიდან გამომდინარე და მივყვები ამ წყაროებს იქამდე, სადამდეც ნარატივი ითხოვს. ეს მეთოდი *go-along* სახელით არის ცნობილი (Kusenbach, 2003), რაც ქართულად შინაარსობრივად კვლევის პროცესისთვის „მინდობას“ ნიშნავს. ამ მიდგომის გამო, დისერტაციაში მხოლოდ ერთი თეორიული ჩარჩო არ მაქვს და თითოეულ თავში რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვა და ჩემი კვლევის

² საგანი „ჩემი საქართველო“ ისწავლება მე-5 და მე-6 კლასებში. ის საქართველოს გეოგრაფიას, ისტორიასა და კულტურას (მრავალეთნიკურობის ჩათვლით) აერთიანებს. საგნისთვის სახელმძღვანელო იგივე სახელითაა დასათაურებული.

კონკრეტული ასპექტის ანალიზი ცალ-ცალკეა განხილული. ოთხივე თავის გამაერთიანებელი კი როგორც შესავალში აღვნიშნე თანამედროვე პოლიტიკური დისკურსში 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ ქართული და აფხაზური ნარატივები და მათი გენეზისია.

ჩემი კვლევის ფოკუსი წერილობითი და ვიზუალური წყაროებია, თუმცა ამ მასალის განვრცობისა და დაზუსტებისთვის 2016-2018 წლებში თბილისში საველე კვლევა ჩავატარე. კვლევამ ხელი შემიწყო პრაქტიკაში დავკვირვებოდი თეორიულ ბაზისს და საკითხი უფრო სრულყოფილად გამეანალიზებინა. კვლევის ფარგლებში დავესწარი ისტორიის გაკვეთილებსა და კლასგარეშე ღონისძიებებს (*participant observer*) (DeWalt & DeWalt, 2010). სკოლის ისტორიის მასწავლებელთან ჩავატარე ჩაღრმავებული ინტერვიუები (Kvale, 2008), ხოლო მოსწავლეებს არაფორმალურად გავესაუბრე. ასევე, სტრუქტურირებული ინტერვიუები ქართული სახელმძღვანელოების ოთხ ავტორთან ჩავატარე.

ობიექტური მიზეზების გამო, ჩემი ჩასვლა აფხაზეთში ამ ეტაპზე შეუძლებელია, მით უფრო კვლევის ფარგლებში, ამიტომაც თბილისის საველე კვლევა მხოლოდ დამატებითი რესურსია ჩემთვის და არა ძირითადი. ამ ველიდან მოპოვებულ ინფორმაციას კი ვიყენებ არა როგორც მნიშვნელოვანი არგუმენტის განმსაზღვრელ მასალას არამედ, საკუთარი თავის ველში ინტეგრირების წყაროდ. ამ ველმა შესაძლებლობა მომცა, რომ მეწახა როგორ ცოცხლდება ტექსტები რეალურ დისკურსში. სკოლა ამ აბსტრაქტული ველის ონტოლოგიური განზომილებაა და

საფუძველი ჩემი საკვლევო ტექსტების გაგებისთვის. ეს ფუნდამენტი მეხსიერების კონცეპტუალიზაციას უკეთ წარმოაჩენს და აპელირებს იმაზე, რომ მეხსიერება არის არა აბსტრაგირებული ცოდნა, არამედ გამოცდილების ემოციური განზომილების ნაწილი. ნარატივების გენეოლოგიის კომპლექსურობას მრავალწახნაგოვნად და სხვადასხვა პერსპექტივიდან ვაანალიზებ რასაც გირცი (1973) „მსხვილ აღწერას“ (*thick description*) უწოდებს³.

i. სახელმძღვანელოების „ბიოგრაფია“

ბიოგრაფია ბერძნული სიტყვაა და სიცოცხლის აღწერას ნიშნავს. ამ ცნების სიტყვასიტყვითი განმარტებიდან სიცოცხლეში ცოცხალი ორგანიზმი ანუ ადამიანი იგულისხმება. ამ ფონზე, საგნების „ბიოგრაფია“ ერთგვარი ფიქციასავით ჟღერს. თუმცა, 80-იანი წლების კულტურის ანთროპოლოგიის აკადემიურ ლიტერატურაში შემოდის ნივთების „სოციალური ცხოვრების“ კონცეფცია, რომელიც სუბიექტობიექტის „ურთიერთობის“ კონცეპტუალიზაციას ახდენს (Appadurai, 1986). საგნების კულტურული და სოციალური დანიშნულების მიმართულებით კვლევა მას შემდეგ

³ ჩემს ინტერდისციპლინურ კვლევაში სხვადასხვა წყაროებს, სფეროებსა და დონეებს (პიროვნული, სოციალური, სახელმწიფო) ვაკავშირებ (mapping) (Clarke, 2003). ამისთვის ავტობიოგრაფიულ ჟანრს (ოჯახიდან გამომდინარე პიროვნული გამოცდილება) და 2014 წლიდან არასამთავრობო ორგანიზაციების ახალგაზრდული და საგანმანათლებლო (მათ შორის ისტორიის მასწავლებლების მონაწილეობით) პროექტების ფარგლებში ჩატარებული ქართულ-აფხაზური დიალოგების მონაწილე/ფასილიტატორი/ორგანიზატორის ამპლუაში აფხაზებთან არაფორმალური კონტაქტის შესაძლებლობას ვეყრდნობი.

განვითარდა და გაფართოვდა. მაგალითად, განიხილება პიროვნებისა და საგანს შორის ინფორმაციის მიმოცვლა (Gosden & Marshall, 1999), ობიექტების ერთგვარი ძალაუფლება (*agency*) მოახდინონ ზეგავლენა საჯარო დისკურსზე და განსაზღვრონ გარკვეული მნიშვნელობები სოციალურ სივრცეში (Hoskins, 2006).

ეს კვლევები სკოლის სახელმძღვანელოზე, როგორც ობიექტზე, პირდაპირ არ საუბრობენ. თუმცა, „ობიექტის ბიოგრაფიის“ იდეიდან თუ გამოვალთ, მაშინ მისი მოთავსებაც შეიძლება ამ კატეგორიაში. სახელმძღვანელო არის ფიზიკური ნივთი, მაგრამ ის ღირებულია როგორც ცოდნის შემქმნელი რესურსი. სხვანაირად, ცოდნა, რომელსაც ის ქმნის არის ამ შემთხვევაში მთავარი ობიექტი, რომელიც იძენს სუბიექტის თვისებებს. გასუბიექტირებული ობიექტი კი ზეგავლენის ძალაუფლებას (*agency*) ავრცელებს ადრესატებზე, უმეტესად სკოლის მოსწავლეებზე ანუ ახალ თაობაზე.

საქართველოში ისტორიის სწავლებისთვის და აფხაზეთთან დაკავშირებით ნარატივების შექმნის კონტექსტში განათლების რელევანტურ რეფორმებზე პირველ თავში დაწვრილებით ვისაუბრებ. აქ კი დავძენ, რომ სახელმძღვანელოს ავტორებთან საუბრისას, ოთხივე მათგანმა გამიზიარა, რომ სახელმძღვანელოსთვის ავტორთა კოლექტივის შერჩევა ხდება გამომცემლობის მიერ. გამომცემლობა აფინანსებს სახელმძღვანელოს შექმნას და დასამტკიცებლად (გრიფირებისთვის) წარადგენს მას სპეციალური სახელმწიფო კომისიისთვის. ეს კოლეგია ამოწმებს სახელმძღვანელოს შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო მიზნებთან და კონკრეტული საგნის

სტანდარტებთან. კომისიები არის დარგობრივი. ამ პროცესის წარმატებით გავლის შემდეგ, სახელმძღვანელოს ენიჭება გრიფი. თავდაპირველად, ეს გრიფი ოთხწლიანი უნდა ყოფილიყო. თუმცა, კონკრეტულად საქართველოს ისტორიას დღესაც ჯერ-ჯერობით 2012 ან 2014 წლების გრიფირებული სახელმძღვანელოებით ასწავლიან. რამდენიმე გრიფირებული სახელმძღვანელოდან ერთ-ერთის არჩევის პრეროგატივა აქვს მასწავლებელს ან სკოლას.

ii. სახელმძღვანელოების შემქმნელების ბიოგრაფია

ისტორიის სახელმძღვანელოების ავტორები ისტორიული პროცესის (ქართულ-აფხაზური ურთიერთობების) ავტორებიც არიან, ამიტომ, მნიშვნელოვნად ვთვლით, რომ ორივე სიტყვით მათი ბიოგრაფიები ვახსენო. დავიწყებ აფხაზური სახელმძღვანელოებით. ოლეგ ბლაჟა და სტანისლავ ლაკობა აფხაზეთში ყველაზე ავტორიტეტული და დღემდე გამოყენებადი ომის შემდგომ პირველი სახელმძღვანელოს ავტორები არიან. ისინი სოხუმში 1991 და გუდაუთაში 1993 წლებში გამოცემული „აფხაზეთის ისტორიის“ თანაავტორებიც იყვნენ, თუმცა მე ვიკვლევ ომის შემდგომ დაწერილ სახელმძღვანელოებს, ამიტომაც ვიყენებ მათი ავტორობით პირველად 2006 და შემდგომ სულ მცირე შესწორებებით (ძირითადად უახლესი ისტორიიდან მოვლენების დამატებით) 2015 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოს. სტანისლავ ლაკობა არის ისტორიკოსი, რომელიც სამეცნიერო და საგანმანათლებლო

საქმიანობითაა დაკავებული. გარდა ამისა, 2013 წლამდე ის პოლიტიკაში (უმაღლესი საბჭოსა და პარლამენტის წევრი, უშიშროების საბჭოს მდივანი) და ჟენევის მოლაპარაკებებში აქტიურად იყო ჩართული (Абхазский Биографический Словарь, 2015). ოლეგ ბლაჟბა არის არქეოლოგი და ისტორიკოსი და მისი პროფესიული მოღვაწეობა ძირითადად სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობებს უკავშირდება (იქვე). 2010 წელს აფხაზეთში გამოვიდა ისტორიის ახალი სახელმძღვანელო, რომლის ავტორი ირინა კვეკვესკირია. ის სოხუმის პედაგოგიკის ინსტიტუტის დირექტორია. მის ნაშრომს უფრო მეტად დამხმარე რესურსის ფუნქცია აქვს.

რაც შეეხება ქართულ სახელმძღვანელოებს, ჩემი კვლევის ფარგლებში ოთხ ავტორს (გია ანჩაბაძე, დავით მაღაზონია, თეიმურაზ პაპასქირი და ოთარ ჯანელიძე) გავესაუბრე. 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პარაგრაფები შესაბამის სახელმძღვანელოებში სწორედ მათი დაწერილია. მათ შესახებ აქ მოყვანილი ბიოგრაფიული ცნობები მათვე გამიზიარეს ინტერვიუების მსვლელობისას.

გია ანჩაბაძე თბილისში ქართულ-აფხაზურ ოჯახში დაბადებული მეცნიერია. ის გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის, ზურაბ ანჩაბაძის (1986 წელს პირველი „აფხაზეთის ისტორიის“ სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოს თანაავტორი), ვაჟია. მისი ინტერესის სფეროებს ზოგადად კავკასია და მისი ისტორიულ-კულტურული კავშირები ახლო აღმოსავლეთთან, საკუთრივ დღევანდელი თურქეთის

სახელმწიფოსთან, და სამხედრო ისტორია შეადგენენ. ის ლექციებს როგორც თბილისში, ისე სოხუმში კითხულობს.

თეიმურაზ პაპასქირი მოსკოვში დაბადებული, მაგრამ სოხუმში სკოლადამთავრებული ისტორიკოსია, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობა უჭირავს. ის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, ზურაბ პაპასქირის, ვაჟია. ზუგდიდში დაბადებული, თბილისსა და მოსკოვში განათლება მიღებული და მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან სოხუმის უნივერსიტეტში მომუშავე ზურაბ პაპასქირი გარდა სამეცნიერო საქმიანობისა აქტიურად იყო ჩართული აფხაზეთში ქართულ ეროვნულ მოძრაობაში. მისი ინიციატივით 1989 წელს დაფუძნდა „სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების“ აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია (საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი). თეიმურაზ პაპასქირი ინტერვიუს ფარგლებში მის სამეცნიერო საქმიანობაზე მამის ამ გამოცდილების მნიშვნელობაზე არაერთხელ მიუთითებდა, სწორედ ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ მისი აქ მოხმობა.

დავით მაღაზონია ისტორიკოსი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ძირითადად, განათლების მეცნიერებების მიმართულებით) და „თანამედროვე განათლების აკადემიის“ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორია. მას აფხაზეთთან პირადი კავშირი არ აქვს. ოთარ ჯანელიძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და

ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. აფხაზეთთან მას პირადი კავშირი არ გააჩნია.

დისერტაციის განმავლობაში გავშვლი და დეტალურად გავაანალიზე სხვადასხვა ობიექტისა და სუბიექტის ბიოგრაფიების, ლინგვისტური ტროპებისა და დეფინიციების როლსა და ადგილს კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირების პროცესზე. ასევე, მათ მნიშვნელობასა და რეფლექსიას იმ სოციალურ ინტერაქციულ სივრცეში, სადაც აფხაზეთის ომის შესახებ დომინანტური ნარატივები იჩარხება, რატიფიცირდება და კულტივირდება.

თავი I ქართული სიჩუმე: ხელოვნურად განცალკევებული ერთობა

შესავალი

„სიმინდის კუნძული“, გიორგი ოვაშვილის ფილმი, 2014 წელს გამოვიდა ეკრანებზე. ის აფხაზი ბაბუას, მისი შვილიშვილისა და ქართველი ჯარისკაცის ისტორიას ჰყვება. მოქმედება ენგურის მდინარესთან ახლოს ვითარდება. ფილმი დაახლოებით საათ-ნახევარი მიმდინარეობს და ამ დროის განმავლობაში ადამიანებს შორის საუბარი თითქმის არ ისმის. სამაგიეროდ, ბუნების - წყლის, ქარის, წვიმის, ხმები ძალიან მკაფიოდ ჟღერს. მონოლოგისა თუ დიალოგის ასეთი რადიკალური ფორმით ნაკლებობამ დამაფიქრა. დამაინტერესა რეჟისორის გადაწყვეტილების მოტივაციამ, რომ ეს ისტორია სწორედ ამგვარად, სიჩუმით, მოეყოლა. თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ დისკურსში, სამოქალაქო საზოგადოებაში, საერთაშორისო ურთიერთობებში, ფორმალურ თუ არაფორმალურ საუბრებში, კერძო თუ საჯარო დისკუსიებში, მედია სივრცეში ქართულ-აფხაზური ურთიერთობები საკმაოდ აქტიურად განხილვადი თემაა. არის განცდა, რომ ეს ის ისტორიაა, ის ფაბულაა, რომელიც უნდა ითქვას, განმეორებით ითქვას, მრავალჯერ ითქვას, რომ უკეთ იცოდნენ, უკეთ ახსოვდეთ. ამის ფონზე სიჩუმე, როგორც ტრავმული ნარატივის მოყოლის მთავარი ინსტრუმენტი, ორმაგად დისონანსური და დამაფიქრებელი იყო.

ამ თავში ვისაუბრებ აფხაზეთის ომის შესახებ ქართულ პოლიტიკურ ნარატივში სიჩუმის დისკურსზე. მსჯელობას ორი ძირითადი არგუმენტის გარშემო ავაგებ: (1) სიჩუმე ვიქტიმიზაციის ნარატივის ფორმირებისა და გადაცემის განზრახ არჩეული ინსტრუმენტია და (2) კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესი მრავალხმიანია, სადაც სხვადასხვა სოციალურ აქტორს (Wertsch, 2008), როგორცაა პოლიტიკური ელიტა, მედია, სამოქალაქო საზოგადოება და სხვა, ისეთივე გავლენა აქვს სახელმწიფო დისკურსსა და ეროვნული სასწავლო კურიკულუმის შინაარსზე, როგორც ოფიციალურ რიტორიკას. ეს აქტორები აქტიურ როლს თამაშობენ საჯარო აზრის ჩამოყალიბებაში. საჯარო აზრში მოვიაზრებ კოლექტიურად გაზიარებული ღირებულებებისა და შეხედულებების, დომინანტური და ფუნდამენტური წარმოდგენების ერთობლიობას, რომელიც „ქართველობასა“ და ქართველი ერისთვის მიკუთვნებულობას განსაზღვრავს. გარდა ამისა, ამ თავში 90-იანი წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ესკალაციის ზოგად ქრონოლოგიურ წრფივს მიმოვიხილავ.

პირველი არგუმენტი ნარატივში სიჩუმის სტრატეგიულობას ეხება. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს დომინანტური აზრი, რომლის მიხედვითაც, ნარატივში ინფორმაციის ნაკლებობა დავიწყების ფორმაა. ერთმანეთის სინონიმებად გამოიყენება შემდეგი ტერმინები: დავიწყება (*forgetting, oblivion*), კოლექტიური ამნეზია (*collective amnesia*), მეხსიერების განკიცხვა (*condemnation of memory*), სტრუქტურული ამნეზია (*structural amnesia*) (Augé, 2004; Nora, 1989; Ricouer, 2006; Zerubavel, 1997). იმ აკადემიურ ტექსტებშიც კი, სადაც სათაურში სიტყვა „სიჩუმე“ ფიგურირებს, ძირითადი მსჯელობა

„დავიწყების“ გარშემო აიგება. სიჩუმე დამოუკიდებელ კონცეფციად არ აღიქმება, ის დავიწყების შედეგის ამსახველ ლინგვისტურ და დისკურსულ გამოხატულებად მოიაზრება. მართალია, სიჩუმის ერთ-ერთი მიზანი დავიწყებაც შეიძლება იყოს, მაგალითად, „შეურაცხყოფილი სიჩუმე“ (*humiliated silence*) (Connerton, 2008), მაგრამ უფრო ხშირად ის განზრახი, მიზანმიმართული, მონაწილეობითი ქმედებაა, რომელიც ნარატივში სასურველ გზავნილს დებს. ამ გზით ის ეფექტიანი და მიზნობრივი კომუნიკაციის საშუალებაა, რომელიც ნარატივის კონსტრუირებისა და წინასწარ დადგენილი მეხსიერების საფუძველია. ის აქცენტს თხრობაში ერთ ხმაზე აკეთებს და მეორე თუ ალტერნატიული ხმებისთვის ხმის დაწევასა თუ გაქრობას ავტომატურად გულისხმობს. ხოლო ის რაც არ ითქმის, არ წარმოითქმის, არ არის ნარატივში, პოტენციური დებატისა თუ ცნობისმოყვარეობის საგანი ვერ იქნება. რითაც სიჩუმე შეუმჩნევლობის, წარმოუთქმელობის, ერთგვარი მიჩქმალვის, გაუჟღერებლობის აქტი ხდება.

მეორე არგუმენტი მეხსიერების აგენტების დივერსიფიცირებულობას უსმევს ხაზს. სახელმძღვანელოების შესახებ კვლევა (*textbook-related research*) დაახლოებით 1970-იანი წლებიდან დაიწყო. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ მიმართულებით ლიტერატურაში ყალიბდებოდა აზრი, რომ სახელმძღვანელოები ძლიერი პოლიტიკური ინსტრუმენტია, რომელთაც ხელისუფლება თავის სასიკეთოდ და საკუთარი პოლიტიკური კურსის შესაქმნელად თუ გასაძლიერებლად იყენებს. ისტორიის სახელმძღვანელოებს სხვადასხვანაირად მოიხსენიებენ. მაგალითად,

„სახელმწიფოსგან დაფინანსებული მეხსიერება“ (*state-sponsored memory*) (Wertsch and Batiashvili, 2012), „სერტიფიცირებული ოფიციალური ცოდნა“ (*certified 'official' knowledge*) (Issitt, 2004), „ჭეშმარიტი და ვალიდური ცოდნა“ (*'true' and 'valid' knowledge*) (Olson, 1980). სახელმძღვანელოები ოფიციალური ნარატივების გადამცემად და თაობებს შორის „კულტურული ჭეშმარიტებების კომუნიკაციის არხად“ (Porat, 2001: 51) მიიჩნევა. შესაბამისად, სახელმწიფო მეხსიერების შექმნის, ტრანსმისიისა და გავრცელების მთავარ აგენტად მოიაზრება.

ბოლოდროინდელი რელევანტური კვლევები მსჯელობას ახალი პერსპექტივიდან ავითარებენ. კერძოდ, სახელმძღვანელოების მიერ „ახალი მედიის“ (Lässig, 2009; Repoussi and Tutiaux-Guillon, 2010) ფუნქციის შეთავსებაზე საუბრობენ, რითაც ისინი საჯარო აზრისა თუ განწყობების და პოლიტიკური დისკურსის ელემენტებს თანაბარი მოცულობით შეიცავენ. მოცემულ თავში ვიმსჯელებ ქართული სახელმძღვანელოების მაგალითზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ კოლექტიურ მეხსიერებაში სახელმწიფოსთან ერთად სხვა სოციალური აქტორის ემოციურ დომინანტურ თხრობაზე. „სახელმძღვანელოების შექმნა და დისტრიბუცია მარტივი ზემოდან-ქვემოთ (*top-down*) პროცესი არ არის. გაბატონებული პოლიტიკური ლიდერების მიერ ღირებულად მიღებული ცოდნა დაშტამპული გზით ინსტრუმენტულად საკლასო ოთახებში არ ვრცელდება“⁴ (Foster and Crawford, 2006: 2).

⁴ შეადარეთ ორიგინალს ინგლისურად: “The process of textbook production and distribution is not a simplistic top-down process in which the knowledge valued by prevailing political leaders is distributed instrumentally into classrooms in uniform ways”.

პროცესი კომპლექსურია. კონკრეტულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა თუ ფიგურებმა შესაძლოა ხელსაყრელი კლიმატი წახალისონ და კონკრეტული ნარატივი შექმნან, მაგრამ ამ ნარატივმაც კი საზოგადოებრიობის მოწონება უნდა დაიმსახუროს. ნებისმიერი ახალი მოსაზრება გადის საჯარო დისკურსის შეფასების ეტაპებს, მანამ სანამ მას არ მიიღებენ და გაითავისებენ. ეს პროცესი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია.

სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების მაგალითზე⁵ აფხაზეთის შესახებ ქართულ ნარატივში სამი ტიპის სიჩუმეს გამოვყოფ: ტრავმულს, პერსონიზირებულსა და მსხვერპლის სუჩუმეს. პირველი ემთხვევა ედუარდ შევარდნაძის საქართველოს პრეზიდენტად ყოფნას (1993-2003). მეორე ვარდების რევოლუციის შემდეგ პირველ რამდენიმე წელიწადს (2004-2008), ხოლო მესამე სამხრეთ ოსეთის თაობაზე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდს (2009-2019).

⁵ ამ თავში 2008 წელს გამოცემულ ისტორიის სახელმძღვანელოს, რომლის აფხაზეთის შესახებ ნაწილის ავტორი გია ანჩაბაძეა, არ განვიხილავ. ეს სახელმძღვანელო მკვეთრად განსხვავდება ყველა სხვა დანარჩენი იქამდე და მის მერე შექმნილი ისტორიის სასკოლო წიგნისგან და ის ჩემ მიერ ამ თავში გაკეთებულ პერიოდიზაციას არ ესადაგება. ამის მიზეზი, მისი ავტორის პიროვნება და პროფესიული პროფილია. ის ორივე კულტურის მატარებელია, ორივე საზოგადოების ნარატივებს კარგად იცნობს და როგორც ისტორიკოსს ძალიან ბევრი ნაშრომი სწორედ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე (სხვადასხვა საუკუნეში და სხვადასხვა კონტექსტში) აქვს გამოქვეყნებული. სავარაუდოდ, ამან განაპირობა სახელმძღვანელოში ამ თემის გარშემო უპრეცედენტო დეტალებისა და წყაროების სიმრავლე. ეს სახელმძღვანელო ძალიან საინტერესო რესურსია, რომელსაც ამ დისერტაციაში რამდენჯერმე მივუბრუნდები, მაგრამ მისი ლექსიკა და შინაარსი, დომინანტური ქართული ნარატივის მსჯელობას არ ასახავს, ამიტომაც ამ თავში მასზე არ ვსაუბრობ. გარდა ამისა, მისი სკოლებში გამოყენება, სამწუხაროდ, ძალიან ხანმოკლე და არა ფართომასშტაბიანი იყო.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორიული ჩარჩო

ამ დისერტაციის მიზანი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ ქართული და აფხაზური დღეს არსებული კოლექტიური მეხსიერებების ანალიზია. სხვა სიტყვებით, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველებმა და აფხაზებმა რა ცოდნა და მეხსიერება შექმნეს და ნარატივის კონტექსტუალიზაცია კულტურაში (McAdams and McLean, 2013) როგორ მოახდინეს. შესაბამისად, ამ ქვეთავში მოვიყვან მხოლოდ ორი ნარატივის პერსპექტივიდან და ინტერპრეტაციით რამდენიმე საკვანძო ისტორიულ ფაქტსა თუ წარმოდგენას. კონკრეტული რელევანტური ნარატივის ცალკეულ ასპექტებს დისერტაციის სხვადასხვა თავში ჩავუღრმავდები.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ესკალაცია, რომელიც 1992-1993 წლებში აფხაზეთის ომით დასრულდა, მეოცე საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. ქართული და აფხაზური ნარატივები ამ დაპირისპირებას დიამეტრულად განსხვავებულად აღიქვამენ. ეს ვლინდება, პირველ რიგში, ტერმინოლოგიაში, რასაც მესამე თავში ნარატივების ასიმეტრიაზე საუბრისას განვიხილავ. ქართული დომინანტი ნარატივი კატეგორიულად ეწინააღმდეგება შემდეგ ფორმულირებებს: „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“ და, განსაკუთრებით, „ქართულ-აფხაზური ომი“. მისთვის ეს უთანხმოება ეთნიკურ ხასიათს არ ატარებს და მთლიანად რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის, საბჭოთა კავშირისა და თანამედროვე რუსეთის დესტრუქციული როლით არის გამოწვეული. ამგვარად, ამ კონფლიქტს

იდეოლოგიურს, პოლიტიკურსა და „მართვადი დამაბულობის სტრატეგიას“ (ჯოჯუა, 2007: 332) უწოდებს. ამასთანავე, მთავარი ნარატივი აფხაზური ნაციონალიზმის მოძრაობებში სამართლებრივი ელემენტების არ არსებობაზე ამახვილებს ყურადღებას, შესაბამისად, მოთხოვნების სრულ უსაფუძვლობასა და „ანტიკონსტიტუციური ამბოხების“ ნიშნებზე მიუთითებს (პაპასქირი, 2007). ხოლო ომის მხარეებად რუსეთსა და საქართველოს მოიაზრებს (კვესელავა, 2016; პაპასქირი, 2007). ამისგან განსხვავებით, აფხაზური დომინანტი ნარატივი კონფლიქტის მხარეებად ერთმნიშვნელოვნად საქართველოსა და აფხაზეთს ხედავს (Марыхуна, 1993; Белая Книга Абхазии, 1993). ქართული ნარატივი ლეგიტიმაციას რუსეთის მიერ აფხაზების სამხედრო აღჭურვაში, ხოლო აფხაზური ნარატივი საქართველოს სახელმწიფო ჯარის აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემოყვანაში ხედავს (Broers, 2014).

აფხაზეთი, როგორც მინიმუმ 1931 წლიდან⁶, ავტონომიური რესპუბლიკის სახით საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შედიოდა. საბჭოთა კავშირში პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების მოწყობა „მატრიოშკას“ პრინციპით (Charachidzé, 1989/2) ხორციელდებოდა, რაც ერთმანეთში კომუნიკაციას ბიუროკრატიულსა და პოლიტიზირებულს ხდიდა. პრივილეგიების მოსაპოვებლად

⁶ ქართული და აფხაზური ნარატივები ამ საკითხს განსხვავებულად უყურებენ. აფხაზური ნარატივი თვლის, რომ მისი სტატუსის ჩამოქვეითება სამოკავშირეო რესპუბლიკიდან ავტონომიურ რესპუბლიკამდე სტალინის პროქართულობის გამო 1931 წელს მოხდა. ქართული ნარატივი მიიჩნევს, რომ აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყრელი ნაწილი იყო და სწორედ საბჭოთა კავშირის ნაციონალისტურმა პოლიტიკამ გაუჩინა მას არასწორი მოლოდინები და წარმოდგენები „თვითგამორკვევასთან“ დაკავშირებით. ამ საკითხზე დაწვრილებით მეორე თავში ვისაუბრებ.

უფრო პატარა „მატრიოშკები“ უფრო დიდ „მატრიოშკებს“ უნდა დაპირისპირებოდნენ. სსრკ-ის 70 წლიანი არსებობის მანძილზე სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით (პოლიტიკური სტატუსი, კვოტები, განსახლების არეალი, თანამდებობებზე დანიშვნა და ა.შ.) ქართველებსა და აფხაზებს შორის განხილვის (უთანხმოების, უკმაყოფილების) საგანი იყო. ეს სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა. მაგალითად, აფხაზი ინტელიგენცია ხშირად საუბრობდა *აიზარას* (სახალშო შეკრებები) აუცილებლობაზე ან თბილისის არიდებით მოსკოვის მისამართით აქვეყნებდა წერილი-მოთხოვნა-მიმართვებს. ეს პრაქტიკა თითქმის ყოველ ათ წელიწადში ერთხელ გამოიყენებოდა. თავის მხრივ, ქართული ელიტისთვის ეს ტერიტორიული მთლიანობისთვისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხის სიგნალი იყო. ამ ნარატივებზე და მათ გენეზისზე, მათში იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგების ასახვაზე დაწვრილებით მეორე თავში ვისაუბრებ.

80-იანი წლების ბოლოს კავკასიაში წარმოშობილი კონფლიქტები იყო იმის შედეგი, რომ საბჭოთა წყობილების ლეგიტიმაცია ეჭვქვეშ დააყენეს და ამის გასამყარებლად სახალხო მობილიზაციას მიმართეს (Cheterian, 2012). აფხაზურმა ეროვნულმა პროტესტმა და ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო. აფხაზური პოლიტიკური ელიტის ძირითადი უკმაყოფილება აფხაზების რიცხვის სიმცირით (17,8%, შედარებისთვის ქართველები 45,7% შეადგენდნენ) იყო გამოწვეული და ის აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფასა და მისი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირში დარჩენას

ითხოვდა (Yerasimos, 1994). 1989 წელს „ლიხნის წერილმა“, 9 აპრილმა, ივლისის დაპირისპირებამ სოხუმის უნივერსიტეტში, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები იდეოლოგიურად და ეთნიკურად გაამწვავა. სხვადასხვა სფეროში საინფორმაციო ომი გაჩაღდა. იმ პერიოდის პუბლიკაციებით დაწყებული და დემონსტრაციებით დამთავრებული ისმოდა სხვადასხვა ნაციონალისტური ლოზუნგები და მოწოდებები.

1991 წლის აგვისტოში, საქართველოს პრეზიდენტ - ზვიად გამსახურდიას კომპრომისული გადაწყვეტილების შედეგად აფხაზეთის პარლამენტში დელეგატების კვოტები 28 (აფხაზები) 26-ზე (ქართველები) გადანაწილდა (Petersen, 2008). 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის პარლამენტმა 65-დან 35 დეპუტატის მხარდაჭერით გააუქმა აფხაზეთში მოქმედი 1978 წლის კონსტიტუცია, აღადგინა 1925 წლის კონსტიტუცია, რითაც საქართველოსგან გამოყოფის სურვილი გააჟღერა (Yerasimos, 1994). ამის საპასუხოდ და ნომინალურად რკინიგზის დასაცავად, იმ პერიოდის საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, თენგიზ კიტოვანმა, შეიყვანა ჯარები სოხუმში (იქვე). 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში დაიწყო ომი, რომელიც 1993 წლის 27 სექტემბერს დასრულდა. საქართველომ აფხაზეთზე დე-იურე კონტროლი დაკარგა და 250 000 ადამიანს, ძირითადად ეთნიკურ ქართველებს, აფხაზეთის იძულებით დატოვება მოუწია.

1.1 ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ხანა (1993-2003): ტრავმული სიჩუმე

ამ ქვეთავში ქართული ისტორიის სახელმძღვანელოების ტრავმულ სიჩუმეს განვიხილავ. ტრავმული სიჩუმე შეიარაღებული კონფლიქტის დამთავრებას მოჰყვა და ემოციურად გამანადგურებელ შეგრძნებებთან ასოცირდება. ის ომის ტრავმის შემდგომი მყისიერი რეაქციაა. მას ერის მასშტაბით გაოგნება, ძლიერი შიშის, სისხლისღვრის თვითმხილველობით გამოწვეული ტრავმული განცდა ახასიათებს. ის ქართულ-აფხაზური ომის დასრულებისთანავე, 1993 წელს, დაიწყო და საქართველოს მეორე პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, ქვეყნის სათავეში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა (1993-2003).

შევარდნაძე კომუნისტური პარტიის ბიუროკრატი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი (1965-1972), საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი (1985-1990) და საქართველოს მეორე პრეზიდენტი (1995-2003) იყო. საქართველოში ის მოსკოვიდან 1991 წლის მარტში ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ იმავე წლის იანვარში მოწყობილი პუტჩის შემდეგ „სიტუაციის დასალაგებლად“ თბილისის პოლიტიკური ელიტის ზოგიერთმა წარმომადგენელმა „მოიწვია“ (Cheterian, 2012; Gotfredsen, 2013). 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა აფხაზეთში ომი დაიწყო, სახელმწიფოს პრეზიდენტი სწორედ შევარდნაძე იყო. საბჭოთა კავშირის დანგრევის, ორ

კონფლიქტურ რეგიონში შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ საქართველო სოციალური და ეკონომიკური სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. ამას დაემატა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, ინფლაცია, სოციალური პაკეტების არ არსებობა. ამ გარემოებებმა ბევრ ადამიანს საარსებო წყაროებზე წვდომა მნიშვნელოვად შეუზღუდა. მძიმე სოციალური ფონი გაამწვავა იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადმა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან (ჯამში დაახლოებით 300 000 დევნილი). ამ ადამიანების მატერიალური დანაკარგი თუ ფსიქოლოგიური ტრავმა სხვა მოქალაქეების ცხოვრებაზეც ახდენდა ზეგავლენას. კოლექტიურ დონეზე მომავლის მიმართ გაურკვევლობისა და დაუცველობის განწყობები ჭარბობდა. „დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სახელმწიფო სწრაფად დეზინტეგრირდა [...] პოლიტიკას კი ეიფორია, შიში, ძალაუფლებისთვისა და რესურსებისთვის ჩხუბი ამოძრავებდა“ (Jones, 2013: 234).

ამის მიუხედავად, საქართველო უკვე დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. საბჭოთა კავშირი აღარ არსებობდა და სახელმწიფოს ახალი, ბოლო 70 წლის განმავლობაში ჩვეული სოციალური და პოლიტიკური წყობისგან განსხვავებული, მეთოდები და უნარები უნდა გამოემუშავებინა და მიეღო. ბუნებრივია, ეს განათლების სისტემას ზოგადად და სასკოლო კურიკულუმებს კონკრეტულად შეეხო. ეს ცვლილებები განსაკუთრებით ქართულ იდენტობასთან დაკავშირებულ საგნებში იყო მოსალოდნელი, როგორებიცაა საქართველოს ისტორია და ქართული ენა და ლიტერატურა. ცვლილებები ავტომატური, გაუქდერებელი, თავისთავადი

აუცილებლობით იყო გამოწვეული, მაგრამ რა ფორმით ან მეთოდებით უნდა მომხდარიყო რეფორმები არ იყო ცნობილი და დაგეგმილი. ერთ-ერთი ისტორიის მასწავლებელი იხსენებდა: „არ იყო გარკვეული რომელი ისტორია უნდა გვესწავლებინა მას შემდეგ რაც საბჭოთა რეჟიმი აღარ არსებობდა. კომუნისტური პარტიების ისტორიის დეპარტამენტი ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა; ყველაფერი ბუნდოვანი იყო“ (Kitaevich, 2014: 329).

ამ პირობებში ტრავმული სიჩუმის ტექნიკა იყო გამოყენებული. სხვა სიტყვებით, ამ პერიოდის ქართული სახელმძღვანელოები არაორაზროვნად და მკაფიოდ მიუთითებდნენ ნულოვან მზადყოფნას ახლო წარსულში მომხდარი მოვლენების აღსაწერად თუ შესაფასებლად. საქართველოსთვის აფხაზეთში ომი ტრავმული ახლო წარსული იყო, რომელმაც შესამჩნევი პირადი და კოლექტიური დანაკარგი მოიტანა. შესაძლოა, იმ პერიოდის პოლიტიკური „ესტაბლიშმენტი“ და ელიტა ნაგულისხმევად შეთანხმდა „პოლიტიკურ“ სიჩუმეზე, რათა „შეეჩერებინათ და შეეზღუდათ ღია კონფლიქტი“ იმ იმედით, რომ „დროის გასვლასთან ერთად ამ მოვლენებთან დაკავშირებული დავის სიმძაფრე შემცირდებოდა ან მისგან გამოწვეული იარები შეხორცდებოდა კიდევ“ (Winter, 2010: 5).

ეს „იმედი“ ან „დამოკიდებულება“ დროზე, როგორც ყველაფრის მკურნალ ცვლადზე, პოლიტიკურად ტრანზიტული სახელმწიფოებისთვის არის შესამჩნევი. თითქმის ყველა პოსტ-საბჭოთა საზოგადოება, ქართულის ჩათვლით, შეეჯახა ამ რეალობას. მსგავს შემთხვევებში საერთაშორისო პრაქტიკა ცხადხყოფს „მსოფლიოს

გარშემო ბევრმა ქვეყანამ აირჩია, დროებით მაინც, ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებით ამნეზიური ან თავის არიდებითი მიდგომა, განსაკუთრებით ყველაზე სადავო და მტკივნეულ პერიოდთან, უახლოეს წარსულთან, მიმართებით“ (Bentrovato, 2017: 42). ამ პროცესის აღსაწერად დე ბაეტსმა (De Baets, 2015) ტერმინი „მორატორია“ შემოიტანა და შემდეგნაირად განმარტა: „ისტორიის სწავლების, ან მისი უახლესი სეგმენტის, დროებითი შეჩერება, მათ შორის, სახელმძღვანელოებში“ (6).

*საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის ხელშეწყობა
აღდგენა საბჭოთა იმპერიის დაშლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
კანონზომიერი შედეგი იყო. ამ აქტით ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის
ახალი ერა დაიწყო. საქართველო მტკიცედ და საბოლოოდ ჩადგა თავისუფალ და
თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა რიგებში (ლომაშვილი, 2000: 258).*

ეს ამონარიდი ქართული სახელმძღვანელოდანაა. „ახალი ერა“ ძალიან აბსტრაქტული და ფართო ფრაზაა. მის უკან ნანატრი, მაგრამ მოულოდნელი დამოუკიდებლობის აღდგენით გაურკვევლობითა და დაბნეულობით გამოწვეული იმედი იკითხება. მომავლი ბურუსით იყო მოცული. „უახლეს წარსულთან გამკლავება განსაკუთრებით პრობლემურია, რადგან სიტუაცია ჯერ კიდევ ნედლი, მწვავედ განხილვადი და პიროვნული ტრავმით, გაბრაზებითა და მწუხარებით ხასიათდება“ (McCully, 2012: 154). სახელმძღვანელოები აჩვენებენ რომ საქართველომ ათი წლით აფხაზეთის ომის შესახებ ოფიციალური ისტორიოგრაფიის გაჟღერებისგან „შესვენება“ ან „მორატორიუმი“ აიღო. მე გავაანალიზე ვარდების რევოლუციამდელი სამი

ქართული სახელმძღვანელო (ასათიანი, 1995; ლომაშვილი, 2000; ვაჩნაძე და გურული, 2001). პირველ ორში 90-იანების კონფლიქტების შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები. ისინი მთავრდება 1991 წლის 26 მაისით, დღით როცა საქართველომ აღადგინა დამოუკიდებლობა და ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები. ხოლო მესამე (ვაჩნაძე და გურული, 2001) მართალია საუბრობს აფხაზეთის ომზე, მაგრამ ზედაპირულად და ტენდენციურად. ის ორ გარემოებაზე პედალირებს: რუსეთის მიერ მხარდაჭერილი აფხაზური სეპარატიზმი და აფხაზეთში ჯარის შეყვანა, როგორც პოლიტიკური შეცდომა (იქვე, 192). ეს ნარატივი უფრო გაშლილად, დეტალიზირებულად და გამოკვეთილად 2008 წლის ომის შემდგომ სახელმძღვანელოებში ფიგურირებს.

ომის დამთავრების შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში აფხაზეთში კონფლიქტის შესახებ მკვეთრად გამოკვეთილი ეროვნული საჯარო კონსენსუსი, ერთიანი ნარატივი არ არსებობდა. ეს ეხებოდა არა მხოლოდ ორად გახლეჩილ საზოგადოებას (როგორც მინიმუმ, დევნილებად და ადგილობრივებად), არამედ უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ ელიტას, იმ პერიოდის პოლიტიკური „ესტაბლიშმენტი“ ძალიან ჭრელი იყო, მაგალითად, „ზვიადისტები“, „მხედრიონელები“ და მათი მხარდამჭერები, ედუარდ შევარდნაძესთან დაახლოებული პირები. მათი დამოკიდებულება და ხედვა აფხაზეთის მიმართ შესამჩნევად პოლარიზებული იყო. თითოეული ეს ჯგუფი თუ გაერთიანება გარკვეული სახით საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებასა ან სხვა

გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, შეთანხმების მიღწევა, გაზიარებული აზრის ქონა პოლიტიკოსებს შორის ძალიან რთული თუ არა შეუძლებელი იყო. დროთა განმავლობაში ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ჩიხში შევიდა და საბოლოოდ 2008 წლის შემდეგ გაიყინა. ნარატივის „დასრულებულობა“ და 1992-1993 წლის ქართულ-აფხაზური ომის საბოლოო შეფასება ჯერ კიდევ არ არის გაკეთებული. ხოლო, 1990-იანი წლების ტრავმულად ჩუმ ქართულ ნარატივში სიფრთხილისა და დაბნეულობის დიდი დოზა შეიმჩნევა.

1.2 ვარდების რევოლუციის შემდეგ პირველი წლები (2004-2008): პერსონიზირებული სიჩუმე

ქართული ისტორიის სახელმძღვანელოების მეორე პერიოდს პერსონიზირებულ სიჩუმედ ვახასიათებ. ის ომის დანაშაულისთვის „განტყვების ვაცებს“ ეძებს. შეზღუდული ადამიანთა ჯგუფისთვის ბრალის წაყენებითა და მათი ისტორიული გასამართლების გზით, ის კონფლიქტში პირდაპირ თუ ირიბად ჩართული ყველა სხვა დანარჩენი ადამიანის, თემისა თუ სახელმწიფოს რეაბილიტაციას ავტომატურად ღამობს. ეს პერიოდი ვარდების რევოლუციის შემდეგ (2004) იწყება და 2008 წლის ომამდე გრძელდება.

ქართულ ნარატივში, ომი აფხაზეთში არის ტრაგედია „რომლისთვისაც ადამიანებს არ აკისრიათ პასუხისმგებლობა“ (Stojanovic, 2001: 28–29). სიჩუმის ეს

ფორმა კონფლიქტის ზედაპირულ ანალიზს ახალისებს და მოვლენების, მიზეზებისა და ფაქტორების, პირების უშუალო თუ არაპირდაპირი ჩართულობის სიღრმისეულ განხილვას თავს არიდებს. „კონტექსტის დეპოლიტიზაცია“ ისრაელის პრემიერ-მინისტრის, იცხაკ რაბინის (1922-1995), მკვლელობის მაგალითზე ვინიცკი-სერუსიმ (2002) განიხილა და ამ ფენომენს მკვლელობის ინდივიდუალიზაცია (*individualization of the assassin*) უწოდა. ის აკვირდებოდა ისრაელის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ამ დღესთან დაკავშირებით გამართულ კომემორაციის ღონისძიებას და აღნიშნა, რომ „კონტექსტისა და მკვლელობის მნიშვნელობის დეპოლიტიზაციით სკოლებს ღონისძიების პრობლემური ბუნების თავიდან არიდების შესაძლებლობა ეძლევა“ (Vinitzky-Seroussi, 2002: 266). როგორც კი მკვლელობას აღარ აქვს პოლიტიკური კონოტაცია, მკვლელობა ხდება კრიმინალური ქმედება, რომელსაც ჰყავს მხოლოდ ერთი მკვლელი. მსგავს სიტუაციაში, რამდენიმე „დამნაშავის“ ბრალეულობის ინსტრუმენტალიზაციით კოლექტიური ბრალისა და სირცხვილის გაქარწყლება ხდება.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში მასშტაბური რეორგანიზაცია დაიწყო. სხვადასხვა სფეროში ბევრი რეფორმა გატარდა და საქართველოს პოლიტიკური კურსის ბირთვად ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია გამოცხადდა. 2004 წელს საშუალო განათლების ახალი სტანდარტები და ეროვნული სასწავლო მიზნები შევიდა ძალაში. მათ ხელი უნდა შეეწყო ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაში; ქვეყნის

ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებაში; მოსწავლის შემოქმედებითობის წახალისებაში, მათ შორის, რომ მან თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებული ხარჯზე; კანონმორჩილი და ტოლერანტი მოქალაქეების კულტივაციაში (საქართველოს მთავრობის დადგენილება #84, 2004).

პილოტირებული სახელმძღვანელოები ახალ სასწავლო მითითებებს შეიცავდნენ. ტრადიციული, ერთხმიანი თხრობის ნაცვლად წყაროებზე დაფუძნებული და მოსწავლისთვის ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისკენ მიმართული სასწავლო რესურსის შექმნის პირველი მცდელობა იყო. შესამჩნევი დადებითი ინოვაციების ფონზე, საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, აფხაზეთის ომის შესახებ პარაგრაფის დაწერა აშკარად დიდი გამოწვევა იყო:

1991-1992 წლების მიჯნაზე სამხედრო ძალის გამოყენებით (თენგიზ სიგუას, ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით) დაემხო კანონიერი ხელისუფლება. სამხედრო გადატრიალებამ სამოქალაქო ომისკენ უბიძგა მოსახლეობას. შეიქმნა შეიარაღებული, ყოვლად უკონტროლო დაჯგუფებები, რომლებიც დათარეშობდნენ საქართველოს ქალაქებში. ფაქტობრივად, სწორედ ისინი აკონტროლებდნენ სიტუაციას ქვეყანაში. [...] პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა სეპარატისტულ დაჯგუფებებს (კვიტაიშვილი და სხვები, 2008: 333).

ეს ამონარიდი ქართული სახელმძღვანელოდანაა. ტექსტი აღწერილობითი ხასიათისაა, ავტორის ხმა მაქსიმალურად ნეიტრალურად და ემოციისგან დაცლილად ჟღერს. თუმცა მესიჯი ძალიან მკაფიო და კონკრეტულია. თხრობის ეს სტილი ესადაგება შემფასებლის (*appraiser*) ტონს, როდესაც ისტორიოგრაფის ხმა/ავტორი წარსულის შეფასებაში უფრო სუბიექტურია და მისი დამოკიდებულება მარტივად იკითხება (Coffin, 2006)⁷.

ამ პასაჟებში ერთადერთი ისტორიული პიროვნებები კიტოვანი, იოსელიანი და სიგუა არიან. თენგიზ კიტოვანი ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელი და 1992-1993 წლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ხოლო საბჭოთა კავშირის პერიოდში მოქანდაკე იყო (Manning, 2009). ჯაბა იოსელიანი კანონიერი ქურდი და შეიარაღებული დაჯგუფება „მხედრიონის“ დამფუძნებელი და ლიდერი, ხოლო საბჭოთა კავშირის დროს დრამატურგი იყო (Manning, 2009). მან ეს ორგანიზაცია 1989 წელს ჩამოაყალიბა. მისი საქმიანობა 1995 წელს აიკრძალა, ხოლო მოგვიანებით „პატრიოტთა კავშირის“ სახელით პოლიტიკურ პარტიად რეგისტრაციაზე უარი ეთქვა. ამის მიუხედავად, 2003

⁷ 2019 წლის დეკემბერში სახელმძღვანელოს ავტორთან, დავით მაღაზონიასთან, ამ სახელმძღვანელოზე მუშაობის ტექნიკურ და აფხაზეთის ომთან დაკავშირებით შინაარსობრივ ასპექტებზე ვესაუბრე. მან ჩემი კრიტიკული ანალიზი კონსტრუქციულად მიიღო და მიუთითა, რომ მსგავსი სასწავლო რესურსების წერის გამოცდილება იმ პერიოდში არ არსებობდა და, სასიხარულოდ, ეს გამოცდილება დღითიდღე იზრდება, შედეგად, სტანდარტები და სახელმძღვანელოების შინაარსი იხვეწება. მან ამბავთთხრობა ისტორიის სწავლებას დაუპირისპირა და აღნიშნა, რომ რესურსებისა და წყაროების უფრო მეტი რაოდენობით გამოყენებაა აუცილებელი ისტორიული ანალიზისთვის. ასევე, რომ ადამიანებზე, მათ შორის სახელმძღვანელოს ავტორებზე, გავლენას ახდენს მისი ეპოქა და საზოგადოებრივი დაკვეთა თუ მოლოდინი. მან დასძინა: „ისტორიას უყვარს პერსონიფიკირება, მაგრამ ჩვენ არ უნდა გვიყვარდეს ისტორიაში პერსონიფიკირება“. და ბოლოს, ჩემს შეკითხვაზე თუ რას შეცვლიდა ის სახელმძღვანელოში დღეს რომ თავიდან დაეწერა, მან თქვა: „მე ვეცდებოდი არ ჰქონოდა მოსწავლეს იმის შთაბეჭდილება რომ აქეთ ოქროა და იქით კიდევ მტაცებელთა ხროვა“.

წელს ჯაბა იოსელიანი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. და ბოლოს, თენგიზ სიგუას 1990-1991 წლებში პირველი პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა. იქამდე კი ის მეტალურგი იყო. სამივე ზვიად გამსახურდიას ეწინააღმდეგებოდა. მათ პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ პუტჩი მოაწყვეს და ის ქვეყნიდან გააძევეს. ამ სამეულმა ჩამოაყალიბა სამხედრო საბჭო, რომელიც ქვეყანას ორი თვის განმავლობაში მართავდა, სანამ შევარდნაძე არ ჩამოიყვანეს (Gotfredsen, 2013).

„მხედრონისა“ და სამხედრო საბჭოს როლს აფხაზეთის ომსა და ცენტრალური ხელისუფლების სტაბილურობაში იმ პერიოდის პოლიტიკურ ელიტაში განსხვავებულად უყურებდნენ. ზოგიერთი მკვლევარი ამ დიქტომიას ურბანულ და პროვინციალურ ინტელიგენციას შორის დაპირისპირებას უკავშირებს, სადაც პირველი უმთავრესად სამხედრო საბჭოს, ხოლო მეორე გამსახურდიას მხარდამჭერებისგან შედგება (Manning, 2009). ნაწილისთვის მათ მკვეთრად უარყოფითი როლი ითამაშეს. არსებობს ალტერნატიული მოსაზრებაც. მაგალითად, ნაირა გელაშვილმა, სამოქალაქო აქტივისტმა და მწერალმა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „მამულს“, რომელსაც სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება გამოსცემდა, 1992 წლის იანვარში მისცა ვრცელი ინტერვიუ. ამ ინტერვიუში მან ეს სამეული შეადარა „სამ მუშკეტერს“, რომელთა საქციელიც შეაფასა როგორც „პირველ რიგში მამაკაცური ღირსების ამბოხი ყველაზე დედაკაცური ხელისუფლების წინააღმდეგ“ (გელაშვილი, 1992).

ამ სახელმძღვანელოს გამოცემის პერიოდისთვის, ეს სამხედრო პირები და პოლიტიკოსები ავტორიტეტულები აღარ იყვნენ. იოსელიანი ვარდების რევოლუციამდე რამდენიმე თვით ადრე, 2003 წლის მარტში გარდაიცვალა. კიტოვანი 1996 წელს უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების ბრალდებით დააკავეს, თუმცა მისჯილი 8 წლიანი პატიმრობა მას არ მოუხდია. მისი დაკავებიდან ნახევარ წელიწადში შევარდნაძემ ის შეიწყალა და კიტოვანი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. საქართველოში ის მხოლოდ 2012 წელს დაბრუნდა. სიგუა, იმ პერიოდისთვის 70 წელს მიტანებული, პოლიტიკას სრულად ჩამოშორებული პირი იყო ⁸. ძალაუფლებისა და გავლენის სრულმა დაკარგვამ ამ პირების საჯარო გაკიცხვისთვის ხელსაყრელი გარემო შექმნა. ჯეი ვინტერი (2010) აღნიშნავდა, რომ ომის ისტორიები ყოველთვის სადაოა, ხოლო დროის გასვლასთან და ომში გავლენიანი ადამიანებისთვის ასაკის მომატებასთან თუ გარდაცვალებასთან ერთად ეს ისტორიებიც იცვლება. 2004-2008 წელი საქართველოს უახლეს ისტორიაში ზოგიერთი ანტიგმირის დასახელებისა და გასამართლების კარგ პერიოდად გამოვლინდა.

2018 წლის გაზაფხულზე ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის #3 საჯარო სკოლაში (თბილისში) დავესწარი ლიტერატურულ საღამოს თემაზე „რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით“. იქ მისულს დარბაზში შესვლისას ჩემი ყურადღება იმთავითვე მიიპყრო სკოლის დირექტორმა, რომელიც ისტორიული ფიგურების (მეფეები, მწერლები, დიპლომატები, საჯარო მოღვაწეები) სურათებსა და მოკლე

⁸ 2020 წლის 21 იანვარს თენგიზ სიგუა გარდაიცვალა.

ბიოგრაფიებს კედელზე კიდებდა. ის ფოტოებს ორ კატეგორიაში „გმირები“ და „ანტიგმირები“ ანაწილებდა. იმის მიუხედავად, რომ თითქმის თითოეულ შემთხვევაში უშეცდომოდ შემეძლო გამომეცნო თუ რომელ სვეტში მოხვდებოდა ესა თუ ის პიროვნება, მაინც პროცესს ინტერესით ვადევნებდი თავლყურს და ვიმედოვნებდი „საკამათო“ ადამიანების „გამოჩენას“. ჩემი მოლოდინები არ გამართლდა, არჩევანი საკმაოდ „უსაფრთხო“ იყო. ეს სელექცია უმეტესად საყოველთაოდ აღიარებულ და მიღებულ ერთსულოვან პოზიციებს ეყრდნობოდა, რომლისთვისაც მარტივად განსასჯელია „კარგი“ და „ცუდი“, „სამაგალითო“ და „გასაკიცხი“. მაგალითად, რუსთაველი, თამარ მეფე, ილია, დავით აღმაშენებელი „გმირების“ კატეგორიის ქვეშ განთავსდნენ, ხოლო იესე ფალავანდიშვილი, ორჯონიკიძე - „ანტიგმირების“. კონცერტი ეძღვნებოდა აფხაზეთის თემას, თუმცა არცერთი ისტორიული პიროვნება, რომელსაც აფხაზეთთან ექნებოდა პიროვნული თუ პროფესიული კავშირი კედელზე არ ჩანდა.

მოგვიანებით, ეს სიტუაცია „რეპუტაციის მეწარმეების“ (*reputational entrepreneurs*) (Fine, 2001) თეორიის ჭრილში გავანალიზე. ამ თეორიის მიხედვით პერსონაჟები „პოზიტიურ“ და „რთულ“ კატეგორიებად იყოფიან. თავის მხრივ, „რთული“ პერსონაჟები სამ ქვეკატეგორიას აერთიანებენ: „უარყოფითი“, „რეფორმირებული“ და „სუბკულტურული“. თუ „პოზიტიური“ პერსონაჟების წარმოდგენა ძალიან მარტივია, „რთულ“ პერსონაჟებს უფრო მეტი დაკვირვება და დაფიქრება შეიძლება დასჭირდეს. „უარყოფითი“ ქვეკატეგორია ცალსახად „ცუდ“,

მეტ-ნაკლებად ერთსულოვნად აღიარებულ მიუღებელ პიროვნებებს მოიცავს. ამის მაგალითია ადოლფ ჰიტლერი. „სადავო“ (*contested*) პერსონაჟების შესახებ ნარატივი დროსთან ერთად გადაფასებას განიცდის. მაგალითად, 12 წლის წინ სკოლაში მასწავლიდნენ რომ ქრისტეფორე კოლუმბი დიდი მეზღვაური-მკვლევარი და აღმომჩენი იყო. დღეს უფრო და უფრო მეტი ალტერნატიული აზრი მესმის მის შესახებ. მაგალითად, ის რომ აბორიგენი მოსახლეობისთვის მისი ექსპედიციები დამღუპველი იყო და ამ პერსპექტივიდან, მის პროფესიონალიზმსა და სიდიადეს ეჭვქვეშ აყენებენ. პერსონაჟების მესამე ტიპი,- „სუბკულტურული“, პიროვნების მხარდამჭერებსა და მოწინააღმდეგეებებს შორის მკვეთრ ხაზს ავლებს. ადამიანთა ერთი ჯგუფისთვის სრულიად მისაღები პიროვნება, ადამიანთა მეორე ჯგუფისთვის აბსოლუტურად მიუღებელი პიროვნებაა (Fine, 2001). ამის მაგალითია, ზვიად გამსახურდია.

ქართულ კონტექსტში, კერძოდ, აფხაზეთის ომთან მიმართებით, ამ თეორიის გამოყენება საგულისხმოა. იოსელიანი-კიტოვანი-სიგუას სამეულის მისამართით რეტროსპექტულ ჭრილში უმეტესად საზოგადოების მხრიდან გაკიცხვა ისმის. დღეს მათ საქმიანობას ხშირად ცალსახად „ნეგატიურად“ აფასებენ. ამისგან განსხვავებით, იმ დროის ზოგიერთი სხვა სამხედრო პირისა თუ მაღალჩინოსნის საქმიანობა ცხარე დებატის საგანი შესაძლოა იყოს. მაგალითად, გია ყარყარაშვილი, - აფხაზეთში საქართველოს სამთავრობო ჯარის მეთაური და თავდაცვის ყოფილი მინისტრი (1993-1994). მან 1992 წლის 25 სექტემბერს სოხუმის ტელევიზიით რუსულად განაცხადა:

„მინდა დავარწმუნო ეს სეპარატისტები [აფხაზები], რომ თუ ჩვენი რიგებიდან 100 000 ქართველი დაიღუპება, თქვენიდან ყველა - 97 000“ (ყარყარაშვილი, 1993, წთ. 0.13-0.23). ეს ფრაზა აფხაზურ სახელმძღვანელოშიცაა (Куакуаскир, 2010) ნახსენები.

2019 წლის ივნისში დავესწარი ქორწილს, სადაც პატარძალი სოხუმიდან დევნილი იყო, ხოლო ნეფე - აღმოსავლეთ საქართველოდან. სტუმრებს შორის გია ყარყარაშვილიც იმყოფებოდა. თამადამ ტრადიციული პირველი რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ, როგორც საპატიო სტუმარი, ყარყარაშვილი გამოჰყო და შემდეგ პერსონალურად მისი სადღეგრძელო კიდეც სამჯერ დალია. დამსწრეები ფეხზე ადგომითა და მისი მისამართით საქები სიტყვებით გამოხატავდნენ პატივისცემას. ჩემს გვერდით იჯდა „ზვიადისტის“ შვილი, რომელმაც იცოდა, რომ სოხუმელი ვიყავი. მან მითხრა: „მამაჩემი აქ რომ ყოფილიყო, გაგიჟდებოდა. სამარცხვინოა, რომ თითქმის არავინ არ იცის რა მოხდა აფხაზეთში. აფხაზეთი ზუსტად ყარყარაშვილისა და მისწირების გამო დავკარგეთ“. ეს აზრი სხვა ადამიანებისგანაც, განსაკუთრებით უფროსი თაობის დევნილებისგან, მსმენია. თუმცა, ქორწილში მყოფთა უმრავლესობა, მათი საუბრიდან და ქმედებებიდან გამომდინარე (ერთ-ერთი დევნილი მამაკაცი მასთან მივიდა და ხელზე აკოცა მადლიერების ნიშნად), ცხადი იყო, რომ „ზვიადისტისა“ და მისი შვილის აზრებს არ იზიარებდა.

ზვიად გამსახურდია ამ კლასიფიკაციაში უფრო „სუბკულტურული“ პერსონაჟის კატეგორიაში ხვდება. მისი მოწონება-არ მოწონება დიდწილად მის ფიზიკურ თუ ვირტუალურ „ბანაკში“ ყოფნით, მისი იდეების გაზიარება-არ

გაზიარებით მკვეთრად განისაზღვრება. სამივე პერიოდის ქართულ სახელმძღვანელოებში აფხაზეთთან კონტექსტში მის შესახებ არაფერია ნახსენები. ერთადერთი წინადადება, სადაც ის ფიგურირებს, არის შემდეგი: „სეპარატისტულმა მოძრაობამ უფრო ფართო ხასიათი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობისა და საქართველოში დაწყებული სამოქალაქო ომის ვითარებაში შეიძინა“ (მემმარიაშვილი და სხვები, 2014: 213). არაფერია ნათქვამი ასევე მის მიტინგებზე გამოსვლებზე, სადაც ის თანამედროვე აფხაზი ერის ავტოქტონობას აფხაზეთში უარყოფდა (პ. ინგოროყვას „თეორიის“ შესაბამისად) და მათ ამ ტერიტორიაზე დასახლებას მე-17-მე-18 საუკუნეებს უკავშირებდა. ამაზე უფრო დაწვრილებით მესამე თავში ვისაუბრებ. აქ კი აღვნიშნავ, რომ ქართულ სახელმძღვანელოებში აფხაზეთის ომთან კონტექსტში მის ირგვლივ სიჩუმის ნარატივი თვალშისაცემი და აშკარაა, რაც თავისთავად, ბევრ კითხვას აჩენს. ეს სიჩუმე მრავლისმეტყველი და გასაკვირი ორივე „სუბკულტურული“ ჯგუფისთვის შეიძლება იყოს. იმათთვისაც, ვისთვისაც გამსახურდიას ნაციონალიზმი, თუნდაც „ავტორიტარული პოპულიზმი“, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ ანტიკომუნისტურ განწყობებს აჟღერებდა და პატარა ქვეყნისთვის უსაფრთხოების გარანტიების მოპოვებას ცდილობდა (Jones, 2006). ასევე, იმათთვისაც, ვისთვისაც ის ძალაუფლების მოყვარული ულტრანაციონალისტი და უნიათო პოლიტიკოსია .

გამსახურდიას პერსონაჟის გარშემო ბურუსის საწინააღმდეგოდ, „დამნაშავეების ტრიოს“ (იოსელიანი, კიტოვანი, სიგუა) შესახებ აზრი, როგორც ჩანს, უფრო „ნათელია“. მათი ხსენებით სახელმძღვანელომ ისინი „ნეგატიური“ რეპუტაციის კატეგორიაში მოათავსა. ზემოთ ნახსენები სახელმძღვანელოს ნაწყვეტი რომ შევაჯამო, დაახლოებით, ასეთი ნარატივი იკვეთება: კონკრეტული პირ(ებ)ის ინდივიდუალური, ანტისახელმწიფოებრივი გადაყვეტილების გამო, სახელმწიფო უწყებებთან თუ ოფიციალურ პირებთან ყოველგვარი კონსულტაციისა თუ თანხმობის მიღების გარეშე, აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო. შესაბამისად, მომხადარისთვის ბრალეულობა მხოლოდ ამ სამ ადამიანს აკისრია.

ჯანსალი აზრიცა და აკადემიური ლიტერატურაც აღნიშნავენ, რომ ერთი ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი, რა რაოდენობითაც არ უნდა ფლობდნენ ის(ინი) ძალაუფლებას, მაინც ვერ იქნება მთლიანი ერის წარმომადგენელი და მისი ერთიანი აზრის გამჟღერებელი. ეს კიდევ უფრო რელევანტურია მაშინ, როცა მათი რეპრეზენტაციის მანდატი დემოკრატიული არჩევნების გზით არ არის მიღებული, რაც მოხდა საქართველოს შემთხვევაში. როჯერ პეტერსენი (2001) მიუთითებდა, რომ კონფლიქტურ სიტუაციებში ლიდერები ხშირად პიროვნული ამბიციების, მოტივაციისა და ღირსების შესაბამისად მოქმედებენ, რაც მთლიანი ქვეყნისა თუ ადამიანთა ჯგუფის აზრს სწორად და ზუსტად სრულებითაც არ ასახავს. გარდა ამისა, 90-იანებში საქართველოში „არ იყო მკაფიო, ლეგიტიმური ხელისუფლება და სხვადასხვა, ერთმანეთში მოქიშპე მილიტარისტული ძალა უფრო მაღალ სამოქალაქო

თუ სამხედრო იერარქიას არ ემორჩილებოდა“ (Cheterian, 2012: 1643). სხვა სიტყვებით, სრული სტრუქტურული კრაზი და ქაოსი სუფევდა.

მხოლოდ სამი ადამიანის დასახელებით სახელმძღვანელოები მთელ პასუხისმგებლობას მათ აკისრებენ. ერთი მხრივ, სახელმძღვანელოს თუნდაც 400-500 გვერდზე შეუძლებელია ისტორიული ყველა საჯარო ფიგურისა თუ მოვლენის ხსენება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნარატივში ჩანს განზრახ არჩეული გარკვეული სტრატეგია და მოლოდინი იმისა, რომ საკითხთან მიმართებით, საზოგადოებრივი აზრის მზაობა არსებობს, მასში მაინც იკვეთება ამ პიროვნებების „სასამართლო“. რამდენიმე სამხედრო თუ პოლიტიკური პირის უკანონო ქმედების აქცენტიზირებით კონფლიქტთან და ომთან დაკავშირებული გენეზის, მიზეზების, ქრონოლოგიის, მისი პრელუდიისა თუ მიმდინარეობის შესახებ სიჩუმე მისი განზრახ ინსტრუმენტალიზაციის განცდას კიდევ უფრო მეტად ტოვებს. იმდროინდელი ხელისუფლების სამწუხარო უუნარობისა და სისუსტის ხაზგასმით ნარატივი მისი გამართლების მიზეზებს ეძებს. ის არ განაწყობს მკითხველს, რომ გაანალიზოს იმ პერიოდის ნაციონალიზმის აღმასვლა საქართველოში, „ხელოვანი ადამიანების“ მიერ სამხედრო ძალაუფლების ხელში ჩაგდება და მისი შედეგები, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კონტექსტში.

1.3 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი წლები (2009-2019): მსხვერპლის სიჩუმე

ქართულ სახელმძღვანელოებში მესამე პერიოდს მსხვერპლის სიჩუმეს ვუწოდებ. ის მტრის (რუსეთის ფედერაციის) არტიკულირებული სახე-ხატის კონსტრუირების გზით ვიქტიმიზაციის ნარატივს ქმნის და პერმანენტულად მსხვერპლის უდანაშაულობას „ამტკიცებს“. ქართველების ტკივილსა და დანაკარგზე ვოკალურობა, აფხაზების სირთულეებისა და მოთხოვნების მიმართ სრულიად გულგრილია და მათი ხსენება ინტენსიურად გამოყენებადი, მკვეთრად უარყოფითი პოლიტიკური ტერმინებით ხასიათდება (მაგ., „სეპარატისტი“⁹). ასევე, აფხაზები კონფლიქტის მხარეებად არ განიხილებიან, ისინი რუსეთის ხელში საქართველოს წინააღმდეგ მანიპულირებად იარაღადარიან აღქმულნი. ამას კონფლიქტის ნარატივში ასიმეტრიას ვუწოდებ და მასზე დაწვრილებით მესამე თავში ვისაუბრებ.

⁹ კვლევის ფარგლებში ინტერვიუ ჩავატარე ამ პერიოდის სახელმძღვანელოს ავტორთან ოთარ ჯანელიძესთან. ისტორიის მასწავლებლებისთვის კონფლიქტ-სენსიტიური დამატებითი სახელმძღვანელოს თანაავტორია. ამ რესურსის გამოქვეყნება 2021 წლის დასაწყისში იგეგმება. ზოგადად ავტორი მიესალმება კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, მაგრამ მისი აზრით ამან არ უნდა მიიღოს თვითგვემისა და ყველაფერში მეორე მხარის გამართლების ხასიათი. კონკრეტულად ამ თავზე და მუშაობაზე კი მან მითხრა: „სიახლე იყო კონფლიქტის გაშუქება. ეს ცოცხალი ძარღვია, რომელიც ფეთქავს, პოლიტიკის ნაწილიცაა, ამიტომ ცოტა სიფრთხილე არის საჭირო, რომ არ მოგივიდეს გადახრა არც იქით არც აქეთ. ტერმინი „სეპარატისტი“ ცნობილია და ამას ვერ დაიწუნებ იმის გამო, რომ ვიღაცამ ჩათვალოს რატომ მაკადრე, ვთქვათ კონფლიქტის მეორე მხარემ. სეპარატიზმი პროცესია გამოთიშვის, გამოყოფის და იმათი [აფხაზების] ე.წ. ნაციონალური პროექტი იყო საქართველოსგან გამოყოფა, მაგრამ მერე ახსნილია რამდენად ჰქონდა საფუძველი ამ სეპარატიზმს“. ავტორი აჯამებს, რომ ამ აფხაზთა სეპარატიზმს ისტორიული, სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა, შესაბამისად ის არ იყო ლეგიტიმური.

სამხრეთ ოსეთის თაობაზე 2008 წლის რუსულ-ქართული ომის შემდეგ სლოგანი, განსაკუთრებით ინგლისურ ენაზე, „მე ვარ საქართველოდან და ჩემი ქვეყნის 20% რუსეთის მიერ არის ოკუპირებული“ (*I am from Georgia, and 20% of my country is occupied by Russia*) პოპულარული და ფართოდ გამოყენებადი გახდა. დღესაც, მედია სივრცეში, მათ შორის სოციალურ ქსელებში, არაფორმალურ და პირად საუბრებში, ოფიციალურ პრეზენტაციებსა და განცხადებებში, სუვენირებსა და აქსესუარებზე ის ფართოდ გამოიყენება.

თანამედროვე ისტორიის სახელმძღვანელოები (2014 და 2015) აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავენ. მას დაახლოებით ორი გვერდი ეთმობა. „ლიხნის წერილის“¹⁰, აიდგილარას¹¹ მოძრაობის, კავკასიის ხალხთა პირველ ყრილობასა და სხვა მოვლენებზე საუბარი ძირითადად ომის მიზეზების წარმოშობისთვის აფხაზური მხარის უპირობო დადანაშაულებისთვის გამოიყენება. მაგალითად:

1989 წლის აგვისტოში, საქართველოს ხელისუფლების დაუკითხავად, სოხუმში კავკასიის ხალხთა I ყრილობა გაიმართა. [...] 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთის ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, საქართველოს სამხედრო ნაწილები აფხაზეთის

¹⁰ 1989 წლის 18 მარტს, სოფელ ლიხნში შეკრებილი 30 000-მდე ძირითადად აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლების მიერ კრემლისთვის მიმართვის წერილი. მის შესახებ უფრო დაწვრილებით მე-2 და მე-3 თავებში ვისაუბრებ.

¹¹ აიდგილარა აფხაზურიდან „ერთობას“ ნიშნავს. ის იყო ეთნო-ნაციონალისტური და სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც აფხაზეთში 1988 წელს დაფუძნდა.

ადმინისტრაციულ საზღვრებში შევიდნენ. აფხაზურმა მხარემ შეთანხმება დაარღვია და ცეცხლი გაუხსნა ქართულ შენაერთებს (მემძარიაშვილი და სხვები, 2014: 212-213)¹².

1989 წლის ივლისში აფხაზმა ექსტრემისტებმა სოხუმში ქართველთა და აფხაზთა პროვოკაციული შეტაკება მოაწყვეს. მომდევნო წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ ქვორუმის გარეშე მიიღო „დეკლარაცია აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ“ (ჯანელიძე და სხვები, 2015: 365).

ერთ-ერთ სახელმძღვანელოში არსებულ ფოტოზე სვანეთში, ჭუბერის უღელტეხილზე დევნილების გადმოსვლაა აღბეჭდილი. ის იძულებით გადაადგილებული პირების ტკივილის ვიზუალიზაციას ახდენს. მართალია, სიტყვა „სეპარატისტი“ უფრო ადრინდელ სახელმძღვანელოებშიც ფიგურირებდა, თუმცა 2008 წლის ომის შემდგომ სახელმძღვანელოებში მან თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის კრილში უფრო გაძლიერებული მნიშვნელობა შეიძინა. 2008 წლის ომის შემდეგ სახელმძღვანელოებში რუსეთი უკვე დეკლარირებულად მტერი, ოკუპანტი, პროვოკატორი და „სეპარატისტების“ მხარდამჭერი გახდა. ერთ-ერთი დავალების კითხვაც ამ ნარატივიდან გამომდინარეობს: „იმჯგელე, შეიძლება თუ არა კონფლიქტს

¹² 2018 წლის მაისში ამ სახელმძღვანელოს ავტორს, თეიმურაზ პაპასჭირს, ვესაუბრე. მან სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესი გამიზიარა. მას მიაჩნია, რომ აფხაზეთის შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა იყოს სკოლის სახელმძღვანელოებში და ცოდნა დადებითი შედეგის მომტანი იქნება, რადგან “ბევრი პრობლემა აფხაზეთში იმან გამოიწვია, რომ მოლაპარაკებების დროს ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ნაკლებად იყო ჩართული. მოლაპარაკება თბილისელებსა და ძირითადად გუდაუთელ ან ოჩამჩირელ აფხაზებს შორის მიდიოდა და ადგილობრივი სპეციფიკის არ ცოდნა პროცესზე უარყოფითად აისახა“. კონკრეტულად აფხაზეთის ომთან კონტექსტში მან აღნიშნა, რომ მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ „არც ქართველი იყო მთლად მამა აბრამის ბატკანი, მაგრამ ქართველს აფხაზთან ბოდიში მოსახდელი პრაქტიკულად არ აქვს“.

აფხაზეთში ვუწოდოთ „რუსეთის გამოუცხადებელი ომი“ (მემმარიაშვილი და სხვები, 2014: 214).

პოლიტიკური კონფლიქტი ომში გადაიზარდა, რომელშიც რუსეთმა აშკარად დაუჭირა მხარი სეპარატისტებს. რუსეთის დახმარებამ გადაწყვეტი გავლენა იქონია ომის შედეგზე. 1993 წლის სექტემბერში ქართულმა სახელმწიფომ აფხაზეთზე იურისდიქცია დაკარგა. [...] [აფხაზეთმა] აირჩიეს პარლამენტი და პრეზიდენტი. მიუხედავად ამისა, აფხაზეთი მოსკოვის კონტროლს ექვემდებარება (მემმარიაშვილი და სხვები, 2014: 213).

1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს სამხედრო ნაწილები აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში შევიდნენ. აფხაზური გვარდიის ნაწილებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს, რასაც საპასუხო სროლა მოჰყვა. დაიწყო პროვოცირებული ომი, რომელიც ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. აფხაზებს დიდი დახმარება გაუწია რუსეთის ხელისუფლებამ. [...] 1999 წლის ოქტომბერში აირჩიეს აფხაზეთის პარლამენტი და პრეზიდენტი. სახელმწიფოებრიობის თვითღიარების მიუხედავად, რეგიონს არსებითად მოსკოვი აკონტროლებდა (ჯანელიძე და სხვები, 2015: 365-366).

სახელმძღვანელოების კლასიფიკაციის მესამე პერიოდში რუსეთი, როგორც აგრესორი და პროვოკატორი, და საქართველო, როგორც მსხვერპლი, არაორაზროვნადაა არტიკულირებული. ვიქტიმიზაცია ინდივიდუალური ან ჯგუფური ფენომენია, რომელიც ბევრი დისციპლინისთვისაა საინტერესო. პირველ რიგში ფსიქოლოგიისთვის (Bar-Tal et al., 2009; Vollhardt, 2012; Staub, 1998) და მერე უკვე სხვადასხვა კონტექსტში ისტორიისთვის, სოციოლოგიისთვის, პოლიტიკური მეცნიერებებისთვის, სამართლისთვის და სხვა. ვიქტიმიზაციის გაგება მრავალი

მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი, მაგალითად მორალური, ეთიკური, ჰუმანური და კონფლიქტების პრევენციისთვის. ის ერი-მშენებლობისთვისა და სოციალური კონსტრუქციისთვის ძლიერი ინსტრუმენტია (Bar-Tal et al., 2009).

როგორც მოსალოდნელია, კონფლიქტებში მსხვერპლისა და აგრესორის ობიექტური ან შეთანხმებული როლები არ არსებობს. კონფლიქტში საკუთარი (*inner self*) და გარე აღქმა (*outer image*) ხშირად ანტაგონისტურია (Cehajic and Brown, 2010; Thomsen et al., 2010; Vollhardt, 2012). ხოლო ვიქტიმიზაციის ნარატივის გადაცემის ერთ-ერთი არხი ფორმალური განათლება, განსაკუთრებით, ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის ისტორიის სახელმძღვანელოებია (Bar-Tal and Salomon, 2006; Bukh, 2007; Porat, 2004). ახალ თაობას ტრავმული მოვლენების შესახებ ძალიან მცირე ან ნულოვანი ინდივიდუალური მეხსიერება აქვთ. შესაბამისად, მათთვის მეხსიერების შექმნისთვისა და ეროვნული ტრავმის ნარატივისა და მიკუთვნებულობის გრძნობის გაჩენისთვის ხელსაყრელი გარემოა საჭირო. განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებლების უმრავლესობისთვის აფხაზეთის ომი არ არის ყოველდღიურობა, არ არის „ცოცხალი ამბავი“. ის კონკრეტულ ვითარებაში ამოტივტივდება როგორც სამსჯელო თუ საკამათო საკითხი, მაგრამ ის არ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემა თუ კონტექსტი ყოველდღიურობაში (ბუნებრივია, არიან გამონაკლისები, განსაკუთრებით დევნილები ან სხვა ინდივიდები, რომელთაც აფხაზეთის ომი პირადად შეეხოთ, მაგრამ ეს არ არის მასშტაბური). ვიქტიმიზაციის ნარატივების კულტივაციის პროცესი

საზოგადოებისთვის განსაზღვრული წესით ინფორმაციის გადამუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს ქმნის (Bar-Tal et al., 2009):

ისტორიის ცოდნა ტექნიკური უნარი არ არის, ის უფრო მორალური შენაძენია, რომელიც აუცილებელია საჯარო სივრცეში ინტეგრაციისა და არსებობისთვის. ადამიანს შეუძლია, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში ისტორიის ცოდნის გარეშე იარსებოს, თუმცა მიკუთვნებულობის გრძნობის გაჩენისთვის, სახელმწიფოში საკუთარი თავის სრულფასოვან და სრულუფლებიან, კომფორტულ წევრად გრძნობისთვის მას ეს ცოდნა სჭირდება (Fine, 2001: 5).

რუსეთის ფედერაციამ მტრის სტატუსი 1801 წელს საქართველოს ანექსიის გამო შეიძინა (მის როლზე დაწვრილებით მეოთხე თავში ვისაუბრებ). მტრის ხატისგან გამომდინარეობს მისი მრავალნაირი ეპითეტიც: მესამე ძალა, დესტრუქციული ძალა, გარე ძალა, აგრესორი, პროვოკატორი და სხვა. მახსოვს ჩემი ისტორიის მასწავლებლის სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა კონტექსტში მერეც ხშირად გამიგონია, რომ საქართველოს ისტორიის მანძილზე არაერთ დესპოტ და დაუნდობელ დამპყრობელთან/იმპერიასთან უწევდა შერკინება, მათ შორის სპარსელებთან, არაბებთან, თურქ-სელჯუკებთან, მონღოლებთან. მათი უმრავლესობა ისლამის მიმდევარი იყო, მაგრამ მათაც არ გაუკეთებიათ ის, რაც ერთმორწმუნე რუსეთმა ქნა: საქართველოს სახელმწიფოებრიობა ვერაგულად მოსპო. იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური ელიტის დუალიზმისა და მისი ნაწილის რუსეთის იმპერატორის ნებაყოფლობითი და კოლაბორაციონისტული ქვეშევრდომობის მიუხედავად (Batiashvili, 2018; Suny, 1998), თანამედროვე დომინანტური ნარატივი რუსეთის როლსა

და ქმედებებს კავკასიაში ცალსახად გმობს და ტერიტორიული კონფლიქტების მიზეზად მხოლოდ მას განიხილავს:

ძვირად დაგვიჯდა დამოუკიდებლობის მოპოვება. [...] სისხლს მოწყურებულმა მტერმა [...] ჯერ ოსეთი მოგვეგლიჯა დედა სამშობლოს, შემდეგ ქართველ და აფხაზ ხალხს შორის გაჩენილი ბზარი აქცია გადაულახავ უფსკრულად. [...] ვერ შევძელით აფხაზი ხალხის გამოფხიზლება. ვერ შევძელით დაგვენახებიან ის სასიკვდილო განაჩენი რასაც დიდი რუსი ხალხი უბრძანებდა საქართველოს... 1993 წლის 27 სექტემბერს კიდევ ერთხელ იზეიმა ბოროტებამ საქართველოს მიწაზე. დაეცა სოხუმი. ფაქტობრივად დაკარგეთ აფხაზეთი. ამ უთანასწორო, ძმათაშორის, სისხლის მღვრელ ომში დაიღუპა 5000-ზე მეტი ქართველი (ამონარიდი ღონისძიებიდან „რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით“, 2018).

1.4 ტრავმული ნარატივის ავტორი და ადრესატი

ამ ქვეთავში ვიმსჯელებ სხვადასხვა სოციალურ აგენტსა და მათ როლზე აფხაზეთის ომის შესახებ კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში. მთავარი ნარატივი საბოლოოდ ერთხმიანია, მაგრამ ის რამდენიმე ხმის შეერთების ხარჯზე იქმნება. ნარატივის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ლიტერატურაში ძირითადი აქცენტი კეთდება პოლიტიკურ დისკურსზე და მის შესაქმნელად სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების გამოყენებაზე. ამის ფონზე, ნაკლები ყურადღება ეთმობა სხვადასხვა, არანაკლებ გავლენიანი აქტორების „ფართო შესაძლებლობებს“, როგორცაა სამოქალაქო საზოგადოება, მედია, აკადემია, პოლიტიკური ელიტა და სხვა. ამ თავის

დასაწყისში უკვე განვმარტე, რომ ნარატივის მრავალპროფილური ავტორები საჯარო აზრის ფორმაციას უწყობენ ხელს. ამ ქვეთავში ამ პროცესისა და შედეგის (მყარად ჩამოყალიბებული საჯარო აზრი) საკვანძო ფუნქციასა და მნიშვნელობაზე ვისაუბრებ.

2019 წლის 20 ივნისს თბილისში პარლამენტის შენობის წინ რამდენიმე ათასი საქართველოს მოქალაქე შეიკრიბა. დემონსტრანტების გამოჩენამდე რამდენიმე საათით ადრე რუსეთის ფედერაციის პარლამენტისა და კომუნისტური პარტიის წევრმა, სერგეი გავრილოვმა, საქართველოს პარლამენტის სპიკერის სავარძლიდან მართლმადიდებლობის საპარლამენტაშორისო ასამბლეის 26-ე გენერალური სესია გახსნა. ამ ფაქტმა ოპოზიციის და შემდეგომ ხელისუფლების ზოგიერთი წევრის აღშფოთება გამოიწვია. თუმცა, უკმაყოფილების ყველაზე დიდი ტალღა საზოგადოების მხრიდან წამოვიდა. აშკარა იყო, რომ ამ ინციდენტს საზოგადოებრივი აზრი საქართველოში მკაცრად აკრიტიკებდა, ხოლო ამ ფაქტის დაშვებისთვის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომას ითხოვდა. საბოლოო ჯამში, ხელისუფლებამ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამ კონტექსტში რთულია გადაჭრით თქმა, რომ ეს მხოლოდ მომიტინგეების დაჟინებული წნეხის გამო მოხდა. შესაძლოა, რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა ამ გადაწყვეტილების მიღება. თუმცა, შედეგი ჯიუტია: დემონსტრანტების მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

საჯარო აზრმა ამ მოვლენაში სიმბოლოების წყობა დაინახა. კერძოდ, სერგეი გავრილოვი - რუსეთის ფედერაციის, „ოკუპანტის“, ოფიციალური წარმომადგენელი; სერგეი გავრილოვი - კომუნისტი, შესაბამისად საქართველოსთვის ტრავმულ საბჭოთა

წარსულთან ასოცირებული პირი; სერგეი გავრილოვი - ადამიანი, რომელმაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისთვის მხარდაჭერა ინტერვიუში ღიად და მკაფიოდ გააჟღერა; შესაბამისად, დემონსტრანტებისთვის გავრილოვის სახე-ხატი, ოკუპაციის სიმბოლო, საქართველოს პარლამენტის სპიკერის სავარძელში, საქართველოს სუვერენიტეტის სიმბოლო, ღალატისა და შეუწყნარებელი დანაშაულის მანიფესტაცია იყო.

კონფლიქტებთან დაკავშირებული დისკურსის ავტორებზე საუბრისას აღსანიშნავია მშვიდობის მშენებლობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი ექსპერტებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების როლი (Cherkezia, 2018; Garb, 2012). ინტერაქცია ოს და აფხაზ კოლეგებთან ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ხელშეწყობილი დიალოგის პლატფორმების საშუალებით ხდება. ისინი სხვადასხვა ფორმატში იმართება. მაგალითად, ახალგაზრდებს, აკადემიისა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის და სხვა. ეს შეხვედრები არის ძალიან კონკრეტულ სეგმენტზე გათვლილი, ლიმიტირებული და მწირი. უმეტესად ოსი და აფხაზი მონაწილეების უსაფრთხოების გამო ინფორმაცია ამ პროექტების შესახებ კონფიდენციალურია და მედია საშუალებებით არ ხდება მისი გაშუქება. თუმცა, ერთობლივი პულიკაციები და საერთაშორისო ორგანიზაციების (International Alert, Conciliation Resources, Berghof Foundation და ა.შ.) ანგარიშები ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის. ამ ინიციატივებს აქვთ კრიტიკული მნიშვნელობა კონფლიქტის ტრანსფორმაციის

სფეროში. თუმცა დღესდღეობით ამ სექტორში მიღწეული შედეგებისა და მიღწევების ასახვა ქართულ დომინანტურ ნარატივში არ ხდება.

საქართველოს მიერ დე-ფაქტოდ კოტროლდაკარგული ტერიტორიების შესახებ მეხსიერების კონსტრუირების ძალიან ძლიერი და გავლენიანი აგენტი საჯარო დისკურსია. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ კონცეფციის ქვეშ „ქართველობის“ ძირეული ღირებულებების პარადიგმას ვგულისხმობ. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ ქართული სახელმძღვანელოები პოლიტიკური ინსტრუმენტი არ არის და სახელმწიფოს, რეალურად, კოლექტიური მეხსიერების მანიპულაციის შეზღუდული შესაძლებლობები აქვს. სხვა სიტყვებით, საკითხი იმდენად სენსიტიურია, რომ ხელისუფლებამ საჯარო აზრის განწყობა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები, თუნდაც პიროვნული აზრისა და გამოცდილების გამო, გამოხატავენ „მზადყოფნას“ დისკურსის მცირე ასპექტის შესაცვლელად, ეს მათ პოლიტიკური კარიერის დასრულებად ან სხვა სირთულეებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. მაგალითად პაატა ზაქარეიშვილსა და სალომე ზურაბიშვილს მოვიყვან. ზაქარეიშვილი იყო 2012-2016 წლებში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, რომელსაც მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაციებში მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება ჰქონდა. სავარაუდოდ, ამ გამოცდილებამ, მას ბევრ საკითხში საჯარო აზრისგან განსხვავებული თვალთახედვა ჩამოუყალიბა. ის ამ

მოსაზრებებს მინისტრის მანდატის მოპოვების შემდეგაც აჟღერებდა, მაგალითად ის აფხაზეთის ომში საკუთარ შეცდომებზე მეტ დაფიქრებასა და თვითშეფასების აუცილებლობაზე საუბრობდა. მისი განცხადებები ხშირად საზოგადოებრივი აზრის დიდ კრიტიკას იმსახურებდა. ასევე სავარაუდოა, რომ მას თანამდებობის დატოვება სწორედ ამ განცხადებების გამო მოუწია. ის ისევ დაუბრუნდა სამოქალაქო სექტორს, სადაც დღემდე მოღვაწეობს. მეორე მაგალითი საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილია. 2018 წელს საპრეზიდენტო კამპანიის ფარგლებში მან აღნიშნა რომ 2008 წლის ომი საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, დაიწყო. ამ განცხადებას, უმეტესად სოციალური ქსელების საშუალებით, უკმაყოფილების დიდი ტალღა მოჰყვა და, სავარაუდოა, რომ ამ ფაქტმაც დიდი როლი ითამაშა საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტურის გამართვაში.

ეს მაგალითები იმის ილუსტრაციაა, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების თემა ძალიან მტკივნეულია და საკმაოდ მარტივია ამ ტკივილის გამწვავება, რისი პატიებაც საზოგადოებას თითქმის არასდროს გამოსდის. ამ ტკივილზე ტკივილის დამატება ხელისუფლების მიმართ უნდობლობას ამწვავებს, რამაც პროტესტის დიდი ტალღა შეიძლება გამოიწვიოს. ტოტალური სიჩუმიდან სელექციურ საუბრამდე პროცესი, რომელიც ისტორიის სახელმძღვანელოებშიცაა ასახული, იმის ნათელი დემონსტრირებაა, რომ კონკრეტულად ამ საკითხში საჯარო აზრის გავლენა პოლიტიკურ დისკურსზე საკმაოდ მნიშვნელოვანია. ისტორიულ ინფორმაციაზე უფრო მეტად, სახელმძღვანელოები იმ დროის მთავარ (*master*)

სახალხო-ეროვნულ ნარატივს აჟღერებენ. „სახელმძღვანელოები სოციალურად დომინანტურ ... კოდებსა და ინტერპრეტაციებს ირჩევენ და წარადგენენ“ (Lässig, 2009: 3). ფუქსი იგივე აზრს განსხვავებული ფორმულირებით აყალიბებს: „იმას, თუ ერს წარსული როგორ უნდა ახსოვდეს ისტორიის პროფესია ექსკლუზიურად აღარ განსაზღვრავს, არამედ საზოგადოება, რომელიც ციფრულ მედიას იყენებს და მისი საშუალებით სპეციალიზირებული აკადემიური დისკურსის კონტექსტის მიღმა საკამათო ისტორიულ მოვლენებს აჟღერებს“ (Fuchs, 2011: 19).

ქართული საზოგადოება, როგორც ჩანს, „ნარატივის დეპოლიტიზაციას ... ეროვნული იდენტობისთვის საგანგაშო საფრთხედ“ (Kakitelashvili, 2009: 27) აღიქვამს, რაც ტერიტორიების დაკარგვისა და მივიწყების სერიოზული საფუძველი შეიძლება გახდეს. მთავარი შიში გამოიხატება აფხაზეთის, როგორც პრობლემის დავიწყებაში. ეს დავიწყება უფრო მწვავე სამიზნეა საჯარო რიტორიკის ვიდრე თავად პრობლემა, ტერიტორიები ან უშუალოდ აფხაზეთზე მიმართული პოლიტიკა. უფრო ზოგადად, ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების თვალსაზრისით ქვეყნის უსაფრთხოების ყველაზე მთავარი საფრთხე რუსეთის ფედერაციის მხრიდანაა (Darchiashvili, 1997). ბოლოდროინდელი კვლევებიც ამის დასტურია.

2018 წელს საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად მომავლის შესახებ ყველაზე დიდი შიში ომის საშიშროებასა (პირველი ადგილი) და პერმანენტულად ტერიტორიების დაკარგვას (მეორე ადგილი) უკავშირდება. იგივე კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 85% რუსეთს ყველაზე დიდი პოლიტიკურ

საფრთხედ მიიჩნევს, ხოლო უდიდესი უმრავლესობა თვლის, რომ რუსეთის აგრესია დღესაც გრძელდება (International Republican Institute, 2018). ეს პასუხები აჩვენებს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ საკითხები კვლავ მაღალი დოზით ემოციური და პოლიტიკურია. შესაბამისად, სხვადასხვა სოციალური აქტორები მეხსიერების ჩამოყალიბება-გავრცელება-შენარჩუნებაში საკვანძო როლს ასრულებენ.

თავის შეჯამება

თანამედროვე ქართულ ისტორიის სახელმძღვანელოებში ტრავმული, პერსონიზირებული თუ მსხვერპლის სიჩუმე ცალმხრივი და მტკივნეული ამბავთხრობის მაგალითია. აფხაზეთის ომის შესახებ ტრავმული ნარატივები დღესაც ღია იარაღი და 90-იან წლებში შეიარაღებული კონფლიქტების პანდორას ყუთის გასახსნელად მზაობა თითქმის არ არსებობს. სიჩუმის ენა, ამ შემთხვევაში, უფრო კომფორტული და „უსაფრთხოა“. ის ერის კონსოლიდაციას უწყობს ხელს და საზოგადოებრივ მოთხოვნას სრულად პასუხობს. აფხაზეთის შესახებ სიმბოლოებით აღსავსე ნარატივის (აფხაზეთში ცხოვრებისა და ომის) განმსაზღვრელი სიჩუმეა. იქნება ეს ხელოვნების ნიმუში, როგორიცაა „სიმინდის კუნძული“, თუ დემონსტრანტების პირდაპირი მიმართვა ხელისუფლებისადმი, სიმბოლოები საკრალური მიწის ტკივილთან დაკავშირებული ისტორიის მოყოლას ლამობენ. სიჩუმის პირობებში ინდივიდები „გრძნობენ“ და „იციან“ „ჭეშმარიტება“, მაგრამ არ

აანალიზებენ და არ განიხილავენ მას. სიჩუმის ნარატივში კი ამ სიმბოლოების ყველაზე სათუთი დამცველი და ღობი საჯარო დისკურსია.

თავი II აფხაზური ნაციონალიზმი: კაენისა და აბელის დიქტომია

შესავალი

პირველ თავში მიმოვიხილე თანამედროვე ქართულ პოლიტიკური და საჯარო დისკურსი აფხაზეთის ომის შესახებ მეხსიერების კონტექსტში. მეორე თავში ვკონცენტრირდები თანამედროვე აფხაზურ კოლექტიურ მეხსიერებაზე. ამისთვის მიმოვიხილავ აფხაზური ნაციონალიზმის ისტორიულ საფუძვლებს, მისი წარმოშობის მიზეზებსა და განვითარების გზას. კაენისა და აბელის ბიბლიური ამბავი მორალის თვალსაზრისით ორგანოზომილებიანია: „მოღალატე ძმის“ სახე და აბსოლუტური სიკეთისა და ბოროტების საწყისების ჭიდილი, სადაც კანონზომიერად სიკეთე იმარჯვებს. აფხაზური ნაციონალიზმი მეორე განზომილებას იღებს ჩარჩოდ და დისკურსს აბსოლუტური სიკეთისა (ეთნო-ეროვნული ინტერესი) და აბსოლუტური ბოროტების (მტერი) დაპირსპირებაზე აგებს. აფხაზური ნარატივის თანახმად, აფხაზეთი, აბელის მსგავსად, არის უწყინარი, პატიოსანი, მშვიდობისმოყვარე. ამის საპირისპიროდ, საქართველო, კაენის დარად, იმპერიალისტი და მზავრელი.

მეოცე საუკუნეში აფხაზური ნაციონალიზმი ორი მიმართულებით ვითარდებოდა: ეთნო-ეროვნული პროექტი და საბჭოთა ნაციონალური იდეა. აფხაზური ეთნო-ეროვნული ხედვის საკვანძო მომენტებს სახალხო თავყრილობების

მაგალითზე გავშლი. ვისაუბრებ საბჭოთა ნაციონალიზმის პოლიტიკის ზეგავლენაზე აფხაზეთში მისი დასაბამიდან დღემდე. აფხაზური ნარატივი განიხილავს მას როგორც საკუთარი ერი-სახელმწიფოს მშენებლობის ნანატრ შესაძლებლობას.

ამ თავში ვისაუბრებ მიწის (*land*), როგორც ძირძველობისა და თვითმყოფადი აფხაზური მსოფლმხედველობის ქვაკუთხედის მნიშვნელობაზე აფხაზური ნაციონალიზმის ნარატივში. აფხაზური ნაციონალიზმი უხვად იყენებს ეთნოელემენტებს, ტრადიციებს, რიტუალურ ცერემონიებს, რითაც ის ხდება საერო და სასულიერო, მიწიერი და ზეზუნებრივი, პრაქტიკული და იდეალისტური პოლიტიკის პერფორმანსი.

2.1 აგორა-ფოლკლორი და საბჭოთა ნაციონალური იდეა: 1810-1917 წლები

1989 წლის 18 მარტს მოხდა მოვლენა, რომელიც უკვე შევიდა ისტორიის მატრიანეში. ამ ღირსახსოვარ დღეს ლიხნაშთას ისტორიულ ველზე შეიკრიბა 30 ათასზე მეტი ადამიანი, რომელთაც ერთსულოვნად განაცხადეს საბჭოთა ფედერაციის შემადგენლობაში რესპუბლიკის სტატუსის გადახედვის მომწიფებულ საჭიროებაზე. „ლიხნის მიმართვაში“ მიდიოდა საუბარი სსრ აფხაზეთის აღდგენაზე, რომელიც არსებობდა 1921-დან 1931 წლამდე. ეს იყო ჭეშმარიტი საყოველთაო-სახალხო ნების გამოვლინების (всенародного волеизъявления) უპრეცედენტო ფაქტი, რომელსაც ხელი მოაწერეს აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნებების წარმომადგენლებმაც (Бгажба & Лакоба, 2015: 388).

აფხაზური სახელმძღვანელოს ეს ამონარიდი ხაზგასმით საუბრობს სახალხო თავყრილობაზე (აფ. *аизара*; რუს. *сход*). ეს არის ადამიანების (ძირითადად მამაკაცების) ერთ სივრცეში (ძირითადად ისტორიული ან საკრალური მნიშვნელობის ადგილებზე/ველებზე) თავმოყრა აფხაზებისთვის მნიშვნელოვან საკითხად მიჩნეულ თემებზე სამსჯელოდ და გადაწყვეტილების მისაღებად. ის აფხაზური ეთნონაციონალიზმის რიტუალური თემური პრაქტიკის დემონსტრირებაა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთნონაციონალიზმის გარკვეულ ეტაპზე შეიძინა. თანამედროვე აფხაზური ნაციონალიზმის კონტექსტში *აიზარას* მნიშვნელობა მე-19 და მე-20 საუკუნეების აფხაზეთში განვითარებული პოლიტიკურ-სოციალური მოვლენებითაა განპირობებული. ისტორიამ ამ შეკრების რამდენიმე პრეცედენტული მაგალითი შემოინახა და კოლექტიურ მეხსიერებაშიც საკვანძო საკითხად გამოიკვეთა.

აფხაზურ ეროვნულ დისკურსს აგორა-ფოლკლორულ ნაციონალიზმს ვუწოდებ. ის ინსპირირებულია დემოკრატიის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, - ხალხის მმართველობა, და ძველი საბერძნეთის პოლისების მსგავსად დემოკრატიის განხორციელებას ფიზიკურ მონაწილეობაში და არა წარმომადგენლობაში ხედავს. აფხაზურ ნაციონალიზმს აქვს საჭიროება და მოთხოვნილება თავისი ერთიანობა და ერთსულოვნება გამოხატოს საზოგადო ადგილას შეკრებით, მასობრიობითა და ხილულობით. ეს პოლიტიკური პერფორმანსი ეყრდნობა და საზრდოობს მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციებით, რიტუალებით, წესებით. ის ამკვიდრებს ერთგვარად უნიკალურ ეროვნულ ცერემონიას პოლიტიკური ბედის

გადასაწყვეტად. შეკრების აქტი იმთავითვე სიმბოლური და საკრალურია, რის გამოც მისი ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არ დგება. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ ამგვარი სახალხო სუვერენიტეტისა და ნაციონალური ნების დემონსტრირება პრეცედენტულ პარადიგმებს ქმნის. ეს წარმომადგენლობა მთლიანი ერის ნების გამომხატველად მიიჩნევა, რაც მას უფლებამოსილს ხდის ისაუბროს და იმოქმედოს აფხაზი ხალხის სახელით.

1866 წლის ზაფხულში სოფელ ლიხნში ლიხნაშთას ველზე 7 000 აფხაზი შეიკრიბა. მათი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია რამდენიმე გარემოებამ. ეს იყო: 1864 წლის რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მიერ განხორციელებული მუჰაჯირობის ¹³ პირველი ტალღა; რუსეთში გადასახლებული აფხაზეთის უკანასკნელი მმართველის, მიხეილ შ(ა)ერვაშიძის (ჩაჩბა), სიკვდილმა; და, იმპერიის განზრახვამ ბატონყმობის გაუქმების შესახებ. ეს შეკრება აჯანყებაში გადაიზარდა, რომელსაც „უცნაური“ უწოდეს (Лакоба, 1990) და რაზედაც ცარისტულმა რეჟიმმა უპასუხა მუჰაჯირობის მეორე (1866) და მესამე (1877) ტალღებითა და რუსეთის

¹³ მუჰაჯირობა ანუ მუსულმანური მოსახლეობის გადასახლება რუსეთის იმპერიიდან ოსმალეთის იმპერიაში. დაცარიელებულ ადგილას რუსეთი ასახლებდა მის მიმართ ერთგულ ხალხებს, მაგალითად, რუსებს, სომხებს, ოსებს, კაზაკებს და ა.შ. (Bullough, 2010). თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მსგავს ქმედებას აკვალიფიცირებს, როგორც გენოციდს (Coene, 2010; Colarusso, 2007). აფხაზეთში, მუჰაჯირობის სამი ნაკადის (1864, 1866, 1877) შემდეგ დაახლოებით 50 000 აფხაზი გადასახლეს (Ачугба, 2010: 105). იმ პერიოდის აფხაზეთის საერთო მოსახლეობის, 79 190 ადამიანი (Аверкиев, 1866), ფონზე ეს აქტი ეთნოწმენდის ხასიათს ატარებდა და აფხაზეთის დემოგრაფიაზე სავსალოდ აისახა.

ჩრდილოეთ სამფლობელოებში აფხაზების გადასახლებით ¹⁴ . ბოლოს აფხაზები ლიხნში 1989 წელს შეიკრიბნენ, რაზედაც საუბრობს ზემოთ მოყვანილი ამონარიდი აფხაზური სახელმძღვანელოდან. ამ შეკრებას ჯაჭვური რეაქციით მოჰყვა 9 აპრილი თბილისში, სადაც ითხოვდნენ რუსეთის მიერ მხარდაჭერილი აფხაზური სეპარატიზმის აღაგმვასა და ერთიანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. რეალურად, აფხაზური სეპარატიზმის გასაპროტესტებელი დემონსტრაცია გადაიზარდა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის ეროვნულ მიტინგში (Petersen, 2008: 15).

გუდაუთის რაიონში შემავალ სოფელ ლიხნში (ძველად, ზუფუ ან სოუქსუ) აფხაზეთის მთავრების სასახლე მდებარეობდა. ამის გამო მას ყოფითობაში არაოფიციალურ დედაქალაქადაც მიიჩნევენ. დღეს, ისტორიულ ლიხნაშთან ველთან (სოფელ ლიხნში) მდებარეობს მე-10 საუკუნის მარიამ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი და აფხაზეთის მთავრების, ჩაჩბა-შ(ა)ერვაშიძეების, რეზიდენციის ნანგრევები. მე-19 საუკუნეში ბელგიელმა მოგზაურმა ქალმა, კარლა სერენამ, ასე აღწერა ეს ადგილი:

¹⁴ მართალია, რუსეთის იმპერიის ჯარი აფხაზეთში 1810 წელს შევიდა, მან იქ რეალური გავლენა მხოლოდ 1864 წელს მოიპოვა, მას შემდეგ რაც კავკასიის ომში (1817-1864) გაიმარჯვა. ამას დაემატა იმ პერიოდის აჯანყებები რუსული ბატონობის წინააღმდეგ და 1877-1878 რუსეთ-ოსმალეთის ომში აფხაზების მიერ თურქების მხარდაჭერა. ამ გარემოებებმა ომში გამარჯვებულ რუსეთს გაუჩინა განზრახვა „დაესაჯა“ აფხაზი ერი. ეს ძირითადად ორი ფორმით გამოვლინდა. ერთი, მუჰაჯირობით. მეორე, 1880 წელს აფხაზების „დამნაშავე მოსახლეობად“ ცნობით, რაც მათ უკრძალავდა დასახლებას სოხუმის მიდამოებსა და ზღვის სანაპიროებთან. ეს აკრძალვა გაუქმნდა მხოლოდ 1907 წელს (ანჩაბაძე, 2009).

გუდაუთა, პატარა დასახლება, სადაც მოსახლეობის ნაწილი ლაზია, და განსაკუთრებით თვალშისაცემია თურქი მფლობელის კაფე. ცოტა მოშორებით, დაბლობზე, არის ლიხნი, გასაოცარი სიმწვანის ბუდე, პრესტიჟდაკარგული უკანასკნელი აჰის (მმართველის) გარდაცვალების შემდეგ. თურქებმა, რომლებიც ხშირად ესხმოდნენ თავს აფხაზეთის ამ ნაწილს, გადაწვეს ხოლმის კენწეროზე მდებარე პრინცის საცხოვრებელი, სადაც შენარჩუნდა ანტიკური კოშკის ნარჩენები. [...]

მე უკვე ბევრი ვისაუბრე შავი ზღვის მეორე მხარეს მდებარე ტყეების დიდებულებაზე, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, როგორ გამოცა სიმწვანის სიმდიდრემ აქეთა ნაპირზე, განსაკუთრებით ლიხნში.

ლიხნის ეკლესია მოქცეულია იგივე გალავანში, სადაც ადრე იყო აღმართული ახის სახლი, რომელიც, როგორც ვნახეთ, დაანგრის თურქებმა. ამ ადგილებში, ძველი რელიგიური ნაგებობები ბიზანტიური სტილისაა. ლიხნის ეკლესია პიცუნდის მონასტრის ასლივითაა, პროპორციებით ბევრად უბრალო და პატარა. ის აშენებულია მოყვითალო კირქვის ქვებით, რომელიც მოიპოვება ადგილობრივ მთებში. რვაკუთხიან გუმბათს აქვს რამდენიმე ფანჯარა. ინტერიერი საკმაოდ კარგადაა შენარჩუნებული, განსაკუთრებით ფრესკები. ისინი მომაგონებენ უკვე ნანახ მოხატულობას. ეკლესია გარშემორტყმულია გალავნით, რომელიც არაერთხელ რესტავრირდებოდა. წელიწადის გარკვეულ დროს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მე ვეწვიე ლიხნს, ტაძარი დაფარულია ხშირი ბუჩქებითა და ხვიარა მცენარეებით, რაც სირთულეს მიქმნიდა ამ ყვავილებისა და მცენარეულობის ლაბირინთში გზის გაკვალვისას (Serena, 1882: 412).

მოგზაურის თვალით დანახული გუდაუთის ბუნება არის მომნუსხველი. უშუალოდ სახალხო თავყრილობის ადგილიც, ლიხნაშთას ველი, თავისი

„ატრიბუტიკით“ სიმბოლურია. ერთის მხვრივ, აფხაზეთის მთავრების რეზიდენცია, როგორც საერო კანონიერი ძალაუფლება. მეორეს მხვრივ, მართლმადიდებლური ტაძარი, როგორც სასულიერო ლეგიტიმაციის წყარო. ამის შემკვრელი კი ის გასაოცარი სილამაზის ბუნებაა, რომელიც ღმერთს თავისთვის ეგულებოდა, მაგრამ გაიღო წყალობა და მისცა დაგვიანებულ აფხაზებს, რომლებიც მას ადღეგრძელებდნენ და ამიტომ დააგვიანეს შეხვედრაზე, სადაც უფალი მიწებს ურიგებდა სხვადასხვა ხალხებს¹⁵.

გადაწყვეტილების მიღებისა და მმართველობის ასეთი სცენური, რიტუალური წარმოდგენა განაპირობებს აფხაზური ნაციონალიზმის ძლიერ კავშირს ეთნიკურობასთან, რომელიც პირდაპირ მიბმულია მიწასთან (*land*) და ამ მიწის ბატონობა-მესაკუთრეობასთან (*ownership*). მამა-პაპური წესების ცოდნა, რომელიც ძირითადად ვერბალურად გადაეცემა შთამომავლობიდან შთამომავლობას, მათი შესრულება, აფხაზური ქცევის კოდექსის მიხედვით ცხოვრება იგულისხმება, რომ მხოლოდ აფხაზს თუ ხელეწიფება.

ისტორიის სახელმძღვანელოებშიც, მედიაშიც, აფხაზურ ოფიციალურ დისკურსში ფიგურირებს აფხაზეთის მრავალეთნიკურობა და არააფხაზი მოსახლეობის წვლილი აფხაზური სახელმწიფოებრიობასა თუ კულტურის შენარჩუნება-განვითარება-მშენებლობაში. აფხაზეთის ისტორიული თუ აქტუალური

¹⁵ იგივე მითური ვერსია საქართველოს შექმნის შესახებ აქვთ ქართველებსაც და ის ხშირად სადღეგრძელოს ფორმით წარმოითქმის (Batiashvili, 2018).

ეთნიკური სიჭრელე არის ფაქტი, რომლის უარყოფა შეუძლებელია, თუმცა, ნიუანსურია ეროვნებების იერარქია, სტატუსები და მათ მიმართ აფხაზური განწყობები, რომლებიც ცვალებადია. მაგალითად, მუჰაჯირობის გამტარებელი ერთ დროს ტირანი რუსეთი ჯერ „დიდ მფარველ ძმად“, შემდგომ „გადამრჩენელში“ და „სტრატეგიულ პარტნიორში“ გადაიზარდა. ერთ დროს ახლობელი ქართველი იმპერიალისტი და ოკუპანტი გახდა. სომხებთან მეგობრობას განსაკუთრებით 1992-1993 წლის ომის შემდეგ ესმევა ხაზი. მაგალითად, სახელმძღვანელოში წერია: „მარშალ ბაგრამიანის ¹⁶ სახელობის ბატალიონი ოკუპანტების [ქართველების] წინააღმდეგ გამიჯნულად იბრძოდა“ (Куакуаскир, 2010: 260). ერების მიმართ ასეთი დეკლარირებული სიყვარული, მეგობრობა, პარტნიორობა, არ ჰპოვებს ასახვას პოლიტიკურ ემულონებში. 1993 წლიდან დღემდე, აფხაზური „ესტაბლიშმენტი“ თითქმის 100 პროცენტია დაჩვენებით ეთნიკური აფხაზებით არის დაკომპლექტებული. გენეტიკურობა ნდობის, თავდაჯერებულობის, ვალიდურობის წყაროა. ამის გამო აფხაზეთში მიმდინარე მმართველობას ექსპერტები ზოგჯერ ეთნოდემოკრატიადა ან ეთნომმართველობად მოიხსენიებენ.

აფხაზეთი (აფხაზურად „აფსნი“) - თვალწარმტაც ქვეყანა, რომლის ძირძველი მოსახლეობა აფხაზები არიან, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ხალხთაგანი. აფხაზეთის თვითმყოფადმა ბუნებამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი აფხაზების მენტალიტეტის

¹⁶ ჰოვანეს (ივანე) ბაღრამიანი (ბაგრამიანი) (1897-1982) სომეხი საბჭოთა სამხედრო მოღვაწე იყო. მისი სახელობის ბატალიონს ხელმძღვანელობდა ალბერტ ტოპოლიანი, რომელსაც აფხაზეთის გამირის წოდება აქვს.

ჩამოყალიბებაში, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი „აფსუარა“ (ხალხის მორალურ-ეთიკური კოდექსი). ვინაიდან ბუნებაში ყველაფერი ჰარმონიული, ურთიერთდაკავშირებულია. საკმარისია გაიხსენო თუნდაც ხე, რომელიც ყველაზე ბუნებრივი გზით „ღელავს“ ან „ბრაზობს“ როცა ხედავს ადამიანს ნაჯახით. ყოველ შემთხვევაში, ასე აჩვენებენ იაპონური ძალიან მგრძნობიარე ხელსაწყოები. საინტერესოა, რომ აფხაზიც, არც ისე დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ უმაღლავდა ხეს ნაჯახს სანამ მას მოჭრიდა (Бгажба & Лакоба, 2015: 4).

ასე იწყება ისტორიის სკოლის აფხაზური სახელმძღვანელოს შესავალი თავი. ქვეთავს ჰქვია „ბუნება და აფხაზეთის ადამიანი“¹⁷. თავიდანვე ხაზგასმულია აფხაზეთის ბუნებისა და აფხაზეთის ადამიანის მჭიდრო ურთიერთკავშირი. თავისებური გეოგრაფია არის სუბიექტი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა აფხაზეთის მკვიდრის მსოფლმხედველობაზე, აზროვნებაზე, მის მორალურ-ეთიკურ აღქმაზე. პირველივე წინადადებაში მკითხველის ყურადღება ექცევა აფხაზების ძირძველობას, ავტოქტონობას. „აფხაზური მენტალიტეტი“ არის ეთნოკატეგორია, რომელიც ფორმირდება „აფხაზური სისხლისა“ და აფხაზური ბუნების სინთეზით.

2018 წელს ვესწრებოდი კონფერენცია „კავკასიის ენებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას“ მალმოს უნივერსიტეტში, შვედეთში. ემერიკიდან ჩერქეზი დიასპორის წარმომადგენელმა, მუჰაჯირების შთამომავალმა, არაერთხელ გაუსვა ხაზი გამოსვლისას და პირად საუბრებში, რომ არ არსებობს პასპორტი ან სხვა

¹⁷ შეადარეთ ორიგინალს რუსულად: Природа и человек Абхазии.

ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება ადამიანის ჩერქეზობა. ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია უარყოს ან „დაიბრალოს“ ადიღეელობა. ჩერქეზები და აფხაზები მონათესავე ხალხები არიან. მათს ტრადიციებში ბევრია საერთო. აფხაზური ნაციონალიზმის მთავარი ნარატივიც „პასპორტიზირებული აფხაზობის“ გარშემო აიგო. ეს პროცესი დაიწყო 1920-იან წლებში, გარკვეულწილად ეს მუხტი იკვეთებოდა მთელი საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე სხვადასხვა საჯარო გამოსვლებსა თუ დემონსტრაციებში და ბოლოს გამძაფრდა 1990-იან წლებში. ეს მიდგომა არის ეთნონაციონალიზმის გამოძახილი. ის განიხილავს ერის მშენებლობას დომინანტი ტომის/ერის გარშემო. ერად ყოფნის მთავარი ელემენტია ეთნიკურობა. ასეთი მიდგომა, ერთის მხრივ, აფხაზური ჩვეულებების შენარჩუნების ეროვნული დისკურსის ნაწილია, ხოლო, მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირის მიერ ნაციონალიზმის პოლიტიკის პროდუქტი.

აფხაზური აგორა-ფოლკლორული დისკურსი ჭეშმარიტ დემოკრატიაზე ხედავს მრავალრიცხოვანი ადამიანის თავმოყრაში ისტორიულ ადგილას. იქ ისინი ადათებით ხელმძღვანელობენ და ერთობლივად წყვეტენ დაყენებულ საკითხს. ამ გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა შეურყეველია და ცალსახად ხალხის ნების გამომხატველად „ინათლება“. ამგვარი ნაციონალიზმი ეხმიანება ჰერდერიანული¹⁸

¹⁸ იოჰან გოტფრიდ ჰერდერი (1744-1803) - გერმანელი კრიტიკოსი, კულტურისა და ხელოვნების ისტორიკოსი, პოეტი. მან პირველმა ისაუბრა ენის მნიშვნელობაზე ნაციონალიზმის კონტექსტში.

ერის გაგებას. იოჰან ჰერდერი ემხრობოდა ერის ტომურ აღქმას, რომლის მთავარი ელემენტებია ოჯახი, ენა, ტრადიციები, გეოგრაფია:

ბუნებამ გაყო ხალხი ენის, ეთიკის, ჩვეულებების, ხშირად მთების, ზღვების, მდინარეებისა და უდაბნოების საშუალებით; მან გააკეთა ყველაფერი იმისათვის რომ ისინი დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთისგან განცალკევებით და საკუთარ თავში ფესვგადგმულები ყოფილიყვნენ (rooted in themselves). [...] ენების, ეთიკის, მიდრეკილებებისა და ცხოვრების წესების მრავალფეროვნება გამიზნული იყო გამხდარიყო ბარიერი ხალხების ერთმანეთთან დაკავშირების (linking together of the peoples) თავდაჯერებული კონცეფციის წინააღმდეგ, უცხოური მოზღვაების შემკავებელი (a dam against foreign inundations) - რადგან მსოფლიოს მმართველი დაინტერესებული იყო ყველას უსაფრთხოებით, რომლის მიღწევა შეიძლება თითოეული ხალხისა და რასის ხასიათის, ნიშან-თვისების შენახვით, ხალხები უნდა ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით, მაგრამ არა შერეულად და მითუმეტეს არა ერთმანეთის მხაგრულად (Herder, 1793-7: 384-385).

განმარტებიდან მკაფიოდ იკვეთება კონსერვატიული ნაციონალიზმის ნიშნები. წინა პლანზე წამოწეულია კულტურა, გეოგრაფიული მდებარეობა, ერის ერთიანობა როგორც „ჩვენ“ კატეგორია, რომელსაც უპირისპირდება კატეგორია „ისინი“. დეფინიცია ხაზს უსმევს იმას, რომ ერის „სიწმინდისა“ და უნიკალურობის შენარჩუნება აუცილებელია და ეს რეალურად იზოლაციის გზით არის შესაძლებელი. რაც შეეხება ძალის გამოყენებას, ის მხოლოდ თავდაცვით და არა იმპერიალისტური ან დამპყრობლური ინტერესებით უნდა იყოს ნაკარნახევი.

აფხაზური ნაციონალიზმის მეორე განზომილება არის ბოლშევიკურ იდეოლოგიაში. ამ უკანასკნელის ავტორები არიან ვლადიმირ ლენინი (ულიანოვი) და იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი). ლენინი (1914) და სტალინი (1913) ნაციონალიზმს განიხილავენ კაპიტალიზმის პროდუქტად, შესაბამისად, მიუღებლად კომუნიზმისთვის. მათთვის, ეს არის ბურჟუაზიის მოთხოვნა საკუთარი ვიწრო ინტერესების დასაკმაყოფილებლად, რომელიც იყენებს ეროვნულობის შირმას მიზნის მისაღწევად. ამისთვის მეთოდოლოგიურად ის იყენებს „სამშობლოს“ კონცეფციას, რომელსაც პროლეტარიატს ახვევს თავს; ითხოვს ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას, პრივილეგიებსა და შეღავათებს მხოლოდ იმ ეთნიკური ჯგუფისთვის, რომელსაც თვითონ მიეკუთვნება. სხვანაირად, ბურჟუაზია ახდენს მუშათა კლასის კონსოლიდაციას საერთო საქმის, ეროვნულობის გარშემო, რათა ჩაიგდოს ძალაუფლება (ბაზარი) ხელში, სადაც ის იქნება გაბატონებული კლასი. ამაში საბჭოთა კავშირის პროექტის შემქნელები ხედავენ ბურჟუაზიის მხოლოდ და მხოლოდ კასტურ მიზნებსა და სურვილებს.

სტალინი ამ საკითხს დიდ ყურადღებას უთმობდა, როგორც წერილობით ნაშრომებში, ისე მოხსენებებში პარტიის ყრილობებზე. გასაგები მიზეზების გამო, მისი იდეები ფართოდ ინერგებოდა პრაქტიკაში. სტალინი ნაციას განმარტავს როგორც „ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაც კულტურის ერთობა“ (სტალინი, 1913, 1946: 296). მისი აზრით,

აუცილებელია ამ ექვსივე მახასიათებლის კუმულატიური არსებობა და თუნდაც ერთის დაკარგვა გამოიწვევს ერის არსებობის დასასრულს. ჰერდერის მსგავსად, სტალინიც ძირითად აქცენტს აკეთებს ერის იმ თვისებებზე, რომლებიც ეთნონაციონალიზმის განმაპირობებელია.

ამისგან კარდინალურად განსხვავებულია სამოქალაქო ნაციონალიზმი. 1882 წლის 11 მარტს, ერნესტ რენანმა ისაუბრა ერის რაობაზე ლექციაზე სორბონის უნივერსიტეტში. ეს განმარტება სამოქალაქო ნაციონალიზმის კონცეფციის ფუნდამენტია. მან ერის მთავარ ნიშნად გამოჰყო საერთო ჰეროიკული წარსული და საერთო სურვილი ამ დიადი საქმეების გაგრძელების მომავალში. თავის მხვრივ, ერად ყოფნა მხოლოდ თავისუფალ ნებას შეიძლება დაეფუძნოს:

ერს უნდა ... ჰქონდეს საერთო დიდება წარსულში, საერთო სურვილი აწმყოში; ერთად გაკეთებული დიადი საქმეები წარსულში, სურვილი მათი კვლავ გაკეთების, აი ეს არის ერად ყოფნის არსებითი პირობა. [...] ადამიანი არ არის მონა არც რასის, არც ენის, არც რელიგიის, არც მდინარეების კალაპოტის, არც მთების ჯაჭვის მიმართულების. ჯანსაღი აზროვნებისა და გულანთებული ადამიანების დიდი გაერთიანება ქმნის მორალურ ცნობიერებას/სინდისს, რომელსაც ჰქვია ერი. [...] ჭეშმარიტება ისაა რომ არ არსებობს შეურეველი რასა და რომ პოლიტიკის დაფუძნება ეთნოგრაფიულ ანალიზებზე არის მისი ქიმერაზე დაყრდნობა. [...] რასის შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია კაცობრიობის ისტორიისთვის. მისი გამოყენება არ არსებობს პოლიტიკაში. [...] ამგვარად იქმნება პირველყოფილური უფლება, რომელიც მეფეების ღვთაებრივი უფლებების ანალოგია; პრინციპში, ხალხების ჩანაცვლება ხდება ეთნოგრაფიით. ამაში ყველაზე დიდი შეცდომა,

რომელიც, თუ კი გახდება დომინანტი, ბოლოს მოუღებს ევროპულ ცივილიზაციას. რამდენადაც ერების პრინციპი არის სამართლიანი და ლეგიტიმური, იმდენად რასების პირველყოფილური უფლება არის ვიწრო და შეიცვას ბევრ საფრთხეს ნამდვილი პროგრესისთვის (Renan, 1882).

სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეები პოპულარულობით სარგებლობდა და სახელმწიფო მოწყობის შთაგონების წყარო იყო როგორც „თერგდალეულებისთვის“, ისე ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის. შესაბამისად, მათი გავრცელება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ილია ჭავჭავაძე, „სამოციანელების“ ლიდერი, ქართული ნაციონალიზმის ავტორი, 1877 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ანონიმურ წერილში „ოსმალის საქართველო“ მსჯელობს თუ ვის შეიძლება ეწოდოს ერი. წერილში ხაზგასმულია „ისტორიული ერთიანობა“, საერთო ისტორია, როგორც ერის ხერხემალი და ტომობის, ენის, რელიგიის თუ სხვა მიკუთვნებულობების მეორეხარისხოვნება.

ეს სტატია მნიშვნელოვანწილად ეხმიანება რენანისეულ ხედვას (დალანიძე, 2013). იმ პერიოდის ქართული ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი (მაგალითად, თერგდალეულები) რუსული ბატონობის წინააღმდეგ და შიდა წოდებრივი თუ სხვა დაპირისპირებებიდან გამოსავალს ხედავდა ეროვნული თვითშეგნების ფორმირებაში, ლიბერალურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაში. ამ მიზნის მისაღწევად ძალების კონსოლიდაცია ხდებოდა სხვადასხვა მიმართულებით. მასშტაბური უწიგნურობის დასაძლევად იქმნებოდა წერა-კითხვის

გამავრცელებელი საზოგადოებები; გადატაკებული მოსახლეობის ფინანსური გარანტიების ხელშეწყობის მიზნით დაარსდა საადგილმამულო ბანკი; ხორციელდებოდა სტრატეგიული პროექტები, როგორცაა რკინიგზის მშენებლობა, ფოთის ნავსადგურის აგება და სხვა საინვესტიციო და მნიშვნელოვანი ინიციატივები ზოგადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით. ყურადღება ექცეოდა არამატერიალური გენოფონდის განვითარებასაც, როგორცაა ქართული ენის, თეატრის, ხელოვნების წახალისება. აქცენტი კეთდებოდა ბეჭდური ინდუსტრიის განვითარებაზე. გამოდიოდა ახალი გაზეთები „საქართველოს მოამბე“, „ივერია“, „ახალი მიმოხილვა“ და სხვა.

1921 წელს წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციასთან ერთად ეს პროცესიც შეწყდა. ბოლშევიკური მმართველობის დამყარებასთან ერთად ქართული ნაციონალიზმიც საბჭოთა ნაციონალიზმის იდეების ძალიან დიდ ზეგავლენას განიცდიდა. ისინი დღევანდელი ეთნოკრატიული მოდელის ქართულ პოლიტიკურ დისკურსშიც ჰპოვებენ ასახვას.

რენანმა (1882), ასევე, ხაზი გაუსვა „დავიწყებას“, როგორც ერთად ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას. დავიწყებას რასის, მშობლიური ენის, რელიგიის, ტომობის, გეოგრაფიის, მათ შორის, წარსულში მომხდარი ძალადობის. დავიწყებაზე, როგორც ერის დაბადების აუცილებელ პირობაზე საუბრობდა ბენედიქტ ანდერსონიც. მისი აზრით, კრიტიკულია იმ სასაფლაოს დავიწყება რომელზედაც დაიბადა ერი (Anderson, 1991: 204-206) და რომ „ერი არის წარმოსახვითი პოლიტიკური თემი (*imagined political*

community) - წარმოსახვითი, ერთდროულად, როგორც არსებითად შეზღუდული და სუვერენული“ (იქვე, 1991: 6). აფხაზური ნაციონალიზმის წარმოსახვაში არსებობს ან თვითმყოფადი, ექსკლუზიურად მესაკუთრეობითი (*ownership*), უნიკალური ეთნოთვითმმართველი ეროვნული იდეა; ან, საბჭოთა ნაციონალიზმის ფარგლებით მონიშნული, ნაციონალისტური, „ჩვენ-ისინი“ ანტაგონიზმზე აგებული დამოკიდებული მმართველობის პროდუქტი.

2.2 თავისუფლება - ოკუპაციის დიქტომია: 1917-1921 წელი

რევოლუციონერების ძირითად მასას აქ წარმოადგენდნენ გურიიდან და სამეგრელოდან სამუშაოს საძიებლად მოსული გლეხები და აგიტატორები (пришлые агитаторы и крестьяне-отходники) აფხაზეთის სანაპიროს სხვადასხვა პუნქტებში დროებითი სამუშაოსთვის ჩამოსულები. 46 გასამართლენებული რევოლუციონერიდან მხოლოდ 5 იყო აფხაზეთის მკვიდრი (მათგან, სამი აფხაზი: პლატონ და არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი, ვასილ გურჯუა), მაშინ როცა 1866 და 1877 წლების აჯანყებების შემდეგ გადაასახლეს მხოლოდ აფხაზები - მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის წარმომადგენლები. აქედან ჩანს, რომ ობიექტური მიზეზების გამო, აფხაზი მოსახლეობის უმრავლესობამ არ მიიღო მონაწილეობა 1905-1907 წლებში ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციაში (Бгажба & Лакоба, 2015: 275-276).

1917 წლიდან 1921 წლამდე მთელი კავკასიის მასშტაბით და საკუთრივ აფხაზეთშიც პოლიტიკური მოვლენები კალეიდოსკოპური ეფექტით ვითარდებოდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის¹⁹ შედეგად ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიის დაშლამ და მეორე მხრივ, ბოლშევიკური პარტიის გააქტიურებამ ყოფილი იმპერიის პერიფერიებში, კავკასიაში ნაციონალური მოძრაობებისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნა.

ნაციონალური მოძრაობები აფხაზეთში ორი მიმართულებით მიმდინარეობდა. იმ პერიოდის აფხაზეთის მოსახლეობა საკმაოდ ანტაგონისტური იყო პოლიტიკურ მიკუთვნებულობებში. დიდგვაროვანთა ოჯახის წარმომადგენლები, ფეოდალები, ინტელიგენციის წევრები ძირითადად კონსერვატიულ ფენას ქმნიდნენ. ისინი შეადგენენ სახალხო საბჭოს ბირთვის, ლობირებდნენ ჩრდილოეთ კავკასიელებთან მჭიდრო თანამშრომლობას. ზოგიერთი მათგანი ემხრობოდა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან კოლაბორაციას, ხოლო მათი უმეტესობა ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკებს. ადგილობრივი აგიტატორების მომრავლებასთან და მათ მიერ ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელებასთან ერთად გაიზარდა ამ იდეოლოგიის მიმართ სოლიდარი გლეხებისა და მუშების რიცხვი. მათ სურდათ საბჭოთა მმართველობის დამყარება და არ მოსწონდათ ინტელიგენციის საქმიანობა, რომელიც

¹⁹ თებერვლის რევოლუცია არის პეტროგრადში (დღევანდელი სანკტ-პეტერბურგი), რუსეთში 1917 წელს მომხდარი ორი რევოლუციიდან პირველი. ის ძველი სტილით 23 თებერვალს (ახალი სტილით 8 მარტს) დაიწყო და 5 დღე გრძელდებოდა. მასობრივი პროტესტების, პოლიციასთან შეიარაღებული შეტაკებების შემდეგ იმპერატორი ნიკოლოზ II გადადგა და ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა.

ესახეოდათ დრომოქმულად, მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე გათვლილად და რიგ შემთხვევაში, აფხაზური ინტერესების საზიანო ქმედებებად. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ძალაუფლება ხან პირველი ჯგუფის ხელში იყო და ხანაც მეორის. თუ თავდაპირველად სახალხო საბჭო იყო გავლენიანი ორგანო, დროთა განმავლობაში ის ბოლშევიკებმა გადაწონეს.

საბჭოთა ნაციონალიზმის იდეების აღმოცენება აფხაზეთში დაკავშირებულია ლენინის მიერ 1900 წელს პეტროგრადში დაფუძნებული რევოლუციური გაზეთი „ისკრას“ (რუს. *Искра* ქართულად ნაპერწკალი) გავრცელებასთან. ამის კვალდაკვალ, 1902 წელს აფხაზეთში პირველი პოლიტიკური დემონსტრაცია გაიმართა. მომიტინგეები იყვნენ კოდორის ტყის გადამამუშავებელი ქარხნის მუშები, ძირითადად ეთნიკური ქართველები, რომლებიც ბათუმში მშვიდობიანი დემონსტრანტების დახვრეტას აპროტესტებდნენ.

როგორც სახელმძღვანელოს ნაწყვეტიდან ჩანს, აფხაზურ ნარატივში მე-20 საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, მათ შორის კომუნიზმის მხარდამჭერი, აღქმული იყო, როგორც „უცხო“, „მოსული“, „სამუშაოს საძიებლად ჩამოსული“ ადამიანების მიერ ინსპირირებული და განხორციელებული აქტი. იმ პერიოდისთვის უახლესი წარსულის ტრაგიკული გამოცდილება არ იყო წამახალისებელი პოლიტიკური აქტივობისთვის. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, მაშინ როცა თბილისში ვრცელდებოდა სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეები,

აფხაზეთში სხვა პრიორიტეტი იყო: ფიზიკური გადარჩენა რუსეთის იმპერიის ჰეგემონიისგან.

უშუალოდ აფხაზური ნაციონალური თვითშეგნება, გამოხატული თვალსაჩინო პოლიტიკურ საქმიანობაში, მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ აქტიურდება. ერთმანეთის პარალელურად და ერთმანეთთან კონკურენციაში ორი „ბანაკი“ მოქმედებდა. სახალხო საბჭო (ინტელიგენცია) და ბოლშევიკური იდეოლოგიის მიმდევრები. ამ უკანასკნელის გამავრცელებლები იყვნენ ლიხნელი (გუდაუთის რაიონი) ნესტორ (ჩანაგვ) ლაკობა და (აგუ)ბედიელი (იმ პერიოდში გალის და დღეს ტყვარჩელის რაიონი) ეფრემ (დურუ) ეშბა.

1917 წლის მარტშივე რუსეთის დროებითმა მთავრობამ ²⁰ დააარსა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი)²¹, რომლის ცენტრალური ოფისი თბილისში მდებარეობდა. მეორე დღეს, 10 მარტს, სოხუმის ოკრუგის ²² წარმომადგენლებმა დააფუძნეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტი. ეს იყო

²⁰ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ფუნქციონირებდა თებერვლის რევოლუციის დამთავრებიდან 1917 წლის ოქტომბრამდე ანუ მეორე რევოლუციამდე.

²¹ ოზაკომს არ უარსებია დიდი ხანი. ის ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატმა და შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა შეცვალეს. კომისარიატმა ფუნქციონირება დაიწყო 1917 წლის 15 ოქტომბერს, მეორე რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. მისი დამფუძნებლები არიან ქართველი სოციალ-დემოკრატები და ესერები (სოციალისტ-რევოლუციონერები), სომეხი დამნაშავეები და აზერბაიჯანელი მუსავატები. 1918 წლიდან ფუნქციონირებას იწყებს სეიმი, რომელიც 22 აპრილს გამოაცხადებს ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) დამოუკიდებლობას და უკვე 1918 წლის 26 მაისს შეწყვეტს არსებობას.

²² სოხუმის ოკრუგი შეიქმნა 1883 წელს. ეს იყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ქუთაისის გუბერნიის ნაწილი, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. 1903 წელს ის ჯერ ქუთაისის გუბერნიას გამოეყო, შემდეგ 1904 წელს სოჭის ოკრუგის ნაწილად შევიდა შავიზღვისპირეთის გუბერნიაში და 1921 წელს საბოლოოდ გაუქმდა.

ადგილობრივი რევოლუციური ორგანო, რომელიც თებერვლის მოვლენების შემდეგ იქმნებოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა წერტილში.

1917 წლის მაისში შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიელ გაერთიანებულ მთიელთა და დაღესტნის კავშირი, რომელიც ერთი წლის შემდეგ, 1918 წლის მაისში, ბათუმის სამშვიდობო კონფერენციაზე გარდაიქმა რესპუბლიკად. ეს იყო კონფედერაცია, რომელშიც ერთიანდებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ხალხები. გარკვეული დროის განმავლობაში აფხაზებიც შედიოდნენ ამ მმართველ ერთეულში. მათი წარმომადგენელი იყო სიმონ (სემიონ) აშხაძე. 1917 წლის ოქტომბერში სოხუმის ოლქის მთიელი ხალხი (აფხაზები) შევიდნენ კაზაკთა ჯარების, კავკასიის მთიელთა და სტეპების თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირში (დიასამიძე, 2004: 6).

აფხაზეთის პირველი სახალხო საბჭო ჩამოყალიბდა 1917 წლის 8 ნოემბრის აფხაზი ხალხის ყრილობაზე სოხუმში. მის კონსტიტუციაში ეწერა, რომ ეს იყო აფხაზი ხალხის გამაერთიანებელი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება აფხაზი ხალხის თვითმმართველობისათვის და კავკასიის მთიელთა კავშირის მხარდაჭერა (დიასამიძე, 2004: 8-9). აფხაზეთის პირველი კონსტიტუციის ავტორი და ამ მოძრაობის შთამაგონებელი იყო სიმონ (მაჰაიდ) ბასარია, საბჭოს პირველი თავმჯდომარე. ბასარია დაიბადა ოჩამჩირის რაიონ სოფელ კუტოლში, გლეხის ოჯახში. მან მიიღო განათლება ჯერ სოხუმის მთის სკოლაში, შემდეგ გორის საოსტატო

სემინარიაში, მერე რუსეთში და ბოლოს ევროპაში. ეწეოდა პედაგოგიურ და პუბლიცისტურ საქმიანობას. თებერვლის რევოლუციის მერე აფხაზეთში დაბრუნდა და პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთო. თავდაპირველად ის უჭერდა მხარს საბჭოთა მმართველობის დამყარებას. თუმცა, შემდგომ მას იმედი გაუცრუვდა მის პრაქტიკულ აპლიკაციაში. ის ჩამოშორდა პოლიტიკას და მთლიანად სამეცნიერო საქმიანობით დაკავდა (Kapba, 2018).

1918 წლის 9 თებერვალს საბჭოს წევრები ჩამოვიდნენ ვიზიტით თბილისში საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, რომლის ამონაწერშიც ჩაიწერა:

[...] მოხდა სჯა-ბაასი იმის თაობაზე, თუ მომავალში რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს საქართველოს და აფხაზეთს შორის. გამოირკვა რომ

- 1. აფხაზეთს სურს უთუოდ იყოს დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული და საქართველოსთან იქონიოს მხოლოდ მეზობლური განწყობილება, როგორც თავის თანასწორთან.*
- 2. სამურზაყანო, როგორც აფხაზეთის ნაწილი, აფხაზებს არ გაჰყვება, თუ საქართველოსთან არ იქონიებს ზნეობრივ-პოლიტიკურ კავშირს.*

ქართველთა მხვრივ გამოითქვა სურვილი, რომ აფხაზეთი იყოს საქართველოს ნაწილი, მაგრამ სრული შინაური დამოუკიდებლობით აღჭურვილი (ფართო ავტონომიით) ისე, როგორც განზრახულია სამაჰმადიანო საქართველოსთვის, მაგრამ აფხაზთა წარმომადგენელმა უარყო ეს აზრი (დიასამიძე, 2004: 14).

დოკუმენტიდან ჩანს, რომ იმ კონკრეტულ პერიოდში, აფხაზეთის სახალხო საბჭო მოქმედებდა აფხაზური ეროვნული პროექტისთვის. მას სურდა რომ აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს, კარგი სტრატეგიული და მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა მის გარშემო მდებარე ხალხებთან ან სახელმწიფოებთან.

ამის პარალელურად, აქტიურად მუშაობდნენ ბოლშევიკები. 1917 წლის დეკემბერში, სოფელ ჯირხვაში ნესტორ ლაკობამ გლეხების მობილიზაცია მოახდინა და რევოლუციური მოძრაობა „კიარაზი“ ჩამოაყალიბა. კიარაზი აფხაზური სიტყვაა და გაერთიანებას ნიშნავს. მე-20 საუკუნემდე ეს იყო გლეხების ორგანიზაციები, რომელთა დანიშნულებასაც წარმოადგენდა შრომისა და თავდაცვის საკითხებში ურთიერთდახმარება. აფხაზეთში, „კიარაზელები“ ბოლშევიკური იდეოლოგიის მხარდამჭერები და გამავრცელებლები იყვნენ. მათ ჩამოაყალიბეს გლეხთა შეიარაღებული რევოლუციური მოძრაობა. ლაკობა მას ახასიათებდა, როგორც „კონტრორგანიზაცია უქნარა, ცხენის ქურდების, გლეხების გამქურდველები თავადაზნაურობის წინააღმდეგ“ (Дзидзария, 1981: 23-24). ამ ორგანიზაციამ 1921 წლამდე იარსება.

ბოლშევიკებმა აფხაზეთში რამდენჯერმე სცადეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება. პირველი ცდა 1918 წლის თებერვალში განხორციელდა. ბოლშევიკების სოხუმში შემოსვლას ხატოვნად აღწერს ქართველი მწერალი ლეო ქიაჩელი რეალურ ამბებზე დაფუძნებულ მოთხრობაში „ჰაკი ამბა“. ეს მოთხრობა ახლა არ შედის

ქართული სასკოლო კურიკულუმის პროგრამული ნაწარმოების სიაში, თუმცა როცა მე ვსწავლობდი სკოლაში (2004-2008 წლებში) ის სავალდებულო მოთხოვნად ისწავლებოდა. მოქმედი პირების სახელები შეცვლილია, მაგრამ მათი პროტოტიპები რეალურად არსებობდნენ. მისი მთავარი პერსონაჟია აფხაზი გლეხი ჰაკი აძბა (სმელ ბადია), რომელმაც სიცოცხლე შესწირა თავისი მიძისშვილისთვის, თავად უჯუმ ემხასთვის (ნიკოლოზ ემუხვარი). ეს უკანასკნელი იყო ჩერქეზთა რაზმის აფხაზური ასეულის ²³ ყოფილი ოფიცერი, რომელსაც სოხუმში შემოსული გემ „შმიდტის“ („დაკია“) ერთი მეზღვაური შემოაკვდა და ერთიც დაჭრა. ეს არის რევოლუციური კრეისერი, რომლის „წითელი კაპიტანია, ამხანაგი კუზმა, მრისხანედ წოდებული“ (ქიაჩელი, 2015: 83). ის სოხუმელებისგან ითხოვდა დამნაშავე უჯუმ ემხას, რათა ის სიკვდილით დაესაჯა. ამის მომსწრე ჰაკი გადახტა ზღვაში, სადაც ცოტა ხნით ადრე ტყვიით მოკლული ემხას ნეშტი გადააგდეს.

ეს ნაწარმოები პირველად 1933 წელს გამოიცა. ერთი მხრივ, ის ამახვილებს ყურადღებას უნივერსალურ თემებზე, როგორებიცაა: ადამიანების ფსიქოტიპები, ძველისა და ახლის, ტრადიციისა და თანამედროვეობის მუდმივი ჭიდილი. მეორე მხრივ, ის საუბრობს შიშისმომგვრელ ბოლშევიკებზე, მათი გამოჩენით გამოწვეულ უსიამოვნო ალიაქოთზე და რაც მთავარია, ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ამ კონტექსტში ის ქართულ-აფხაზური კავშირების

²³აფხაზი მოხალისეები, რომლებიც შედიოდნენ კავკასიელი კავალერისტების დივიზიაში, რომელსაც ასევე „ველურ“ დივიზიას უწოდებდნენ. იბრძოდნენ რუსეთის იმპერატორის ჯარში პირველ მსოფლიო ომში.

ეთნოგრაფია და ბოლშევიკების მიმართ ქართული ნარატივის არტიკულაცია. გემის ბოცმანის, წითლების მეთაურის, პორტრეტი ამ დისკურსის შემაჯამებელია:

ამ კაცის ერთ ტანზე ორ პირისახესა და სამ თვალს ხედავდნენ სრულიად გარკვეულად. [...] სახის მთელი ეს კანშემოჭმული ნახევარი უძრავი და უცვლელი იყო, სულ ერთნაირი გამომეტყველების მქონე, რომელიც უცვლელად უსასტიკესი რისხვის გამოხატულებას ატარებდა, წინააღმდეგ მეორე მთელი ნახევრისა, რომელსაც მშვიდი, ღრმა და ხანდაზმულობის გონიერი იერით ამეტყველებული თვალი ამშვენებდა. [...] ამ სახეს მხოლოდ მტრებისთვის ვატარებ. წარმოიდგინეთ: მეგობრები ვერც ამჩნევენ მას. ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუ იგი თქვენი თვალების ნიშანს გარეშეც დარჩება (ქიაჩელი, 2015: 81-84).

ზუსტად ამ „მეგობრულმა“ პროფილმა უთხრა აძბას „შენ ხარ მონა, აფხაზო. კრეისერი „შმიდტის“ სახელით განიჭებ თავისუფლებას. წადი და დაივიწყე შენი ბატონი“ (იქვე, 114). როცა მისი სუიციდის მომსწრე გახდა, ვერ შეძლო რა ჩასწვდომოდა ძუძუმტეობის ადგილობრივი ტრადიციის ნიუანსებს, მიუხედავად იმედგაცრუებულმა ჩაილაპარაკა: „სულერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა“ (იქვე, 126). ეს ნაწარმოები თანამედროვე ქართულ ნარატივში ბოლშევიკების მიმართ უნდობლობისა და ადგილობრივ ტრადიციებში მათი გაუცნობიერებლობის დემონსტრირებაა.

რეალურ ძალაუფლებას ბოლშევიკებმა მეორე ცდის რეალიზებისას მიაღწიეს.

1918 წლის 8 აპრილს, სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა ეშბას

თავმჯდომარეობით და ლაკობას მოადგილეობით ჩაიბარა მართვის სადავოები. ამ პერიოდში გამოვიდა პირველი ბოლშევიკური გაზეთი „სუხუმსკაია პრავდა“ (რუსულიდან ქართულად „სოხუმური სიმართლე“), მუშებისგან და გლეხებისგან დაკომპლექტებული წითელი გვარდია შეიქმნა.

საბჭოთა მმართველობამ მხოლოდ 40 დღე გასტანა და 1918 წლის მაისში მას ბოლო მოეღო, რის შემდეგაც აფხაზეთის სახალხო საბჭო აღდგა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც ძველი ისე ახალი წევრები, გავლენიანი ფენისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. მისი თავმჯდომარე ვარლამ შ(ა)ერვაშიძე იყო. საბჭომ ბათუმის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაში (11-26 მაისი, 1918) ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკასთან, კავკასიის მთიელთა კავშირთან, ოსმალეთის იმპერიის იუსტიციის მინისტრ ხალილ სამი-ბეისა და გერმანიის წარმომადგენლებთან ერთად მიიღო მონაწილეობა. ამ კონფერენციაზე ამიერკავკასიის დემოკრატიულმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი „ტფილისში, სასახლის თეთრს²⁴ დარბაზში 1918 წელს, 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევს 5 საათსა და 10 წუთზე“ გამოაცხადეს და პოლიტიკურ ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა განისაზღვრა (დიასამიძე, 2004: 16). ძალიან მალე, 2 ივნისს, აფხაზთა სახალხო საბჭომ საქართველოს დემოკრატიულ

²⁴ თეთრ სასახლეს ეძახდნენ მეფისნაცვალის ყოფილ რეზიდენციას, რომელიც მდებარეობს რუსთაველის გამზირზე. 1917-21 წლებში რესპუბლიკელების შტაბ-ბინა, საბჭოთა პერიოდის დასაწყისში მთავრობის სასახლე. 1941 წლიდან ის გადაიქცევა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლედ. ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე.

რესპუბლიკასთან ურთიერთობის საკითხზე მოლაპარაკებების წარმოების შესახებ დადგენილება გამოსცა. აქვე მომყავს მისი სრული ტექსტი:

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აფხაზეთმა დაკარგა საქართველოსთან კავშირის იურიდიული საფუძველი და ამიერკავკასიის წითელი გვარდიის რაზმი²⁵, წარმოადგენს რა ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის საჯარისო ნაწილს, აღმოჩნდა თავის სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, თუმცა ძალაუფლება მთელი სისრულით ფაქტიურად მის ხელში იყო. აფხაზთა სახალხო საბჭომ ამა იენისის ორში დაადგინა: შექმნილი მდგომარეობის გამო აიღოს თავის თავზე ძალაუფლება მთელი სისრულით აფხაზეთის ფარგლებში. ითვალისწინებს რა, რომ აფხაზეთის და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები კარნახობენ ორივე მხარეს ყველაზე მჭიდრო და სოლიდარული მუშაობის აუცილებლობას, როგორც აფხაზეთში, ისე საქართველოში ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის საქმეში, მაგრამ არანაირად არ უშვებს რა ხალხის უფლებების ხელყოფას მეზობლების მხრიდან, აფხაზთა სახალხო საბჭომ დაადგინა: მიმართოს მეგობრული წარდგინებით საქართველოს ეროვნულ საბჭოს აფხაზეთში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის საქმეში დახმარების შესახებ, საბჭოს განკარგულებაში ამჟამად სოხუმში მყოფი საქართველოს წითელი გვარდიის რაზმის დატოვებით.

რაც შეეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოცემულ საქართველოს მთავრობის განკარგულებებს, საქართველოს რესპუბლიკის სახელით სამართალწარმოების შესახებ ბრძანებულებას და მობილიზაციის შესახებ ბრძანებულებას, აფხაზთა სახალხო საბჭო

²⁵ იგივე სახალხო გვარდია.

მიიჩნევს, რომ ეს განკარგულებები შედეგია ისეთი გაუგებრობისა, რასაც შეუძლია გაამწვავოს ურთიერთობა ორ ხალხს შორის, როგორც საქართველოს, ასევე აფხაზეთის ინტერესების საზიანოდ.

აფხაზთა სახალხო საბჭო იმედოვნებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა გააუქმებს ზემოაღნიშნულ განკარგულებებს და მომავალში თავს შეიკავებს ამგვარი ნაბიჯებისგან (დიასამიძე, 2004: 16-17).

ეროვნული პროექტის განწყობები კვლავ გაჟღერდა. მიუხედავად ამისა, 11 ივნისს, საქართველოსა და აფხაზეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ქართულ ნარატივში აღქმულია, როგორც აფხაზეთის ფართო ავტონომიაზე შეთანხმება, თუმცა, ხელშეკრულების ტექსტში სიტყვა ავტონომია არსად არ ფიგურირებს (დიასამიძე, 2004: 19-20). აფხაზეთის ავტონომიის შესახებ აქტი რამდენიმე თვის შემდეგ გამოცხადდა, 1919 წლის 20 მარტის სახალხო საბჭოს სხდომაზე და მის პირველ პუნქტში ჩაიწერა: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“ (დიასამიძე, 2004: 36). აფხაზური ისტორიის სახელმძღვანელო ამ ფაქტზე საუბრისას აღნიშნავს, რომ საქართველომ მოახერხა საბჭოს 40 წევრისგან ჰყოლოდა 27 ლიად პროქართული ორიენტაციის დელეგატი, შესაბამისად მისთვის სირთულეს არ წარმოადგენა ამ „არაფრის დამავალდებულებელი“ აქტის გატანა (Бгажба & Лакоба, 2015: 344).

თავის მხვრივ, ქართული ნარატივი იკითხება გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მემუარებში. გიორგი მაზნიაშვილი (მაზნიევი) დაიბადა შიდა ქართლის სოფელ სასირეთში. მას ჰყავდა ქართველი დედა, ქრისტიანე გლურჯიძე, და რუსი მამა, ივანე მაზნიევი, რომელიც ასევე სამხედრო პირი იყო. მაზნიაშვილმა თავი გამოიჩინა რუსეთ-იაპონიის, ოსმალეთის წინააღმდეგ, პირველ მსოფლიო ომებში და სოჭის კონფლიქტში²⁶. 1937 წელს ის რეპრესირებულთა სიაში აღმოჩნდა და ის დახვრიტეს. 2013 წელს კი მას პრეზიდენტის ინიციატივით საქართველოს გმირის წოდება მიენიჭა და მისი ბიუსტი ქალაქ თბილისში დაიდგა, ხოლო ქალაქ გორში, 2008 წლის სამხრეთ ოსეთიდან დევნილების ე.წ. „ვერხვების“ დასახლებაში მისი სახელობის ქუჩაა.

მაზნიაშვილი აფხაზეთის გუბერნატორად 1918 წლის ივნისში დაინიშნა. მის მოგონებებში მან დაწერა, რომ აფხაზეთის დეპუტაციამ მას სთხოვა აფხაზეთის გათავისუფლება ბოლშევიკებისგან, მაგრამ იმის გამო, რომ მისი კომპეტენცია ოსმალეთის იმპერიასთან ბრძოლით შემოიფარგლებოდა, ის არ გამოეხმაურა ამ მიმართვას. რის შემდეგადაც, აფხაზების დელეგაცია თბილისში ჩავიდა და უკვე იქიდან, მას რაზმის გამოყოფა დაავალა (მაზნიაშვილი, 2014: 56). ხოლო 18 ივნისს მან

²⁶ 1918-1919 წლებში შეიარაღებული დაპირისპირება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, თეთრგვარდიელებსა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის. ბრძოლა მიდიოდა შავიზღვისპირა ტერიტორიებზე კონტროლის მოპოვებისკენ. რესპუბლიკის ჯარების სარდალი იყო მაზნიაშვილი, თეთრი რუსეთის არმიას ხელმძღვანელობდნენ გენერლები ანტონ დენიკინი და მიხეილ ალექსეევი. საქართველოს რესპუბლიკამ გაერთიანებული სამეფოს მედიატორობით ზავი დადო თეთრ არმიასთან, შეინარჩუნა სოხუმის ორკუთხე და რუსეთთან საზღვრად დაადგინეს მდინარე ფსოუ.

სამხედრო მინისტრისგან დეპეშა მიიღო და გაიგო, რომ ის აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავი ზღვის ნაპირების ჯარების უფროსად დანიშნეს (იქვე, 56):

7 ივნისამდე ვიმყოფებოდი ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართულ ფრონტზე. ხოლო იმ რიცხვიდან, როდესაც ბოლშევიკები გამოჩნდნენ კოდორთან და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა მათ განდევნას, ჩემი მთავრობის ბრძანებით, სათავეში ჩავუდექი ჩვენს ჯარებს, შემდეგ დავყვეი შავი ზღვის ნაპირებს და ვათავისუფლებდი ამ ადგილებს ბოლშევიკებისგან (მაზნიაშვილი, 2014: 85).

ამგვარად, ქართულ ნარატივში ეს მოვლენები შეფასებულია როგორც ლეგიტიმური და თავდაცვითი ბრძოლა არასასურველი უცხო ძალების, ბოლშევიკებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ აფხაზეთის, საქართველოს ნაწილის, გასათავისუფლებლად. აფხაზური ნარატივი რადიკალურად განსხვავებულად აღიქვამს სიტუაციას. ისტორიის სახელმძღვანელოში წერია:

გენერლის [მაზნიაშვილი] ჯარებმა [...] 1918 წლის ივნისის მეორე ნახევარში მოახდინეს აფხაზეთის ოკუპაცია.

სოხუმში ჩამოსვლისთანავე, აფხაზეთის სახალხო საბჭოსთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, მაზნიაშვილმა გამოაცხადა აფხაზეთი გენერალ-გუბერნატორად, ხოლო საკუთარი თავი - გუბერნატორად და მიითვისა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკური ფუნქციებიც.

აფხაზეთში დაიწყო ტერორი. აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრები წერდნენ: „მაზნიაშვილის რაზმები იჭრებოდნენ მშვიდობიან აფხაზურ სოფლებში და მიჰქონდათ ყველაფერი, რაც ოდნავ მაინც ღირებული იყო ... ისინი აფეთქებდნენ იმათ სახლებს, ვისაც ვინმე დაასმენდა (Куакуаскир, 2010: 201).

შესაბამისად, აფხაზური ნარატივი მაზნიაშვილის, როგორც საქართველოს რწმუნებულის, ქმედებებში უპრეცედენტო ძალადობისა და განუკითხაობის ფაქტებს ხედავს. შემდგომში, სახელმძღვანელომ ამ ოპერაციას „ინტერვენციული აქტი“ უწოდა და 1992 წლის 14 აგვისტოს ომის დაწყებას შეადარა (Бражда & Лакоба, 2015: 392), ხოლო 1951 წელს ფირუზ ქაზეშაძემ მეოცე საუკუნის 20-იან წლებზე დაწერა: „სულ რაღაც ორიოდ წელიწადში საქართველო, რუსეთის ყოფილი კოლონია, თავად იქცა მცირე იმპერიად“ და მისი იმპერიალიზმი რუსეთის იმპერიალიზმისგან მხოლოდ მასშტაბებში განსხვავდება (2016: 253).

ქრონოლოგიურად, ჯერ აგვისტოში სახალხო საბჭო დაარბიეს. სახელმძღვანელოში ეს აქტი „რეორგანიზაციად“ შერაცხეს, რაც საქართველოსთვის „არასასურველი დეპუტატების“ „თურქოფილიის“ დაბრალებასა და მათთვის „მისაღები კანდიდატებით“ ჩანაცვლებაში გამოიხატა (Куакуаскир, 2010: 202). ეს „მისაღები“ დელეგატები აირჩიეს 1919 წლის თებერვალში, რაც ფაქტობრივად, აფხაზეთის ისტორიაში პირველი დემოკრატიული და პირდაპირი არჩევნები იყო, ხოლო აფხაზური დისკურსის მიხედვით: საქართველოს უხეში ჩარევით პროქართული აფხაზეთის მესამე სახალხო საბჭოს ფორმირება.

ზუსტად ამ პერიოდში ბოლშევიკური მოძრაობები აფხაზეთში იატაქქვემა გახდა. ლაკობა და ეშბა „კიარაზელებს“ ჩაუდგნენ სათავეში და მენშევიკების წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა. მათმა მოღვაწეობამ, განსაკუთრებით სტალინის გარდაცვალების შემდეგ ლაკობას აბსოლუტურ გმირად შერაცხვამ, აფხაზური

ნაციონალიზმის განვითარებაზე, დისკურსზე და პრიორიტეტებზე, როგორც საბჭოთა კავშირის არსებობის 70 წლის განმავლობაში, ისე 90-იანების ომის პერიოდზე და თანამედროვე რეალობაში დიდი ზეგავლენა მოახდინა. სხვადასხვა დოზით, მაგრამ ორივე, როგორც საბჭოთა ნაციონალიზმის, ისე აფხაზური ეროვნული პროექტის ავტორიც და პროდუქტიცაა. ორი აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანი ხასიათით, წარმომავლობით, განათლებით, მიზნებით, კარიერული გზით. პოლიტიკური საქმიანობის საწყისს ეტაპზე მათი გზები გადაიკვეთა, ისინი თანამშრომლობდნენ და ერთობლივად მოქმედებდნენ. 20-იან წლებში მათი აზრები გაიყო და ისინი ღიად თუ ფარულად შეეწინააღმდეგნენ ერთმანეთს. 30-იან წლებში ორივე საბჭოთა სისტემამ მოიცილა თავიდან.

ნესტორ ლაკობა დაიბადა 1893 წლის 1 მაისს, სოფელ ლიხნში, გლეხის ოჯახში. მამა მის დაბადებამდე გარდაიცვალა. მას და მის ორ ძმას ზრდიდა მარტოხელა დედა. სახლში მას ეძახდნენ ჩანაგვს ²⁷, ხოლო პარტიაში მას „ადაგუა“ შეარქვეს, რაც აფხაზურად ყრუს ნიშნავს. ნესტორს ჰქონდა დაქვეითებული სმენა, რის გამოც ის სასმენ აპარატს ატარებდა. ლაკობას განათლება ახალი ათონის საეკლესიო სამრევლო სკოლაში დაიწყო, რის შემდეგაც მან ლიხნის ორწლიანი სკოლა დაამთავრა და 12 წლის ასაკში თბილისის სასულიერო სასწავლებელში გაემგზავრა, რომლის დასრულების შემდეგ, იქვე, სემინარიაში გააგრძელა სწავლა. სემინარიის დამთავრება

²⁷ შესაძლოა სხვადასხვა ინტერპრეტაცია, მაგალითად ჩნაგუა, ჩნაგუ, ჩანაგუ. აფხაზი მწერალი, მიხეილ ლაკერბა, ზუსტად ამ სახელით მოიხსენიებს მას თავის მოთხრობებში „ჩანაგვი“, „ხალხის შვილი“, „მაღაკრიფა“.

მან ვეღარ შეძლო, რადგან რევოლუციურ წრეებთან მჭიდრო კავშირის გამო გარიცხეს. ის ბათუმში გაემგზავრა და სრულფასოვანი ბოლშევიკური კარიერა დაიწყო. ის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბოლშევიკების რადიკალური ფრთის წევრი სწორედ ბათუმში 1912 წელს გახდა. „ბათუმი ერთადერთი ქართული ქალაქი იყო, სადაც ბოლშევიკებს სერიოზული გავლენა ჰქონდათ მოსახლეობაზე“ (ქაზეშაძე, 2016: 250). პრობლემებმა პოლიციასთან არ დააყოვნა და მან ჯერ გროზნოში რეალურ სკოლაში²⁸ ისწავლა და შემდგომ ქ. ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა, თუმცა ფინანსური სირთულეების გამო მან სწავლა ვერ დაასრულა და აფხაზეთში დაბრუნდა. აქ მან ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელება აქტიურად გააგრძელა. 1916 წელს მან ბოლშევიკური ორგანიზაცია გუდაუთაში დააფუძნა და 1917 წელს „კიარაზის“ სულისჩამდგმელი და ლიდერი გახდა. 1918 წელს სოხუმში შექმნილი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა დაიკავა. სოჭის კონფლიქტის დროს ის საქართველოს რესპუბლიკის ჯარმა ტყვედ აიყვანა და სოხუმში სასჯელის მოსახდელად გააგზავნა. ის საქციელის „მონანიების“ გამო ციხიდან მალევე გამოუშვეს, ოჩამჩირის უბნის მილიციის კომისრადაც აირჩიეს, თუმცა მან ბოლშევიკური საქმიანობა გააგრძელა და აფხაზეთი ისევ დატოვა. ემიგრაციაში მყოფი ლაკობა ყუბან-შავიზღვისპირეთის სსრ-ს აღმასკომში დაინიშნა და რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მხარდაჭერით

²⁸ Realschule იყო გერმანიაში შექმნილი საშუალო ან არასრული საშუალო განათლების სკოლის მოდელი, რომლის ფოკუსიც იყო მათემატიკა და საბუნებისმეტყველო საგნები.

1920 წელს ბათუმში იატაკქვეშა ბოლშევიკურ აქტივობებს ლიდერობა კვლავ გაუწია (Kapba, World Abaza Congress ²⁹).

რაც შეეხება ეფრემ ეშბას, ის დაიბადა 1893 წლის 7 მარტს სოფელ (აგუ)ბედიანში, აზნაურის ოჯახში. მანაც მამა ადრეულ ასაკში დაკარგა და დარჩენილ 5 შვილს მარტოხელა დედა ზრდიდა. მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ არ იყო სასკოლო ასაკის თავის უფროს დედმამიშვილებთან ერთად ის ბედიის ერთწლიან საეკლესიო-სამრევლო სკოლაში დადიოდა. შემდეგ მან სოხუმის მთის სკოლაში ჩააბარა და სწავლა ჯერ ქუთაისის და მერე თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში გააგრძელა. იქვე ის რევოლუციური წრეების წევრი გახდა, რასაც სკანდალი მოჰყვა, თუმცა მან სასწავლებელი მაინც წარჩინებით დაამთავრა. ამის შემდეგ მან მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა, რომელიც ბოლშევიკური საქმიანობის გამო ვერ დაამთავრა. 1914 წელს ის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრი გახდა. პარტიაში მას ზედმეტსახელად „ფარვანა“ შეარქვეს. 1916 წელს ამ აქტივობების გამო ის დააკავეს, თუმცა მტკიცებულებების არქონის გამო მალევე გამოუშვეს და მან ტრაპზონში გამგზავრება გადაწყვიტა. თურქეთიდან ის ჯერ ბათუმში ჩამოვიდა და თებერვლის რევოლუციის მერე უკვე სოხუმს მიაშურა, სადაც

²⁹ აფხაზი საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფიული ცნობარის შესახებ ინფორმაციისთვის ძირითადად ვხელმძღვანელობ რამდენიმეწევრიან ვებ-გვერდით „აბაზინების მსოფლიო კონგრესი“ (World Abaza Congress). ყველა სტატიაზე მითითებულია მისი დაწერის წელი, თუმცა კონკრეტულად ლაკობას სტატია არის ამ კუთხით გამონაკლისი, ამიტომაც წელი არ მაქვს მითითებული ფრჩხილებში.

ჯერ სოხუმის კომიტეტის და შემდგომ მუშათა საბჭოს თავმჯდომარე გახდა (Kapba, 2019).

1917-1921 წლებში ლაკობა და ეშბა ერთი გუნდის წევრები იყვნენ. 1920 წლის დეკემბერში მათ დავალება ლენინისგან მიიღეს და თურქეთში მოლაპარაკებებზე გაემგზავრნენ. 1921 წლის 4 მარტს სოხუმში საბჭოთა მმართველობა საბოლოოდ დამყარდა და 6 მარტს აფხაზეთის რევკომი, უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანო ჩამოყალიბდა. მისი თავმჯდომარე ეფრემ ეშბა იყო, ხოლო მისი ორი მოადგილე: ნესტორ ლაკობა და ნიკოლოზ აქირთავა³⁰.

2.3 მშვიდობიანი გამოზომილი ცხოვრების მცირე კუნძული: 1921-1931 წლები

საქართველოს მთავრობის აგრესიულმა შოვინისტურმა პოლიტიკამ გამოიწვია აფხაზი, რუსი, სომეხი, ბერძენი, მეგრელების დიდი ნაწილის უკიდურესი უკმაყოფილება, რამაც გააიოლა მხარეში საბჭოთა მმართველობის დამყარება 1921 წლის 4 მარტს. აფხაზეთის ხალხმა ახალი მმართველობა აღიქვა როგორც საქართველოს რესპუბლიკის რეპრესიებისა და შეიარაღებული ჩარევისგან გათავისუფლება. ამავდროულად, 1918-1921 წლების დემოკრატია, რომელსაც ჰქონდა სოციალ-დემოკრატიის დიქტატურის ფორმა, ე.ი.

³⁰ ნიკოლოზ აქირთავა (1894 -1937) - აფხაზი საბჭოთა პოლიტიკური ფიგურა. არ განვიხილავ მის ბიოგრაფიას ცალკე, რადგან მისი რევოლუციური ბოლშევიკური საქმიანობა ხორციელდება ძირითადად უკრაინის ტერიტორიაზე და მისი შემხებლობა აფხაზეთთან უკვე საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ ფიქსირდება.

მარქსიზმის მემარჯვენე ფრთა, ქართული საბჭოთა დიქტატურის ზეიმისთვის მოსამზადებელი პერიოდი იყო (Бгажба & Лакоба, 2015: 352).

საბჭოთა მმართველობას ჰქონდა თავისი თავისებურებები მხარეში და მას მასობრივი ტერორი არ ახასიათებდა. საქართველოს რესპუბლიკის ბოლოდროინდელ ბატონობასთან (владычеством) შედარებით ის უფრო მოქნილი აღმოჩნდა. [...] იმ პერიოდში, აფხაზეთი ნამდვილად მშვიდობიანი, გამოზომილი ცხოვრების მცირე კუნძული იყო (Бгажба & Лакоба, 2015: 354).

ეს ამონარიდი აფხაზური სახელმძღვანელოდან საუბრობს კორენიზაციის პოლიტიკის ეფექტიანობაზე და აფხაზეთში მშვიდობის დამყარების ინსტრუმენტად მიიჩნევს მას. კორენიზაცია (გაფესვიანება) საბჭოთა მმართველობის პირველი დეკადის „სავიზიტო ბარათია“. მან ხელი შეუწყო ერთი მხრივ, ცენტრსა და პერიფერიას შორის პატრონ-კლიენტური ურთიერთობის ჩამოყალიბებას და მეორე მხრივ, „ეროვნული თვითშეგნების აღმავლობას არა რუსი ეროვნების ხალხებში, რომელთაც მიიღეს ტიტულარული ნაციის სტატუსი“ (Кульчицкий, 2014: 190). ეროვნულობის, ან ეთნიკურობის ინსტიტუციონალიზაციის მოთხოვნილება და მოთხოვნა გაჩნდა, რასაც მოყვებოდა ცენტრიდან დაფინანსება. აფხაზეთში ამ პროექტების შემოქმედისუბიექტები კვლავ ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა იყვნენ, ხოლო ობიექტები და პროდუქტები, აფხაზეთის კონსტიტუცია (1925), აფხაზეთის

სტატუსის საკითხი, თბილისის გვერდის ავლით მოსკოვთან კომუნიკაცია, ტერიტორიისა და პოლიტიკური თანამდებობების გაეთნიკურება.

ამ პროექტების ავტორების ურთიერთკავშირი, მსგავსების მიუხედავად, ძირითადად, პრაქტიკოსისა და იდეალისტის ანტაგონიზმითაა გამოკვეთილი. ნესტორ ლაკობა საკითხს რეალისტურად მიუდგა. მან ბოლშევიკური ხედვა მცირე ერების მიმართ გაანალიზა: ტიტულარული ერის სტატუსს მოჰყვებოდა კულტურული და პოლიტიკური პრივილეგიების პაკეტი და რაც მთავარია, „ეროვნული“ ტერიტორია ხალისდებოდა საკუთარი სახელმწიფოს შექმნისკენ (Blauvelt, 2014: 22). მან საკუთარი შესაძლებლობები ამ პრივილეგიების ადრესატობისთვის შეაფასა და „ეროვნული პრაგმატიკოსის“ (Jones, 2013) როლი მოირგო. ლაკობამ „საბჭოთა რივიერაში პატრონ-კლიენტური ურთიერთობის მინი მოდელი შექმნა და დღეს ის აფხაზების გმირია, დაჩაგრული რაინდი, რომელმაც აფხაზებს არარსებული თავისუფლება აგრძნობინა და რომელიც თბილისში ვერაგულად მოკლეს“ (ჯიშკარიანი, 2017). პატრონ-კლიენტური ურთიერთობა ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინებით მოიხსენიება: კლიენტალიზმი, ორმხვრივი კონტრაქტი, პერსონალური ქსელი (*clientelism, dyadic contract, personal net-work*) (Scott, 1972: 92), ორმხვრივი ალიანსი, ურთიერთდახმარების დიადა (*dyadic alliance, mutual-aid dyad*) (Landé, 1983: 447). მარკეტინგისგან პოლიტიკურ მეცნიერებებში ნასესხები კონცეფცია გულისხმობს:

ორ პიროვნებას შორის მეგობრობაზე დაფუძნებული კავშირის განსაკუთრებულ შემთხვევას, სადაც უფრო მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ინდივიდი

(პატრონი) იყენებს თავის გავლენასა და რესურსებს რათა უფრო დაბალი სტატუსის პიროვნებისთვის (კლიენტისთვის) უზრუნველყოს მფარველობა ან სარგებლის მიცემა, ან ორივე, რისთვისაც კლიენტი სთავაზობს პატრონს ზოგად მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ შორის პირად სერვისებს (Scott, 1972: 92).

„პატრონის მანიპულატორი, ოპერტუნისტი“ ლაკობასგან განსხვავებით, ემზა ლენინის იდეებით სულით ხორცამდე გამსჭვალული იყო და მას გულით სწამდა რომ აფხაზეთის თუნდაც ფორმალური, პროვიზორული და ხანმოკლე დამოუკიდებლობა ისტორიულად უმნიშვნელოვანესი ფაქტია, რომელიც სამომავლოდ წადგება მის სრულფასოვან სახელმწიფოებრიობას (Blauvelt, 2014: 38). თავის გამოუქვეყნებელ მემუარებში მან გაიხსენა, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას თბილისში „თვეების განმავლობაში ეხვეწებოდა თუნდაც ფიქტიურ ავტონომიას [...] ავტონომიის ნამცეცხვს [...] და ესეც ვერ მიიღეს“ (კურსივი ჩემია), ამიტომაც მას თავისი წვლილი ამ საკითხში ეამაყებოდა (ციტირებულია Blauvelt, 2014: 29). მან დააყენა აფხაზეთის სტატუსის პრობლემა ორჯონიკიძესთან, რომელმაც მისი განხილვა 1921 წლის 28-29 მარტს ბათუმის კონფერენციაზე შესთავაზა. აფხაზური რევოლუციური კომიტეტი სამ ძირითად მოთხოვნას აყენებდა: (1) აფხაზეთის აღიარება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, (2) რუსეთის ფედერაციაში მისი მიკუთვნება და (3) თავადობისა და გლეხობის მიმართ ზომიერი პოლიტიკის განხორციელება (Сагария, 1981: 41-42). ბათუმის თათბირის ოქმის დადგენილებაში ჩაიწერა: „აფხაზეთის საბჭოების ყრილობამდე საკითხი საბჭოთა აფხაზეთის ფედერაციაზე რსფსრ-ს ან საქართველოს

სსრ-თან ღიად რჩება და აფხაზეთი ცხადდება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად“
(დიასამიძე, 2004: 66).

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-აფხაზეთი ურთიერთობების ფორმაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იყო მიღებული, 31 მარტს ეშბამ, ლაკობამ და აქირთავამ უკვე მიმართეს ლენინსა და სტალინს სოხუმიდან შემდეგი რადიოგრამით:

*მშრომელთა ნებით ახალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა - აფხაზეთი - დაიბადა ...
პატარა ხალხის საბჭოთა რესპუბლიკა წითელი არმიის დიადი განმათავისუფლებელი
როლის თვალსაჩინო მაგალითი და ახალი სილაა, რომელიც დიდმა ოქტომბრის
რევოლუციამ პატარა ერების მჩაგვრელებს - ყველა ქვეყნის იმპერიალისტებსა და მათ
ლაქებს - სოციალ-გამყიდველებს გააჩნა (Дзидзария, 1967: 53).*

ამ მიმართვიდან და სახელმძღვანელოს ამონარიდებიდან ჩანს, რომ იმ პერიოდის აფხაზეთი ნაციონალიზმი ღიად და დეკლარირებულად „მენშევიკი“ ქართველების წინააღმდეგ იყო მიმართული. ისინი საქართველოს რესპუბლიკაში აგრესორს, იმპერიალისტს, ტერორის განმახორციელებელს, მჩაგვრელს ხედავდნენ და მის საპირწონედ, ბოლშევიკები მხსნელები და აფხაზეთში „მშვიდობიანი გამოზომილი ცხოვრების მცირე კუნძულის“ შემქმნელები გამოდიოდნენ. 1921 წლის 28 მაისს, აფხაზეთის მშრომელთა პირველ ყრილობაზე ლაკობამ თქვა: „ყრილობა გამოხატავს მტკიცე ნებას ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა ყველაზე მჭიდრო კავშირისა და ძმობისადმი და უპირველესად კულტურულად, ეკონომიკური

და გეოგრაფიული მდგომარეობით და ყოფით ყველაზე ახლოზე საბჭოთა საქართველოს მუშებსა და გლეხებთან“ (დიასამიძე, 2004: 67). იგივე შეხვედრაზე, ეშბამ მენშევიკების მიერ ქართველებსა და აფხაზებს შორის დათესილი „ეროვნული შუღლის აღმოფხვრის“ აუცილებლობასა და „ძმური კავშირისთვის“, „ძმური თანამშრომლობისთვის“ საბოლოო ფორმის ხორცშესხმის საჭიროებას გაუსვა ხაზი (იქვე). 90-იანებში, ომის შემდეგ, აფხაზურმა ნარატივმა „ძმობის“ დისკურსი ძირფესვიანად ამოიღო, ხოლო ქართულმა ნარატივმა, პირიქით, კიდევ უფრო განამტკიცა და გაასაკრალურა.

ტოტალური ძმობისა და მეგობრობის ნარატივი ზემოთ ნახსენები *კორენიზაციის* პერიოდის ფაბრიკატია. *კორენიზაცია* არის საბჭოთა მმართველი შრეებისა და საბჭოთა პროექტის მამების მიერ მოფიქრებული მექანიზმი, რომელიც გარეგნულად დერუსიფიკაციას ემსახურებოდა. თუმცა, რეალურად საბჭოთა მმართველობის დამყარებისკენ, ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის მოპოვებისა და მათგან ფორმალური ლეგიტიმაციისკენ იყო მიმართული. „მან [სტალინმა] 1920-იანებში „კორენიზაციის“ პროცესი ცენტრალური ძალაუფლების გაზრდისთვისა და ავტონომიების რეალური ძალაუფლების შესუსტებისთვის პარადოქსულად გამოიყენა“ (Cornell, 2001: 42). თითოეული ერის უნიკალურობა იყო შირმა, რომელსაც *კორენიზაცია* ახალისებდა, ქმნიდა. ერებს შორის შეხმატკბილებულობის იდეა რეალურად პანსაბჭოური წესრიგისთვის პრაქტიკული კონტროლის განხორციელებით იყო ნაკარნახევი. საბჭოთა იმპერიის კოლაფსის შემდეგ ეთნიკურ

ნიადაგზე უამრავი კონფლიქტი, სირთულე და პრობლემა *კორენიზაციის* ძალდატანებით, ფორმალურ და საზიანო ხასიათზე ნათლად მიუთითებს.

კორენიზაციამ კავკასიას დიდი დალი დაასვა და 90-იან წლებში ნაციონალისტურ რიტორიკაშიც აისახა (Blauvelt, 2014). ხაზგასმული „სიყვარული“ და „დაინტერესება“ ადგილობრივების მიმართ, იქნებოდა ეს ენა, ფოლკლორი, რელიგია, ტრადიციები თუ სხვა სოციალური შემადგენლობა ამ პრინციპის ეფექტიანი მუშაობისთვის აქტიურად გამოიყენებოდა. ამას პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა: სათქმელის (კომუნისტური იდეოლოგიის) მიტანა და ადამიანების „ანთება“ ამ იდეით მხოლოდ მათ ენაზე საუბრით, როგორც ლინგვისტური ისე კულტურული გაგებით იყო შესაძლებელი (Slezkine, 1994; Blauvelt, 2014). ლენინმა ამ მეთოდით ინსპირაცია მიიღო ნიკოლაი ილმინსკისგან, რომელიც რუსი თურქოლოგი და რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მისიონერი იყო. მას მიაჩნდა, რომ არაქრისტიან მოსახლეობაში ეკლესიის მიმართ ერთგულების ჩანერგვა უფრო ეფექტიანია მათ მშობლიურ ენაზე ინფორმაციის მიწოდების/ქადაგების საშუალებით. ილმინსკის მეთოდი ან სისტემა შემდგომში *კორენიზაციის* დროს ფართოდ გამოიყენებოდა და ის ცნობილია ფორმულით: „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“. ეს იყო „ენის, „კულტურის“, ტერიტორიისა და კვოტირებული-სახსრების ბიუროკრატიის სახელმწიფოსგან დაფინანსებული ამხანაგობა“ (Slezkine, 1994: 414). პირველი სამი ელემენტი ეთნიკურობის განმსაზღვრელი იყო და მეოთხე ის შედეგი, ბენეფიტი რასაც ცენტრისგან „ეთნიკურობის“ დამტკიცების შემთხვევაში იღებდნენ.

ამავდროულად, თუ რა ელემენტებისგან შედგებოდა ეთნიკურობა მკაცრად გაწერილი არ იყო. “სოციალური კონფლიქტისგან თავისუფალ ქვეყანაში, ეთნიკურობა ერთადერთი მნიშვნელოვანი იდენტობა იყო” (Slezkine, 1994: 449). ცარისტულ რუსეთში ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი იდენტობის განმსაზღვრავი რელიგია იყო (იქვე: 426). კომუნიზმი დეკლარირებულად ათეისტურ მოძღვრებად ითვლებოდა, ამიტომაც კატეგორიზაცია სხვა ნიშნით უნდა მომხდარიყო. ასეთ ვითარებაში, **მშობლიური ენის** გაპოლიტიზირება გახდა აქტუალური. ამას დაემატა ნიკო მარის თეორია „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ სხვანაირად იაფეტური თეორიის შესახებ. ამ უკანასკნელის სახელის წარმომავლობა დაკავშირებულია ბიბლიური ნოეს უმცროს შვილთან, რომელსაც ერქვა იაფატი. თავად ლინგვისტი მას თეორიას არ ემახდა, რადგან მიაჩნდა რომ ის მხოლოდ უკვე არსებულ მასიურ ენობრივ მასალებს აყალიბებდა (Mapp, 1925: 11). ეს მოძღვრება ენათა ნათესაობის დამტკიცებას ცდილობდა. ის განიხილავდა ენას, როგორც „ზედნაშენს“, კლასობრივ კატეგორიას, შესაბამისად, „ბურჟუაზიულ მეცნიერებას“ (Mapp, 1925). მისი იდეები კარგად ესადაგებოდა ბოლშევიკურ მიდგომებს. სავარაუდოდ, ამით აიხსნება მათი ასეთი პოპულარულობა. მარი გლოტოგონიას (ენის წარმოშობა) ეთნოგენეზთან (ხალხების წარმომავლობა) აკავშირებდა (იქვე: 11). ის „ეთნიკური პირველყოფილობის“ (რუს. *этническая первобытность*) დამტკიცებას ცდილობდა და ტომური კომპოზიციის მარკერად ენას განსაზღვრავდა (Slezkine, 1994: 427-428). დღეს მისი არგუმენტები მეცნიერულად დაუსაბუთებლადაა მიჩნეული. მშობლიურ ენაზე არმოსაუბრე ხალხები „ნაციონალიზმდაკარგულად“ (*denationalized*) აღიქმებოდნენ, რაც

მშობლიური ენის იძულებით სწავლის პოლიტიკას აყალიბებდა (Slezkine, 1994: 428; Кульчицкий, 2014). ამავდროულად, არ იყო მნიშვნელოვანი თუ რამდენად იყო ამის მოთხოვნა - „მიწოდებას უნდა წარმოეშვა მოთხოვნა (ან მიმწოდებლებს ის უნდა შეექმნათ)” (Slezkine, 1994: 432).

შემდეგი ნიშანი იყო **კულტურა**, კრებითი სახელი ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და ყოფითობის (ყოველდღიური ცხოვრების). ამ კატეგორიის დაკმაყოფილებისთვის ერს კუმულატიურად უნდა დაემტკიცებინა საკუთარი მრავალფეროვნება (*разнообразие*) და უნიკალურობა (*своеобразие*) (Slezkine, 1994: 433). როგორც ჩანს, ეს სავარჯიშო რთული არ იყო. ამის დასტურია იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში ეთნიკურობის რიცხვის უპრეცედენტო ზრდა. ეს ხანა შეფასებულია, როგორც „ეთნიკურობის ნაყოფიერების ნადიმი, პარტიის მიერ დაფინანსებული უხვი ეროვნული კარნავალი“ (Slezkine, 1994: 439). ინტერნაციონალიზმი, *homo sovieticus*, „ხალხთა შორის მეგობრობა“ ნაძალადევი და დოგმატური იყო. „უფესვო კოსმოპოლიტანიზმის“ (*rootless cosmopolitanism*) პირობებში *კორენიზაცია* „ფესვებთან“ მიკუთვნებულობის საიმედო დასაყრდენად ესახებოდათ (Slezkine, 1994: 448).

სისტემა იმგვარად მუშაობდა, რომ პრივილეგიების მისაღებად საკუთარი სიძველის, კულტურული სიმდიდრის, ფოლკლორის განსაკუთრებულობის, ისტორიული მნიშვნელობის, ავტოქტონობის, „კონკრეტულ ტერიტორიაზე ბუნებრივი და ღვთიური უფლებების ქონის“ (*კურსივი ჩემია* Svasek 2002: 498)

დამტკიცება იყო საჭირო. ეს „ძირძველობის მტკიცებულება“ პოლიტიკურ იარაღად და სელექციური „ბინადრობის უფლების“ მინიჭებით ერთი ერისთვის მეორე ერის საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა (Renan, 1882). ისტორიოგრაფია (Шнирельман, 2003), „პატრიოტი ინტელექტუალების“ ეთნოგენეზის შესახებ ნააზრევია (Smith et al., 1998: 49), „ტრადიციის გამოგონება“ (Hobsbawm, 1983; Slezkine, 1994) ნაციონალიზმის ინსტრუმენტიც და პოლიტიკური ლეგიტიმაციის წყაროც გახდა (Batiashvili, 2018; Yurchak, 2006). ადგილობრივი მოაზროვნეებისა და სახალხო კომისარიატების წარმომადგენლების მისია იყო დაემტკიცებინათ საჭიროება და ცენტრისგან მოეთხოვათ რაც შეიძლება მეტი ინსტიტუციური ავტონომია, ოფისი და დაფინანსება (Slezkine, 1994: 422).

ლენინი (1914) რუსული შოვინიზმის თეორიას ავითარებდა და რუსეთის იმპერიის პერიფერიებში აღმოცენებული პრობლემების მთავარ მიზეზად სწორედ ის მიაჩნდა. აქედან გამოსავლად ის განიხილავდა თვითგამორკვევას, რომელსაც გამოყოფასთან აიგივებდა. ეს გადაწყვეტილება უნდა მიეღო ადგილობრივ წარმომადგენლობას, იქნება ეს პარლამენტი, სეიმი, რეფერენდუმი თუ სხვა. „ეროვნულ მხარეებში საბჭოთა მმართველობის დამყარებისას, ბოლშევიკების ბელადები მზად იყვნენ მათთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოების სტატუსიც მიენიჭებინათ“ (Кульчицкий, 2014: 186). ლენინი თვითგამორკვევას უპირისპირებს ნაციონალურ სახელმწიფოს, როგორც კაპიტალიზმის დაკვეთას, რომელიც ითხოვს მხოლოდ კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას და ეწინააღმდეგება სეცესიას. ლენინსთვის ეს

მზავრელი ერისთვის ჩავრის გაგრძელებისთვის, ფეოდალიზმის შენარჩუნებისთვისა და მზავრელი ნაციის აბსოლუტიზმისთვის ხელების გახსნაა. ლენინი ნაციონალიზმს შხამს ეძახის და ეყრდნობა რა კარლ მარქსს, ამტკიცებს, რომ ეროვნული საკითხი ვერ იქნება მუშათა კლასის პრიორიტეტი და ნებისმიერი ფორმით გამოვლენილი ეროვნულობა არის წარსულის გადმონაშთი და პროლეტარიატის გამარჯვებამ კაცობრიობა ეროვნული ქვენაგრძნობებისაგან უნდა გაათავისუფლოს. და ბოლოს, ის მეტწილად რუსების დომინაციას ებრძვის და პროლეტარიატის გაერთიანებას მსოფლიო მასშტაბით, ანუ ინტერნაციონალიზმისკენ სწრაფვას ქადაგებს, რაც მისთვის ბურჟუაზიულ მისწრაფებას, ეროვნულ იზოლაციას, უპირისპირდება.

ამგვარად, პატარა ერების თვითგამორკვევა პერიფერიებში პრობლემების მოსაგვარებელ პანაცეად იყო მიჩნეული. ხოლო ეთნიკურობა ბიოლოგიურ კატეგორიად, რომლის შეცვლაც შეუძლებელია. „თითოეული ინდივიდი თავისი ეროვნებით, ხოლო ერების უმეტესობა თავისი საზღვრებით იყო შეზღუდული“ (Slezkine, 1994: 444). ამ იდეოლოგიის მიხედვით თეორიულად თვითგამორკვევა „ხალხის უმაღლესი კოლექტიური უფლებაა იყოს დამოუკიდებელი და სუვერენული“, თუმცა მისი პრაქტიკული განხორციელება არ იყო აუცილებელი. რაც განსხვავდებოდა ავსტრიული, - იგივე დასავლური მიდგომისგან, სადაც თვითგამორკვევა „კულტურული იდენტობის შენარჩუნებისთვის ადამიანის ინდივიდუალური უფლებაა“ (ქარჩავა და ჩხეტიანი, 2018).

საბჭოთა კავშირის ამგვარმა მოწყობამ და გარემო პირობებმა შექმნეს აფხაზური ნაციონალიზმის თვითშეგნებაში იდეა, რომ ნანატრი აფხაზური ერი-მშენებლობისა და საკუთარი სახელმწიფოებრიობის რეალიზების დრო მოვიდა. თანამედროვე აფხაზურ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ 20-იანი წლების ნაციონალური მოძრაობის ლიდერების ლოკომოტივი და უპირატესი საზრუნავი იყო ეროვნული პროექტი და არა რევოლუციის გამარჯვება (Kapba, 2019). ხოლო ქართულმა ნარატივმა ზუსტად ამგვარი ტომური ნაციონალიზმის წახალისების პოლიტიკაში დაინახა შენელებული მოქმედების „ბომბები“ და „ეთნო მანქანები“, რომლებიც მის წინააღმდეგ 90-იანებში ამოქმედდა (Derluguian, 1998).

ნესტორ ლაკობა, *კორენიზაციის* პერიოდში, აფხაზეთში პირველი პირი, სახალხო კომისარების საბჭოს პირველი თავჯდომარე იყო. გრიგორი ზინოვიევი, - თბილისში დაბადებულმა ებრაელმა ბოლშევიკმა და ლენინის ახლო მეგობარმა, გაიხუმრა, რომ აფხაზეთს უნდა დაერქვას ლაკობისტანი (Рихтер, 1924: 98). ლაკობას შესამჩნევ დომინაციას სტალინთან მის პირად კავშირებს მიაწერდნენ. ცნობილი ხუმრობის მიხედვით, იოსებმა უთხრა ნესტორს: „მე - კობა და შენ - ლაკობა“ (Kapba, World Abaza Congress). აფხაზური ნარატივის მიხედვით, ამ იდილიის დამრღვევი შურიანი და აფხაზეთის „გაქართველებით“ შეპყრობილი ლავრენტი ბერია იყო (Абдус-оглы, 2009). ის ლავრენტი ბერია, რომელიც ლაკობამ სტალინს პირადად გააცნო და

კარიერული დაწინაურებისთვის რეკომენდაცია გაუწია. ამანაც არ შეაჩერა ჯალათი³¹ და მან ის თბილისში ვიზიტისას საკუთარ სახლში სუფრაზე ციანიდით მოწამლა (Kapba, World Abaza Congress). ეს ექვი მტკიცებულებებით ჯერ არ დასტურდება (ხვადაგიანი, 2019), თუმცა არც სხვა დამაჯერებელი ოფიციალური ვერსია არსებობს. აფხაზურ ნარატივში კი ეს „ქეშმარიტებაა“ (ჯიშკარიანი, 2017), რომელსაც ალტერნატივა არ აქვს.

ლაკობას ერთპიროვნული ლიდერობა იმიტაც იყო განპირობებული, რომ ლენინის ერთგული და სტალინის არ მოყვარე ეფრემ ეშბა ძალიან მალე ჩამოაშორეს აფხაზეთს. უკვე 1922 წელს ის თბილისში, იდეოლოგიის დარგში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე გადაიყვანეს. შემდეგ მან სწავლა მოსკოვში, წითელი პროფესორების ინსტიტუტში³² გააგრძელა. ამის მერე ლონდონში, ბრიტანეთსა და სსრკ-ს შორის სავაჭრო ურთიერთობის სფეროში მუშაობდა. 1927 წელს მას ტროცკიზმი დაბრალდა, რასაც მისი პარტიიდან გარიცხვა მოჰყვა, თუმცა, ერთი წლის მერე ის აღადგინეს და ჩეჩნეთის ავტონომიური ოლქის პარტიის მდივნად დანიშნეს. საზღვარგარეთ მას კიდევ ერთხელ მოუწია წასვლა, ამჯერად ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც კვლავ სავაჭრო სფეროს კურირებდა.

³¹ ამ ეპითეტით ბერიას აფხაზურ აკადემიურ ნაშრომებში თუ მხატვრულ ნაწარმოებებში საკმაოდ ხშირად მოიხსენიებენ. ჯალათის სინონიმად ასევე ხშირად გამოიყენება ეშმაკი ან დემონი. მაგალითად, შალოდია აჯინჯალმა, აფხაზმა მწერალმა, ბერიას შესახებ დოკუმენტურ-მხატვრულ რომანს „დემონი მახვილით“ დაარქვა.

³² უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომლის მიზანი იყო კომუნისტური პარტიისთვის მოემზადებინა შესაბამისი იდეოლოგიის მქონე კვალიფიციური კადრები, როგორც მმართველობაში, ისე განათლებაში.

დაბრუნების შემდეგ ის სსრკ-ს მძიმე მრეწველობის კომისარიატში მუშაობდა. 1936 წელს ის დააპატიმრეს და 1939 წელს მოსკოვში დახვრიტეს (Kapba, 2019; ხვადაგიანი, 2019).

ჩეჩენმა ისტორიკოსმა, აბდურახმან ავტორხანოვმა, წლების მერე თავის მემუარებში ეშბა ასე დაახასიათა:

ეგრემ ეშბა, ეთნიკურად აფხაზი, სულგრძელი და შარმიანი პიროვნება იყო. ის იყო იმ ევროპულად განათლებული ცოტა კავკასიელთაგანი, რომლებიც რევოლუციონერთა რიგებში ჰუმანიზმის იდეალების გამო ჩადგნენ. [...] [ეშბა] შეხვედრია ლენინს, პირადად იცნობდა სტალინს და მეგობრობდა ორჯონიკიძესთან. ეშბა აფხაზეთის პირველ „ავტონომიურ“ მთავრობას თავკაცობდა. მალე სტალინმა ის შეცვალა თავისი კაცით - ლაკობათი, რომელიც ბერიას ჯერ კიდევ „დიდი წმენდის“ დაწყებამდე მოაკვლევინა. სტალინი მუდმივად დევნიდა ეშბას, იქამდეც სანამ ეშბა ოპოზიციონერებს შეუერთდებოდა, მხოლოდ ერთი რამის გამო: ლენინის ფანატიკურად ერთგული ეშბა სტალინში ჯერ კიდევ გაუმხილებელ კრიმინალს ხედავდა (Авторханов, 1983: 112-113).

ლაკობას დროინდელ აფხაზეთში „პირადი რეჟიმის“ (*личный режим*) მანკიერ ნიშნებს ხედავდნენ. მას ნეპოტიზმის აქტიურ და ბოროტ გამოყენებაში აკრიტიკებდნენ (Blauvelt, 2014). ამავდროულად, ისტორიამ მუდმივად „ხალხის გვერდში და ხალხს შორის მყოფი“, მშრომელების საჭიროებების მცოდნე, მათი ჭირვარამის გამზიარებელი და უპირობო დამცველის უპრეცედენტო ლიდერის სახე შემოინახა (Бгажба, 1965; Рихтер, 1924). ლაკობაში მხურვალე პატრიოტს ხედავდნენ. მაგალითისთვის, ის ებრძოდა კოლექტივიზაციას იმ დასაბუთებით, რომ აფხაზეთის

ტრადიციული საზოგადოებრივი წყობა ნიუანსურია და არ საჭიროებს ამგვარ რეფორმას (Трапш, 2004). პარტიას ეს არგუმენტი არ აკმაყოფილებდა, მაგრამ ლაკობას სტალინის მხარდაჭერა ჰქონდა. სიტუაცია რადიკალურად 30-იან წლებში შეიცვალა. ნესტორსა და იოსებს შორის გარბენილმა შავმა კატამ მთლიანად ამოატრიალა აფხაზეთის ბედიც და აფხაზურ კოლექტიურ მეხსიერებაშიც შექმნა ქართველების მიერ აფხაზების მიმართ განხორციელებული ულმობელი ტერორის ნარატივი, რომლის კულტივაცია დღესაც გრძელდება.

2.4 „დიდი ეთნიკური ტერორი“: 1931-1938 წლები

[...] აფხაზი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ყველაზე მძიმე ფაქტი დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის ლიკვიდაცია გახდა და 1931 წელს მისი სტატუსის საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიურ რესპუბლიკამდე ჩამოქვეითება. [...] რაც ეთნოდამანგრეველ ხასიათს ატარებდა.

ხალხმა ეს საფრთხე ჯერ კიდევ 1931 წელს გაიაზრა, როცა სოფელ დურიფში მრავალდღიანი საერთო-ეროვნული აფხაზური თავყრილობა (общенациональный абхазский сход) შედგა მათ საბჭოთა მმართველობასა და ხელისუფლებას უნდობლობა გამოუცხადეს (Бгажба; Лакоба, 2015: 386).

უკვე მეოცე საუკუნის 30-იანი წლებისთვის საბჭოთა ბიუროკრატია გაიაზრა რომ კორენიზაციის პოლიტიკა ბევრ თავსატეხს უჩენდა მას, პირველ რიგში

რესურსების კუთხით, და ის შეცვალეს. „წვრილ-წვრილი“ ეთნიკურობების წახალისების ნაცვლად, საბჭოთა კავშირმა კონცენტრირება რამდენიმე „მსხვილ“ ეთნიკურობაზე გადაწყვიტა (Slezkine, 1994: 445). შეცვლილი რიტოტიკის პირობებში „ეროვნული თავმომწონეობა“ აღარ იყო „მოდური“. ნებისმიერი ფორმით გამოხატული ეროვნული ინტერესები, იქნებოდა ეს ხელოვნებაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში, ინსტიტუციებში, კომუნიზმის ძირგამომთხრელ საქმიანობად აღიქმებოდა, შესაბამისად, პარტიისთვის საშიშად. თუ რა არის ეროვნული ინტერესი, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადასაწყვეტი ღია საკითხი იყო და ტენდენციური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. სადამსჯელო ღონისძიებების სახით გამოიყენებოდა ისეთი რადიკალური საშუალებებიც, როგორიცაა მასობრივი რეპრესიები, ტერორი, დაპატიმრებები.

შედეგად, ეროვნება გაპოლიტიზირდა. საბჭოთა კავშირში 200 ეთნიკური ჯგუფი განისაზღვრა. საბჭოთა პასპორტში იყო გრაფა, სადაც იწერებოდა ადამიანის ეთნიკურობა, რომელიც ძირითადად მისი მშობლების ეთნიკური მიკუთვნებულობიდან გამომდინარე დგინდებოდა. ეს ეთნიკურობა ადამიანებს ხდიდა მოწყვლადად, რადგან ღიად თუ ფარულად, ყოველთვის შეიძლებოდა ადამიანის წინააღმდეგ მისი გამოყენება. „საბჭოთა მოქალაქეები ეროვნების, სოციალური მდგომარეობისა და დაკავებული თანამდებობის, ცეკას პოლიტიკურის წევრების ჩათვლით, იყვნენ ერთნაირად უუფლებოები ვ. ლენინის ეშმაკეული გამოგონების - სახელმწიფო-კომუნას წინაშე“ (Кульчицкий, 2014: 188).

1931 წელი აფხაზეთისთვის „რეორგანიზაციით“ დაიწყო. 11 თებერვალს, აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ კონსტიტუციური ცვლილებები მიიღო. 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუციის მე-4 მუხლში ჩაეწერა:

აფხაზეთის სსრ, ნებაყოფლობით გაერთიანდა რა საქართველოს სსრ-თან განსაკუთრებული ხელშეკრულების საფუძველზე, მისი მეშვეობით შედის ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში³³ და ამ უკანასკნელის შემადგენლობაში - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში (დიასამიძე, 2004: 90).

ახალი რეგულაციით “შეთანხმება“ უნდა ჩანაცვლებულიყო ფორმულირებით „აფხაზეთის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“ (იქვე: 125). ეს ფაქტი აფხაზურმა ისტორიოგრაფიამ და კოლექტიურმა მეხსიერებამ „ეთნოდამანგრეველ“ მოვლენად და აფხაზური ერი-სახელმწიფოს მშენებლობის წინააღმდეგ საბოტაჟად შეაფასა. იგივე ნარატივმა ამ იმედგამაცრუებელი პრეცედენტის დომინოს პრინციპით გაგრძელებად დაინახა: 1937 წელს აფხაზური ენისთვის ლათინურიდან ქართულ ანბანზე გადასვლა, „დიდი ტერორის“ განხორციელება და ქართველების მასობრივი ჩასახლება, რამაც აფხაზეთის დემოგრაფია აფხაზური ნარატივის თანახმად ხელოვნურად და აგრესიულად შეცვალა.

³³ საბჭოთა კავშირის სუბიექტი. არსებობდა 1922-1936 წლებში. მასში შედიოდნენ აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და აფხაზეთი საქართველოსთან განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე.

„რეორგანიზაცია“ სამთავრობო ინსტიტუტებსაც შეეხო. კერძოდ, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისიების საბჭო ერთმანეთს შეერწყა. გაერთიანებულ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოს, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (ცაკი), ნესტორ ლაკობა გაუძღვა. ის ამ თანამდებობაზე გარდაცვალებამდე დარჩა.

სახელმძღვანელოს ამონარიდი 19-23 თებერვლის დურიფშის თავყრილობას უმთავრესად აფხაზეთის სტატუსში რამდენიმე დღის წინ მიღებულ ცვლილებაზე პროტესტის აქტად აფასებს. იგივე აზრს ავითარებს ისტორიკოსი ასლან ავიძბა მედია პორტალ „სპუტნიკისთვის“³⁴ მიცემულ ინტერვიუში 2020 წლის 19 თებერვალს. 24 თებერვლის „აბსოლუტურად საიდუმლოდ“ გრიფირებულ სოხუმიდან მოსკოვში სამსახურეობრივი მიმოწერის საარქივო მასალაში ეს მოვლენა ასეა აღწერილი:

ბოლო დღეებში შეიქმნა დამაბული მდგომარეობა გუდაუთის რაიონში, აფხაზეთში. 19 თებერვლის 3 საათზე გუდაუთის რაიონის ყველა სოფლიდან თვითნებურად შეიკრიბა 600 ადამიანი სოფელ დურიფშში. გლეხების უმრავლესობა ცხენზე ამხედრებული მოვიდა თავყრილობაზე და მან [თავყრილობამ] თავიდანვე გამოავლინა ტენდენცია განეხილა ყველა საკითხი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე.

სპიკერთა გამოსვლების ძირითადი არსი მდგომარეობდა შემდეგში: „ჩვენ არ გვინდა კოლმეურნეობა და არავის მივცეთ უფლებას მისი ორგანიზების, კოლმეურნეობებმა

³⁴ რუსეთის ფედერაციის სამთავრობო საინფორმაციო სააგენტო „რასია სეგოდნიას“ („რუსეთი დღეს“) მიერ დაარსებული საინფორმაციო ონლაინ პლატფორმა. რუსული ენის გარდა იყენებს ადგილობრივ ენებს.

დალუპეს რუსეთი, ახლა დალუპავენ აფხაზეთსაც, უმჯობესია თურქეთში გადასახლება, კოლმეურნეობა არის გლოვა აფხაზეთისთვის, სანამ არ მივალწევთ ამ გლოვის მოხსნას, არ დავყრით იარაღს, ვეწინააღმდეგებით მოხუცების, ქალებისა და გოგოების განათლებას, ჩვენ ვეწინააღმდეგებით კულტურას. თამბაქოს არ გვაძლევენ, არც დაპირებულ მანუფაქტურასა და ფულს, ვეწინააღმდეგებით სიმინდის მომარაგებას, ვეწინააღმდეგებით პირუტყვის მომარაგებას, ფაქტობრივი ძალაუფლება ეკუთვნის მუშებს, და ჩვენ გვატყუებენ. ყველანი ვიბრძოდით საბჭოთა მმართველობისთვის. ახლა გვყოფენ „კულაკებად“³⁵, „საშუალო გლეხებად“ და ღარიბებად. საბჭოთა ხელისუფლება ეხმარება მხოლოდ ღარიბებს, პარტიულ კოლმეურნეებს და სამთავრობო სტრუქტურებში მომუშავე პერსონალს, ჩვენ არაფერს არ გვაძლევენ“.

თავყრილობამ გადაწყვიტა დადოს ფიცი. ამისთვის 23 თებერვალს მათ გასწიეს ჭანდარისკენ³⁶ - წმინდა ყოფითი ადგილი³⁷ (святое бытовое место). თავყრილობა აპირებს წაუყენოს ხელისუფლებას შემდეგი მოთხოვნები: გაუქმდეს კოლმეურნეობა, მომარაგება, კონტრაქტაცია³⁸, ლიკბეზი³⁹, ვსეობუჩი⁴⁰, თვითდაბეგვრა⁴¹, გლეხების დაყოფა ღარიბებად, საშუალო გლეხებად, „კულაკებად“, აიკრძალოს კომკავშირის⁴² ორგანიზაციები, ნება მოგვეცეს გავემგზავროთ თურქეთში (არქივის მასალა 1, 1931).

³⁵ შეძლებული გლეხები.

³⁶ დღეს ამ სოფელს აჭანდარა ჰქვია.

³⁷ დაზუსტებით არ შემოიძლია ვამტკიცო კონკრეტულად რომელი ადგილია ნაგულისხმევი, მაგრამ ვვარაუდობ, რომ საუბარია აფხაზეთის შვიდი წმინდა სალოცავებიდან ერთ-ერთზე, დიდრიფშის სალოცავზე, რომელიც სწორედ სოფელ აჭანდარაში მდებარეობს.

³⁸ სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთიანი შესყიდვა.

³⁹ წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია (ликвидация безграмотности).

⁴⁰ საყოველთაო სავალდებულო განათლება (всеобщее обязательное обучение).

⁴¹ მოქალაქეების ფულადი ან შრომითი ნებაყოფლობითი შენატანი თემის კეთილდღეობისთვის.

⁴² სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი.

ამ დოკუმენტის წაკითხვისას ფილმის კადრებივით იშლება აგორა-ფოლკლორული ნაციონალიზმის სცენა, რომელიც ამ თავის დასაწყისში 1989 წლის ლიხნის მოვლენების მაგალითზე იყო განხილული. სხვადასხვა სოფლიდან ცხენზე ამხედრებული, უფროსობის გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო ადამიანების საერთო შეკრება. მათი თვითნებობა, უბატონობის სურვილი, ხელისუფლების მიმართ უნდობლობა, ახალ წესებთან შეუგუებლობა, შეუსრულებელი დაპირებებისგან გაწბილება იმდენად დიდია, რომ ისინი მზად არიან თუნდაც მიწა-წყლის დატოვებისა და თურქეთში გადაბარგების ფასად (რაც ცალსახად ტრავმულია, მითუმეტეს მუჰაჯირობის წარსულის მქონე ერისთვის) საკუთარი ბედის განკარგვისა და თავისუფლების სადავეები არ დათმონ.

რიტუალების გარეშე არც ამ შემთხვევაში იქნებოდა. დაუმორჩილებლობის უტყუარობის დემონსტრაციის ფორმად ფიცის დადება წმინდა ყოფით ადგილას არის შერჩეული. პარადოქსულია წმინდასა და ყოფითის სიტყვათშეთანხმება. ერთი შეხედვით, რაც წმინდაა ის მიუწვდომელი უნდა იყოს, ამაღლებული, არამიწიერი, შესაბამისად, ყოფითის ანტონიმი. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ ვისაუბრე, აფხაზურ აგორა-ფოლკლორულ ნაციონალიზმის დისკურსში, ეროვნული პროექტი იმთავითვე ის ძალა და საფუძველია, რომელიც ეთნოგრაფიას (ყოფითობა, ტრადიციები) ანიჭებს რელიგიურ, ზეგარდმო მნიშვნელობას, რაც შეუვალი ლეგიტიმაციის მომნიჭებელია. მხოლოდ რაციო, სიტყვა და ქმედება, აღარ არის

საკმარისი. მაგიური ელემენტის საჭიროება ჩნდება, რომელიც „ცდილობს ეფექტის მოხდენას“ (Cassirer, 1946: 83).

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ ამ აშკარა და რამდენიმე დღიან დაუმორჩილებლობის აქტს, მკაცრი სადამსჯელო ზომები არ მოჰყოლია. მთავრობამ იმ პერიოდისთვის ინციდენტს საკმაოდ „რბილად“ შეხედა (Blauvelt, 2014). ლაკობა-სტალინის დუეტი ჯერ კიდევ ჭრიდა, თუმცა, ერთ წელიწადში უკვე გამოიკვეთა „დიდი ტერორის“ ჩანასახი, რომელმაც კულმინაციას 1937-38 წლებში მიაღწია, როდესაც „ნკვდ“-მ⁴³ გამოსცა #00447 ოპერატიული ბრძანება⁴⁴ (არქივის მასალა 2). შეიძლება ითქვას, რომ სტალინის სიცოცხლეში რეპრესიები არც არასოდეს შემწყდარა, უბრალოდ მასშტაბურობა და სამიზნე ჯგუფი შემცირდა. ტერორის სხვა მაგალითებია, 1941-1944 წლებში კავკასიიდან ხალხების მასობრივი დეპორტაცია, 1932-1933 წლების ტოტალური შიმშილი („გოლოდომორი“) უკრაინაში და სხვა. რეპრესირებულებს, ძირითადად, ბრალად ედებოდათ კონტრრევოლუციონერობა, საბჭოთა სისტემის მიმართ შესაფერისი ლოიალურობისა და სიყვარულის ნაკლებობა. საბოლოოდ, ამ ადამიანების დიდი ნაწილი „ხალხის მტრად“ ცხადდებოდა.

თანამედროვე აფხაზური კოლექტიური მეხსიერების დისკურსი ამტკიცებს რომ „დიდი ტერორი“ ანტიაფხაზურ ხასიათს საკუთრივ ქართული შოვინიზმისა და

⁴³ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, შინსახკომი.

⁴⁴ 1937 წლის 30 ივლისის #00447 ოპერატიული ბრძანება შეეხებოდა ყოფილი „კულაკების“, კრიმინალებისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების რეპრესიების ოპერაციას. მას ხელს აწერდა ნიკოლაი ეჟოვი.

იმპერიალისტური მიდრეკილებების გამო ატარებდა (Ачугба, 2010; Гумба, 2002; Лакина, 1990). „აფხაზთა გულისწყრომა მიმართული იყო არა იმდენად დამპყრობელი რუსების მიმართ, არამედ უფრო იმ ორი ქართველის, სტალინისა და ბერიას მიმართ, რომლებმაც მათ ლენინის მიერ ნაჩუქარი ვაი-თავისუფლება გამოაცალეს“ (გოლცი, 2014: 72). თავის მხრივ, ქართული დისკურსი ამბობს, რომ თავადაც ამ რეპრესიების მსხვერპლია და ეს ცენტრიდან მართული საბჭოთა სისტემის პოლიტიკა იყო, საერთო ტრაგედია და არა ქართველების მიერ აფხაზების მიზანმიმართული გადაგვარება (პაპასქირი, 2007; ჯოჯუა, 2007), მითუმეტეს რომ სტალინს „არ ჰქონია თავისი მშობლიური მიწის დიდი სიყვარული [...] [და] იგი აგრესიულად ატარებდა ცენტრალიზებული კომუნისტური სახელმწიფოს შექმნის პოლიტიკას“ (გოლცი, 2014: 46).

მტრის ეთნიზაცია, რეპრესიების გენოციდად შეფასება, ქართველი მაღალჩინოსნების ჰომოგენიზაციისკენ მისწრაფება დაუოკებელი რასიზმითა და ქსენოფობიით გამოხატული (იუნგე და სხვები, 2015), „ეროვნული პოლიტიკის დამახინჯება, აფხაზი ხალხის უფლებების ფეხქვეშ გათელვა“ (Бгажба; Лакина, 2015: 369) არის თანამედროვე აფხაზური კოლექტიური მეხსიერების თეზისები სტალინის დროინდელი წმენდის ნარატივში. ელემენტარული საღი აზრი აბსოლუტურად მართებულად გმობს ამ ანტიჰუმანურ პრაქტიკას, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მილიონობით სხვა ფიზიკურად თუ მენტალურად დაასახიჩრა. ის გამანადგურებელია როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ დონეზე. მისი

შედეგია ტრავმული ფსიქიკა და საყოველთაო შიში, რაც ერების კოლექტიურ მეხსიერებაში აისახა. საქართველოში „დიდი ტერორის“ განხორციელებაზე იმუშავა ავტორთა დასავლურმა კოლექტივმა, რომელმაც აღნიშნა:

შინსახკომის მასობრივი ოპერაციების ფარგლებში, უდავოა, ძლიერდებოდა ეთნიკური კომპონენტის მნიშვნელობა, თუმცა საბჭოთა კავშირში არ მომხდარა პარადიგმის ძირეული ცვლილება ეთნიკურობის კრიტერიუმის დომინირების მიმართულებით, ტერორის, ბიოლოგიზაციით აბსოლუტიზაციამდე, როგორც ეს მოხდა ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში ებრაელების, ასევე სინტისა და რომას შემთხვევაში. [...]

ამიტომ, სტალინიზმის, ყოველგვარ ექვყარეშე, დიდი დანაშაულებრივი პოტენციალის მიუხედავად, 1937-1938 წლების შინსახკომის მასობრივი რეპრესიების კონტექსტში არ შეიძლება საუბარი იყოს ეთნიკურ წმენდებზე, არ ვსაუბრობთ გენოციდზე (იუნგე და სხვები, 2015: 155)

აფხაზურმა ეროვნულმა თვითშეგნებამ, ერთდროულად აფხაზური ეროვნული პროექტისა და საბჭოთა ინტელიგენციის იდეების ნაზავმა, არაერთი მასობრივი გამოსვლითა თუ წერილი/მიმართვა-პროტესტი/საჩივრის სახით „პიროვნების კულტისა“ და საბჭოთა ცენტრალური თუ რეგიონალური (შტაბ-ბინით თბილისში) გადაწყვეტილების წინააღმდეგ აიმაღლა ხმა. „აფხაზური ეროვნული მოძრაობის შემდგომი ძირითადი ეტაპები გამოვლინდა მასობრივი გამოსვლებით 1957, 1965, 1967, 1978, 1989 წლებში“ (Бгажба; Лакоба, 2015: 386). ზოგიერთი თანამედროვე ქართველი ისტორიკოსის აზრით, ამან წაახალისა აფხაზური „სეპარატიზმის“ გარემოს შექმნა და საბოლოოდ „გაათამამა“ ისინი 90-იანებში (Ментешашвили, 1998: 33). ორივე მხრიდან

ისტორიკოსების მსგავსმა სიტყვიერმა „დებატებმა“ და „შრომებმა“ უარყოფითი როლი ითამაშა როგორც სავალალო მოვლენების კულმინაციის დროს, ისე მის შემდეგ. ამგვარმა „განცხადებებმა“ სიძულვილის ენის, მცდარი „ჭეშმარიტებების“, „ჩვენ“- „ისინი“ ფორმულის დამკვიდრებასა და „ისინის“ საწინააღმდეგო აგრესიული ვიქტიმიზაციის ნარატივებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას შეუწყო ხელი.

2.5 ეთნო-თანამედროვე-მმართველობა: 1993-2020

[2004 წლის] 12 ნოემბერს, სოხუმში სერგეი ბაღაფშის მხარდასაჭერად მრავალათასიანი სახალხო თავყრილობა შეიკრიბა. შემდგომ, მისმა მხარდამჭერებმა დაიკავეს შენობა, რომელშიც განთავსებული იყო პარლამენტი, მინისტრთა კაბინეტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია“ (Бгажба; Лакоба, 2015: 407).

ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციასთან დიალოგის დემონსტრაციულმა უარმა გამოიწვია აფხაზეთის ხალხის სამამულო ომის⁴⁵ ვეტერანების, „არუა“⁴⁶, საგანგებო ყრილობა, რომელიც ჩატარდა სოხუმში, 2013 წლის 21 ნოემბერს. [...]

[პრეზიდენტის მიერ] ოპოზიციასთან, პარლამენტთან, ხალხთან დიალოგის წარმოების სურვილის ღიად არეონამ მოიტანა ის, რომ 2014 წლის 26 მაისს საკოორდინაციო საბჭომ⁴⁷ ხელისუფლების მომწიფებული რეფორმის საჭიროებაზე მიუთითა და 27 მაისს ყველა

⁴⁵ იგულისხმება 1992-1993 წლის ომი აფხაზეთში.

⁴⁶ „არუა“ აფხაზურიდან ნიშნავს მეომრებს. ეს არის 2010 წლის 10 მაისს დარეგისტრირებული სოციალური ორგანიზაცია. მასში შედიან 1992-1993 წლის ომის ვეტერანები.

⁴⁷ დაკომპლექტებული იყო ოპოზიციისა და სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ.

პოლიტიკურ ძალას სახალხო თავყრილობაში, აფხაზურ თეატრთან მოედანზე მონაწილეობის მიღებისკენ მოუწოდა. სოხუმში შეკრებილმა მრავალათასიანმა თავყრილობამ პრეზიდენტს მთავრობის, გენერალური პროკურორის აღმოსავლეთ აფხაზეთის სამი ადმინისტრაციული რაიონის გამგებლის თანამდებობიდან გადაყენება მოსთხოვა (Бгажба & Лакоба, 2015: 421).

ეთნომმართველობის ელემენტების გამოყენების პრაქტიკა თანამედროვე აფხაზურ პოლიტიკაშიც გრძელდება. ამის მაგალითებია: სახალხო თავყრილობები და რესპუბლიკური უხუცესთა საბჭო. თავყრილობები კვლავ რჩება განსაკუთრებული ძნელბედობის ჟამს საერთო ეროვნული აზრის დაფიქსირების პანაცეა-მექანიზმად. ძალიან ბევრ სატელევიზიო პოლიტიკურ დებატებში, პოლიტიკოსებთან და საზოგადო მოღვაწეებთან პირად ინტერვიუებში, თუ სხვა მედია პლატფორმებიდან გაკეთებულ განცხადებებში ხშირად ჟღერს აუცილებლობა „ფესვებთან ახლოს ყოფნის“, თავყრილობების მოწყობის, ერთობლივად სახალხო შეკრებაზე გადაწყვეტილების მიღების, უხუცესების რჩევების გათვალისწინების. ეროვნულობამ უნდა შვას, გაზარდოს და გამოააშკარავოს ის გმირი, მესია, რომელიც ერთპიროვნულად გადაარჩენს აფხაზეთს.

უამრავი მაგალითიდან მოვიყვან ყველაზე ბოლოდროინდელს, კერძოდ 2020 წლის 22 მარტის საპრეზიდენტო არჩევნებში საარჩევნო კამპანიის დროს კანდიდატების მიერ გაკეთებულ განცხადებებს. ასე, ადგურ არძინბამ, სამთავრობო კანდიდატმა, აღნიშნა რომ საარჩევნო კამპანია უნდა იყოს „გაგრძელება ჩვენი

მენტალიტეტის, ჩვენი აფხაზური სულის“ (ვიდეო ინტერვიუ 1, წთ. 7-8). ხოლო ლეონიდ მაფშბა, „აკზაარას“ ლიდერი, პირდაპირ ეთერში მოვიდა ტრადიციულ ტანისამოსში და განაცხადება გააკეთა „ხალხთან კონსულტაციებისა“ და „რეფერენდუმის აუცილობლობაზე ნავთობის მოპოვების საკითხთან დაკავშირებით“ (ვიდეო ინტერვიუ 2, წთ. 19-20). ამით მან ხაზი გაუსვა „ხალხთან პირდაპირ კომუნიკაციაში“ ყოფნის განზრახვას.

ეთნომმართველობის კიდევ ერთი ინსტიტუტი არის აფხაზეთის რესპუბლიკური უხუცესთა საბჭო, რომელიც 1993 წელს დადგენილებით აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა. მისი აღმასრულებელი ორგანო პრეზიდიუმია. მასში წევრები მთელი აფხაზეთიდან ერთიანდებიან. ზოგიერთი მათგანი სოფლის თავყრილობების ან რაიონული უხუცესთა საბჭოს წარმომადგენელია, ზოგიც ომის ვეტერანი და ზოგიც უბრალოდ ავტორიტეტული პიროვნება, ბოლო დროს, მათ შორის ახალგაზრდებიც. აფხაზური სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი, სტანისლავ ლაკოზა, ინტერვიუში ასე ხსნის ამ მოვლენას:

ახალგაზრდებმა, ახალგაზრდა თაობამ იმაში, რაც ომის დროს მოხდა ძირითადი წვლილი შეიტანა. ომის შედეგად მათ თავი გამარჯვებულებად იგრძნეს, შეიარაღებულად ადამიანებად. და, ვფიქრობ, მათ ჩათვალეს, რომ ისინი არიან უფროსები და არა უხუცესები; რომ არ არის აუცილებელი ანგარიში გაუწიო უფროს თაობას, რომ მათ შეუძლიათ თავს ძალიან ბევრის უფლება მისცენ. ეს გრძელდება დღემდე. და, რა თქმა უნდა, ეს არის ანაქრონიზმი: ჩვენ დღეს არ გვყავს ავტორიტეტული უხუცესები, მაგრამ გვყავს უხუცესთა საბჭო (Заводская, 2018).

სამწუხაროდ, ძალიან მწირი ინფორმაცია მოიპოვება ამ ინსტიტუტზე ინტერნეტში. მაგალითად, არ არის ცნობილი, რამდენი ადამიანისგან შედგება, როგორ ხდება მათი არჩევა თუ დანიშვნა, კონკრეტულად რა აქტივობებს ახორციელებენ. უხუცესთა საბჭოს წესდებაში წერია, რომ ამ ინსტიტუტის მიზანია „ყველა დონის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ხელშეწყობა, ახალგაზრდებში პატრიოტიზმის აღზრდა, წარმოშობილი ეთნიკური, გვართაშორისი და პიროვნული კონფლიქტების მოგვარება“, ხოლო ამოცანებია „აფხაზეთის ხალხთა „პროგრესული მორალურ-ეთიკური ნორმების“ შესწავლა, გავრცელება, პოპულარიზება, სოციალური პრობლემების მოგვარებაში შესაბამისი ორგანოების ხელშეწყობა, ჩრდილოეთ კავკასიის, სამხრეთ რუსეთისა და სხვა რეგიონების უხუცესთა საბჭოებთან მეგობრული კავშირების განვითარება“ (Крылов, 2016).

1994 წელს აფხაზეთის პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია და აირჩიეს პირველი პრეზიდენტი, ვლადისლავ არძინბა. იმ პერიოდში ორი პოლიტიკური პარტია არსებობდა, აფხაზეთის კომუნისტური პარტია⁴⁸ და აფხაზეთის სახალხო პარტია, რომელიც დაარსდა 1992 წელს და ითვლება უძველეს პოლიტიკურ პარტიად. იმ პერიოდიდან დღემდე რამდენიმე ახალი პარტია დაემატა მათ რიცხვს⁴⁹. პოლიტიკური ორგანიზაციებისა თუ მოძრაობების უმრავლესობას აქვს ეროვნული მნიშვნელობის

⁴⁸ დაფუძნდა 1921 წელს, თუმცა გაუქმდა საბჭოთა პერიოდში და შემდგომ აღდგა 1994 წელს. მისმა კანდიდატმა, ვლადისლავ არძინბამ, გაიმარჯვა 1994 წლის არჩევნებში.

⁴⁹ ასევე აღსანიშნავია, 1988 წელს შექმნილი ორგანიზაცია აიდგილარა (Айдыларა, „ერთობა“), რომელმაც დიდი როლი შეასრულა ეროვნულ მოძრაობებში 80-იანების ბოლოსა და ომის დროს, თუმცა მერე არ იყო აქტიური.

აფხაზური სახელი. მაგალითად, „ამცახარა“ (*Амцахара*, აფხაზურ ეთნოსში ნიშნავს მეგრძოლთა რაზმს, ხოლო სიტყვასიტყვით „წინაპართა ჩირაღდანი“), დაფუძნდა 1999 წელს და თავდაპირველად იყო ვეტერანების გაერთიანება. „ერთიანი აფხაზეთი“ (*Апсны акзаара*)⁵⁰, აითაირა (*Айтайра*, „აღორძინება“)⁵¹, რესპუბლიკური პოლიტიკური პარტია „აფსნი“, რესპუბლიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „აიაირა“ (*Аиаиара*, „გამარჯვება“), „აინარ“, რომელმაც იდეოლოგიად განსაზღვრა *აფსუარას* ეთნიკური კოდექსი ⁵², აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის ფორუმი ⁵³ და რესპუბლიკური პოლიტიკური პარტია „აკზაარა“ (*Акзаара*, „ერთობა“).

მეორე ათასწლეული აფხაზეთისთვის შიდა პოლიტიკური მოვლენებისთვის საკმაოდ აქტიური პერიოდი გამოდგა. ყველაზე მასშტაბური მათ შორის 2004, 2014 და 2020 წლის გადატრიალებები იყო. სამივე შემთხვევაში უკმაყოფილების მიზეზი პრეზიდენტის საქმიანობა ან საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით იყო. სამივე შემთხვევაში მასობრივი დემონსტრაციები, მიტინგები, ფიზიკურად გვერდში დგომა გახდა ის ძალა, რომელმაც სასურველ ცვლილებას მიაღწია. სამივე შემთხვევაში

⁵⁰ „ერთიანი აფხაზეთისა“ და „ამცახარას“ ერთობლივმა კანდიდატმა, სერგეი ბაღაფშმა, გაიმარჯვა 2005 წლის 12 იანვრის არჩევნებში ხმების 91,54%-ით.

⁵¹ „აითაირას“ კანდიდატმა, ალექსანდრე ანჟაბმა, გაიმარჯვა 2011 წლის 26 აგვისტოს სერგეი ბაღაფშის სიკვდილის გამო ვადამდელ არჩევნებში.

⁵² პარტიის ერთ-ერთი ლიდერის სისხლის სამართლის სკანდალის საქმის გამო მოხდა პარტიის რებრენდინგი და მას დაერქვა „საერთო საქმე“.

⁵³ ფორუმმა გააერთიანა აფხაზეთის სახალხო პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია „აფსნი“, სოციალ - პოლიტიკური მოძრაობა „აიდგილარა“, „აიაირა“, აფხაზეთის დამცველთა კავშირი და სოციალური მოძრაობა „როდინა“ (რუს. „სამშობლო“). მისმა კანდიდატმა, რაულ ხაჯიმბამ, გაიმარჯვა 2014 და 2019 წლის არჩევნებში.

პოზიციას მკაფიოდ აფიქსირებდა უხუცესთა საბჭო, ომის ვეტერანები. დისკურსის ბირთვი და ქვაკუთხედი სამივე შემთხვევაში „აფხაზობის“ შენარჩუნება, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული და აპრობირებული ტრადიციების გათვალისწინება და ეროვნული ინტერესების პრიორიტეტი იყო. ყველა ამ ლოზუნგის, იდეის, ხედვის, პროექტის უცვლელი განხორციელების ინსტრუმენტები - აგორა-ფოლკლორული დემოკრატია და პატრონ-კლიენტური მმართველობის მოდელი - ეთნოგრაფიულ პოლიტიკას ქმნიან. ეს პოლიტიკა ეთნიკურ მარკერს განსაძვრავს ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების პრიმატად. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და მმართველობა კი საზრდოობს და ხელმძღვანელობს ეთნოკრატიის პრინციპებით.

თავის შეჯამება

ამ თავში ბოლო 200 წლის განმავლობაში აფხაზური ნაციონალიზმის დინამიკა და მისი თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში ასახვა მიმოვიხილე. მეოცე საუკუნეში ის ორი მიმართულებით ვითარდებოდა: აგორა-ფოლკლორული პრაქტიკა (ეთნონაციონალური პროექტი) და საბჭოთა ნაციონალური იდეა (პატრონ-კლიენტური ურთიერთობები ცენტრსა და პერიფერიას შორის). ეს მიმართულებები ერთდროულად, ერთმანეთის პარალელურად და შერწყმულად არსებობდა და არსებობს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის შექმნიდან პირველი დეკადის განმავლობაში ძირითადი მმართველობის მოდელი კლასიკური იყო, თუმცა

ეროვნული მობილიზაციის ჟამს (მათ პატერნული ხასიათი მიიღეს სსრკ-ს პერიოდში) უპირატესობა ტრადიციულ ელემენტებს ენიჭებოდათ, მაგალითად *აიზარასა* (სახალხო შეკრებას) და *აფსუარას* (აფხაზური მორალური კოდექსი) პრინციპების დაცვას.

ერთი მხრივ, პატრონ-კლიენტური მოდელის შედეგად გამომუშავებული „ჩვევითა“ და მეორე მხრივ, თანდაყოლილი გადაწყვეტილების მიღების მამაპაპური რიტუალებით, საერო პრაქტიკისა და უფრო მეტად სულიერი საგანძურის (და არა სასულიერო, რადგან ამ შემთხვევაში საუბარია არა ქრისტიანობაზე, არამედ აფხაზურ ტრადიციულ რწმენაზე) შეერთებით აპრობირებულ მმართველობის მოდელად ეთნოგრაფიული პოლიტიკა ჩამოყალიბდა. ამ ტერმინის შემოღებით ყოფითი და სპირიტუალური, პრაქტიკული და იდეალისტური, თანამედროვეობით ნაკარნახევი და მამაპაპური, ეთნო-ელემენტების, ეთნო-სოციალურ-პოლიტიკური პერფორმანსისა და ცენტრი-პერიფერიას შორის აწყობილი აქტუალური პოლიტრეალობის ნაზავს ვგულისხმობ. მისი მაგალითები თანამედროვე აფხაზურ სოც-პოლიტიკურ დისკურსში ფართოდ გამოიყენება.

როგორც უკვე აღვნიშნე, დროის წრფივად ბოლო ორი საუკუნე ავიღე, ანუ ის პერიოდი როდესაც რუსეთის იმპერია ჩნდება დომინანტურად კავკასიაში, კერძოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ თავში ეთნოგრაფიული პოლიტიკის მაგალითზე ვიმსჯელე იმაზე თუ როგორ ვითარდებოდა აფხაზური ნაციონალიზმი იმპერიალისტური პოლიტიკის, საბჭოთა ნაციონალიზმის, თანამედროვე რუსეთის

ფედერაციის ინტერესებისა და პოლიტიკის პირობებში. ამ პერიოდის განმავლობაში აფხაზური ეროვნულობის ჩამოყალიბება ხან ცენტრის საწინააღმდეგოდ, ხანაც პარალელურად, ხანაც შერწყმულად და ხანაც ურთიერთშეთანხმებულად ყალიბდებოდა. ამ თავში ასევე გავაანალიზე ცენტრი-პერიფერიას შიდა წრეც: თბილისი (ცენტრი) და სოხუმი (პერიფერია). ამ ურთიერთობებს აფხაზური ნაციონალიზმის ნარატივი აბელისა და კაენის დიქტომიაში ათავსებს, სადაც აბელი აბსოლუტური სიკეთე ანუ ეთნო-ეროვნული ინტერესია, ხოლო კაენი - აბსოლუტური ბოროტება ანუ მტერი და მჩაგვრელი. ამ თავში ამ ნარატივების მთავარი პოსტულატები, წარმოშობის მიზეზები, ქრონოლოგია და მისი გავლენა მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაზე დეტალურად აღვწერე.

თავი III ნარატივების ასიმეტრია: აფხაზეთი, როგორც ტკივილი

შესავალი

1999 წელს რადიო “საქართველოსთვის” მიცემულ ინტერვიუში ედუარდ შევარდნაძემ აფხაზეთს „ფიზიკური ტკივილი და შეუხორცებელი სულიერი იარა“ უწოდა (რადიო მასალა 1). ცოტა ხნით ადრე, 1995 წელს, იური ვორონოვმა სოხუმში წიგნი გამოსცა სათაურით - „ტკივილი ჩემი - აფხაზეთი“. რესპონდენტიცა და ავტორიც 90-იანებში გაჩაღებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტისა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესების უშუალო მონაწილეები იყვნენ. ომის შემდგომ აფხაზეთთან ტკივილის ასოციაცია მხოლოდ მათი ინდივიდუალური ინტერპრეტაცია არ არის. აფხაზური და ქართული ასიმეტრიული ვიქტიმიზაციის ნარატივები სწორედ ტკივილის გარშემო აიგება. აქ იგულისხმება, ერთი მხრივ, ოდინდელი სამშობლოსთვის სამამულო ომი, მეორე მხრივ, ფიზიკური და სულიერი დანაკარგის დაბრუნების სურვილი და მოლოდინი. ასიმეტრიულობა კონფლიქტის მონაწილე მხარეების ურთიერთაღქმასა და აფხაზეთის, როგორც სიმბოლოს კონოტაციაში გამოიხატება. ქართული ნარატივი აფხაზებს „მძეზად“ მოიხსენიებს, ხოლო ომის წამქეზებლად და შემდგომ ოკუპანტად რუსეთის ფედერაციას ხედავს, მისტირის აფხაზეთს, როგორც დაკარგულ მშობლიურ სამოთხეს. აფხაზური ნარატივი

საქართველოს აგრესორად და მტრად აცხადებს, ხოლო აფხაზეთს განიხილავს იმ ერთადერთ მშობლიურ მიწად, რომელიც აფხაზებმა სამამულო ომში დაღვრილი სისხლის ფასად შეინარჩუნეს.

კონფლიქტის მხარეებს შორის საკუთარი და გარე ხატების (*self and outer image*) ანტაგონიზმი რეგულარულურ ხასიათს ატარებს (Vollhardt, 2012; Cehajic & Brown, 2010; Thomsen et al., 2010). შესაბამისად, ქართველთა და აფხაზთა მხრიდან მტრის ხატის ურთიერთგამომრიცხავი ვერსიების პარადიგმა ხშირი არ არის. კონფლიქტის მხარეებს შორის, როგორც წესი, „შეჯიბრებითი ვიქტიმიზაცია“ (*competitive victimhood; competing victimization*) აქტუალურია. ასეთ დროს „მსხვერპლი ჯგუფები სხვა მსხვერპლ ჯგუფებს ტანჯვის ცნობაში ეჯიბრებიან“ (Vollhardt, 2012: 138). ეს შეჯიბრებითობა ვლინდება ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის დანაკარგის, მსხვერპლის, ზარალის, წამების შედარებაში. თითოეულს სწამს, რომ ან აბსოლუტური მსხვერპლია აბსოლუტური ბოროტების წინააღმდეგ, ან სულ ცოტა, უფრო მეტად იტანჯა, ვიდრე მისი „მოწინააღმდეგე“. შეჯიბრებითობაც და შედარებაც უშუალოდ მხარეებს შორის ხდება. ამისგან განსხვავებით, ქართულ-აფხაზურ კონტექსტში ბრალის ისრების მიმართულებაც და კოლექტიური მეხსიერების ფოკუსიც დიამეტრულად განსხვავებულია.

ამ თავში ქართული და აფხაზური ვიქტიმიზაციის ნარატივების „მეხსიერების ადგილებზე“ (*lieux de mémoire*) (Nora, 1989) ვისაუბრებ. ეს ფიზიკური თუ ვირტუალური „ადგილები“, ერთი მხრივ, ნოსტალგიურ კერას (home), მეორე მხრივ კი,

ჰეროიზმის კომემორაციის პრაქტიკას წარმოადგენს. პირველი იდენტობას მიწასთან, „ადგილსა“ და „სივრცესთან“ მიკუთვნებულობის გრძნობის ჩამოყალიბებით განსაზღვრავს. მეორე კი, მიწაზე ავტოქტონობისა და ომში გამარჯვების ინსტრუმენტალიზაციით, იდენტობას ლეგიტიმურს ხდის.

3.1 ქართული ნარატივი: კერა აფხაზეთში

რაც შეეხება ჩვენს ბავშვებს, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ბავშვებს არ დაავიწყდეთ, საიდან არიან ისინი, რა არის... ფესვები მათი საიდან მოდის. ყველა ღონისძიება, ეს გაკვეთილი იქნება თუ რაღაცა, რაც ოდნავ მაინც გვაძლევს საშუალებას, ყველაფერს ვაკავშირებთ აფხაზეთს. ჩვენს პირველკლასელს რომ ჰკითხო, სადაური ხარ, ის გეტყვის რომელიმე ქალაქს ან სოფელს აფხაზეთში და არასდროს არ გეტყვის, რომ ის თბილისელია. იმიტომ რომ ჩვენ გვჯერა, რომ აუცილებლად დაგბრუნდებით აფხაზეთში. ვიღაცა დამბრუნებელი ხომ უნდა იყოს. ვისაც ექნება სურვილი (სვეტა რურუა, ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის #3 საჯარო სკოლის დირექტორი, 2015).

სკოლის დირექტორთან ინტერვიუს ამ ამონარიდში აფხაზეთის შესახებ ქართული ოფიციალური ნარატივის ძირითადი ელემენტებია გაჟღერებული - *სახლი, მშობლიური მიწა, სამოთხე, ფესვები, დაბრუნება*. ამ ნარატივის ქვაკუთხედი და პროდუქტებია: (1) ცოდნა აფხაზეთის მესაკუთრეობის, (2) მეხსიერება აფხაზეთის საოცრებითობის და (3) სურვილი ამ ედემში დაბრუნების. ამ ყველაფრის პრაქტიკაში გამოყენების ინსტრუმენტი და მიზანი მიკუთვნებულობის გრძნობის (*sense of belonging*) გაღვივებაა. ეს ნარატივი მიწის (*land*), ადგილისა (*place*) და სივრცის (*space*) კონცეფციებს იყენებს, რითაც აფხაზეთისგან იდენტობის კერას (*homemaking*) ქმნის (Navaro- Yashin, 2012). კონკრეტულ ადგილთან/მიწასთან მიკუთვნებულობა და-*ფუძნების* გრძნობას (*a sense to be rooted*), ადგილობრიობის (*to be native*) აღქმასა (Svasek 2002; Eckersley, 2017; Russo, 2017; Malkki, 1992) და იდენტობის ტერიტორიალიზაციას

(*territorialization of identity*) (Kabachnik, 2012: 46) განაპირობებს. „როცა ჩვენ სოციალური და კულტურული იდენტობის შესახებ ვფიქრობთ, ჩვენ გარდაუვლად მიდრეკილები ვართ მას ადგილი მივუჭინოთ, გარემოში მოვათავსოთ, ის კონკრეტულ ადგილზე წარმოვიდგინოთ“⁵⁴ (Tilley, 2006: 14).

კერის (*home*) შესახებ წარმოდგენა ეროვნულობის გრძნობის ჩამოყალიბების პროცესზე დიდ გავლენას ახდენს, როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე. თარგმანში მივანიჭე უპირატესობა სიტყვას „კერა“, რადგან იდეურად აქ იგულისხმება კატეგორიების ერთობლიობა, რომელსაც გაცილებით ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სახლს. ეს უკანასკნელი ქართულ ენაში უფრო ფიზიკურ ნაგებობას აღნიშნავს. ამ შემთხვევაში ფენომენოლოგიური განმარტების მეთოდით ვხელმძღვანელობ. კერაში არა მხოლოდ შენობას მოვიაზრებ, არამედ - „სოციალური მნიშვნელობებისა და იდენტობების გამოხატულების“⁵⁵ ერთობლიობას (Wardhaugh, 1999: 95). აკადემიურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით მიგრაციის კვლევებში, კერის კონცეფციები (*conceptions of home*) ფართოდ არის განხილული. მკვლევრები სვამენ კითხვებს, თუ რა არის კერა, რა აქცევს ტერიტორიას ასეთად, რატომ არის აქტუალური ნებაყოფლობითი რეპატრიაცია, რიგ შემთხვევაში, ახალ ადგილზე საუკუნეების მანძილზე ცხოვრების შემდეგაც, რას ნიშნავს სამშობლო, რა აქცევს ტერიტორიას ასეთად, რა როლს ასრულებს ის ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში და

⁵⁴ შეადარეთ ორიგინალთან: „When we think about social or cultural identity, we inevitably tend to place it, put it in a setting, imagine it in a place“.

⁵⁵ „expression of social meanings and identities“

ა. შ. (Black, 2001; Ahmed, 1999; Svasek, 2002; Warner, 1994). კერის ასახსნელად შემდეგი დეფინიციით ვხელმძღვანელობ:

*კერა არის ადგილი, მაგრამ ასევე არის სივრცე, სადაც სახლობს ოჯახი, ადამიანები და ნივთები - ნაცნობი, თუ არა კომფორტული სივრცე, სადაც ცოცხლობენ კონკრეტული საქმიანობები და ურთიერთობები*⁵⁶ (Mallett, 2004: 63).

ამ განმარტებიდან იკვეთებიან სუბიექტები (ოჯახი, ადამიანები), რომლებიც ობიექტებთან (ადგილი, სივრცე) კონკრეტული ნივთების, საქმიანობისა და ურთიერთობების საშუალებით არიან დაკავშირებული. ამ ნიშნებზე დაყრდნობით გამოვყოფ აფხაზეთის, როგორც კერის ქართული ნარატივის ორ კატეგორიას: *მიკროგეოგრაფია*, - ფიზიკური ადგილი და *სივრცის გასაკრალურება*, ემოციური სივრცე, რომელსაც *ყოფის პრაქტიკა* აერთიანებს და აცოცხლებს. მასში მოვიაზრებ არა მხოლოდ კომუნიკაციას ინდივიდებს შორის, არამედ ყოველდღიურობის იმ სოციალურ ნიუანსებს, რომლებიც მხოლოდ აფხაზეთელებს მიეწერება. ეს არის იმ სოციალური წარმოდგენებისა თუ ნიშან-თვისებების ერთობლიობა, რომელიც შიდა თუ გარე იმიჯის თანახმად, გასაკრალურებულ მიკროგეოგრაფიულ არეალს უნიკალურად მიეწერება. ეს შეიძლება იყოს კლიმატითა თუ ბუნებრივი პირობებით ნაკარნახევი, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ჩვევები, რომლებიც ქალაქის

⁵⁶ შეადარეთ ორიგინალთან: „Home is **place** but it is also a **space** inhabited by **family, people and belongings** – a familiar, if not comfortable space where particular **activities and relationships** are lived”.

იერსახეში, ცხოვრების სტილსა და რიტმში, მოსახლეობის ხასიათის თვისებებში ან ზოგად გარემოში ე.წ. ქალაქის ენერგეტიკაში ვლინდება. საბოლოო ჯამში, ეს ელემენტები კოლექტიურ მეხსიერებაში ქმნიან მატერიალურ, არამატერიალურ და მენტალურ ბმას, ამავედროულად - დაბრუნების „ვალდებულება-სურვილს“ განუყოფელ აფხაზეთში. განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებული პირების მეხსიერებაში კერის დაკარგვით გამოწვეული ტკივილის განსხეულება ხდება. ეს ემოციური/აფექტური (*affect*) მუხტი ერთგვარი პრიზმა, კონტექსტი, განზრახ თუ უნებლიეთ აღქმული თუ წარმოდგენილი რეალობაა, რომელიც სცილდება სოციალური ურთიერთობების სტანდარტულ გაგებას. ის აფექტური საზოგადოებებისთვის (*Affective publics*) უფრო ნიუანსურ და ყოვლისმომცველ ცხოვრებისეულ რეალიებზე საუბრობს (Khalvashi, 2015).

3.1.1 მიკროგეოგრაფია

მიკროგეოგრაფია არის ადგილი, ფიზიკური ტერიტორია, „ინდივიდის ასოციაცია ჰომოგენურ ჯგუფთან და ამ ჯგუფის ასოციაცია კონკრეტულ ფიზიკურ ადგილთან“ (Warner, 1994: 162). ის დისკურსში ორი ძირითადი ფორმით ვლინდება: ზღაპრული ბუნების მიმართ დაუშრეტელი ნოსტალგიითა და მისი ფლობის სამართლებრივი საფუძვლის კულტივაციით. ეს უკანასკნელი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის პერმანენტულად აისახება მათი არსებობის იურიდიული დადასტურების დოკუმენტებში, როგორიცაა დაბადების, პირადობის ან

დევნილის მოწმობა, ასევე მათ კერძო უძრავ თუ მოძრავ ქონებაზე მესაკუთრეობის მეხსიერებაში. ამ წრის გარეთ მოსახლეობისთვის ტერიტორიული მთლიანობის შეხსენების ინსტრუმენტებია: რუკები, ხშირად კარტოგრაფიულ შფოთში (*cartographic anxiety*) (Kabachnik, 2012) გადასული; აქსესუარები და სუვენირები; მაგისტრალის ტრაფარეტებზე სოხუმამდე და ცხინვალამდე ნაჩვენები კილომეტრაჟი (Kabachnik, 2012) და სხვა. რედკლიფმა ამას „ნაციონალური სახელმწიფოს ფორმის აღბეჭდვა“ (*imprinting the shape of the nation-state*) უწოდა, რაც მუდმივ სწავლებას, შეხსენებას, საჯარო ვიზუალიზაციასა და რეპროდუქციას (Radcliffe in Kabachnik, 2012: 47) საჭიროებს.

აფხაზეთს საბჭოთა ლაჟვარდოვან სანაპიროსთან (Derluguian, 1998: 268) აიგივებდნენ. ამის ინდიკატორები იყო დაბალანსებული კლიმატი, პატარა პერიმეტრზე კომპაქტურად განლაგებული ზღვაც და მთაც, იმდროინდელ რეალობაში აფხაზეთის კურორტების რეიტინგულობა და საბჭოთა მაღალჩინოსნებისთვის მისთვის უპირატესობის მინიჭება საზაფხულო სახლებისთვის, ე.წ. „დაჩებისთვის“. ხშირად მსმენია, რომ აჭარაში არავინ ისვენებდა, სანამ ამის შესაძლებლობა აფხაზეთში იყო. ნოსტალგიანარევი განწყობა და „დაკარგულის“ მიმართ დანაწების გრძნობა აფხაზეთისგან სამოთხისა და მითიური სილამაზის ბუნების ხატის შექმნას უწყობს ხელს.

ეს დისკურსი სხვადასხვა მედიუმში აისახება. მაგალითად, სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოში: „ერთწლიანმა ბრძოლამ ძალიან დააზარალა აფხაზეთი, ეს

ულამაზესი მხარე“ (ანჩაბაძე და სხვები, 2008: 457); ფილმებში: „ეს [აფხაზეთი] რატის სახლია, რატის მიწაა, სამოთხე, ჩვენი ყველასი. დროებით შენ [აფხაზ ქალს] გიტოვებ (ნაწყვეტი ფილმიდან „ბამბაზიის სამოთხე“, 2010); ემოციურ ინდივიდუალურ წარმოდგენებში: „სოხუმში ცხოვრება სამოთხეში ცხოვრება იყო, და აბა ვინ დაუშვებდა ამას? ამიტომაც დაანგრის ყველაფერი“ (დევნილი მხატვარი, 2016); და ბოლოს, სკოლის ექსტრაკურიკულუმის ღონისძიებების ტექსტებში:

ძვირად დაგვიჩადა დამოუკიდებლობის მოპოვება. [...] სისხლს მოწყურებულმა მტერმა [...] ჯერ ოსეთი მოგვგლიჯა დედა სამშობლოს, შემდეგ ქართველ და აფხაზ ხალხს შორის გაჩენილი ბზარი აქცია გადაულახავ უფსკრულად. აფხაზეთი ... ეს პატარა წალკოტი საქართველოსი ომის ქარცეცხლში გაიყო (ნაწყვეტი აფხაზეთის ა/რ #3 თბილისის საჯარო სკოლის ღონისძიებიდან „რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით“, 2018).

აფხაზეთის „მიუწვდომლობის“ ფაქტორი ამ ნარატივს ემოციურად მუხტავს. კილომეტრაჟით ახლოს, მაგრამ რეალურად იქ ჩასვლის თითქმის შეუძლებლობის გამო „შორეული“ აფხაზეთი დანაწევრებისა და მონატრების გრძნობას აორმაგებს. კერასთან დაშორება დროსა და სივრცეში, დაბრუნების უპერსპექტიოება ან ნაკლები ალბათობა რეპატრიაციის გაძლიერებულ სურვილს წარმოშობს (Black, 2001: 126). დოკუმენტურ ფილმში „ეს ჩემი მიწაა“⁵⁷ შემდეგი ფრაზა ჟღერს: „ეს გახდა მითი მათთვის, რადგან მათ [პალესტინელებს] არ შეუძლიათ იქ [ისრაელში, იგულისხმება

⁵⁷ *This is my Land* (2014), რეჟისორი ტამარა ერდე. ეს დოკუმენტური ფილმი შეეხება კონფლიქტით გაყოფილი ისრაელელი ებრაელებისა და პალესტინელი არაბებისთვის სკოლაში ისტორიის სწავლებას.

მშობლიური მიწა] წასვლა ... ისინი არიან ისე ახლოს, თუმცა მაინც არ შეუძლიათ წასვლა“. აფხაზეთი ბუნებასთან ერთად მიუწვდენლობის ფაქტორის გამო კიდევ უფრო მითიურ დატვირთვას იძენს. დევნილებისა და დამსვენებლების სენტიმენტალური პირადი ისტორიების სიმბოლური ძალა თუ ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკური დისკურსი აფხაზეთის მიმართ სიყვარულსა და მიკუთვნებულობას ახალ თაობაშიც პერმანენტულად წარმოშობს და ინარჩუნებს (Kabachnik, 2012: 57).

ამ ენერგეტიკის შენარჩუნებაში დედაქალაქში აფხაზეთის ტოპონიმით სხვადასხვა ობიექტების არსებობას შეაქვთ წვლილი. მაგალითად, ქუჩები (სოხუმის ქუჩა, სოხუმის მოედანი, რიწის ქუჩა), რესტორნები („გაგრა“, „აფხაზეთი“, „ამრა“, „ნართა“), სასტუმროები, აფხაზეთის ომში დაღუპული მეზომოლეების პატივსაცემად დარქმეული ქუჩები (ოქმი #32, 2019) და სხვა. 2005 წელს დაწყებული ახალგაზრდული სახელმწიფო ბანაკი „პატრიოტის“ ერთ-ერთ ლოკაციად სოფელ განმუხურის არჩევა და ანაკლიას მიმართ ინტერესის გაზრდა (ახალგაზრდული ფესტივალები, პორტი), აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მათი ძალიან ახლო მდებარეობით იყო გამოწვეული. ამას გარდა, უფრო კაფეებში, *სივრცესთან* დაკავშირებული მარკეტინგული შეთავაზებები როგორიცაა ყავა ქვიშაზე ან ნაყინი, როგორც სოხუმის სანაპიროზე. ეს თუ სხვა მსგავსი ნივთობრივი თუ იდეური კავშირები პერმანენტულად „კვებავენ“ აფხაზეთის შესახებ მეხსიერების ნარატივებს.

3.1.2 სივრცის გასაკრალურება

მიკროგეოგრაფიისგან განსხვავებით, *სივრცის გასაკრალურება* გულისხმობს ემოციურ ტერიტორიას, „ლოკალურობასთან ასოცირებული გამოცდილება, მისი ხმები და სუნნი“⁵⁸ (Brah, 1996: 192). სხვანაირად, ყველაფერი ის, რაც ამ სივრცეს ავსებს:

მენატრება ჩემი ... სახლი, სახლი სადაც მე ვიცხოვრე, მე შევექმენი, მე მოვაწყვე ... ჩემი ახალგაზრდობა იქ იყო ... ჩემი შვილების პატარაობა, იქ დაიბადნენ, იქ გაიზარდნენ, აი ეს მაკლია ყველაფერი. ყველაფერი იქ რაც იყო შიგნით, ყველაფერი ის მაკლია (თბილისის კოლექტიურ ცენტრში მცხოვრები დევნილი, 67 წლის, 2016).

რუტინა, ყოველდღიურობა (ბავშვობა, ოჯახის შექმნა, შვილების გაზრდა, სამსახური) ყოფის პრაქტიკის ნაწილი და სივრცისთვის მშობლიურობის დატვირთვის მიმცემია. აფხაზეთის საკრალურობის დისკურსი სამი მიმართულებით ვლინდება: **დაბადება, გარდაცვალება და რელიგიური ცენტრები**. დაბადებაში წარმომავლობა, გვარის წარმოშობა და არა მხოლოდ ფიზიკური დაბადება მოიაზრება. გარდაცვალებაში საფლავების კულტი და მისი გავლენა იდენტობაზე. ხოლო რელიგიურ ცენტრებში ის ქრისტიანული მეგლები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ყურადღება ეთმობა.

⁵⁸ “[...] lived experience of locality, its sounds and smells”.

ობიექტურად ინდივიდს არ აქვს შესაძლებლობა აირჩიოს დაბადების ადგილი, ისევე როგორც ოჯახი და ფართო გაგებით გვარი/ეროვნება. ამავდროულად, მან ირაციონალურად თუ რაციონალურად უნდა გაითავისოს ეს მოცემულობები და ჰქონდეს სურვილი მათი რეპრეზენტაციის. როდესაც გამწყდარია ფიზიკური კავშირი დაბადების ადგილთან, ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი ხდება კოლექტიური მეხსიერების ინსტრუმენტალიზება (Wertsch, 2008) მასთან ბმის შენარჩუნებისთვის. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი ქართულ რეალობაში არის დევნილობის სტატუსი. იმ შემთხვევაში თუ ბავშვის ერთი მშობელი მაინც დევნილია მას შეუძლია შვილისთვისაც ამ სტატუსის გაფორმება. ეს მიდგომა არის იმ ფართო რიტორიკის ნაწილი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ახალ თაობაშიც იყოს აფხაზეთელობის მეხსიერება. ამ რიტორიკის პრაქტიკის არტიკულაციაა ამ თავის დასაწყისში მოყვანილ სკოლის დირექტორის ციტატაში: „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ბავშვებს არ დაავიწყდეთ, საიდან არიან ისინი, რა არის ... ფესვები მათი საიდან მოდის“.

თუ დაბადების ადგილის კონსერვაცია შეუძლებელია და ის ინდივიდის ოფიციალურ დოკუმენტებში რჩება მხოლოდ, გარდაცვალების ადგილი, საფლავის სახით, უფრო ხელშესახებია. ეს მიმართება ცხედარსა (*body*) და ნიადაგს (*soil*) შორის წარმოშობს განსაკუთრებულ ბმას, „მიკუთვნებულობის ხელახალ დადასტურებას“ (*reaffirmation of belonging*) (Geschiere, 2009: 18). თავისმხრივ, საფლავებს, ხსოვნის ძეგლებს (*commemorative monuments*), სამარხებს (*burial sights*) აქვთ გავლენა იდენტობის ჩამოყალიბებაზე (Tilley, 2006). აქ არ იგულისხმება მხოლოდ ვიწრო გაგებით კონკრეტულ ლოკაციასთან მიჯაჭვულობა, არამედ მესაკუთრეობისა და

მიკუთვნებულობის მორალური და ისტორიული საფუძვლები. ეს არის ინდივიდუალური/ოჯახის მემკვიდრეობა, რომელიც ხდება ტერიტორიის, როგორც კოლექტიური ქონების, ლეგალური ბაზა.

საფლავების მონახულებასა და იდენტობას შორის ძლიერი კავშირის დემონსტრირება ხდება ყოველ აღდგომას. ამ დროს საგრძნობლად მატულობს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის „უკანონოდ“ გადაკვეთის ინციდენტები⁵⁹. საქართველოში არსებობს რელიგიით ნაკარნახევი ყოფითი ტრადიცია აღდგომას ან აღდგომის მეორე დღეს საფლავებზე გასვლის. BBC-იმ ამ რიტუალს ხატოვნად „ვახშამი მიცვალებულებთან“ უწოდა⁶⁰ ეს დღე იმდენად სიმბოლურია, რომ დევნილები კვეთენ ადმინისტრაციულ საზღვარს რისკის, დაკავებისა ან სხვა შიშის ფაქტორების მიუხედავად იმისათვის, რომ გალის ან ახალგორის რაიონში შეასრულონ საფლავზე მისვლის რიტუალი.

კავკასიაში მიცვალებულების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების ერთ-ერთი მიზეზია წინაპრების, როგორც საკუთარი წარმომავლობის სათავეს, უპირობო პატივისცემა. ამერიკელმა ჟურნალისტმა, ლოურენს სკოტ შიითსმა (2012),

⁵⁹ ამ ინციდენტებისა და დაკავებების ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა ყოველ აღდგომას რამდენიმე მედია საშუალება ტრადიციულად აკეთებს რეპორტაჟს ამ თემაზე. ერთ-ერთი მათგანი: ოკუპირებული საფლავები „საზღვართან“. URL: <https://www.radiotavisupleba.ge/a/okupirebuli-saplavebi-sazgvartan/29154372.html> [1.04.2020].

⁶⁰ რეპორტაჟი სრულად: BBC News: Dining with the Dead Georgian Families' Graveyard Feast. URL: <https://www.youtube.com/watch?v=tOByCMQz6Fs&t=19s> [6.08.2019].

წიგნში „იმპერიის 8 ნამსხვრევი“ გაიხსენა ამის მაგალითი. ავტორმა აღწერა სიტუაცია სოხუმში, ომის დროს თვითმფრინავებში, რომლებითაც ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაცია უნდა მომხდარიყო, ყოფილა შემთხვევები, როცა ცოცხალი ადამიანებისთვის არ იყო ადგილი, ცხედრები კი მაინც „მგზავრობდნენ“ იგივე ბორტით.

ხშირად მომისმენია იძულებით გადაადგილებული პირების წუხილი, რომ ვერ მიდიან და ვერ უვლიან საფლავებს. პარადოქსულად, ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება, რომ სასაფლაოს მიტოვება შემაწუხებელი შეუსრულებელი ვალდებულების გრძნობით ნაკარნახევი უფრო დიდი ფსიქოლოგიური ტრავმაა, ვიდრე თუნდაც მატერიალური ქონების დაკარგვა. განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მიცვალებულების ხმაურიანი დატირება, მოხსენიების მრავალი წეს-ჩვეულება, პომპეზური სასაფლაოები ე.წ. „სასახლეებით“ ერთობლიობაში ის პერფორმანსია, რომელიც მკაფიოდ უსმევს ხაზს, რომ მარტივად ვერ შეეგუება ამ კავშირის დაკარგვას საკუთარ ფესვებთან. ისტორიკოსმა, დავით ჯიშკარიანმა, ამ თემაზე დაწერილი სტატია ასე შეაჯამა:

აფხაზეთი საკურორტო რეგიონია. ადამიანები იქ ისვენებდნენ, ზღვაში ბანაობდნენ, ირუჯებოდნენ, უყვარდებოდათ, ერთობოდნენ. ბუნებრივია, მათ ეს კურორტი ენატრებოდათ და ამაში ცუდი, გასაკიცხი და გასაკვირი არაფერია. ადამიანებს ენატრებათ ის, რაც აკავშირებთ აფხაზებთან. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც „ცოტა“ სხვა რამ აკავშირებთ და უფრო განსხვავებულად ენატრებათ ის, რაც სხვებისთვის ხელმისაწვდომი

და რუტინული ტრადიციის ნაწილია, საფლავზე გასვლა და წითელი კვერცხის გადაგორება (ჯიშკარიანი, 2020).

აფხაზეთის მიწაზე ძირძველობის პარალელურად მიდის იდეოლოგიური კამათი გაქრისტიანების პირველობაზე. აფხაზეთში რელიგიური ცენტრების გარშემო ამტყდარი აჟიოტაჟიც, ეკლესია-მონასტრებისთვის „ეთნიკურობის“ დადგენის შესახებ, არის ამ შეჯიბრის მოსაგებად საჭირო არგუმენტების ფაბრიკაციაც და შედეგიც. აფხაზურ ლიტერატურაში ხაზგასმულია აფხაზების ღრმა ქრისტიანული ფესვებიც (Гунба, 1989; Лакоба, 1990) და აფხაზეთის მრავალკონფესიულობაც (Воронов и др., 1993). ამის საპირწონედ, ქართული ნარატივი მხოლოდ ქართველებს მოიაზრებს აფხაზეთში ქრისტიანობის „დამცველად“ და აფხაზებს მიაკუთვნებს ისლამის მიმდევრებს (Smith et al., 1998). საქართველოს მიერ რეგიონში ქრისტიანობის აპროპრიაცია არ არის მხოლოდ აფხაზეთზე მიბმული, ის ზოგადად წარმოდგენილია, როგორც „მიწისა და ხალხის ღმერთთან წმინდა კავშირის სამკუთხედისეული პარადიგმა“⁶¹ (Batiashvili, 2018: xii). ამ დებატის საინტერესო ვიზუალიზაცია ვნახე საველე კვლევის დროს აფხაზეთის ა/რ #3 თბილისის საჯარო სკოლის კედელზე, სადაც აფხაზეთის ცნობილი ადგილებისა და კურორტების, თუმცა უმთავრესად მაინც ქრისტიანული ძეგლების ფოტოები ეკიდა: რესტორანი „გაგრიფში“, კურორტი

⁶¹ შეადარეთ ორიგინალთან: “The triangular paradigm of a sacred bond of the land and people with the divinity or because it offers mythic validation for a geopolitically illfated location of the nation’s sacred land”.

ბიჭვინთა, სოხუმის ბოტანიკური ბაღი, ლიხნი, ბედია, ილორი, ბიჭვინთა, დრანდა, გაგრა, სიმონ კანანელის ეკლესია და ა.შ.

3.1.3 დაბრუნება მომავალში

აფხაზეთის ადგილთან და სივრცესთან იდენტობის ასოციაციამ უნდა წარმოშვას „დაბრუნების“ სურვილი. „დაბრუნება“ როგორც იდეა-ფიქსი, ტკივილის განკურნების პანაცეა, არის დისკურსი, რომელიც ყველა პლატფორმიდან ისმის. ისევ სავსე კვლევებიდან მოვიყვანო მაგალითს. როცა კულტურული საღამოს - „რანი ვართ, რანი ვიყავით, რანი ვიქნებით“ დასასრულს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი, გამოვიდა სიტყვით:

ამაყი ვარ, ძალიან ამაყი ქართველი ვარ თქვენს გვერდით რომ ვდგევარ ახალგაზრდებო. თქვენ უნდა დააბრუნოთ აფხაზეთი, [...] ეს მადლი, რასაც თქვენ შვრებით არ არის საჭიროდ დაფასებული. ყველას სახელით, აფხაზეთის სახელით მადლობას გიხდით და დაბრუნებამდის იყოს.

„დაბრუნებამდის იყოს“ სადღეგრძელოსავით ჟღერს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში აწმყოს ცხოვრების სტილის განმსაზღვრელია. სიტყვა „დაბრუნება“ ლინგვისტურად წარსულს უკავშირდება, ენობრივად ვერ ვიტყვით „მომავალში უნდა

დავბრუნდე“. ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება რომ „დაბრუნება“ არის ნოსტალგია, რომელიც „დანაკარგის, უქონლობის, მონატრების“ გრძნობაა და ოცნება მიუწვდომლის მისაწვდომლობაზე, რომელიც დროსთან ერთად წარსულს ჩაბარდა (Pickering and Keightley, 2006: 920-921). თუმცა, აფხაზეთში დაბრუნება არის ნოსტალგია, რომელიც მომავლის პროექტია, აწმყოსა და მომავლის მიმართ მოლოდინია (Angé and Berliner, 2014; Pickering and Keightley, 2006; Boym, 2001; Gotfredsen, 2014). ის არის არა მხოლოდ ამჟამინდელობის ტრავმით ნაკარნახევი მელანქოლიური და რომანტიკული, კონსერვატიული განწყობა, არამედ, პარადოქსულად, მოდური, თანამედროვე ფენომენი (Boym, 2011). წარსულის ტკივილი არის მომავლის სიამაყის მაკონსტრუირებელი.

დაბრუნების დისკურსის ვიზუალიზაცია და ხელმისაწვდომობა ბევრი მიმართულებით ვლინდება. მაგალითად, 1997 წელს სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა „თეთრი ტალღა“ ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „Hellados-ის“ და გურამ ოდიშარიას ⁶² „სოხუმში დაბრუნების“ მოტივებზე დადგა სპექტაკლი „გამარჯობა, სოხუმო!“. მისი მთავარი გმირი, იანგული, არის სოხუმში დაბადებული და გაზრდილი ეთნიკურად ბერძენი ბიჭი. გარდა მოზარდებს შორის პაექრობისა და ცხოვრებაში თვითდამკვიდრების ხაზისა, ნაწარმოები აღწერს ბერძნების მასობრივ რეპატრაციას აფხაზეთიდან ისტორიულ სამშობლოში. იანგული ეწინააღმდეგება ამ

⁶² გურამ ოდიშარია არის ქართველი მწერალი აფხაზეთიდან. რომანი „დაბრუნება აფხაზეთში“ გამოიცა 1999 წელს თბილისში. სპექტაკლის თავდაპირველი ვერსია იყო „Hellados“ მოტივებზე და უკვე ამ რომანის გამოცემის შემდეგ მოხდა ამ ორი ნაწარმოების შეჯერება. ავტორთან რომანის შესახებ ინტერვიუ იხილეთ აქ: <https://www.radiotavisupleba.ge/a/1537393.html>

იდეას და როცა ძალდატანებით მას მაინც აიყვანენ გემზე, რამდენიმე დღის შემდეგ ზღვა გამოირყავს მის ნეშტს და მის გულზე ნახავენ სვირინგს *Hellados*, ანუ საბერძნეთი. სპექტაკლის მიმდინარეობა თითქმის ზედმიწევნით ემთხვევა ღუმბადის მოთხრობის ფაბულას. განსხვავებულია ფინალური სცენა, სადაც ბაწარი არის გაკრული სცენის მთელ სიგრძეზე და სათითაოდ გამორბის ყველა მსახიობი ამ თოკთან და გაჰყვირის დარბაზში, რომ „ჩვენ დავბრუნდებით“. მახსოვს ამ პასაჟით აღელვებული მაყურებელი, რომელიც აცრემლებული ძალიან დიდი ხანი ფეხზე დგომით უკრავდა ტაშს. ამ სპექტაკლს სამჯერ ვუყურე და სამივეჯერ ერთიდაიგივე რეაქციის მომსწრე გავხდი.

დაბრუნების რიტორიკა ჩნდება პოპულარულ სიმღერებშიც. ზემოთ ნახსენებ თბილისის ზღვის დევნილთა სკოლაში წარჩინებულ მოსწავლეთა ფოტოების გვერდით, „აფხაზეთის სულიერი საგანძურის“ სათაურის ქვეშ ჩარჩოში ჩასმულია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“:

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი, ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია.

მომენტრა მზე სინათლის მფენი, მომენტრა ზღვა, რომელიც ვრცელია.

მომაგებე შენ იგივე პალმა, სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა

გადიწერა ჩუმად ლექსი ჩემი. მომაგებე მშობლიური გემი,

მომაგებე მშობლიური მიწა, შენი ძველი მეგობარი მიცან.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ლექსის დაწერის ისტორია რომანტიკულია⁶³, მან მიიღო პატრიოტული კონოტაცია, როცა ამ სიმღერით მომღერალმა ზუმბამ 2007 წელს გაიმარჯვა მუსიკალურ კონკურს „პატრიოტში“. სიმღერის მიხედვით გადაიღეს კლიპი, რომლის თითოეული მონაწილე ზუმბასთან ერთად ღირსების ორდენით დააჯილდოვეს.

ამ სიმღერაზე გადაღებული კლიპი გახდა ჰიტი. მასში მიიღო მონაწილეობა იმდროინდელმა სამუსიკო ესტრადამ - ყველა ასაკის, თაობის, ჟანრის წარმომადგენელმა. კლიპში ნაჩვენებია სხვადასხვა მომღერალი როგორ ემზადება აფხაზეთში წასასვლელად. ზოგი მატარებლით, ზოგი ავტოსტოპით, ზოგი გემით, ზოგი თვითმფრინავით, ზოგი ავტობუსით, ზოგი მანქანით და ზოგიც მოტოციკლით ცდილობს აფხაზეთში ჩასვლას. ამის პარალელურად ნაჩვენებია როგორ იცლება დევნილთა დასახლებები და დევნილები უკან ბრუნდებიან. ჩართულია ტელევიზორი, სადაც პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, რომ სოხუმი საქართველოს ყველაზე ლამაზი ქალაქია. იმ პერიოდშივე ჩნდება სახელმწიფო მეთაურის ცნობილი დაპირება, რომ მალე „სოხუმამდე მატარებლის ბილეთის“ შეძენა იქნება შესაძლებელი. ამ კლიპში პრეზიდენტის მიერ სოხუმში მატარებლის ბილეთის შესახებ გაკეთებული განცხადების სიმბოლურობა განხილული აქვთ სხვა მკვლევარებსაც (Kabachnik, 2012).

⁶³ ვის მიუძღვნა გალაკტიონმა "გამარჯობა, აფხაზეთო, შენი". (2015). <https://www.kvirispalitra.ge/public/26817-vis-miudzhghvna-galaktionma-qgamarjoba-afkhazetho-sheniq.html> [25.10.2019].

ამ სიმღერის დარად ბევრი სხვა სიმღერა შეიქმნა აფხაზეთზე, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიაზე (მაგალითად, ნინო ბადურაშვილის „ფსოუს წყალი“, სოფო ნიჟარაძის „აფხაზეთო ჩემო“, საბინა ჭანტურიას „სისხლიანი ხელები“, ოთო ნემსაძის „სულ წინ იარე“ და ა. შ.). ბევრი მათგანი სპეციალურად იქმნებოდა საერთაშორისო არენაზე გაჟღერებისთვის. კლიპებში ხშირად ფიგურირებს მავთულხლართი და ტექსტში ძმობის, ტკივილის, ერთიანობის ფრაზები. განსაკუთრებით საინტერესოა 2018 წელს დაწერილი სიმღერა „ფრთამოტეხილი მაფშალიას“ (მეგრულიდან ბულბული) ტექსტი. მას ასრულებს ნათია თოდუა (გალში გაზრდილი, გერმანიის ვოკალის კონკურსის *Die Stimme* (ახალი ხმა) გამარჯვებული)⁶⁴:

ფრთამოტეხილ მაფშალიას ვგავარ, გაკვირტული გაზაფხული ყრია.

მზე შენს ცაზე არასოდეს ჩავა, მომაკვდავის აღსარება გქვია...

დღეს იღორღი თუ სიზმარში მწყალობს, როგორ გახმა შენს ფერდობზე ია,

ვიფერფლები მა ღურელი გვალო და უშენოდ უპატრონო მექვია...

ცას შეახმა თოლიების სისხლი, ძლივს დავდივარ უძღური და ჩია.

უსახლკაროს მიყურებენ ზიზლით, გული სკდება, რომ დევნილი მექვია...

ვეპარები შენს დასეტყვილ ველებს, კარს თუ არა, გულს დატოვებ ღიას...

თუ ჩამიკრავ, შემახსენე მერე, რომ უშენოდ ჯოჯოხეთი მექვია...

შენ გესროლეს და მე მომხვდა გულზე, ტყუპისცალი ძმის ნასროლი ტყვია.

ენგურიდან შენს ხერხემალს ვუმზერ, კუთხე არა, სიყვარულია გქვია...

⁶⁴ ასევე საინტერესო ფაქტია, რომ ამ სიმღერის ტექსტი ეკუთვნის მამა პეტრეს (კვარაცხელია), რომელიც კონტროვერსიული სასულიერო პირია.

ტყუპისცალ ძმებს შორის სისხლი, უაფხაზეთობით გამოწვეული ობლობა და ინდივიდუალური ტრაგედია არის დაბრუნების ნარატივის საფუძველი. აფხაზეთის მიმართ სიყვარულის გაღვივება ახალგაზრდებში არის გააზრებული თუ გაუაზრებელი ნოსტალგიის რიტორიკის პროდუქტი. ცხადია, სახელმწიფო ინტერესი (ტერიტორიული მთლიანობა) მოითხოვს ამ პროდუქტის არსებობას, მაგრამ აფხაზეთთან დაკავშირებით წმინდა ინტერესის გარდა ადვილად შესამჩნევია პოეტური, ფესვებთან დამაბრუნებელი, მაშასადამე, მშობლიური და საკუთარი თავისგან განუყოფელი სანუკვარი სივრცის შექმნა. დედამიწაზე სამოთხის დაბრუნება აფხაზეთის სახით არის ერთ-ერთი მთავარი მესიჯი, რომელიც ინსტრუმენტალიზებულია უფროსი თაობის სენტიმენტალურ ისტორიებსა და სახელმწიფო დისკურსში.

3.2. აფხაზეთი ნარატივი

*ქართულ-აფხაზურ ომში გამარჯვება არ იყო მარტივი. [...] აფხაზეთის ხალხისთვის აგრესორთან ოდინდელი სამშობლოს (исконной родины) განთავისუფლებისთვის ბრძოლა გახდა სამამულო ომი. ზუსტად ასე აღიქვა აფხაზმა ხალხმა და ზუსტად ასე უწოდა **413 დღიან ბრძოლას** თავისი ეროვნული და სახელმწიფო დამოუკიდებლობის-თვის. ეს განსაზღვრება ყველაზე ზუსტად ასახავს ომის ხასიათსა და მტერთან სახალხო*

წინააღმდეგობის დღეებში გამარჯვების საერთო სურვილს. სწორედ ამის სამამულო ხასიათში იმალება აფხაზეთის გამარჯვების სათავე და მიზეზები. მხოლოდ ამით აიხსნება აფხაზეთის ხალხის გამარჯვება მრავალჯერ აღმატებულ აგრესორის ძალებთან (Куакуаскир, 2010: 270).

ეს ამონარიდი აფხაზური სახელმძღვანელოდან აჯამებს მე-10 თავს სათაურით: „პოსტსაბჭოთა პერიოდი. აფხაზეთი დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს გზაზე“. ოთხი ქვეთავისგან შემდგარი პარაგრაფი დეტალურად საუბრობს აფხაზეთის 1992-1993 წლების ომზე. ამ მონაკვეთიდან ჩანს აფხაზური ვიქტიმიზაციის ნარატივის მთავარი პოსტულატი: მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ წარმოებული სამამულო ომი.

კოლექტიურ მეხსიერებაში მტრის ხატის შექმნა ეფუძნება ჩვენ/ისინი (*self/other*) დიქოტომიას, რომელიც ეროვნული იდენტობის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია (Assman, 1995; Batiashvili, 2018; Neumann, 1999). პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებებში ეს გაყოფა განსაკუთრებით აქცენტიზირებულია. ანტაგონიზმი განმტკიცებულია როლების აღქმის განსხვავებულობით (*self-alter role conception*) (Holsti, 1970), მსხვერპლი-დამნაშავე (*victim-perpetrator*) პარადიგმითა (Bekerman and Zembylas, 2010) და „სხვა“ იგივე „მტრის“ დემონიზებით (ბარქაია, 2019).

საქართველოს დეკლარირებული მტრის იმიჯი თანამედროვე აფხაზურ პოლიტიკურ დისკურსში ძალიან აქტუალურია. 2020 წლის 22 მარტის აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ფინალური სატელევიზიო დებატების პირდაპირ ეთერში

ადგურ არძინბამ, სამთავრობო კანდიდატმა, აღნიშნა: „საქართველო, არა როგორღაც ფურცელზე, არამედ ოფიციალურად ჩვენი მტერია“⁶⁵ (წ. 59.49 – 59.56). „ჩვენ-ისინი“ აფხაზური ვიქტიმიზაციის ნარატივი ეფუძნება პეროიზაციას. ეს ვლინდება აგრესორი-ოკუპანტის წინააღმდეგ ომის პეროიკულად კატეგორიზაციასა (სამამულო, წმინდა, მოგებული, საერთო სახალხო) და ომში დაღუპული მეომრების პეროიკულ კომემორაციაში (რაოდენობრივი და იდეური თვალსაზრისით).

3.2.1 სამამულო ომი

1992-1993 წლების აფხაზეთის ხალხის სამამულო ომი (Отечественная война народа Абхазии) - ასეა დასათაურებული და შემდგომ ტექსტში არაერთხელ მოხსენიებული ომში გადაზრდილი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი. ტერმინი „სამამულო ომი“ იმთავითვე იწვევს ასოციაციას 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომთან, ომის რუსულ ნარატივთან, რომლის ყაიდაზეც არის გამოჭრილი ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ნაციონალური ნარატივი. დასავლეთის ქვეყნებში ის მოიხსენიება როგორც მეორე მსოფლიო ომის აღმოსავლეთი ფრონტი. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირი ჩაერთო ბრძოლაში ნაცისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების

⁶⁵ შეადარეთ ორიგინალს რუსულად: „Грузия не как-то на бумаге, а официально наш враг“.

წინააღმდეგ. ამ ორი მოვლენის აშკარა შედარებით აფხაზური სახელმძღვანელოები იყენებენ ტრავმული პარალელების (*reference*) (Coffin, 2006) ტექნიკას ვიქტიმიზაციის ნარატივის გასაძლიერებლად. საბჭოთა კავშირის და მისი იდეოლოგიური მემკვიდრეობის მიმღები ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში (განსაკუთრებით, რუსულენოვან საზოგადოებებში) დღესაც მკაფიოა დიდი სამამულო ომის კონოტაცია: წმინდა გამარჯვება აბსოლუტური ბოროტების წინააღმდეგ. შესაბამისად, აფხაზური ნარატივის ეს პარალელი მიუთითებს 90-იანების ომის მისიის იდენტურ აღქმაზე. ამავდროულად, ეს არ არის ერთადერთი შედარება. აფხაზურ ორივე სახელმძღვანელოში, იმავე თემატიკაზე საუბრისას, ქართული ჯარის მიერ ალყაშემორტყმული ტყვარჩელი შედარებულია ლენინგრადის ბლოკადას⁶⁶ (Бражба & Лакоба, 2015: 393; Куакуаскиრ, 2010: 259).

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ამ ომში გამარჯვების დღედ 9 მაისი მიიჩნევა. ის დასვენების დღეა და საბჭოთა კავშირის მიერ ფაშიზმზე გამარჯვების დღედ აღინიშნება. ამ დღეს იმართება კომემორაციის სხვადასხვა ღონისძიებები. ეს ღონისძიებები, ძეგლები, მუზეუმები და „მეხსიერების“ სხვა შესაძლებლობები წარმოადგენენ სიმბოლურ კაპიტალსა და საზოგადოებრივ სიკეთეებს (*symbolic capital and public goods*) (Forest and Johnson, 2011: 273). ეს ორი ტერმინი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ეკონომიკის სფეროდან შემოიღეს. ეს ტერმინები დამკვიდრნენ იმ

⁶⁶ ორიგინალი რუსულად: „Ткуарчал ... напоминал осаждённый в годы Великой Отечественной войны Ленинград“ და „Ткуарчал ... напоминал блокадный Ленинград“. ლენინგრადის (დღევანდელი სანკტ-პეტერბურგი) სამხედრო ბლოკადა ნაცისტური გერმანიასა და მისი მოკავშირეების მიერ, რომელიც გაგრძელდა 872 დღე (8.09.1941 – 27.01.1944).

ობიექტების აღსანიშნავად, რომელთა გამოყენება ხელმისაწვდომია ნებისმიერი ადამიანისთვის. ამ მონუმენტების ღირებულება გამომდინარეობს მათი შინაარსიდან. სხვა სიტყვებით, ისინი ღირებულნი არიან როგორც არამატერიალური სიკეთეები. კოლექტიური მეხსიერების ასპექტში, „კომემორაციის დღეების უმთავრესი დანიშნულებაა - ინდივიდებს ახსოვდეთ წარსულის მოვლენა, რომელიც თემისთვის ან სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვნად არის მიჩნეული“ (Onken, 2007: 23).

კომემორაციის პოლიტიკა, თავისთავად, არის უფრო დიდი ვიდრე კონკრეტული ძეგლი თუ მუზეუმი. ეს არის ბრძოლა ძალაუფლების მოპოვებისთვის, გავლენის დამკვიდრებისთვის, კონკრეტული ღირებულებების დანერგვისთვის, იდეოლოგიის გატარებისთვის. „ძეგლები წარმოადგენენ ინსტრუმენტულ იარაღს პოლიტიკურ ბრძოლაში გულებისთვისა და გონებისთვის“ (Forest and Johnson, 2011: 273). კომემორაცია შეიძლება იყოს როგორც სადღესასწაულო, ისე სამგლოვიარო (იქვე). პირველის მაგალითად შეიძლება 9 მაისის მოყვანა. მეორის მაგალითად კი ისრაელის პრემიერ მინისტრის, იცხაკ რაბინის, მკვლელობა (Vinitzky-Seroussi, 2002). შესაძლოა ამ ორი, ერთი შეხედვით ერთმანეთის გამომრიცხველი, ჟანრის გაერთიანებაც და პარადოქსული პრაქტიკის მიღება. მაგალითად, ამერიკაში ვიეტნამში გარდაცვლილი ჯარისკაცების ძეგლის აღმართვა. ავტორები აღნიშნავენ, რომ წაგებული ბრძოლის ჯარისკაცებს, როგორც წესი, ამ პატივს არ არგუნებენ. „ნეგატიური მოვლენები არის მორალური ტრავმა: ის გამოიხატება არა მხოლოდ დანაკარგში ან წაგებაში, მაგრამ ასევე წარმოშობს უთანხმოებას და შთააგონებენ

გაკიცხვას“ (Wagner-Pacifci and Schwartz, 1991: 384). მიუხედავად ამისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ მონუმენტის დადგმა ტრავმირებული ეროვნული ნარატივის, შელახული ღირსების აღდგენის საუკეთესო გამოსავლად იქნა მიჩნეული შეერთებული შტატების მთავრობის მიერ.

ჯერ კიდევ მორის ჰალბვაქსი საუბრობდა მითების და სიმბოლოების მნიშვნელობაზე კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესში (Halbwachs, 1992). თანამედროვე კულტურული ანთროპოლოგებისთვის ეს საკითხი კვლავ ფუნდამენტურია. კომემორაციის პრაქტიკისა და სიმბოლოების გადაფასება ხშირად ხდება თაობების, პოლიტიკური დისკურსის ცვლილებასთან ერთად. გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია მსგავსი სიმბოლოების საშუალებებით პოლიტიკური დისკურსის შექმნა. „ცვლილებებისა და კრიზის დროს, პოლიტიკური აქტორები იყენებენ ძეგლებსა და მემორიალებს, როგორც ლოკომოტივებს ძალაუფლებისთვის მათი მოთხოვნებისა და საზოგადოებაზე წარმოდგენების ლეგიტიმაციისთვის“ (Forest and Johnson, 2011: 270).

რაც შეეხება უშუალოდ მეორე მსოფლიო ომს, რუსულენოვანი საზოგადოებების (რომელთა რიცხვს განეკუთვნება აფხაზეთიც) თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში მას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს იმიტია გამოწვეული, რომ თანამედროვე მსოფლიოში სსრკ-ს მიღწევები თუ მიდგომები ღირებულად ნაკლებად მიიჩნევა. ამის ფონზე, რუსეთის ფედერაციისთვის, როგორც საბჭოთა კავშირის მემკვიდრე ქვეყნისთვის, 9 მაისი საკრალურ მნიშვნელობას იძენს (Kattago, 2017: 88). ეს ომი

რუსულ ნარატივში აღწერილია, როგორც „ხალხის გმირული ბრძოლა ბოროტი ფაშისტების წინააღმდეგ, რომელთაც სურდათ რუსი ხალხის განადგურება; შესაბამისად, ეს არ იყო იდეოლოგიური ომი, არამედ ბრძოლა სიცოცხლისთვის ან სიკვდილისთვის და რუსებმა მოახერხეს გამარჯვება“ (Pavlovskiy, 2008 in Paabo, 2008: 19). ამის დამატატურებელი აქამდე გატარებული ღონისძიებების კულმინაცია არის პროექტი „გამარჯვების ტაძარი“. მისი გახსნა იგეგმებოდა 2020 წლის 9 მაისისთვის (ომის დამთავრების შემდეგ 75 წლის იუბილესთვის) მოსკოვის გარეუბანში, „რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების კულტურისა და დასვენების პატრიოტულ პარკში“, თუმცა კორონა ვირუსის პანდემიის გამო ეს პროექტი დროში გაიწელა. იქ იქნება მრავალფუნქციური სასწავლო ცენტრი და მემორიალური გალერეა „ხსოვნის გზა“. ეს არის „მუზეუმი, რომელშიც ომის 30 მილიონზე მეტი მონაწილის ფოტოები, მათი ნივთები და საფრონტო წერილები შეინახება. ტაძრის კედლები – რუსეთის ჯარის წმინდა მფარველების ხატებით, ვიტრაჟები კი ბატალური სცენებისა და ჰერალდიკური ნიშნების გამოსახულებებით იქნება დამშვენებული.“⁶⁷

აფხაზეთში 9 მაისისთვის ყოველწლიურად იქმნება განსაკუთრებული გარემო. იმართება აღლუმი, სამხედრო ორკესტრი მართავს სადღესასწაულო კონცერტს, მარშირებს უკვდავი პოლკი, სადაც ოჯახის წევრებს მოაქვთ ომში მონაწილე

⁶⁷ რუსეთი: სამხედრო მართლმადიდებლობის ზეიმი. URL:

<https://jam-news.net/%e1%83%a0%e1%83%a3%e1%83%a1%e1%83%94%e1%83%97%e1%83%98-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%ae%e1%83%94%e1%83%93%e1%83%a0%e1%83%9d-%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%9a%e1%83%9b%e1%83%90/?lang=ka>
[5.10.2019].

ნათესავების სურათები, ლოზუნგებით „ჩვენ გვახსოვს“, იწვევენ ვეტერანებს, მიაქვთ ყვავილები „უცნობი ჯარისკაცის“ ძეგლთან, მზადდება ე.წ. საველე პირობების საკვები. ტელევიზიებით გადმოიცემა ამ თემისთვის მიძღვნილი კონცერტები, ფილმები და სიმღერები. საჯარო მოხელეების გამოსვლა-ინტერვიუებში ისმის ფრაზები, როგორიცაა საღმრთო გამარჯვება, დიადი გამარჯვება. 2019 წელს აფხაზეთში, ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებთან ერთად, ასევე გაიმართა ველო გარბენა დევიზით „მადლობა გამარჯვებისთვის“ საბჭოთა კავშირის, აფხაზეთისა და რუსეთის დროშებით⁶⁸.

ამისგან განსხვავებული მიდგომაა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. ვარდების რევოლუციის შემდეგ დე-სოვიეტიზაციის და ევროპასთან ხელახლა დაახლოების სურვილმა განაპირობა ამ დღის გადაფასების პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ დასვენების დღეა, მას არ ენიჭება ისეთი მნიშვნელობა, როგორც რუსეთში ან დიდწილად რუსულენოვან თემებსა და ქვეყნებში ⁶⁹ . ქეთი სართანია და ტატევიკ ბიდჟიანი იკვლევდნენ ძეგლების ცვალებადობას თბილისში, როგორც მეხსიერების ფორმირებაში მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ერთ-ერთ მაგალითად მათ მოიყვანეს ვაკის პარკში 1985 წელს ედუარდ შევარდნაძის მიერ ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ერთგულების დასტურად

⁶⁸ Бадрак Авидзба, Этот День Победы: Как в Сухуме Отметили 9 Мая: <https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20190509/1027311793/Etot-Den-Pobedy-kak-v-Sukhume-otmetili-Den-Pobedy-v-Velikoy-Otechestvennoy-voyny-.html> [1.09.2019].

⁶⁹ Maxim Edwards, Victory Day in Tbilisi: <https://www.opendemocracy.net/en/odr/victory-day-in-tbilisi/> [1.09.2019].

ინიცირებული ამ თემატიკის ძეგლის აღმართვა. 2004 წლის შემდეგ ძეგლის ქვედა ნაწილი მოიხატა საქართველოს ახალი დროშებით და უფრო მეტად აქცენტი გაკეთდა ზოგადად მეორე მსოფლიო ომის მნიშვნელობაზე და არა კონკრეტულად საბჭოთა კავშირის გამარჯვებაზე (Sartania and Bidzhoyan, 2018).

3.2.2 ომის მეხსიერება მემორიალებში

1992-1993 წლების ომის კომემორაციის ძეგლების მრავალი მაგალითია აფხაზეთში. ძველი ძეგლების რიცხვს სტაბილურად ემატება ახალი მონუმენტები. საჯარო სივრცეები, განსაკუთრებით სადაც ახალგაზრდების დიდი რაოდენობა იყრის თავს, როგორცაა სკოლა, უნივერსიტეტი, ახალგაზრდული კლუბები და სხვა, აქტიურად გამოიყენება კომემორაციის ვიზუალიზაციისთვის და პრაქტიკისთვის. ამ ომის მემორიალების კლასიფიკაცია შეიძლება ოთხ კატეგორიად: (1) ომში გამარჯვება და გმირები; (2) უცხოელი მოხალისეების მიმართ სამადლობელო; (3) სამამულო და დიდი სამამულო ომების ერთობლივი ძეგლები; (4) ომის პერიოდში კონკრეტული ტრაგედიები.

პირველი კატეგორიის, - ომში გამარჯვებისა და გმირებს ნიმუშებია ოჩამჩირეში, გაგრასა და სოხუმში. „აფხაზეთისთვის დაღუპული დამცველების პატივსაცემად“ (*В честь павших защитников Абхазии*) 2018 წლის 30 სექტემბერს ოჩამჩირეში აღმართეს ძეგლი, რომლის გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის

დე-ფაქტო პრეზიდენტები ⁷⁰ . გაგრამი გამარჯვების ძეგლი 30-მეტრიანი კონსტრუქციაა, სადაც ოთხ სვეტს უჭირავს ოქროსფერი ბურთი, ნანატრი მშვიდობის სიმბოლო. სოხუმში, მდინარე გუმისტაზე, აფხაზეთის დამცველთა ძეგლს კლდის ფონზე ოქროსფერი ასოებით აწერია აფხაზურ და რუსულ ენებზე „აფხაზეთის გმირების მარადიული დიდება“, ჩამოკიდებულია გმირების სურათები და განთავსებულია აფხაზეთის დროშა.

მეორე კატეგორიის, უცხოელი მოხალისეების მიმართ სამადლობელი მემორიალები აღმართულია სოხუმსა და გუდაუთაში. 2012 წლიდან 15 აგვისტოს აფხაზეთში აღინიშნება ომში უცხოელი მოხალისეების დღე. 2000-ზე მეტი მოხალისე „ჩრდილოეთ კავკასიიდან, რუსეთის სხვა რეგიონებისა და შორეული საზღვარგარეთიდან“ მონაწილეობდა ომში, საიდანაც გარდაიცვალა 260 ადამიანი, 51-მა მიიღო „აფხაზეთის გმირის“ წოდება, 247 დაჯილდოვდა „ლეონის ორდენით“, ხოლო 623 მედალით „სიმამაცისთვის“ (*რუს. За отвагу*) (გაზეთი «*Республика Абхазия*», 2013).⁷¹ გუდაუთაში მონუმენტზე გამოსახულია არწივი, თავისუფლების სიმბოლო, მის მარცხენა ფრთასთან აფხაზეთის, ხოლო მარჯვენა ფრთასთან კავკასიის ხალხთა კონფედერაციის დროშებია. მონუმენტზე რუსულად აწერია: „პატივი და დიდება

⁷⁰ Памятник в честь защитников Абхазии открыли в Очамчыре <https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20180929/1025150611/pamyatnik-v-chest-zashhitnikov-abkhazii-otkryli-v-ochamchyre.html> [7.09.2019].

⁷¹ გაზეთი „*აზხაზსკაია რესპუბლიკა*“ (აფხაზეთის რესპუბლიკა) ვლადისლავ არძინბას ინიციატივით გამოდის 1991 წლიდან.

მოხალისეებს, რომლებიც მოვიდნენ აფსნის დასაცავად⁷² (იქვე). ცალკეა რუსეთიდან კაზაკი მოხალისეებისთვის სამლოცველო სოფელ ლიხნში (Кварацхелия, 2019). გარდა ამისა, 2017 წელს სოხუმის სანაპიროზე დაიდგა ძეგლი რუსი „სამშვიდობო ძალებისთვის“ (გაზეთი *Русский Мир*, 2017). ეს არის ორმეტრიანი ჯარისკაცის ფიგურა ავტომატით ხელში, რომელიც იმ პერიოდში აფხაზეთის პრეზიდენტმა, რაულ ხაჯიმბამ შეაფასა, როგორც „აფხაზეთსა და რუსეთს შორის მეგობრობის დაურღვევლობის სიმბოლო“ (გაზეთი *Apsnypress*, 2017).

უცხოელი მოხალისეების ღვაწლზე და დამსახურებაზე საუბრობენ აფხაზური ისტორიის სახელმძღვანელოებიც და მათი სახელების გრძელ ჩამონათვალს სთავაზობენ მკითხველს (Бгажба & Лакоба; Куакуаскир, 2010). გარდა ამისა, მოყვანილია გუდაუთაში დაბადებული რუსი პოეტის, ლევ ლუბჩენკოს (1933-1995), ლექსი, რომელზედაც შემდეგომ დაიწერა სიმღერაც:

რთულ პერიოდში რუსმა პოეტმა ლევ ლუბჩენკომ, ტრაგიკული მოვლენების თვითმხილველმა, შექმნა ცნობილი ლექსი „აფხაზ მეომრებს“, რომელმაც ფრთები შეასხა ხალხს, მეომრებსა და მოხალისეებს:

აფხაზეზო, აფხაზეზო, თქვენ ცოტანი ხართ, - უთანასწორო, უსამართლო ბრძოლა!

მაგრამ ტანკი არ არის ხანჯალზე საშიში, როცა შენი ძმები შენთან არიან.

პირქუშია გაუპარსავი სახეები, მწვანე ლენტი შუბლზე,

⁷² შეადარეთ ორიგინალს: «Честь и слава добровольцам, пришедшим на защиту Аpsны».

ასეთია ის, დღვანდელი რაინდი, რომელიც წყვეტს ჩვენს ბედს.

აფხაზებო, აფხაზებო, მართლები ხართ: თქვენ არ დაგიწყიათ ომი,

სავარძლისა და დიდების გამო თქვენ არ შეჭრილხართ უცხო ქვეყანაში⁷³ ... (Бгажба & Лакоба, 2015: 394).

აფხაზური ვიქტიმიზაციის ნარატივის კონსოლიდაციაა ამ ლექსში: აფხაზების მცირერიცხოვნება, მტრის აპრიორი უპირატესობა, თავდაცვისთვის იარაღის აღების აუცილებლობა, და „ძმების“ - უცხოელი მეომრების - გვერდში დგომა აფხაზების სიმართლის გამო. არა აფხაზი ადამიანების გვერდში დგომას ნარატივი განიხილავს, როგორც სამართლიანობის აღდგენის, აფხაზური უპირობო ქემმარიტების მტკიცებულებად და „კოლოსალურ მორალურ მნიშვნელობას“ ანიჭებს მას აფხაზი ხალხისთვის (Бгажба & Лакоба, 2015: 395).

მესამე კატეგორიის, - სამამულო და დიდი სამამულო ომების ერთობლივი ძეგლებისმაგალითია სოფელ ლიძავაში (აფხ. ლძაა), ბიჭვინთაში. „დიდების მემორიალი“ გაიხსნა 2011 წელს (ესწრებოდა იმ პერიოდის აფხაზეთის პრეზიდენტი, ალექსანდრე ანჟვაბი). მასზე გამოსახულია აფხაზეთის რუკა, სადაც ძველ აფხაზურ შვიდ ტაძარზე (ერთ-ერთი მათგანი სწორედ სოფელ ლიძავაში იყო) მიუთითებენ მზის სხივები. მონუმენტის მისადგომებთან ამოძერწილია დაღუპულ ჯარისკაცთა

⁷³ სიტყვასიტყვითი თარგმანი არის ჩემი.

სახელები, დიდი სამამულო ომის ორდენი და ანთია მუდმივი ცეცხლი (Шульгина, 2011).

სამამულო ომების „ტანდემი“ ხშირია ზოგატსაგანმანათლებლო სკოლის პერიმეტრზე ფოტო-სტენდების სახით, სადაც ორივე ომში წასული მოსწავლეების სურათებია ⁷⁴ . მეორე მაგალითია სვეტი წარწერით 1941-1945 (ლოკაცია დაუდგენელია), სვეტის ქვედა ნაწილში ამოტვიფრულია დაღუპულთა სახელები და ზემო ნაწილში გრავირებულია ჯარისკაცის ბიუსტი. იქვე დგას ძეგლი სადაც ორი მეომარია. ერთს უჭირავს ავტომატი და ეცემა, ხოლო მეორე დროშას აფრიალებს გამარჯვების ნიშნად. ამ ძეგლს აწერია 1992-1993. კიდევ ერთი პარალელი ამ ორ მოვლენას შორის არის ქალაქებისთვის გმირის წოდების მინიჭება განსაკუთრებული თავდაცვისთის. საბჭოთა კავშირში ეს იყო 12 ქალაქი, ხოლო აფხაზეთში 90-იანების კონფლიქტის შემდეგ ეს წოდება ორმა ქალაქმა მიიღო: გუდაუთამ და ტყვარჩელმა.

მეოთხე სახეობის, - ომის პერიოდში კონკრეტული ტრაგედიების ძეგლების მაგალითებია 1993 წლის 4 ივლისისა და 1992 წლის 14 დეკემბრის მოვლენების მემორიალები. 4 ივლისის მოვლენები ქართული და აფხაზური ისტორიოგრაფიის მიხედვით რადიკალურად განსხვავებულად არის აღწერილი. აფხაზური ვერსიის მიხედვით მსროლელთა ბატალიონი „გორეც“ (ქართ. მთიელი) ცდილობდა დაშვებულიყო გორაკ ახზუკზე, ამ მთის მნიშვნელოვანი სტრატეგიიდან გამომდინარე,

⁷⁴ მოგზაურის ბლოგი: Абхазские Военные Памятники. (2010). URL: <https://ura9may.livejournal.com/27857.html> [7.09.2019].

თუმცა, ის მოგერიებულ იქნა. ძეგლისთვის გამოყენებულია ვერტმფრენის ნარჩენები, დამწვარი ძრავის ნაწილები და მასზე დატანილია გარდაცვლილი მეომრების სახელები (Авидзба, 2019).

14 დეკემბერს იხსენებენ ლათის ტრაგედიას, რომელიც უახლეს აფხაზურ ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ტრაგედიად ითვლება. მასზე ისტორიის სახელმძღვანელოში წერია: „გულრიფშის რაიონის სოფელ ლათაში ჩამოაგდეს ვერტმფრენი, რომელიც ასრულებდა ჰუმანიტარულ რეისს ტყვარჩელიდან. მის ბორტზე იმყოფებოდა 84 ლტოლვილი. ესენი იყვნენ - ქალები, მოხუცები და 35 ბავშვი, მათ შორის თოთო ბავშვები“ (Куакуаскир, 2010: 260). მემორიალზე უხელო დაცემული ადამიანია და დაფაზე ჩამოთვლილია გარდაცვლილთა სახელები.

მონუმენტების გარდა, ასევე არსებობს ამ თემატიკის მუზეუმები. პირველი ასეთი ტიპის მუზეუმი გაიხსნა გუდაუთაში: სერგეი დბარის (1946-2002), აფხაზი მთავარსარდლის სახელობის აფხაზი ხალხის სამამულო ომის მუზეუმი. მოგვიანებით, 2008 წელს, გაიხსნა ვლადისლავ არძინბას სახელობის საბრძოლო დიდების სახელმწიფო მუზეუმი სოხუმში. მასში 14 დარბაზია განთავსებული. მათ შორისაა, დამოუკიდებლობის, გამარჯვების, დიდი სამამულო ომის, მოხალისეების, აფხაზეთის სამამულო ომის (4 დარბაზი) და სხვა პავილიონები.

აფხაზეთის ომის ერთი ძეგლი დაიდგა მის ფარგლებს გარეთაც 1986 წელს სოხუმთან დამეგობრებულ შოტლანდიურ ქალაქ კილმანროკში. დამეგობრებიდან ათი წლის შემდეგ იქ განათავსეს მემორიალური ქვა აფხაზური დროშით წარწერით: „ჩვენს

ტყუპ ქალაქში, სოხუმში, 1992-1993 წელს აფხაზურ-ქართულ კონფლიქტში გარდაცვლილთა მოსაგონად“⁷⁵. 2017 წელს ეს მემორიალი აღმოაჩინა დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩმა, თამარ ბერუჩაშვილმა, რომელმაც მოითხოვა ამ ძეგლის დემონტაჟი. ყველაზე მეტად მან გაამახვილა ყურადღება აფხაზეთის დროშაზე. ძეგლი მართლაც აიღეს, მაგრამ ამ ქმედებამ გამოიწვია უკმაყოფილება აფხაზური მხრიდან და დასავლეთ ევროპაში 2000 ხელმოწერა შეგროვდა მემორიალის დაბრუნების მოთხოვნით. ამას დაემატა ოფიციალური პირების კომენტარები, დაზუსტებები, მიმართვები ქართული, შოტლანდიური და აფხაზური მხრიდან. საბოლოოდ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს მონუმენტი დააბრუნა უცვლელი სახით, თუმცა მის გვერდით განათავსა ნეიტრალური შინაარსის საინფორმაციო დაფა და განმარტა რომ ეს მემორიალი არის პატივისცემის გამოხატვა იმ ადამიანების მიმართ, ვინც 1992-1993 წლებში კავკასიაში მომხდარი ომის მსვერპლნი იყვნენ (Jardine, 2017; Шария, 2019).

ზემოთ განხილული ძეგლები და ინსტიტუტები არ არის ამომწურავი. მათი მრავალრიცხოვნობა და რაოდენობის ინტენსიური გაზრდა მიუთითებს იმაზე თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებს აფხაზური ნარატივი მეხსიერების ადგილების შექმნას. იქნება ეს - ქანდაკება, მუზეუმი, სკოლის სტენდი, კონკრეტული ნივთი თუ

⁷⁵ შეადარეთ ორიგინალს: „In memory of those of our twin town of Sukhumi who died in the Abkhazian/Georgian conflict 1992-1993“.

სხვა - ეს სტატისკური ობიექტები არიან ომის კოლექტიური მეხსიერების ავტორები და ისტორიის მთხრობელი სუბიექტები.

მეხსიერების ადგილების განსხეულება და ინსტრუმენტალიზაცია ჰეროიზაციის ჭრილში ნაკლები დოზით, მაგრამ ქართულ ნარატივშიც აქტუალურია. ამის მაგალითია თუნდაც გმირთა მოედანზე, თბილისში, საქართველოს მესამე პრეზიდენტის ინიციატივით აღმართული მემორიალი, რომელიც „1921 წელს დაღუპული იუნკერების, 1924 წლის აჯანყების მეთაურების, 1992-93 წლებში აფხაზეთში და 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულ მემართა ხსოვნას ეძღვნება. [...] მასზე 4 000 გმირის სახელია ამოტვიფრული“ (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო). იქიდან გამომდინარე, რომ აფხაზეთის ომში ჰეროიზაციის ხაზი კოლექტიურ მეხსიერებაში აფხაზურ ნარატივში უფრო საკვანძოა, ამ თავში სწორედ მასზე ვკონცენტრირდი და არ განვიხილე ქართული ნარატივის ლითონის ვიზუალური მაგალითები.

3.2.3 ოკუპაციის დუალიზმი: მეხსიერება თუ რეალობა

1992 წლის 14 აგვისტოს ადრიან დილას რკინიგზის დაცვის საბაზით საქართველოს სახელმწიფო საბჭოს (Госсовет) ჯარები ვერაგულად (вероломно) შეიჭრნენ აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამ დღეს აფხაზეთის პარლამენტი აპირებდა საქართველოსთვის ფედერაციული ურთიერთობების შეთავაზებას. [...] უიარაღო

(безоружной) აფხაზეთის ოკუპაციაში 2000-მდე ქართველმა „გვარდიელმა“ მიიღო მონაწილეობა (Бгажба & Лакоба, 2015: 392).

აფხაზური სახელმძღვანელოს ეს ამონარიდი საუბრობს ქართველების მიერ აფხაზეთის ოკუპაციაზე. ეს თემა 1992-1993 წლების ომის შესახებ თავის ლაიტმოტივია. ბლაჟბა-ლაკობას სახელმძღვანელოში 24 გვერდზე სხვადასხვა კონტექსტში, სიტყვა ოკუპაცია (ოკუპირებული მთავრობა თუ ოკუპირებული ტერიტორია) 22-ჯერ არის ნახსენები. აგრესორი ან აგრესია 10-ჯერ. ეთნიკური წმენდა 2-ჯერ, ხოლო გენოციდი 3-ჯერ, აქედან ერთხელ როგორც კულტურული გენოციდი. დაახლოებით იგივე სურათია ირინა კვეკვესკირის სახელმძღვანელოშიც.

სახელმძღვანელოებში აფხაზური ვიქტიმიზაციის ნარატივის ენობრივი შემადგენლობა რიგ შემთხვევაში არის მხატვრული. უხვადაა აღწერილობითი სიტყვები (*describers*), შეფასებები (*judgement*) ან დამოკიდებულების გამომხატველი ლექსიკა (*attitudinal lexis*) (Coffin, 2006). ამ ციტატაში ამის მაგალითებია: „ვერაგული შეჭრა“ და „უიარაღო აფხაზეთი“. ზოგადად კი ორივე სახელმძღვანელო სხვადასხვა კონტექსტში მრავალჯერ იყენებს სახასიათო ეპითეტებსა და სიტყვათაშეთანხმებებს. მაგალითად, „ომის დასაწყისიდანვე გმირულად თავი წარმოაჩინეს...“ (Бгажба & Лакоба, 2015: 393), „ქართველების ბარბაროსული საქციელი“ (Куакуаскиრ, 2010: 259, 260), „არაადამიანურობის შეუწყნარებელი ქმედება“ (*вопиющий акт бесчеловечности*) (Куакуаскир, 2010: 260), „წმინდა ბრძოლა“ (*священная борьба*), როგორც ამ ომს უწოდა ვლადისლავ არძინბამ (Куакуаскир, 2010: 273) და სხვა. შეფასება და

დამოკიდებულების ლექსიკა, რომლებიც სახელმძღვანელოს ავტორების ერთმნიშვნელოვან და ცალსახა პოზიციას გამოხატავს, ოკუპაციის ჭრილში არის აგრესორის მოულოდნელი თავდასხმა, რამაც წარმოშვა საჭიროება თავდაცვის დაუყოვნებლივი მობილიზების. მაგალითად, „მოულოდნელობის მიუხედავად, მოწინააღმდეგემ მიიღო პირველი მოგერიება“ (Бгажба & Лакоба, 2015: 392); „აფხაზი მოლაშქრეები (*ополченцы*) იძულებულნი იყვნენ შეექმნათ გუმისთას თავდაცვითი ზღვარი (*оборонительный рубеж*)“ (Бгажба & Лакоба, 2015: 393); აფხაზეთის მასშტაბით „იქმნებოდა თავდაცვის რაზმები“ (Куакуаскир, 2010: 247).

ოკუპაციის ხაზი ქვაკუთხედია ქართული ვიქტიმიზაციის ნარატივისთვისაც, თუმცა, ადრესატი ამ შემთხვევაში არის სხვა - რუსეთის ფედერაცია. აგრესორი, მოსული დამპყრობელი, პროვოკატორი, ოკუპანტი - ყველა ეს ზედსართავი მიემართება ჩრდილოელ მეზობელს. „2008 წლის აგვისტოში [...] რუსეთმა საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია განახორციელა“ (ჯანელიძე და სხვები, 2015: 366). უფრო ზუსტად კი, რუსეთმა აფხაზეთი დამოუკიდებლად 26 აგვისტოს აღიარა, რის გამოც 28 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა აფხაზეთი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად გამოაცხადა (აბრამაშვილი & ქოიავა, 2018) და იმავე წლის ოქტომბერში მიიღო „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი“.

ამრიგად, ოკუპაცია, არის ის ტრავმული გამოცდილება და რეალობა, რომელმაც განსაზღვრა ტკივილის ქართული და აფხაზური ნარატივები. ერთ შემთხვევაში, ეს არის ნოსტალგიური ტკივილი, ტკივილი დანაკარგის, რომელსაც არ ეგუება აწმყო და

„ემზადება“ დაკარგულის დაბრუნებისთვის. მეორე შემთხვევაში, ეს არის გმირული შენაძენი, გამარჯვებულის მეხსიერებაში მწარე წარსულის ტკივილი, და ამ განცდილი ტკივილიდან გამომდინარე მომავალში ამ შენაძენის შენარჩუნების „მტკიცე პოზიცია“.

3.3 ქტონავტოკრატია

*ქტონავტოკრატია*⁷⁶ - ქვეყნის/მიწის შეუზღუდავი მმართველობა, ასე დავარქვი აფხაზეთის შეუცილებელი ბატონობის ქართული და აფხაზური ნაციონალიზმის სურვილს/პრაქტიკას, რომლის ვალიდაციის წყაროა უპირობო აბორიგენობა. ქრონოლოგიური პირველობა (*chronological primacy*) (Slezkine, 1994) საბჭოთა კავშირის ნაციონალიზმის დისკურსის პირობებში გახდა ეროვნული იდეის გარშემო ადამიანების კონსოლიდაციის მთავარი მარკერი. არსებითად ამ მითმა (Cassirer, 1946) განაპირობა თანამედროვე ქართული (აფხაზეთის მიმართ) და აფხაზური (ერი-მშენებლობის კონტექსტში) ნაციონალიზმის დისკურსების გამოგონება⁷⁷ (Gellner, 1964) ან წარმოდგენა⁷⁸ (Anderson, 1991). ამ იდეოლოგიურ კამათში აფხაზეთის

⁷⁶ ორი ძველი ბერძნული სიტყვის შეერთება: *χώρα* (მიწა, *ქვეყანა*) და *αὐτοκρατεία* (შეუზღუდავი მმართველობა).

⁷⁷ *Invention*: გელნერი (1964) ნაციონალიზმს განიხილავს არა ბუნებრივ ან თავისთავად მოვლენად, არამედ გამოგონილ კონცეფციად.

⁷⁸ *Imagination*: “nationality=nation-ness=nationalism are cultural artefacts of a particular kind” (Anderson, 1991: 4).

მმართველი დინასტიების გენეტიკისა და ადრეული სახელმწიფოებრიობის ნიშნების „მტკიცებულებების“ დემონსტრირებისათვის ხდება ფართოპროფილური სოციალური თუ მეცნიერული სფეროების - არქეოლოგიის, ისტორიის, ლინგვისტიკის, რელიგიის (გაქრისტიანება), ანთროპოლოგიისა თუ კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიზირება (Smith et al., 1998).

ორივე დისკურსი მედიუმებად აქტიურად იშველიებს აღწერას, რუკებსა და მუზეუმებს (Anderson, 1991: 164). ამ შემთხვევაში, რუკებსა და მუზეუმებს ფართოდგანმარტავ. პირველ შემთხვევაში, ეს არის ტერიტორიულობასთან მიმართული ნიშნულები და საზღვრები. მეორე შემთხვევაში კი, ზოგადად სოციალურ-კულტურულ ყოფით ცხოვრებაში კოლექტიური მეხსიერების გამოყენება.

ქართული ნარატივის საკვანძო ოთხ სვეტს ეყრდნობა (1) თანამედროვე აფხაზების ჩრდილოეთიდან ჩამოსახლება მე-16-მე-17 საუკუნეებში; (2) ისტორიულად აფხაზის ეთნიკური ქართველობა, როგორც ნებისმიერი სხვა კუთხისთვის (მაგალითად, მეგრელები, კახელები, იმერლები, მთიულები და სხვა); (3) ისტორიულად აფხაზეთში ქართული კულტურულ-პოლიტიკური გავლენა; (4) საბჭოთა ხელისუფლების დისკრიმინაციული ნაციონალიზმის პოლიტიკის გამო აფხაზეთში მცხოვრები ქართველების მასობრივი გააფხაზება მე-20 საუკუნეში.

აფხაზური ნარატივი ოთხ ძირითად არგუმენტს იშველიებს (1) აფხაზების აბორიგენობა; (2) ლეონ მე-2-ის გენეტიკური აფხაზობა, შესაბამისად, აფხაზური სახელმწიფოებრიობის 1200 წელი; (3) მუჰაჯირობის შემდგომ სამსახურის საძიებლად

ქართველების მასობრივი დასახლება ცარიელ აფხაზეთში; (4) ბერიას აგრესიული დემოგრაფიული პოლიტიკა და აფხაზეთში ეთნიკური შემადგენლობის ხელოვნური შეცვლა.

შემდგომ ქვეთავებში სათითაოდ განვიხილავ ამ პოსტულატებს, მათ მიზეზებსა და მნიშვნელობას.

3.3.1 „აფსულობის“ თეორია

„მათ [ქართველების] საყვარელ პროსპექტზე [რუსთაველის პროსპექტი] დახოცილი ქართველები [9 აპრილი] ერთა შორის ისეთ ადამიანურ ურთიერთობებზე ოცნებობდნენ, როგორც ჭეშმარიტმა თავისუფლებამ შეიძლება მოუტანოს ერებს. მათ შორის, აფხაზებსა და ქართველებს, მაგრამ გადაგვარებულმა, გააფსულებულმა ყოფილმა აფხაზებმა და ქართველებმა ეს ვერ გაიგეს. უფრო მეტიც, ქართველთა უბედურებამ ეს ერთი მუჭა არაკაცები გაახარა კიდევ. მათ დაკარგეს მოძმე ხალხის ტრადიციული სახე. ცოდვილთა უზნეობის განმკითხავი ღმერთია, ჩვენ აქ მათი გაველურების მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიყვანთ.

ქ. ოჩამჩირეში ილია ჭავჭავაძის სახ. #1 ქართულ საშუალო სკოლის მოსწავლეები სხვა თანატოლთა მსგავსად შეძრა 9 აპრილის ტრაგედიაში, ბავშვებმა გადაწყვიტეს პატივი მიეგოთ დაღუპულთა ხსოვნისათვის, მათ 25 მაისს სკოლის ეზოში პატარა მემორიალური დაფა დადგეს, იქ სურდათ დაედგათ ბავშვური ცრემლი, მიეტანათ ყვავილი, დაენთოთ სანთელი... მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი, უკვე მეორე დღეს მთელი აფსუობა ფეხზე

დადგა, ისინი მოითხოვდნენ ქართული სკოლის ეზოდან მემორიალის სასწრაფოდ აღებას, შეეცადნენ მის შებილწვასაც, მოულოდნელობისაგან გაშრა ქართველობა - მათ ვერ წარმოედგინათ ვის, ან რა უფლებით შეეძლოთ მათთვის გლოვის აკრძალვა. აქტიურობდნენ **გააფსუებული ქართველებიც**. თბილისში დაღვრილი წმინდა სისხლისა მათ განსაკუთრებით ემინათ, რადგან მის სასწაულმოქმედ ძალას **გადაჯიშებულთა ავხორციობის** სააშკარაოზე გამოტანა შეუძლიან. ვითარება უაღრესად დაიძაბა. **აფსუებს** ქართველების ეთნიკურ კონფლიქტში ჩათრევის აშკარა შანსი მიეცათ. დატრიალდა გუდაუთის აქტივი, საქმეში ჩაერთო სოხუმის **აფსუობაც**. მოტყუებით ოჩამჩირეში ჩამოიყვანეს რაიონის სოფლების მცხოვრებლებიც. თითქოს ქართველი ბავშვების ცრემლები მათ ეროვნულ ინტერესებს ლახავდა. ველურმა უსამართლობამ აღაშფოთა ქართველობა და ... **აფსუებმა** უხმეს ქართველთა „ძალმომრეობისაგან“ განმათავისუფლებლად, თანამოდმეთა არმიას. ასე გაჩნდა ოჩამჩირის ქუჩებში ჯავშანტრანსპორტიორები.

საბედნიეროდ, აფხაზეთში კოორდინირებულად მოქმედებდნენ ქართული ეროვნული ძალები. დიდი მუშაობა გასწია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სოხუმის ფილიალმა. ერთიანი ძალისხმევით მოხდა მოსალოდნელი ეთნიკური კონფლიქტის განეიტრალება. აღნიშნული მემორიალი ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადაიტანეს. **გათავხედებულ აფსუათა** ნაწილი დაწყენარდა, მეორე ნაწილი კი არ ცხრებოდა. მათ ოჩამჩირის რაიკომის მდივანს წარმომადგენლები გაუგზავნეს და ქართული სალოცავის ეზოდანაც მოითხოვეს მემორიალის აღება. როგორც იტყვიან - გარეწრობა ამის იქით ველარ წავიდოდა. ალბათ ეს იგრძნო ადგილობრივმა ხელისუფლებამაც და კაბინეტიდან გააძევა ნათხოვრები.

ასეთი „სამბიმარი“ მიიღო ოჩამჩირელმა ქართველობამ **აფსუათაგან**. აი, ქართველთა მიმართ მიმდინარე აპარტეიდის აშკარა მაგალითი თანამედროვე აფხაზეთის ე.წ. ავტ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 9 აპრილს ქართველი ხალხის თავზე დატეხილმა უბედურებამ კიდევ უფრო გაამძაფრა **დენაციონალიზებულ, დაუსჯელობით გათამამებულ აფსუათა ანტიქართული გამობდომები**. იმის იმედით, რომ გარკვეული წრეები აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტისათვის ზრუნვას პროვოკაციად აცხადებენ და, ამდენად, ყურადღების ჩამოშორებას ცდილობენ მისგან, **აფხაზ სეპარატისტებს** მხარში ამოუდგნენ რუსთა და აფხაზთაგან შეცდომაში შეყვანილი, დეზინფორმირებული ოსები. რა თქმა უნდა, ოსთა პრობლემაც რომ არ გამწვავდეს, საჭიროა დროულად გავარკვიოთ ისინი რეალურ ვითარებაში და დავანახოთ, რომ კავკასიელ ხალხთა ერთობა არის ერთადერთი პირობა თითოეული ამ ხალხის სრულფასოვანი მომავლის მისაღწევად“ (ივერია, # 8, 1989).

ამ წერილის სათაურია „სამბიმარი“ და ის 1989 წლის ივნისში გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“⁷⁹. სიძულვილის ენით გაჟღენთილი 371 სიტყვიანი სტატია გამოხატავს 90-იან წლებში აფხაზების მიმართ მტრულად განწყობილი ქართული

⁷⁹ გაზეთი „ივერია“ თავდაპირველად დაარსდა 1877 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ. ის იყო მიმართული მთავრობის წინააღმდეგ და ქართული ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებისკენ. ის გამოიცემოდა 1906 წლამდე. შემდგომ ის ზურაბ ჭავჭავაძემ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, აღადგინა 1989 წელს და მან იფუნქციონირა 1997 წლამდე. ამ საზოგადოებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მუშაობის დაწყებაში, თუმცა, მხოლოდ ამ წერილიდანაც გასაგებია, რომ მან ასევე გარკვეულწილად წაახალისა არასასურველი რიტორიკა ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ. მას ჰქონდა ოფისი სოხუმშიც და, სამწუხაროდ, ეს ფილიალი არ გამოირჩეოდა აფხაზების მიმართ კეთილგანწყობით ან დიალოგის სურვილით. მისი აგრესიული დისკურსი და სიძულვილის ენა განზოგადდა მთლიანად ქართველებზე.

საზოგადოების ნაწილის ნარატივს. მასში 9-ჯერ არის ნახსენები „აფსუა“, „აფსუობა“ ან „გააფსუებულობა“. გამოყენებულია ისეთი შეურაცხმყოფელი ეპითეტები, როგორიცაა „გაველურებული“, „გადაგვარებული“, „გათავხდებული“, „გადაჯიშებული“. ხაზგასმულია ანტიქართული ჩანაფიქრი აფხაზი სეპარატისტების მხრიდან. ერთი სიტყვით, ეს ტექსტი აფხაზების წინააღმდეგ აგრესიული დისკურსის მაგალითია. მსგავს მაგალითებს ყველაზე მტკივნეულად აღიქვამს აფხაზური კოლექტიური მემკვიდრეობა და ყველაზე მეტად „არ პატიობს“ „საქართველოს/ქართველებს“. მისი ქვაკუთხედია აფხაზების გადამთიელობა, მათი ავტოქტონობის უარყოფა.

„აფხაზების ჩამოსახლების“ მითის ფუძემდებელია ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, თუმცა ის „პოპულარული“ გახდა პავლე ინგოროყვამ, ლიტერატურათმცოდნემ. ბაქრაძე (1889) წერდა: „აფხაზნი, შემდეგ იმათის გადმოხვეწნისა მთას-იქადამ, როგორც უფრო ძლიერნი, მოაწვნენ მეგრელებს და ამ უკანასკნელებმა თავის სისუსტის გამო დაუთმეს მათ თავისი მიწა-წყალი“ (272-273). ამ მოსაზრებამ მიიპყრო მეცნიერთა და საზოგადოების ფართო წრეების ყურადღება 1954 წელს, როცა ინგოროყვამ გამოაქვეყნა ნაშრომი „გიორგი მერჩულე“. ეს უკანასკნელი იყო მე-10 საუკუნის ქართველი მწერალი და ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ავტორი. ამ ნაკვლევის მეოთხე თავი აფხაზთა წარმომავლობასა და აფხაზეთის ისტორიის ექსკურს ეხება. ინგოროყვამ (1954) აღნიშნა, რომ მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან იქმნება დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო და მას ეწოდებოდა „აფხაზეთი“, თუმცა გაერთიანებული

სამეფოს დაარსების (მე-10-მე-11 საუკუნეები) პირველ ხანებში მთელ საქართველოსაც ემახდნენ აფხაზეთს, ხოლო მის მეფეებს შემოკლებით „აფხაზთა მეფეებს“ (იქვე, 114-115). მისი სახელწოდება მომდინარეობს იქ მოსახლე ქართული ტომის, მოსხები (მესხები), ეტიმოლოგიიდან, რომლის სახემეცვლილი ფორმაა ჯერ ბასხი, აბასხეთი და ბოლოს აფხაზეთი (იქვე, 139). პუბლიცისტის თქმით „აფხაზები, წარმოდგენილი შემცდარი შეხედულებით, მიჩნეული არიან არაქართული მოდგმის ტომად“ (იქვე, 116). ავტორი აღნიშნავს, რომ ანტიკურ ხანაში აფხაზეთში სახლობდნენ ქართული ტომები, კერძოდ, მოსხები (მესხები), კოლხები (მეგრელ-ლაზნი) და სვანები (იქვე, 145). ხოლო უკიდურესი ჩრილოეთით ჯიქნი (ჩერქეზთა ტომი) (იქვე: 130), რომლებიც „გვიანდელ ხანაში“ „გადმოვიდნენ“ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე:

„აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი - მოიცავდა ახლანდელ ტუაფსეს რაიონს, დაწყებული ახეუნთას (შახეს) მდინარიდან ვიდრე ნიკოფსიამდე. ეს ტერიტორია, რომელიც როგორც ირკვევა, ადრე ჰენიოხების მიწა-წყალს შეადგენდა, შემდეგ ჯიქების ხელში გადასულა. საერთოდ, ჯიქები შავი ზღვის სანაპიროზე მოსული ტომია: ჯიქები თავდაპირველად იმიერი კავკასიის მკვიდრი ტომი ყოფილა და შემდეგ გადმოსულა შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც მათ თანდათან გაუფართოებიათ თავიანთი ტერიტორია.

რომ ჯიქები არ არიან ძველი აზორიგენები აფხაზეთის მხარეთა ჩრდილო სანაპიროზე, არამედ შემდეგ გადმოსულან ამ თემში, ეს ირკვევა არა მხოლოდ ანტიკური ხანის წყაროების ჩვენებათა მიხედვით, არამედ ტრადიცია ამის შესახებ დაცულია საშუალო საუკუნეთა ქართულ მატერიალებშიაც, სადაც აღნიშნულია, რომ ჯიქების თავდაპირველი

*სამშობლოა კავკასიის იმიერი მხარე და მხოლოდ გვიან ხანაში „ჯიქნი დაემკვიდრნეს
ბოლოს აფხაზეთისას“ (ინგოროყვა, 1954: 125).*

ავტორმა ჯიქებში იგულისხმა თანამედროვე ეთნიკური აფხაზები და „გააბათილა“ მათი ძირძველობა დღევანდელ აფხაზეთში. პავლე ინგოროყვას „თეორიამ“ წარმოშვა მიმდევრები თავის თანამედროვეებში, მწვავედ და რიგ შემთხვევაში შოვინისტურადაც კი გამოვლინდა 90-იანებში და დღემდე კვლავ აქტუალურია საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის. ეს არის ის „ბანაკი“, რომლის ხმაც ყველაზე მეტად ისმის და ჩანს სატელევიზიო სივრცეში, ინტერნეტ პლატფორმებზე, საზოგადოებრივ დისკუსიებში და თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში. ამ უკანასკნელში იგულისხმება სახელმწიფო უნივერსიტეტების ბაზაზე არსებულ მკვლევართა ავტორთა კოლექტივის მიერ ქართულ და რუსულ ენებზე გამოსული არაერთი კრებული. გასაგები მიზეზების გამო ამ პუბლიკაციების უმრავლესობა მოდის „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტზე“⁸⁰. მაგალითისთვის, ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური ნაშრომი 2009 წელს გამოვიდა ჯემალ გამახარიას მთავარი რედაქტორობით. ბევრად ნაკლებ ყურადღებას იპყრობს იმ ნაწილის აზრი, რომელიც ან არ ეთანხმება ან მინიმუმ, არ ემხრობა ამ მოსაზრებას. საგულისხმოა, რომ „მომხრეების“ პროფესიული პროფილი საკმაოდ ფართოა:

⁸⁰ 1932 წელს სოხუმში დაფუძნდა პედაგოგიური ინსტიტუტი. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მისი სახელწოდება და პროფილი რამდენჯერმე შეიცვალა. 1989 წელს ქართული სექტორი გამოიყო და მის ბაზაზე დაარსდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი. სწორედ ამ უკანასკნელმა გააგრძელა ფუნქციონირება თბილისში 1993 წლიდან და 2008 წლიდან ოფიციალურად იწოდება „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ენათმეცნიერები (გვანცელაძე, 2015), ისტორიკოსები (ლორთქიფანიძე, 1990; ჯანაშია, 1952; სონდულაშვილი, 2007; რატიანი, 1995; გასვიანი, 1998; Гамахария и др., 2009; თოფჩიშვილი და სხვები, 2018), ანთროპოლოგები (Абдушелишвили, 1964).

მეცნიერებიდან ამ მოსაზრებამ აქტიურად გაიკვლია გზა სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში. ყველაზე „დასამახსოვრებლად“ და მასშტაბურად ეს დისკურსი ზვიად გამსახურდიას რიტორიკაში გამოვლინდა. თბილისში, პარლამენტის წინ ერთ-ერთ მიტინგზე მან თქვა⁸¹:

„აფხაზი ერი ისტორიულად არასოდეს არ არსებობდა. აფხაზეთი იყო სახელწოდება დასავლეთ საქართველოსი, დასავლეთ საქართველოს სახელწოდება და აფხაზები იყვნენ დასავლეთ ქართველები, ასე რომ აფხაზი ერი იყო ქართველი ერი იგივე დასავლეთ ქართველი ერი, ხოლო ის ძველი ქრისტიანი აფხაზები აღარ არსებობენ, მაგრამ სახელწოდება აფხაზი დღეს არასწორად იხმარება ამ აფსუას ტომთან დაკავშირებით. აფსუა ანუ აფსარნი ეს არის ჩრდილოეთ-კავკასიური ადიღური მოდგიმის ტომი და ჩვენ არცერთი ტომის, არცერთი ტომების ჯგუფის თვითგამორკვევის წინააღმდეგნი არა ვართ, მითუმეტეს თუ ის ერად ქცევას ლამობს, თუ მათ აქვთ ერის გარკვეული ნიშნები დღეს, ოღონდ მის ისტორიულ ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ ეს ტომი, თუ ეს ტომი თუ ტომები ამას შეიგნებენ, ჩვენ მათ ამოვუდგებით მხარში, ოღონდ იმ პირობით რომ მათ

⁸¹ მიტინგზე გამოსვლის ზუსტი თარიღის მითითება არ შემოიღია, რადგან „იუთუბზე“ განთავსებულია ამ გამოსვლის ნაწყვეტი და თარიღი მითითებული არ არის. იმ პერიოდის პოლიტიკური დინამიკიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ 90-იან წლებში ხდებოდა მოქმედება. ვიდეო შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://www.youtube.com/watch?v=Wq_LTL9CcxM [13.01.2020]

უნდა აღადგინონ ისტორიული სამართლიანობა და დაგვიტმონ ჩვენი მიწა-წყალი და დამკვიდრნენ იქ საიდანაც მოზრძანდნენ“ (გამსახურდიას სიტყვა მიტინგზე).

ამ მოსაზრებას ჰყავს მოწინააღმდეგეებიც. მაგალითად, 1956 წელს ნიკოლოზ ბერძენიშვილმა, ისტორიკოსმა, გაზეთ „მნათობში“ გამოაქვეყნა დიპლომატიური, მაგრამ „ისტორიული გამოკვლევის“ ნაწილში აშკარად კრიტიკული სტატია პ. ინგოროყვას ნაშრომის „გიორგი მერჩულეს“ შესახებ. მან აღნიშნა, რომ „ამხ. ინგოროყვას ნაკვლევი ზოგჯერ ისეთი საკითხებია განხილული, რომელთა გვერდის ავლა საქმეს თუ არ მოუხდებოდა, მაინც და მაინც არაფერს ავნებდა. ასეთად გვეჩვენება ჩვენ ნაკვლევის მე-4 თავი“ (ბერძენიშვილი, 1956: 126). ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ლიტერატურათმცოდნეს არ აქვს ხელთ ის საჭირო მტკიცებულებები კონკრეტული მოსაზრებებისა და დასკვნების გასაკეთებლად. ისტორიულ ჭრილში ის ხედავს ბევრ უზუსტობას.

„ამხ. ინგოროყვას საქართველოს ისტორიის სხვადასხვა წყაროდან კარგად იცის, რომ აფხაზთა მეფეები მე-9-მე-10 საუკუნეებში აქტიურ ქართულ პოლიტიკას ახორციელებდნენ. მას არ აკმაყოფილებდა ამ მოვლენის ახსნა ქართულ ისტორიოგრაფიაში რომ იყო მიღებული. აფხაზთა მეფეების ქართული პოლიტიკა ამხანაგ ინგოროყვას აუხსნელად მოეჩვენა, თუ აფხაზები ქართული ტომისანი არ იქნებოდნენ, და მანაც თავისი კვლევა ამ მიმართულებით გაშალა. ამხ. პავლე იმაში ცდებოდა, რომ ფიქრობს, თითქმის ქართული პოლიტიკის წარმოება მხოლოდ იმას შეეძლო, ვინც წარმოშობით ქართი იყო. ამხ. ინგოროყვა არ ფიქრობს, როგორც ჩანს, რომ ყოველი პოლიტიკური მოღვაწე არის, უპირველეს ყოვლისა, თავისი ეპოქის ისტორიული პროდუქტი. აქ, რა თქმა უნდა,

წარმოშობას (ტომობრიობას) მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა გადამწყვეტი“
(ბერძენიშვილი, 1956: 128).

ბერძენიშვილი უფრო ფართოდ მიუდგა საკითხს. ისტორიკოსმა ხაზი გაუსვა, რომ მოვლენებისა და ფაქტების მიზეზ-შედეგობრიობა თავისთავადი არ არის. მან მრავალმხრივ შეაფასა იმდროინდელ სოციო-პოლიტიკური კონტექსტი რეგიონში, ისტორიულ-კულტურული თანამშრომლობა, ურთიერთზეგავლენა. ასევე, მმართველობა მან განიხილა ფართოდ, სისტემურად და არა ვიწროდ, როგორც ეს ინგოროყვამ გააკეთა. ისტორიკოსისთვის უფრო მარტივი გასაგები აღმოჩნდა ვიდრე ლიტერატურათმცოდნესთვის რომ ტომობრიობა არ არის ამოსავალი წერტილი პოლიტიკურ პროცესებში.

ზოგიერთი მეცნიერი ექვეყნეშ არ აყენებს აფხაზების ავტოქტონობას, მაგრამ გამორიცხავს მათ თვითმყოფადობას და ქართველებზე სრულ დამოკიდებულებას უსვამს ხაზს. მაგალითად, ლომოური (2011) ზოგადად აფხაზების მიმართ საკმაოდ ტენდენციური შეფასებებით გამოირჩევა (სეპარატისტი, შოვინისტი), თუმცა აფსილებსა და აბაზებს, მართალია ქართველური/კოლხური ეთნო-კულტურის სამყაროს ნაწილად, მაგრამ მაინც აღიარებს აფხაზთა წინაპრებად (გვ. 23). ეს „მინიმუმი სტანდარტი“, ქართული კულტურისა თუ პოლიტიკური მოწყობის ნაწილად ყოფნა, გაჟღერებულია სხვადასხვა ინტერპრეტაციით. მაგალითად, „აფხაზთა თავადაზნაურობა ყოველთვის ქართველი თავადაზნაურობის ნაწილად მიიჩნევა თავს“ (თოფჩიშვილი და სხვები, 2018: 18), ან ვახტანგ გასვიანი (2013) აფხაზეთის

უკანასკნელი მთავრის შვილს, - გიორგი შ(ა)ერვაშიძეს, მიაწერს სიტყვებს „მე ვარ ტომით აფხაზი, ეროვნებით ქართველი“ (10-11). არის აფხაზების სრული იგნორის შემთხვევებიც. მაგალითად, თეიმურაზ მიქელაძემ (1960) დეტალურად განიხილა ბერძნული კოლონიები აფხაზეთში და არცერთი სიტყვით არ უხსენებია აფხაზები. მან ისაუბრა მხოლოდ ქართველ ტომებსა და ბერძნების ურთიერთობაზე.

საგულისხმოა, რომ რიგი ქართველი და უმრავლესობა აფხაზი ისტორიკოსებისა ცალსახად მიუთითებენ, რომ აფსილები და აბაზგები არიან რა აფხაზურ-ადიღური წარმომავლობის ტომები თანამედროვე აფხაზებისთვის პირდაპირ წინაპრებს წარმოადგენენ (ანჩაბაძე, 2009; ჯავახიშვილი, 1919; ინაძე, 1960; Анчабадзе, 1976; Инал-Ипа, 1992; Марыхуба, 1993; Кварчия, 2015; Лакоба, 1990).

აფხაზების „მოსულობის“ თეორია არ არის მხოლოდ ქართული ნარატივი. ჯერ კიდევ 1905 წელს რუსი კავკასიოლოგი დიაჩკოვ-ტარასოვი წერდა:

„აფხაზები ყოველთვის არ ბინადრობდნენ იქ, სადაც ახლა ცხოვრობენ, და მათი გადმოცემები, და ბევრი ისტორიული ცნობა, და მათი წეს-ჩვეულებები მიუთითებენ, რომ ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან და შეავიწროვეს ქართველური ტომები, სანამ არ გაჩერდნენ ენგურთან, სადაც დაიწყო ორი წარმოშობით უცნობი ტომის, მეგრელებისა და აფხაზების, შერევა, რამაც მოგვცა სამურზაყანელების შერეული ტომი, რომლებიც სახლობდნენ ენგურიდან თითქმის კოდორამდე“ (Дьячков-Тарасов, 1905: 65).

აფხაზების გადმოსახლების გარდა ფართო განხილვის საგანია აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების „ნამდვილი“ გვარების შეცვლა აფხაზურ გვარებად.

3.3.2 ქართველების „გააფხაზება“

როგორც ცნობილია, აფხაზი ეროვნების ისედაც მცირე რიცხვი ქართველთა ხარჯზეა ხელოვნურად გაზრდილი. ამ შორსგამიზნული ფაქტის ერთ-ერთი დასტურია პირადად ჩემი მაგალითი წარმოშობით ქართველს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ რეკაში 1935 წელს დაბადებულს, როგორც ყველა ჩემს თანასოფელს, პასპორტში მიწერია ეროვნება - აფხაზი.

როგორც მრავალი ჩემი მსგავსი, აქამდე ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, რამდენადაც „აფხაზი“ მხოლოდ ეთნოსის აღმნიშვნელად მიმაჩნდა.

[...] ქართული ენისა და საქართველოს მოთაყვანეს, მის ნათელ მომავალზე მეოცნებეს, ჩემი ეროვნული თვითშეგნება მკარნახობს, აუცილებლად მივიჩნიო, აღმიდგინონ ჩემი ნამდვილი ეროვნება და ჩამიწერონ პასპორტში - ქართველი (კუპრავა, 1989: 3).

ეს წერილი 1989 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „სამრეკლოში“⁸². მისი ავტორია ირინა ერასტოს ასული კუპრავა, სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, აფხაზეთის სახალხო ფრონტისა და რუსთაველის საზოგადოების მოქალაქე. საინტერესო ფაქტია, რომ ამ ქალბატონის ალალი ძმა,

⁸² საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთს „სამრეკლო“ გამოსცემდა საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გულრიფშის რაიონული განყოფილება 1989 წლიდან.

არველოდ კუპრავა (1924-2019) არის გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, ძიძარიას სახელობის მეცნიერების სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (Бражна, 2015: 439-440), აფხაზეთის ისტორიის პირველი სახელმძღვანელოს (1986) ერთ-ერთი ავტორი, 2004 წლიდან დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ჰუმანიტარული კვლევის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე (2019 წ.) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აფხაზეთში.

ირინა კუპრავას „ჩვენება“ არის იმ ეთნიკური ნიშნით გაყოფილი ერთი ოჯახის წევრების ინდივიდუალური მეხსიერების მაგალითი, რომელმაც ფართო ასახვა ჰპოვა ნაციონალიზმის დისკურსში. ეს უკანასკნელი ავითარებდა აზრს, რომ საბჭოთა ნაციონალიზმის პოლიტიკის გამო ძალიან ბევრი ეთნიკურად ქართველი (უმეტესად მეგრელი) ან იძულების წესით გააფორმეს აფხაზად ან თავისი სურვილით „ჩაეწერა აფხაზად“ ძირითადად პრივილეგიების და თანამდებობის მიღების მიზნით (სონდულაშვილი, 2007). ეს ნარატივი თანამედროვე აფხაზების ნახევარზე მეტს „დაეჭვების გარეშე ... გუშინდელ ქართველებს“ მიაკუთვნებს (პაპასქირი 2007: 274-275; თოფჩიშვილი და სხვები, 2018).

დაუმსახურებელ პრივილეგიებს „აფსუა ელიტისთვის“ ხაზი გაუსვა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სოხუმის განყოფილების გამგეობამ და 1989 წელს თავის მორიგ გაზეთ „ბედიამი“, გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის განცხადება:

აფხაზეთში ანტიქართული მოძრაობის უშუალო ორგანიზატორებს წარმოადგენს აფსუა ეროვნების პარტიულ-ბიუროკრატიული, კორუმპირებული ელიტა, რომელსაც

ათწლეულების მანძილზე ქმნიდა და ამრავლებდა კრემლი. დაუმსახურებელი პრივილეგიებით ნასაზრდოობა აფსუა „ერის მამებმა“ მოსკოველ მფარველთა დაკვეთით შესძლეს სოციალური კიბის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ აფსუათა ეკონომიკური თუ სოციალური უკმაყოფილებების ეროვნულ კალაპოტში გადართვა. კრემლის მოწყალების შემყურე აფსუა „არისტოკრატია“, საკუთარი ვიწროკასტური ინტერესებიდან გამომდინარე მიზანმიმართულად და ხანგრძლივი დროის მანძილზე აღვივებდა ანტიქართულ ფსიქოზს, ქმნიდა და აღიარებდა ტერორისტულ ჯგუფებს, რასაც „ცენტრისა“ და ქართველ მარიონეტთა შემწეობით, როგორც ირკვევა, ბრწყინვალედ გაართვა თავი (გვენეტაძე & კალანდია, 2011: 279).

„ანტიქართულ ფსიქოზსა“ და განწყობებში ტერორისტული დაჯგუფების ნიშნებამდე მისვლის დამკვეთად განიხილებოდა კრემლი, ხოლო ადგილობრივ აღმასრულებლებად „ქართველი მარიონეტები“ და „კორუმპირებული აფსუა „ერის მამები“. ამ სცენარის დრამატულობას აძლიერებს საქართველოს, როგორც აფხაზური კულტურის და აფხაზეთში განათლების გამავრცელებლის, ხელშემწყობის, შენარჩუნებაზე მზრუნველის, ქომაგის (გასვიანი, 2013) ნარატივი, რომელსაც არ მოჰყვა სათანადო დაფასება. „აფხაზური ენის განვითარებისათვის, აფხაზური სკოლების გახსნისთვის გულმოდგინედ ზრუნავდნენ გულუბრყვილო ქართველები. [...] მაგრამ აფხაზთა მხრიდან ქართველთა ძალისხმევას ამ საკითხში არავითარი ენთუზიაზმი, არავითარი პრაქტიკული მხარდაჭერა არ მოჰყვა“ (მიბჩლანი წიგნში: გასვიანი, 2013: 124-125). „უმაღურობითა“ და „დაუნახაობით“ გამოწვეული ვიქტიმიზაციის ნარატივი ჰყოფდა ქართველებს „გულუბრყვილოებად“, ვინც

საქართველოს უძველეს „მისიას“ ითავსებდა და მფარველობდა აფხაზეთსა და აფხაზებს, და „მარიონეტებად“, ვინც ვიწრო ინტერესიდან გამომდინარე „გააფხაზდა“ და კოლაბორაციონიზმი არჩია. „ქართველი ერის“ თვითგმობისა და თვითიდეალიზების დუალიზმი პატერნულად ვლინდება საქართველოს ისტორიის ნებისმიერ ეპოქასა და თანამედროვეობაში (Batiashvili, 2018).

3.3.3 აფხაზეთის დემოგრაფია მეოცე საუკუნეში

აფხაზური კოლექტიური მეხსიერება პედალირებს აფხაზეთის დემოგრაფიის ხელოვნურ და აგრესიულ ცვლილებებზე მე-19 საუკუნის ბოლოდან მე-20 საუკუნის შუა პერიოდამდე. შედეგად კი, 1866 წელს 6 პროცენტიდან 1959 წლისთვის ქართველთა რაოდენობამ აფხაზეთში 40 პროცენტს მიაღწია (Куакуаскир, 2010: 215). ამის მიზეზად ორი მასშტაბური „ღონისძიება“ განიხილება: (1) მუჰაჯირობის შემდეგ აფხაზეთის დაცარიელებული ტერიტორიების ათვისება უცხოელებით (2) ბერიას პროექტი, რაც ხორციელდებოდა ქართველების მასობრივი „ჩასახლებითა“ და განსაკუთრებული სისასტიკის „დიდი ტერორით“ აფხაზების მიმართ.

მეორე თავში უკვე ვისაუბრე რუსეთის იმპერიის ძალაუფლების საბოლოო დამყარებაზე აფხაზეთში, მუჰაჯირობის სამ ტალღაზე, აფხაზი ხალხის „დამნაშავე“ ერად ცნობაზე და გარკვეულ ტერიტორიებზე მათთვის დასახლების აკრძალვაზე. ამ გარემოებებმა გამოიწვიეს აფხაზეთის ტერიტორიების დაცარიელება, რომელიც

სხვადასხვა ეროვნების ადამიანების მიერ იქნა დასახლებული. აფხაზური ისტორიის სახელმძღვანელოში ამასთან დაკავშირებით წერია:

1871 წლის ტრაგიკულ მოვლენებამდე აფხაზეთი შედგებოდა თითქმის ექსკლუზიურად აფხაზი ძირძველი მოსახლეობისგან. რამდენიმე წელიწადში ის გახდა ეთნიკურად ჭრელი მხარე. [...] 1864 წლიდან, აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და რუსული პირდაპირი მმართველობის შემოღების შემდეგ, აქ დააფუძნეს თავისი სოფლები ბერძნებმა, ბულგარელებმა, სომხებმა, რუსებმა, ესტონელებმა, გერმანელებმა და სხვებმა, მაგრამ ყველაზე მეტად ქართველებმა (ძირითადად მეგრელებმა) (Бгажба & Лакоба, 2015: 270).

ნარატივი „აფხაზეთის კოლონიზაციის“ სურვილის გამოვლინებად მიიჩნევენ ქართველების მასობრივ მიგრაციასა (იქვე, 271) და რუსეთის მიერ ბატონყმობის გაუქმებას, რამაც უმიწოდ დატოვა ბევრი გლეხი დასავლეთ საქართველოში (იქვე, 272). დისკურსი მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ხედავს ამ ორ მოვლენას შორის და აღნიშნავს, რომ სწორედ ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად მიაშურეს ქართველებმა აფხაზეთის ნაყოფიერ მიწებს. მეორე სახელმძღვანელო ამახვილებს ყურადღებას ამ პერიოდში ქართველების თვითნებობაზე: „[ქართველები] თვითნებურად იტაცებდნენ მიწებს აფხაზეთში. ეს მაშინ, როცა მათ ისედაც ასახლებდნენ აქ რუსეთის ხელისუფლების მიერ შემუშავებული პროგრამის შესაბამისად“ (Куакчаскир, 2010: 171-172). ასევე, ხაზგასმულია ქართველი სამღვდლოების აფხაზური გვარების „გამეგრელება“:

იმავე პერიოდში ქართველმა სასულიერო პირებმა გააჩაღეს მეკინვარე (მურხი) საქმიანობა და აფხაზ მოსახლეობას **თავს ახვევდნენ** გაუგებარ ქართულ ღვთისმსახურებასა და ქართულ ენას, ხოლო მეგრელი მღვდლები ბევრ **აფხაზურ გვარს წერდნენ ქართული ყაიდით** (Бгажба & Лакоба, 2015: 272).

სახელმძღვანელო მიუთითებს 1886 წლის სტატისტიკის მიხედვით აფხაზები შეადგენდნენ 85%-ს, ხოლო ქართველები დაახლოებით 6 %-ს (იქვე). ბევრ აფხაზ მეცნიერს აქვს გამოყენებული მოსახლეობის სხვადასხვა სტატისტიკის წყარო და განხილული აქვთ ეთნიკური შემადგენლობის ცვლილების დინამიკა, რომელიც თანხვედრაშია ამ ქვეთავში განხილულ ნარატივთან (Ачугба, 2010; Инал-Ипа, 1992; Марыхуба, 1993; Кварчия, 2015).

დისერტაციის მეორე თავში უკვე ვისაუბრე აფხაზურ ნარატივში ლავრენტი ბერიას „იმიჯზე“ და სტალინისეული „დიდი ტერორის“ შედეგების აღქმაზე აფხაზეთში. ბერიას მიმართ სიძულვილის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანი არის „1937-1953 წლებში საქართველოს შიდა რაიონებიდან აფხაზეთში ათიათასობით ქართველის გადასახლება“ (Куакуаск ир, 2010: 215). ამ ღონისძიებების განსახორციელებლად 1938 წელს შეიქმნა „საქართველოს სსრ-ს სახალხო კომისარების საბჭოსთან არსებული გადასახლების განყოფილების აფხაზური სამშენებლო კანტორა „*Абхазпереселенстрой*“ (იქვე, 214). ამავდროულად, „მასობრივი გადასახლებები ისახავდნენ ერთ მიზანს - ძირძველი მოსახლეობის - აფხაზების ასიმილაციას ქართულ ეთნოკულტურულ გარემოში (იქვე, 215).

3.3.4 შიდა-გარე მტერი

აფხაზური სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოები აფხაზეთში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას მოიხსენიებენ „მეხუთე კოლონად“⁸³ (Куакуаскир, 2010: 260) ან „კაზაკებად“⁸⁴ (Бгажба & Лакоба, 2015: 271):

აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ნეგაყოფლობით მონაწილეობაზე საბრძოლო მოქმედებებში პარლამენტის ჯარების მხარეს ადასტურებს მრავალი პუბლიკაცია ქართულ პრესაში. გაზეთები, ჟურნალები, რადიო და ტელევიზია არწმუნებდა ქართველებს, რომ ისინი ომობენ „გადამთიელი-აფხაზების“ (пришельцы-абхазы) წინააღმდეგ, რომლებსაც განზრახული აქვთ „წართვან“ მათ მშობლიური მიწა (Куакуаскиრ, 2010: 261).

ამ ნარატივმა ასახვა ჰპოვა იმ დროინდელ პრესაშიც და სამეცნიერო ნაშრომებშიც:

„ანტი-აფხაზური კოლონიალური პოლიტიკის შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ ქართველი ახალმოშენების (200 ათასზე მეტი ადამიანი!) ნაწილის ცნობიერებაში ჩაუნერგა კოლონიზატორებისთვის დამახასიათებელი იდეოლოგია. წარმოსახვითი უფლება გადაწყვიტონ აფხაზებისა და აფხაზეთის ბედი! ამით, „მცირე იმპერიის“ საქართველო

⁸³ მეხუთე კოლონა არის „ნეგატიური მნიშვნელობის ტერმინი. აღნიშნავს მტრის ფართო ფარულ აგენტურულ და დივერსიულ ქსელს, რომელიც დაკავებულია ზურგისა და კომუნიკაციების მოშლით ქვეყანაში“ (სამოქალაქო ენციკლოპედიური ლექსიკონი).

⁸⁴ კაზაკი თურქული წარმოშობის სიტყვაა (*qazaq*), რაც თავისუფალ, უბატონო, თავზეხელაღებულ ადამიანს ნიშნავს (სამოქალაქო ენციკლოპედიური ლექსიკონი). „კაზაკობათ“ (*казачество*) მოიხსენიება სოციალურ-სამხედრო ფენა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის იმპერიის ცარს და დღეს ეს ტერმინი უარყოფითი მნიშვნელობით გამოიყენება და ნიშნავს ყაჩაღს, თავდამსხმელს.

ერთიან ანტი-აფხაზურ ფრონტზე იყენებს ქართული მოსახლეობის მცირე ნაწილს, აფხაზეთის რესპუბლიკაში „ქართული დიასპორა“, „მეხუთე კოლონად“ (Марыхуბა, 1993: 27).

აფხაზეთში მცხოვრები ქართველების მიერ „თბილისიდან მოსული“ ქართველების ნებაყოფლობითი მხარდაჭერა ინტერპრეტირებულია როგორც *შიდა-გარე მტრის* საქციელი. შიდა-გარე მიმართება დაფუძნებულია აფხაზების აბორიგენობაზე და, როგორც წინა თავებში განვიხილე, ქართველების რაოდენობის რიცხვის ხელოვნურად გაზრდის ნარატივზე. აპრიორი „მოსული“ ანუ „გარე“ ქართველი მინიმუმ „შიდა“ ანუ „პროაფხაზური“ მაინც უნდა გამხდარიყო, მაგრამ ის დარჩა „გარე“ ანუ „პროქართულ“ ორგანიზმად და 90-იანების ომის დროს არ გაუშვა ხელიდან შანსი ამის დემონსტრირების.

თავის შეჯამება

ამ თავში მიმოვიხილე ტკივილის გარშემო ქართული და აფხაზური ვიქტიმიზაციის ასიმეტრიული ნარატივების მიზეზები, მათი მაკონსტრუირებელი ელემენტები, ავტორები და შექმნის დინამიკა, ისევე როგორც თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში მათი როლი. ამ ნარატივების ფუნქცია „ახალგაზრდებში ეროვნული იდენტობის გაძლიერება და პოლიტიკური მობილიზაცია“ (Khalili, 2004: 11), მეტი პატრიოტის (Bar-Tal et al., 2009), ლოიალური მოქალაქისა და „ეროვნულად

პასუხისმგებელი პიროვნების“ (*nationally conscious person*) (Paabo, 2008: 7) აღზრდაა. ამას გარდა, ამ ნარატივების შექმნის რეალურ და წარმოსახვით, „მეხსიერების ადგილებზე“ (Nora, 1989) ვისაუბრე. ქართული ნარატივის შემთხვევაში, ისინი მიწის, ადგილისა და სივრცის პოსტულატებზე აიგება და პროდუქტად აფხაზეთისგან იდენტობის კერას ქმნის. ინდივიდუალური მეხსიერების არარსებობის პირობებში კოლექტიური მეხსიერება აფხაზეთის მიმართ მიკუთვნებულობის გრძნობას მიკროგეორგაფიისა (ფიზიკური ადგილი) და სივრცის გასაკრალურების (ემოციური არეალი) ელემენტების ნარატივში შემოტანით აღწევს. რაც შეეხება აფხაზურ ნარატივს, ის ომში გამარჯვების პერმანენტული თვალსაჩინო პერფორმანსის (კომემორაციის პრაქტიკებით, მემორიალებით, „სამამულო ომის“ რიტორიკით, ვეტერანების წამყვანი როლით მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში) საშუალებით ომის გლორიფიკაციას ახდენს. ამ ნარატივის ბირთვი აფხაზებისა და ქართველების ჩვენ-ისინი კონსტრუქტის პრიზმიდან განხილვაა, სადაც საქართველო არტიკულირებულად დემონიზებული „მტერია“ (ბარქაია, 2019).

ასიმეტრიულ ორივე ნარატივში ავტოქტონობა/ეთნოგენეზისი და მიწა, როგორც იდენტობის მაკონსტურირებელი მნიშვნელობის მატარებელი ცვლადი, პოლიტიზირებული და ინსტრუმენტალიზირებულია. ეს აფხაზეთის, როგორც ფიზიკურ და სულიერ ტერიტორიის, უპირობო ბატონობის პოლიტიკური დისკურსის შესაქმნელად გამოიყენება. ამ მისწრაფებას *ქტონავტოკრატია* ვუწოდებ, ხოლო მისი ქართულ და აფხაზურ ნარატივებში ვალიდურობა აფხაზეთში აბორიგენეობის

თეორიების პერსპექტივიდან განვიხილე. ისინი რამდენიმე ძირითადი თემის გარშემო გავაერთიანე. ესენია: აფხაზეთის მოსახლეობის აქტუალური და ისტორიული ეთნიკურობა; აფხაზეთელებისა და აფხაზების ისტორიული განსახლების არეალი; აფხაზეთი, როგორც ისტორიულ-პოლიტიკური ერთეული და მისი მნიშვნელობა; მუჰაჯირობა; მეოცე საუკუნეში აფხაზეთის დემოგრაფიული ცვლილებები.

ანალიზმა აჩვენა, რომ „ისტორიული წიაღსვლების“ პოლიტიზირებამ და ინსტრუმენტალიზაციამ 90-იან წლებში ქართველებსა და აფხაზებს შორის ეთნიკური შუღლის გაღვივებას ხელი შეუწყო და მიმდინარე ვითარებაში მოლაპარაკებებისა და დიალოგის მიმართულებით კვლავ დიდ გამოწვევად რჩება.

თავი IV როლების კარუსელი: ბრძოლა ჰეგემონიის წინააღმდეგ

შესავალი

ერებისა და სახელმწიფოების თვითაღქმა სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით ყალიბდება. „იმპერიალურ-სუპრანაციონალურ კონტექსტში უფრო მცირე და უფრო დიდი ერებისა და სახელმწიფოების“ (Brisku, 2015) ურთიერთდამოკიდებულება ნაციონალიზმის დისკურსში საინტერესო ხასიათს იძენს. ამ თავში ვეყრდნობი ჰოლსტის (1970) მიერ შიდა და საგარეო პოლიტიკაში როლური თეორიის გამოყენებას და კარპმანის (1968) „დრამატული სამკუთხედის“ კონცეფციას და ამ კონცეპტუალურ საფუძველზე ვაანალიზებ თუ როგორ ხდება ქართული, აფხაზური და რუსული ნაციონალიზმის ნარატივებში როლების მიკუთვნება. თვითგამოცხადებულ თუ მიკუთვნებულ როლებში „გადაწყვეტილებებისა და ქმედებების“ ერთობლიობა იგულისხმება (Holsti, 1970). უფრო ზუსტად კი, ამ როლების წარმომავლობა, სტრატეგიულობა და შესრულება, რაც საზოგადოებრივი აზრისთვის „მოსალოდნელი თუ შესაფერი ქცევა“ (Turner, 1956: 316). საზოგადოებრივი აზრის მიერ ამ როლების გათავისება-გაზიარებისთვის „ეროვნული იდენტობის დასაცავად ეროვნულად შეგნებული ადამიანების მობილიზაცია“ ⁸⁵ (Paabo, 2008: 6-7) ხდება, ხოლო „ინფორმაციული ომი“ და პროპაგანდა, „იდებების ჩვენების, განვითარებისა და

⁸⁵ შეადარეთ ორიგინალს: *mobilize a nationally conscious people to protect the national identity.*

კულტივაციის პროცესი“⁸⁶ (Taylor, 2003 in Paabo, 2008: 7), ამ როლების ფორმირებაში საკვანძო მეთოდებია.

საერთაშორისო ურთიერთობებში ფსიქოლოგიიდან ნასესხები ნაციონალური როლური თეორია ტრადიციულად აქტორების სამეულს მოიაზრებს: მსხვერპლი - მოძალადე - მხსნელი⁸⁷ (Karpman, 1968) ან აგრესორი - მოპასუხე - დამაბალანსებელი⁸⁸ (Holsti, 1970). ჰოლსტმა (1970) ამ ტრიადაზე დაყრდნობით მოახდინა კატეგორიების დეტალიზება და 17 განსხვავებული როლი განიხილა. ამ ზოგადი და ჩაშლილი დაყოფის მოდელის მიხედვით მიმოვიხილავ ქართულ, აფხაზურ და რუსულ ნაციონალურ როლებს, რომლის ძირითადი ფუნქცია ორგვარია: მისი შიდასაზოგადოებრივი მიმღებლობა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის ექსპორტი. პირველი საზოგადოების შიგნით საჯარო დისკურსის მიმართ მიკუთვნებულობასა და მის მოწონებას ითვალისწინებს. სხვანაირად, ის შიდა პოლიტიკური სივრცის მხარდაჭერას გულისმობს. მეორე - საგარეო პოლიტიკაში ქვეყნის „იმიჯის“ ნაწილია. უფრო ზუსტად, ის საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კონკრეტული საშინაო თუ საგარეო სტრატეგიისა და პოლიტიკის მოწონება-მიღებას მოიაზრებს.

⁸⁶ შეადარეთ ორიგინალს: *Propaganda is a process for the showing, germination and cultivation of ideas.*

⁸⁷ Victim – persecutor – rescuer

⁸⁸ Aggressor – defending – “balancer”

4.1 ქართული ნარატივი: „იმპერიალიზმთან მეზრძოლი შუქურა“

აფხაზთა და ქართველთა შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენა არ აწყობს ხელისუფლებას [ცენტრალური ხელისუფლება ანუ კრემლი]. მისთვის მიუღებელია ჩვენი საზოგადოების ცდები, რომ აუხსნას აფხაზ რუსიფიკატორთა (და არა ნაციონალისტთა, როგორც ეს ზოგიერთს შეიძლება ეგონოს) მიერ შეცდომაში შეყვანილ აფხაზთა სინამდვილე; აუხსნას რომ ქართველი ერი მათი მტერი არასოდეს ყოფილა, ჩვენ მათი ნაციონალური მეობის შენარჩუნების მომხრე ვართ და მხოლოდ მესამე ძალის ჩარევამ დაარღვევია ხელოვნურად ჩვენი ისტორიული ერთობა. ხოლო ანტიქართული პოზიცია მიმართულია არა მათი აფხაზობის დაცვისკენ, არამედ გარუსებისკენ (გვენეტაძე & კალანდია, 2011: 48).

1988 წლის 3 დეკემბერს ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრებმა წარმოთქვეს, როგორც მიტინგის ორგანიზატორებმა. დემონსტრაციის მიზანი მოსკოვის იმპერიული პოლიტიკის შედეგად დარღვეული აფხაზთა და ქართველთა ისტორიული ერთობის აღდგენა იყო. ამ ქვეთავში განვიხილავ ქართულ ნარატივში როლთა გადანაწილებას, სადაც რუსეთი არის აგრესორი, ოკუპანტი და კონფლიქტის წამქეზებელი; საქართველო არის ან მსხვერპლი (რუსეთის აგრესიის) ან გადამრჩენელი (აფხაზური კულტურისა და იდენტობის), ხოლო აფხაზეთი, ან როგორც მხარე, საერთოდ არ ფიგურირებს ან ქართულ-აფხაზური ძმობა და ნათესაობა არის აქცენტირებული ან ის რუსეთის პროტექტორატად განიხილება.

ქართულმა ნარატივმა ეს როლური სამკუთხედი 2003 წლის ვარდების რევოლუციის და განსაკუთრებით, სამხრეთ ოსეთის თაობაზე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩამოაყალიბა და საგარეო ურთიერთობებიც ამის გარშემო ააგო. საქართველოს მთავარი მიზანი ეროვნულობის იმგვარი შენარჩუნება გახდა, რომელიც მას საერთაშორისო არენაზე რაც შეიძლება მეტ სახელმწიფოსთან მეგობრობისა და სტრატეგიული (სავაჭრო, დიპლომატიური) პარტნიორობის დამყარებას შეუწყობდა ხელს. ეს აქტიური დამოუკიდებლობის (*active independent*) (Holsti, 1970) როლი საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარი გზავნილი და საშინაო საქმეებში პრიორიტეტული მიმართულება იყო (Beacháin & Coene, 2014). ის საქართველოს ევროპის, როგორც პროგრესისა და განვითარების, განუყოფელ ნაწილად და რუსეთის, როგორც რეგრესისა და ტირანიის, საპირწონედ მოიაზრებს. პოსტ-ტოტალიტარული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოსთვის, მათ შორის საქართველოსთვის, „ევროპაში დაბრუნება“ „ნამდვილ, ისტორიულ სახლში“ (*promised land*) რეინტეგრაციის დისკურსის ნაწილია (Lauristin, 2007). დასავლეთი საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის, ტოტალური კონტროლისა და ყველა სფეროში ძალიან იდეოლოგიზებული წარსულის მემკვიდრეობისგან გათავისუფლების შესაძლებლობად განისაზღვრა. ეს მაშინ, როცა „რუსეთი ადრეულ საბჭოთა ნარატივებს დაუბრუნდა“, რაც „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კოლექტიური მეხსიერებისთვის დაპირისპირებების მთავარი მიზეზია“ (Paabo, 2008: 19).

რუსეთი საქართველოსთვის იმპერიალისტური და ავტოკრატიული სახელმწიფო პოლიტიკის გამგრძელებელია, რომელიც სხვისი ტერიტორიების მითვისების გზით ცდილობს შეინარჩუნოს ავტორიტეტი და ძალაუფლება. ეს პოლიტიკური ხაზი სახელმძღვანელოშიცაა ასახული:

უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის იმპერიის პოლიტიკამ ეს პროცესი [ჯანსაღი ქართული ნაციონალიზმი] დაამუხრუჭა, რადგან იმპერიები ხელმძღვანელობენ პრინციპით „გათიშე და იბატონე“, ხოლო ნაციონალური სახელმწიფოების სამოქმედო პრინციპია „სოლიდარობა სხვადასხვაობის შენარჩუნებით“ (ანჩაბაძე და სხვები, 2008: 459).

ამ აღქმამ „კონფლიქტების“ ნაცვლად „კონფლიქტის“ არსებობისა და „სამშვიდობო პროცესის მთლიანად რუსეთ-საქართველოს გარშემო ინსტიტუციონალიზაცია“ მოახდინა (აბრამაშვილი & ქოიავა, 2018: 36). სხვანაირად, ქართველებსა და აფხაზებს შორის გარკვეულმა უკმაყოფილებამ, რომელზეც ძირითადად „პასუხისმგებელი საბჭოთა ეთნო-ფედერალიზმია“ (Zucher in Petersen, 2008: 13), „რუსეთის ჩარევით რუსეთ-საქართველოს ომის ხასიათი შეიძინა“ (კვესელავა, 2016: 14). ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტის ესკალაცია კონფლიქტის გაჩაღებისთვის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა იყო (Petersen, 2008), ხოლო ომში გადაზრდილი „შეიარაღებული დაპირისპირების წაქეზება [რუსეთმა] მოახერხა და თავადაც ჩაერთო საქართველოს წინააღმდეგ ომში“ (თოფჩიშვილი და სხვები, 2018: 20-21), სადაც „აშკარად დაუჭირა მხარი სეპარატისტებს“ (მემმარიაშვილი

და სხვები, 2014: 213). შესაბამისად, ტერმინოლოგიის დონეზეც, ქართულ-აფხაზური ომი, მიუღებელია:

ის, რაც დღეს ხდება სამაჩაბლოში, აფხაზეთში და სხვა რეგიონებში, ეს კრემლისთვის, მეგობრებო, არის ეთნოკონფლიქტი, ეთნოკრიზისი - ეს კრემლის ტერმინებია, ხოლო ჩვენთვის ეს არის დაპყრობითი ომი ქართველი ერის წინააღმდეგ, რომელსაც კრემლი ახორციელებს სხვა ერების მეშვეობით, სხვა ერების ხელით (გვენეტაძე & კალანდია, 2011: 309).

ეს სიტყვები ზვიად გამსახურდიამ 1989 წლის 25 დეკემბერს თბილისში გამართულ მიტინგზე წარმოთქვა. ამ მიმართულებით ნარატივი არ შეცვლილა. თანამედროვე ქართულ სახელმძღვანელოებშიც 90-იანი წლების კონფლიქტების სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის სათაურებია: „რეგიონული კონფლიქტები საქართველოში. რუსეთის გამოუცხადებელი ომი“, „ბრძოლა სეპარატიზმის წინააღმდეგ“, „საქართველო 1992-2003 წლებში“, „დამოუკიდებელი საქართველო“, „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და საომარი კონფლიქტები“ და სხვა. არცერთი ვერსია პირდაპირ ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაზე არ მიუთითებს.

ქართულ ნარატივში კონფლიქტის ეთნიზაცია და საომარი მოქმედებების დაწყება რუსეთს პირდაპირ უკავშირდება. რუსეთს, რომელიც იარაღით ქართველებს, აფხაზებსა და აფხაზების მხარეს მყოფ უცხოელ მოხალისეებს ერთდროულად ამარაგებდა (Petersen, 2008). რომ არა რუსეთის ეს ქმედება და სამხედრო არსენალზე ხელმისაწვდომობა, ვერც ქართული და ვერც აფხაზური მხარე ომში მონაწილეობას

ვერ გაბედავდა. სახელმძღვანელოებში სხვადასხვა სიტყვებითა და განსხვავებული რაკურსით ეს გზავნილი მკაფიოდ იკითხება:

თავდაცვის მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა რუსეთის არმიის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობისაგან მიიღო შეიარაღების ნაწილი. [...] ცუდად ორგანიზებულ ქართულ ჯარს აფხაზი მებრძოლების გარდა, დაუპირისპირდნენ [...] რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილები (უპირველესად ავიაცია). მათ ხელში აღმოჩნდა რუსეთიდან შემოსული დიდძალი შეიარაღებაც (ასათიანი და სხვები, 2012: 419).

ავტონომიაში ცენტრის სასარგებლოდ სიტუაციის ძალისმიერი მეთოდით დარეგულირების არჩევანს პირდაპირ უბიძგა 1992 წლის ზაფხულში რუსეთის მიერ საქართველოსათვის იარაღის დიდი პარტიის (მათ შორის, ტანკებისა და სხვა მძიმე ტექნიკის) გადმოცემამ. სავარაუდოა, რომ რუსეთის მხარემ ეს მიზანმიმართულად მოიმოქმედა, რათა საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაფლობით შეენარჩუნებინა ამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე თავისი გავლენის ბერკეტები (ანჩაბაძე და სხვები, 2008: 453).

რაც შეეხება აფხაზეთს, ის მხარედ ან საერთოდ არ მოიაზრება ან „მნიშვნელოვანი დაზუსტებებით“ მოიხსენიება: აფხაზეთის ეგრეთ წოდებული მთავრობა, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება, მარიონეტული რეჟიმი, სეპარატისტული რეგიონი, ოკუპირებული ტერიტორია და სხვა. თუ რუსეთი არტიკულირებული მტერია, აფხაზები არიან დეკლარირებული ძმები, რომლებიც რუსეთმა „სწორ გზას ააცდინა“ და თავისი ექსპანსიური პრიორიტეტებისთვის გამოიყენა.

2018 წელს გაზაფხულის სემესტრში თბილისის საჯარო სკოლაში დავესწარი ისტორიის გაკვეთილს. 15 წლის მოსწავლემ, რომელსაც სურდა სამხედრო გამოსულიყო და ისტორია ძალიან აინტერესებდა, ასეთი რამ თქვა:

[ქართველ სამხედროებს] არ ეშინოდათ, რომ ისინი თუ იქ [აფხაზეთში] წავიდოდნენ ისინი იქ დაიღუპებოდნენ, იმიტომ რომ ისინი... მათ გააზრებული ჰქონდათ, რომ ისინი მტრის დასახოცად არ მიდიოდნენ, ისინი მიდიოდნენ საკუთარი ძმების გამოსაფხიზლებლად, რომ ისინი გამოეფხიზლებინათ და ისევ სწორ გზაზე დაეყენებინათ და არა მესამე ძალის ჩარევით მიღებული გადაწყვეტილების გზას გაჰყოლოდნენ ისევ. [...] შეიძლება გონება აურიო ადამიანს, მაგრამ, როგორც ითქვას, ქართველობა დაკარგეს, ქართველობას ისინი [აფხაზები] ვერ დაკარგავენ. არის რაღაცა ფაქტები მათი გადაჯიშება მოახდინეს, მათი გარეგნული, ფიზიკური და ქონებრივი ცვლილება მოხდა, თუმცა სულიერ ცვლილებას ისინი [მესამე ძალა] ვერ მოახდენენ.

ქართულ ნარატივში არ არსებობს აფხაზი ან აფხაზეთი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს რუსეთის პოლიტიკური სცენარისგან განსხვავებული რაიმე სახის ეროვნული პროექტის ხედვა და ეს იყოს მისი მოტივაცია გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებისას. აფხაზეთი, რუსეთის პროტექტორატად (*protectee*) განიხილება. ჰოლსტი (1970) პროტექტორატს განმარტავს, როგორც ერთი ხელისუფლების მიერ მეორე ხელისუფლების თავისი დაცვის პასუხისმგებლობის ქვეშ მოქცევას. ქართული დისკურსი აპელირებს იმაზე, რომ აფხაზეთი ყველა სფეროში რუსეთზეა დამოკიდებული. ეს სფეროებია: ეკონომიკა, სამხედრო მიმართულება, სოციალური სერვისები, ინსტიტუციური და ადმინისტრაციული მუშაობა და სხვა

(Gerrits & Bader, 2016). ასევე, აფხაზეთის ინფრასტრუქტურული განვითარება დელეგირებულია რუსეთის ფედერაციის რეგიონალური განვითარების სამინისტროზე, რომლის იურისდიქცია მხოლოდ შიდა ფედერაციული სუბიექტებზე უნდა ვრცელდებოდეს (იქვე). „თანამშრომლობის“ ამ მოდელში ქართულ დისკურსში აფხაზეთი მთლიანად რუსეთის ნება-სურვილისა და ინტერესების მიმართ მოწყვლადი სუბიექტია. შესაბამისად, ქართველების საწინააღმდეგო აფხაზეთის ნებისმიერ განცხადებაში „კრემლის ხელი“ ფიქსირდება:

1999 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა „აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, აირჩიეს პარლამენტი და პრეზიდენტი. მიუხედავად ამისა, აფხაზეთი მოსკოვის კონტროლს ექვემდებარება (მემმარიაშვილი და სხვები, 2014: 213).

იგივე ვრცელდება აფხაზეთში ნებისმიერ ანტი-ქართულ განწყობაზე, რომელსაც „ადგილობრივი რადიკალები“ ცენტრის დაკვეთისა და ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებენ:

აფხაზი ექსტრემისტები ისტორიული ფაქტების დამახინჯების გზით ცდილობენ დაარწმუნონ თავისი ხალხი იმაში, რომ ქართველები არ წარმოადგენენ აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობას, რომ ისინი აფხაზური მიწის ოკუპანტები და აფხაზი ხალხის დამპყრობნი არიან, რომ აფხაზების ყოფნას ქართველთა ეთნოკულტურულ გარემოში მოჰყვება აფხაზური ეთნოსის გაქრობა (ქართული ასიმილაციის გზით), რომ ქართველები აფხაზი ხალხის მიმართ ატარებენ გენოციდის პოლიტიკას (პაპასქირი, 2007: 282).

ამგვარად, ქართული ნაციონალური როლის შესახებ ნარატივი ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის იმპერიის, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის კავკასიაში დესტრუქციული ქმედებების შემაკავებლის ფუნქციის გარშემო აიგება. შესაბამისად, ქართულ-რუსული დაპირისპირების ხაზი უფრო ვოკალური და მკაფიოა. აფხაზეთს, როგორც რუსეთის ხელში საქართველოს წინააღმდეგ მანიპულაციის ინსტრუმენტს, ბევრად უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა. როგორც მოსალოდნელია, აფხაზური დისკურსი რადიკალურად განსხვავებულია და მას შემდეგ ქვეთავში განვიხილავ.

4.2 აფხაზური ნარატივი: „დაჩაგრული რაინდი“

სინამდვილეში, აფხაზეთისა და საქართველოს ურთიერთობა სეპარატიზმის მაგალითი არ არის. ჩვენ არავისგან გამოყოფისკენ არ მივისწრაფვით. საქმე ისაა, რომ პირიქით, ეს არის მეზობელი სახელმწიფოს მხრიდან უფლების განცხადების მცდელობები იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც მას არ ეკუთვნის, თუნდაც პატარა ერის. აი რაშია საქმე. ესე იგი, საქართველოს წმინდა წყლის აგრესიული ნაციონალიზმი და იმპერიული პოლიტიკა პატარა აფხაზეთის მიმართ. [...] მიგვაჩნია, რომ ჩვენი სახელმწიფო უნდა იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო და მეზობელ საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობები გვქონდეს (ვლადისლავ არძინბა, წთ. 2.09-2.39; 6.43-6.53)⁸⁹.

⁸⁹ ტელეკომპანია „აბაზა-ტვ-ს“ მიერ 2017 წლის 15 მაისს YouTube-ზე განთავსდა ვიდეო, რომელსაც აწერია, რომ ამერიკელი მკვლევრის, პოლა გარბის (ირვინის კალიფორნიის უნივერსიტეტის

ვლადისლავ არძინბამ, თანამედროვე აფხაზური ნაციონალიზმის პოლიტიკური დისკურსის ფუძემდებელმა, საქართველო პირდაპირ აგრესორად და უსაფუძვლო ტერიტორიული მოთხოვნების აქტორად დაასახელა. დღეს არსებული რეალობის პირობებში „აფხაზური დრამატული სამკუთხედი“ შემდეგნაირად გამოიყურება: საქართველო - აგრესორი, აფხაზეთი - მსხვერპლი, ხოლო რუსეთი - გადამრჩენელი. უფრო კონკრეტულად, აფხაზეთის პოლიტიკური ესტაბლიშმენტისა თუ ელიტის წარმომადგენლები მედია სივრცეში რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობას ინტენსიურად უსვამენ ხაზს. ამგვარად, აფხაზეთი რუსეთის ერთგულ მოკავშირედ (*faithful ally*) წარმოდგება. ჰოლსტი (1970) ამ როლს განმარტავს ერთი ხელისუფლების მიერ სხვა ხელისუფლების პოლიტიკის მხარდაჭერად. ხოლო რუსეთი მოიაზრება საქართველოს წინააღმდეგ ანტი-იმპერიალისტურ აგენტად (*anti-imperialist agent*), იმპერიალიზმის ბოროტებასთან მეზრძოლად (იქვე). 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის იმდროინდელმა პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა, სპეციალურ სატელევიზიო მიმართვაში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და თქვა:

1991 წელს, საქართველოს პრეზიდენტმა, გამსახურდიამ, მოწოდებით „საქართველო ქართველებისთვის“ - მხოლოდ დაუფიქრდით ამ სიტყვებს - სოხუმსა და ცხინვალზე იერიშის მიტანა ბრძანა. ათასობით გარდაცვლილი, ათი ათასობით ლტოლვილი, განადგურებული სოფლები - აი ამან რა მოიტანა. იმ მომენტში აფხაზი და ოსი ხალხების

სამოქალაქო-სამშვიდობო ცენტრის დირექტორი) ოჯახის არქვიდანაა. ინტერვიუერი და ინტერვიუს ჩაწერის თარიღი უცნობია. რესპოდენტი კი ვლადისლავ არძინბაა.

განადგურება სწორედ რუსეთმა შეაჩერა. ჩვენი ქვეყანა შუამავალი და მშვიდობისმოყვარი გახდა (მედვედევი, 2008).

ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოს პირველი პირის სიტყვის ამონარიდში რუსეთის სტაბილიზატორისა და დამბალანსებლის თვითაღქმას გაჟღერებული, ისევე როგორც საქართველოს მრავალჯერადი აგრესია და აგრესიის მცდელობა. აფხაზურ ნარატივში, საქართველოს „იმპერიალისტური შეგნება“ მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში იწყებს ფორმირებას. ამ პროცესს სახელმძღვანელო ასე აფასებს: „ხალხს [ქართველებს] მისი უნიკალურობისა და კავკასიაში განსაკუთრებული როლის შესახებ შთააგონებენ“ (Бражња & Лакინა, 2015: 270). ამ დისერტაციაში საქართველოსთვის „პატარა იმპერიის“ მიწერილ პოლიტიკურ იარაღზე მეორე თავში უკვე ვისაუბრე. აფხაზური ისტორიული თხრობა აფხაზეთთან კონტექსტში საქართველოს ქმედებებში კოლონიზატორის ნიშნებზე საუბრობს. ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ „სამხრეთის საზოგადოებებისთვის“ დამახასიათებელია „კოლონიზატორის ინსტრუმენტებით საკუთარი ისტორიის დეკოლონიზაცია“ (Ferro, 2003). სხვა სიტყვებით, კოლონიისა თუ იმპერიის დაქვემდებარების გამოცდილების მქონე სახელმწიფო, შესაძლებლობის შემთხვევაში, თავად ხდება ექსპანსიური და ოკუპანტი.

აფხაზეთის მიმართ ქართული ეპითეტები და შეფასებები აფხაზურ ნარატივში კავკასიური ორიენტალიზმის პროდუქტად კვალიფიცირდება. ამგვარად, რუსეთის შოვინიზმის დაძლევით „გათამამებული“ საქართველო უფრო მცირე ერების

მჩაგვრელთანაა გაიგივებული. ქართული პოლიტიკური ელიტა (მე-20 საუკუნის 20-იან თუ 90-იან წლებში) კი ნაციონალიზმის დისკურსის გამტარებელი „პატრიოტთა“ გაერთიანებაა, რომელთაც „დაჩაგრული ერის“ (ქართველების) გათავისუფლებისთვის „მმართველი ერის“ (რუსების) წინააღმდეგ (Hroch, 1985) გაილაშქრეს, მაგრამ თავად გახდნენ მჩაგვრელები ეთნიკური უმცირესობებისა თუ სხვა პატარა ხალხების მიმართ.

ამ ნარატივის საინტერესო მხატვრული ილუსტრაცია აფხაზეთში ცნობილი იუმორისტული ჯგუფის სკეტჩში - „ნართები აფხაზეთიდან“ (*Нарты из Абхазии*) გამოვლინდა. მინიატურას ჰქვია „მისტიკა ნადავლ სახლში“ (*мистика в трофейном доме*) და ის შერეულ ქართულ-აფხაზურ ენაზე სოხუმში, ერთ-ერთ რესტორანში გათამაშდა:

სალამოს ცოლი და ქმარი დასაძინებლად ემზადებიან. მას შემდეგ რაც ცოლს მშვიდად ჩაეძინება, ქმარს ხმები აღვიძებენ. ქართული აქცენტით მოსაუბრე „ხმასა“ და მას შორის შემდეგი დიალოგი შედგა:

- რა, კარგია ცხოვრება სხვის სახლში, ხო?
- ვინ არის აქ?
- პატრონი.
- რომელი პატრონი? აქ პატრონი მე ვარ!
- ყოფილი, ყოფილი, ყოფილი (ექოს ეფექტით).

ქმარი ცოლს გააღვიძებს, მაგრამ აღმოჩნდება რომ მას არანაირი ხმა არ ესმის და ის გააგრძელებს ძილს. ქმარი ცოლის ამ „სიყრუეს“ ცოლის გენებს, კერძოდ მისი ბებრის ქართველობას, მიაწერს. ძილგამტყდარი ქმარი საპირფარეშოში გადაწყვეტს წასვლას და

ისევ გაიგონებს „ხმას“: „სად მიდიხარ? საჭირო ოთახი იქ არ არის! რა, მიეჩვიე აივნებიდან, ხო?“ საბოლოოდ გაბრაზებული ქმარი თოფის მოსაძებნად წამოდგება, მაგრამ ამ დროს ცნობილი რუსული იავენანას⁹⁰ გადაკეთებული სიტყვები ესმის:

„სძინავთ დადლილ აფხაზებს, ერთად სძინავთ. ჩვენს საბნებსა და ბალიშებზე სძინავთ (მიწაც გაგისკდეთ). ამ სახლში დასაძინებლად წვებოდნენ რომ ღამე ჩვენ დავსიზმრებოდით. თვალები დახუჭე და არასოდეს გაახილო“.

ეს გათამაშებული პასაჟი ორი მიმართულებით არის საინტერესო. ერთი, მისი სათაურიდან გამომდინარე, „ნადავლი სახლის“, კონცეფცია. ნავარო-იაშინი (2009) ამას რუინიზაციას (*ruination*) უწოდებს და კვიპროსის მაგალითზე განიხილავს. ეს არის კვლევა იმისა თუ რას ნიშნავს ცხოვრობდე ომის ნაკვალევზე, განსაკუთრებით კი რა მორალურ დილემებს წარმოშობს ე.წ. „მტრის“ ქონების გამოყენება (იქვე). მეორე, მტრის ეთნიზაცია, რაც ლაიტმოტივია აფხაზური დისკურსის, რაც ამ დისერტაციაში არაერთხელ განვიხილე.

აფხაზეთის მიმდენარე პოლიტიკურ დისკურსში ანტირუსული განწყობები არ არსებობს (Gerrits & Bader, 2016). რუსეთი უპირობო პარტნიორად და დამცველად პოზიციონირებს. მათ შორის, მუჰაჯირობის ტრაგედიის ისტორიული სამართლიანობის აღდგენა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების გაფუჭების ხარჯზე დღის წესრიგში საერთოდ არ განიხილება (Inal-ipa, 2011), თუმცა ისტორიის

⁹⁰ „სძინავთ დადლილ სათამაშოებს“ (*спят усталые игрушки*) - ეს იყო ცნობილი საბავშვო გადაცემის სიმღერა რუსეთში.

სახელმძღვანელო „იხსენებს“ იმ ფაქტს, რომ ომის დასაწყისში ბორის ელცინი ნეიტრალიტეტს იკავებდა:

რუსეთის პრეზიდენტი, ბორის ელცინი, ისევე როგორც საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობა, აფხაზეთის დასაცავად მთიელთა რესპუბლიკების გამოსვლას არ ელოდა. ომის პირველ დღეებში მან ქართულ-აფხაზური ომისგან განრიდება გადაწყვიტა და განაცხადა, რომ მოვლენები აფხაზეთში - საქართველოს შიდა საქმეა. მაგრამ უკვე ერთი კვირის შემდეგ, ბ. ელცინმა აფხაზეთიდან ქართული ჯარების გამოყვანის აუცილებლობაზე განაცხადა. [...] ამგვარად, ის იძულებული გახდა ნეიტრალიტეტი შუამავლობით შეეცვალა (Куакуаскир, 2010: 264-265).

ისევე როგორც ქართულ-აფხაზური დაპირისპირება არ მოიაზრებოდა ეთნოკონფლიქტად ყოველთვის:

1989 წლის ივლისში სისხლიან კონფლიქტში გადაზრდილი ქართულ-აფხაზური დაპირისპირებები ⁹¹ ეთნიკურ ხასიათს არ ატარებდა. ისინი „იდეოლოგიური კონფრონტაციის“ დონეზე მიედინებოდნენ. ამ მნიშვნელოვან მომენტს ცნობილმა უფლებადამცველებმა ვ. მაქსიმოვმა ⁹², ვ. ჭალიძემ ⁹³ მიაქციეს ყურადღება (Бгажба & Лакоба, 2015: 388).

⁹¹ 1989 წლის 15-16 ივლისს სოხუმის უნივერსიტეტში დაპირისპირება.

⁹² ვლადიმერ მაქსიმოვი (1930-1995) - რუსი პუბლიცისტი, მწერალი, საბჭოთა დისიდენტების მოძრაობის ლიდერი საზღვარგარეთ.

⁹³ ვალერი ჭალიძე (1938-2018) - ქართველი საბჭოთა დისიდენტი და უფლებადამცველი.

აფხაზური ნაციონალური როლების შესახებ ნარატივი დიდწილად ემთხვევა რუსეთის ოფიციალურ დისკურსს, რომელსაც შემდეგ ქვეთავში განვიხილავ.

4.3 რუსული ნარატივი: “გულუხვი სული”

ოსეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ათას შვიდას... ღმერთმა მომცეს მეხსიერება, მგონი, 1774 წელს შევიდა. შევიდა მთლიანად, სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილები, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. აფხაზეთი 1810 წელს ასევე როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, როგორც სამთავრო. მოგვიანებით მოვლენები ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ვითარდებოდა. ოსეთის სამხრეთი ნაწილი ტიფლისის გუბერნიაში შევიდა. არავითარი საქართველო მაშინ არ არსებობდა, ეს იყო ტფილისის გუბერნია. აფხაზეთი შემდეგნაირად ვითარდებოდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა რუსეთის იმპერია იშლებოდა, საქართველომ სცადა აფხაზეთის შთანთქმა. დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო წარმოიშვა და გერმანული ჯარების დახმარებით საქართველომ 1918 წელს აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა. ოკუპანტები იქცეოდნენ ძალიან ულმოზლად. კიდევ უფრო ულმოზლად ქართული ჯარები ოსეთში 1919 და 1920 წლებში მოქმედებდნენ. პრინციპში რომ ვთქვათ, ეს არის ის, რასაც დღეს გენოციდი ჰქვია. ეს ყველაფერი კარგია რომ დღევანდელმა ქართულმა ხელისუფლებამ იცოდეს. ამის დავიწყება არასოდეს არ შეიძლება, თუ დღევანდელ ქართველ პოლიტიკოსებს აფხაზეთისა თუ სამხრეთ ოსეთის ხალხებთან ურთიერთობის დალაგება სურთ.

ხოლო საბჭოთა კავშირის დროს, სხვათა შორის, ჯერ შეიქმნა მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აფხაზეთი, რომელშიც შევიდა დღევანდელი საქართველო, ეს საქართველოც კი არ იყო, მაგრამ სტალინის დროს შეიქმნა სოციალისტური რესპუბლიკა

საქართველო, რომლის შემადგენელი ნაწილი აფხაზეთი გახდა. და, სხვათა შორის, ჩვენი უფლებადამცველები ამას არასდროს არ აქცევენ ყურადღებას, ეს გასაკვირიც კი არის. მაგრამ სტალინის ბრძანებით ნკვდ-მ ბერიას მეთაურობით აფხაზეთის მიმართ ძალიან ულმოზელი ზომები მიიღეს. ძალიან ულმოზელი, ახლა არც კი მინდა მათი წარმოთქმა. მიზანი საქართველოს მიერ ამ ტერიტორიისა და აფხაზი ხალხის შთანთქმა იყო. აი ეს მძიმე შემკვიდრეობა არა თუ არ გაითვალისწინა, არამედ უბრალოდ დააიგნორა თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთმა პირველმა პრეზიდენტთაგანმა როცა გააუქმა ყველა ტიპის ავტონომია აფხაზეთის, აჭარის და სხვა. ამან აფეთქებასა და ძმათამკვლელ ომამდე მიიყვანა.

აი, მე თავის დროზე ვარწმუნებდი სააკაშვილს: „მიხაილ ნიკოლაევიჩ, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ სამხედრო მოქმედებები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ“. ამერიკელებსაც იგივეს ვეუბნებოდი და „კი კი, არავითარ შემთხვევაში!“. და რა ქნეს? არა, იქ ომით წავიდნენ. შედეგი? ის დღეს ცნობილია. რუსეთი უბრალოდ იძულებული იყო ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ეღიარებინა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხები დაეცვა.

ამას რისთვის ვყვები, აი, ეს ანტირუსის ანტირუსული განწყობები საქართველოში იმ ადამიანების მიერ არის გაჩაღებული ვინც ან არ იცის ან აიგნორებს და საბოლოო ჯამში, თავად საქართველოსა და ქართველ ხალხს აზიანებს. და სხვა ყველაფერი არის ნაწარმოები, ბილწსიტყვაობაც, გინებაც, ამიტომ ამას უნდა სერიოზული, ღრმა მიდგომა და არა ვიღაც გარეწრების რეაგირება გარეგნულ გამოხატულებებზე. რაც შეეხება საქართველოს მიმართ სხვადასხვა ტიპის სანქციებს, მე ამას ზუსტად ქართველი ხალხის პატივისცემიდან გამომდინარე არ გავაკეთებდი, რადგან ერთი გამოვიდა, რაღაც წამოროშა იქ, თავი მოიკატუნა ვიღაცად. მის შესახებ ადრე არავინ იცოდა, ხოლო ახლა ყველა საუბრობს. ამ

გაგებით მან თავისას მიაღწია. ჩამოაშორეს ორი თვით, დასასვენებლად გაემგზავრა, შემდეგ ჩამოვა და სამსახურს გააგრძელებს. მაგრამ ხომ არიან საქართველოში ადამიანები, რომლებიც ამას აპროტესტებენ. აი, ამ ადამიანების ხათრით, რუსეთსა და საქართველოს შორის სრულფასოვანი ურთიერთობების აღდგენის ხათრით, მე არაფერს ისეთს არ გავაკეთებდი, რაც ჩვენს ურთიერთობებს გაართულებდა (პუტინი, 2019).

რუსეთის ფედერაციის მოქმედმა პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, ეს ინტერვიუ 2019 წლის 9 ივლისს მისცა. დიდწილად ეს იყო რეაქცია ქართველი ჟურნალისტის მხრიდან პუტინის რუსულად შეგინებაზე. ორი დღით ადრე, 7 ივლისს, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში გიორგი გაბუნიაშვილმა თავის საავტორო გადაცემა „პოსტსკრიპტუმში“ რუსეთის პრეზიდენტს ბილწი სიტყვებით მიმართა (თურაძე, 2019).

ამას ქართულ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ნაწილი წამყვანის ქმედებას მხარს უჭერდა, ნაწილი ცალსახად ეწინააღმდეგებოდა და ნაწილიც ემოციურად იზიარებდა, მაგრამ ფორმას არ ეთანხმებოდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა და უწყებებმა (მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტრო) ძირითადად, ელექტრონული ფორმით გაკეთებულ სპეციალურ განცხადებებში ეს აქტი დაგმეს („რადიო თავისუფლება“, 2019). რუსეთის პოლიტიკურ წრეებშიც ამ ინციდენტმა ფართო რეზონანსი ჰპოვა და დუმის დეპუტატები საქართველოსთვის ეკონომიკური სანქციების შემოღების ინიციატივით გამოვიდნენ (ვარადაშვილი, 2019). პუტინმა სწორედ ამ „შემოთავაზებაზე“ თქვა უარი. ამერიკაში მცხოვრებმა

ანდრეი ილარიონოვმა, ეკონომიკურ დარგში პუტინის ყოფილმა მრჩეველმა, ეს „მიმტევებლობა“ შემდეგნაირად შეაფასა: „ის გამოჩნდა როგორც ნამდვილი ევროპელი, შემწყნარებელი, სულგრძელი ლიდერი. ამით მან ზედაპირულად მაინც შეცვალა დისკუსია რუსეთზე“ (მეურმიშვილი, წთ. 6.20 -6.29, 2019).

რუსულ ნარატივის „დრამატულ სამკუთხედში“ ნაციონალური როლები ასე ნაწილდება: რუსეთი - გადამრჩენელი, აფხაზეთი - მსხვერპლი, ხოლო საქართველო - აგრესორი. თანამედროვე რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის, ხოლო ეს უკანასკნელი რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრეა. რუსეთის იმპერია საბჭოთა ფედერალიზმის იდეოლოგიური და პოლიტიკური წინამორბედი იყო (Jersild, 1996). მისი როლი საქართველოში აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიქტომიის გარშემო აიგება. ქართულ ნარატივში მეზობელი იმპერიებისა და დამპყრობლების მთავარ ინტერესად საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა სახელდება. მუსულმანური იმპერიებით (ირანი, ოსმალეთი) გარშემორტყმულმა საქართველომ 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის ფორმით ჩრდილოეთით მდებარე ერთმორწმუნე მეზობლის სასარგებლოდ გააკეთა. ქრისტიანული სახელმწიფო და პეტრე პირველის მიერ „რუსეთის ევროპეიზაციის“ მცდელობები იმ პერიოდში ქართული რეალობისთვის გარკვეული ადამიანთა ჯგუფისთვის ევროპაში ფანჯარად აღიქმებოდა. ძირითადად, საბჭოთა კავშირის კულტურული მემკვიდრეობის გამო, საქართველოში საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის რუსეთის ამგვარი „ტრადიციული“ აღქმა დღესაც აქტუალურია.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის იმპერია-კოლონიად დაკვალიფიცირება მკვლევრებს შორის დებატების საგანია, ქართული ელიტის დუალიზმი აშკარაა (Batiashvili, 2018). იმპერიის ცენტრს დაქვემდებარებული ქართული ინტელიგენცია რეგიონში სხვა, უფრო მცირე ერების კულტურულ ცენტრად გამოდიოდა და რიგ შემთხვევაში, კავკასიის „ცივილიზატორულ მისიებში“ (*civilizing missions*) იღებდა მონაწილეობას (იქვე). „ერთ დროს მეამბოხე, ნახევრად დამოუკიდებელი საქართველოს დინასტიების“ ერთგულების მოპოვება ახალი მონარქისა [რუსეთის იმპერატორის] და მისი მეფისნაცვალის, მიხეილ ვორონცოვის, მიმართ რთული არ აღმოჩნდა (Suny, 1998). „არარუსული ინტელექტუალური ელიტის ამბივალენტური დამოკიდებულება კოლონიაში ცხოვრებისადმი“ იმპერიის დაშლის შემდეგადაც შენარჩუნდა და საქართველოს სოციალ-დემოკრატები „1918 წლამდე თვითგამორკვევისთვის იბრძოდნენ და არა დამოუკიდებლობისთვის“ (ჯონსი, 2018: 9). ეს „პრაქტიკა“ 1921 წლის შემდეგაც გაგრძელდა და ქართველებს საბჭოთა ნომენკლატურაში, პოლიტიკურ თუ ძალოვან სტრუქტურებში, მაღალი თანამდებობები ეკავათ (Reisner, 2009).

კავკასიის შესახებ მითების კონსტრუირება რუსეთის იმპერიაში მე-19 საუკუნიდან იწყება. მრავალწლიანმა კავკასიის ომმა (1817-1864) და უამრავმა აჯანყებამ თუ შეთქმულებამ დამპყრობლების წინააღმდეგ ტრადიციული, ჩამორჩენილი, მაგრამ თავისუფლების მოყვარე რაინდი ერების რომანტიკული სახე შექმნა. ცარისა და მისი ჯარის მთავარსარდლებისთვის ეს რეგიონი თავის ტკვილი (Авторханов, 1983) იყო, თუმცა, იმავე ცარის ინიციატივით სხვადასხვა პროფესიების

ადამიანების მივლინება ხდებოდა კავკასიაში და მათი ნაწილისთვის ეს ინსპირაციის წყარო ხდებოდა. მაგალითად, ეთნოგრაფებისთვის (Hirsch, 2005), ლინგვისტებისთვის (Услар, 1881) გამბედავი მოგზაურებისთვის (Jersild, 1996), კავკასიაში სასჯელის მოსახდელად გაგზავნილი თუ საკუთარი ინიციატივით ჩასული კლასიკოსი მწერლებისა და პოეტებისთვის (Bullough, 2010; Layton, 1986). თავის ნაშრომებსა თუ ანგარიშებში ისინი კავკასიისგან მიმზიდველი „აღმოსავლეთის“ (*Orient*) (Said, 2003) სახე-ხატს აქტიურად ძერწავდნენ. ვიზიტორებისთვის პატარა ერების სიმრავლე ერთმანეთში მარტივად ირეოდა და არც თითოეული ერის სრულფასოვანი „გაცნობის“ საშუალება თუ მიზანი არ არსებობდა. ამ პირობებში, კავკასიის ბრენდირება ორი განზომილებით ხდებოდა, - რომანტიკული და განუვითარებელი. ცენტრის „დაბნეულობა“ ამ „ჰეტეროგენულ კოლექციაში“ (Kennan, 1874) კარგად ჩანს საბჭოთა იუმორისტულ ფილმში „კავკასიელი ტყვე ქალი, ანუ შურიკის ახალი თავგადასავლები“ (1967, რეჟისორი ლეონიდ გაიდაი). შურიკი, ახალგაზრდა რუსი ეთნოგრაფი ჩამოდის „კავკასიაში“, „სამხრეთის ქალაქში“, სადაც უნდა შეისწავლოს და შეაგროვოს „მთის წეს-ჩვეულებები და ფოლკლორი“. ადგილობრივი სტუმართმოყვარეობით მოხიბლული და თამადის მჭევრმეტყველი სადღეგრძელოებს ზედმეტად აყოლილი სტუმარი დათვრება, ჩაშლის საზოგადოებრივ ღონისძიებას და მილიციაში აღმოჩნდება. მილიციის უფროსი, რომელიც მკვეთრად გამოხატული „კავკასიური აქცენტი“ საუბრობს, აპირებს წინას, - ზაფხულის არდადეგებზე სახლში ჩამოსული სტუდენტის მოტაცებას და ამაში იშველიებს მკვლევარს, რომელსაც ეს რიტუალი ადგილობრივი ტრადიცია ჰგონია. „საქმრო“ „საცოლის“ ბიძას ცხვრის

ფარასა და ფინურ მაცივარზე ურიგდება და იტაცებს გოგოს, რომელიც მიჰყავთ მის სახლში „მთის მდინარის თავზე“. „კავკასიელ ტყვე ქალს“ გამოკეტავენ ოთახში, სადაც კედლებზე ჰკიდია ყანწები და დაირა, ფორტეპიანოზე სხვადასხვა ფორმისა და ზომის დოქები დგას, თავად გოგო ფარდაგებითა და ბალიშებით გაწყობილ „შაჰისთვის განკუთვნილ მაგვარ ტახტზე“ ზის და მაგიდაზე უდევს ხილი (უმეტესად ყურძენი) და ქადა. მის გვერდით აფრიკული ქანდაკებაა. ამ დროს სამი (არა კავკასიელი) გამტაცებელი შემოდის და უმღერის სიმღერას „მე რომ სულთანი ვყოფილიყავი“, სადაც საუბარია სულთნისთვის ალაჰის მიერ ბოძებულ შესაძლებლობაზე ჰყავდეს სამი ცოლი, მაგალითად ზულფია, გული და ფატიმა. სამივე „მომღერალს“ „კავკასიური ტანისამოსის“ ელემენტები აცვია, მაგალითად ფაფახი, ჩოხა, ყაბალახი, წელზე ხანჯალი. ერთ-ერთს თავზე ხილით დახუნძლული ლანგარი უდევს. მეორეს პატარა ნოხი შეამოაქვს, მას შლის და მასზე ბუდას პოზაში ჯდება. სიმღერის ბოლოსკენ ისინი „კავკასიურ ცეკვას“ მიმსგავსებულ ილეთებს აკეთებენ, გოგო მათ თავშლით გამოეცეკვება და გაეპარებათ კიდეც. „ყველაზე ჰუმანური და სამართლიანი“ სასამართლო მოტაცების აქტს დაგმობს და ფინალურ სცენაში ჩნდებიან ნინა და შურიკი, რომელთაც მოჰყავთ ვირი ხურჯნებით და გადიან ქალაქიდან.

პერიფერიის ნაციონალიზმის დისკურსებში საბჭოთა ნაციონალიზმის პოლიტიკის ელემენტების (*კორენიზაცია*, ტიტულარული ერები, პატრონ-კლიენტური მმართველობის მოდელი) ასახვაზე წინა თავებში უკვე ვისაუბრე. აქ ცენტრის მიერ საკუთარი ფუნქციის არტიკულირებაზე შევჩერდები. საბჭოთა

კავშირში „რუსები არასოდეს გამხდარან ეროვნება როგორც ნებისმიერი სხვა“ (Slezkine, 1994: 443). ისინი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ტიტულარული ერი იყვნენ. ნომინალურად მათ არ ჰქონდათ ის პრივილეგიები და უფლებები, რომლითაც „ამკომბდნენ“ სხვა ტიტულარულ ერებს. მათ არ უწევდათ საკუთარი ეთნიკურობისთვის არც ბრძოლა და არც მისი დამტკიცება. საბჭოთა კავშირის ნაციონალური დისკურსების პროცესების მიღმა დარჩენილმა რუსულმა ნაციონალიზმმა იდენტობა მესიანისტურ, იმპერიის პროვინციებში პროგრესის შემომტანის როლს დაუკავშირა.

ნარატივი იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ რუსეთი მისთვის „არა კუთვნილ“ ტერიტორიაზე პრეტენზიას არ აცხადებდა, მხოლოდ რეგიონში სტაბილიზატორის, მედიატორის მისიას ითავსებდა. ამის „ლეგალურ საფუძველს“ და „აშკარა საჭიროებაზე“ მიუთითებდნენ მცირე ერებსა თუ საგვარეულო კლანებს შორის შიდა დაპირისპირებები (Shnirelman, 2018) და „ჩამორჩენილ ნაციებისა და ეთნოსების უმაღლესი კულტურის საერთო პროცესებში ჩართულობის აუცილებლობა“, რასაც ერი ჩაკეტილობიდან გამოჰყავს, აზიარებს რა მას უმაღლეს კულტურას მის განვითარებას უწყობს ხელს (Сталин, 1913: 351). თავსმოხვეული „პრიმიტიულობისა“ და „უკულტურობის“ შეგონება პერიფერიისთვის რიგ შემთხვევაში საკმარისი მიზეზი იყო თავად მიემართა „ცივილური“ ცენტრისთვის „თხოვნით“ შიდა პრობლემების მოგვარებაში დახმარების შესახებ. „სულგრძელი“ ცენტრიც ამ „კეთილ ნებას“ აუცილებლად გამოავლენდა და მთხოვნელს „დახმარების ხელს გაუწოდებდა“, რაც

რეალურად, მის მაგივრად გადაწყვეტილების მიღებისა და საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების უმტკივნეულო შესაძლებლობა იყო.

ნაციონალური როლების ტაქსონომიაში რუსული ნარატივი რუსეთს დამბალანსებლის (*balancer*) კატეგორიაში ათავსებს. კერძოდ, მისგან ნაწარმოებ უფრო დეტალურ როლებს აერთიანებს: რეგიონის ლიდერი (*regional leader*), რეგიონის მფარველი (*regional protector*), შუამავალი-ინტეგრაციის განმახორციელებელი (*mediator-integrator*), რეგიონის ქვესისტემის თანამშრომელი (*regional-subsystem collaborator*) და კონსტრუქტორი (*developer*). პირველი კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში „ვალდებულებებისა ან სპეციალური პასუხისმგებლობების“ ქონას მოიაზრებს. მეორე საუბრობს „განსაკუთრებული ლიდერობის პასუხისმგებლობაზე“, რომელიც იცავს მოსაზღვრე რეგიონებს. მესამე მოქიშპე მხარეების შერიგების პასუხისმგებლობაზე მიუთითებს. მეოთხე მიუთითებს, რომ ჩარევა არ არის მხოლოდ სიტუაციური, არამედ გრძელვადიანად ძალების გაერთიანებასა და ერთიანი სივრცის მიკუთვნებულობაზეა აგებული, ხოლო მეხუთე კი ხაზს უსმევს „განსაკუთრებულ ვალდებულებას ან პასუხისმგებლობას ნაკლოვნად განვითარებული სახელმწიფოების დასახმარებლად“ (Holsti, 1970). როლების განმარტებებში სიტყვები „პასუხისმგებლობა“ და „ვალდებულება“ ხშირად ფიგურირებენ. მაღალი სოციალურ-პოლიტიკური შეგნების იმიტატორი ტერმინოლოგია რეალურად გარკვეული სოციალური სერვისების ნაცვლად უპირობო პოლიტიკურ მონოპოლიას მოითხოვს. რუსეთი იმაზე უფრო დიდ პრეტენზიას არ აცხადებს გარეგნულად, ვიდრე

მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტორად ყოფნაა. სლევკინი (1994) კომუნალური ბინის მეტაფორას იყენებს საბჭოთა ერებს შორის ურთიერთობის აღსაწერად, სადაც ოთახები ეროვნული ტერიტორიაა, ხოლო საერთო მოხმარების სივრცეები რუსეთის კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიებია:

რუსებმა მეზობლების დაშინება დაიწყეს და კომუნალური საცხოვრებლის თავისი ნაწილის დეკორაცია (მათ შორის უზარმაზარი ჰოლის, დერეფნისა და სამზარეულოსი, სადაც ყველა მთავარი გადაწყვეტილება მიიღებოდა), მაგრამ მათ მთელ საცხოვრებელზე პრეტენზია არ გამოუცხადებიათ და არც იმაზე რომ სხვა (დიდი) ოჯახებს მათი ოთახები არ ეკუთვნოდათ. მობინდარები უფრო და უფრო მეტად უთანასწორობები, მაგრამ საიმედოდ განცალკევებულები იყვნენ (Slezkine, 1994: 444).

„რუსეთი სარგებლობს (*enjoys*) თავის სამეზობლოში „პრივილეგირებული ინტერესებით“ (*privileged interests*) (Gerrits & Bader, 2016: 299). რეგიონში „უფროსობა“ არის უფრო დიდი რიტორიკის ნაწილი, რომელიც დიდ სამამულო ომზე წინა თავში საუბრისას უკვე ვახსენე. ეს არის დიდი ბოროტების წინააღმდეგ მუდმივი და გაბმული ჭიდილი. რუსეთის ისტორია უცხოელი დამპყრობლების, უცხოელი მტრებისგან ტერიტორიის გათავისუფლებაზე აიგება (Wertsch, 2002). რუსეთის შიდა აღქმას „სწამს“, რომ „ამაგი“ აქვს კავკასიელების „გაცივილურობაზე“, ამიტომაც „აბსოლუტურად ბუნებრივად“ ელოდება მათ მადლიერებას, რაც ერთგულებაში უნდა გამოიხატოს.

იმპერიულ ნარატივში უცხო სუბიექტი, მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში და დღესაც, ძირითადად დასავლეთი - ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატებია. თანამედროვე რუსული პოლიტიკური დისკურსი საკუთარ როლს პერიფერიებთან კონტექსტში „აკნინებს“ და „უფრო მცირე ბოროტების“ (*lesser evil*) რანგში ათავსებს. მაგალითად, კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობისთვის რუსეთისთვის დამორჩილებას მომგებიანად განიხილავს, რადგან ამ ფაქტმა მათ „უფრო დიდი ბოროტების“ - ბრიტანეთის მიერ რეგიონის დაპყრობა „აარიდათ“ (Banerji, 2006).

„დიდი ბოროტებისგან“ განსხვავებით „უფრო მცირე ბოროტება“, რუსეთის ფედერაცია, მგრძნობიარე, მზრუნველი, თითოეული პატარა ერის მიმართ ინდივიდუალური მიდგომით გამორჩეული დიდი ძმა და პატრონია (Slezkine, 1994). თანამედროვე რუსული პოლიტიკური დისკურსის პატერნალიზმისთვის სამართლებრივი პრაქტიკა კონფლიქტურ რეგიონებში პასპორტიზაციას უკავშირდება. „კრემლი ცდილობს კვლავ დაიმკვიდროს და წარმოაჩინოს საკუთარი თავი, როგორც პოსტსაბჭოთა მოქალაქეობის ტრანსნაციონალური ცენტრი“ ⁹⁴ (Mühlfried, 2010: 12).

საერთაშორისო საზოგადოებისა და სუპრანაციონალური ინსტიტუტების საქართველოს მიმართ აშკარა თანადგომის მიუხედავად, რუსეთი კავკასიაში „მთავარ

⁹⁴ შეადარეთ ორიგინალს: „The present-day Kremlin [...] tries to reinvent itself as the centre of transnational post-Soviet citizenship“.

მოთამაშედ“ რჩება. აქტორი, რომელიც „ციხის დარაჯია“ და „ამავე დროს, საქართველოს განთავისუფლების გასაღებიც“ (ჯონსი, 2018: 10). სუბიექტი, რომელიც „შეიძლება იყოს ან პრობლემის ნაწილი ან მოგვარების ნაწილი მომავალში“ (Yalowitz & Cornell, 2004: 112). აღსანიშნავია, რომ ეს უფრო საერთაშორისო აქტორების აზრია, რომელსაც ქართული პოლიტიკური ელიტის მხოლოდ ნაწილი იზიარებს. როგორც ზემოთ ვიმსჯელე, რუსეთის „ისტორიული როლი“ ქართულ დომინანტურ ნარატივში ერთმნიშვნელოვნად იმპერიალისტური ინტერესების ფარგლებშია დანახული. მითუმეტეს იმ პირობებში, როცა თანამედროვე რუსული პოლიტიკური ნარატივი არ ამჟღავნებს ამ როლის დათმობისა თუ მოდიფიკაციის ნიშნებს.

თავის შეჯამება

ამ თავში ქართული, აფხაზური და რუსული ნაციონალური როლების კონსტრუირების წინაპირობები და აქტუალური მიმართულებები განვიხილე. როლების როტაცია და ნიუანსურობა კომპლექსურია. მართალია, ბოლო 200 წლის განმავლობაში მათი ფორმირება ცალსახოვნად ვითარდებოდა, კონკრეტული დეტალები მთლიანი კონტექსტის სიზუსტისთვის მაინც ყურადსაღები და გასათვალისწინებელია. ამ ფუნქციური როლების მიმდებლობა და ფორმირება დიდწილად ისტორიულ ჭრილში ხდება. ამ პროცესის შედეგი თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში ისტორიოგრაფიისა და კოლექტიური მეხსიერების

იდეოლოგიზაციაა. თითოეული სუბიექტის როლთან მისი წარმომადგენლების ლეგიტიმაცია ძალაუფლების წყაროზეა მიბმული. ამ ნარატივებიდან გადახრა კი მმართველობის სადავეების დაკარგვისა და სტრატეგიული ინტერესების დაუკმაყოფილებლობის მაღალი რისკის შემცველი შეიძლება გახდეს. თანამედროვე პოლიტიკური დისკურსების საფუძვლიანი ანალიზისთვის სწორედ ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ნაციონალური როლების გენეზისი და ჩაღრმავებული გააზრება.

დასკვნა

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც [აბელი] სასოწარკვეთილი ფიქრობდა, რატომ ხდება, რომ ადამიანი ყოველთვის უკან ბრუნდებაო, უეცრად გაახსენდა, რომ ეს მხოლოდ სივრცეს ეხება, დროში კი პირიქით ხდება, დროში ადამიანი მუდამ წინ მიდის და არასოდეს უკან არ ბრუნდება. აბელი შეკრთა. დროისა და სივრცის თვისებათა ასეთი დაპირისპირება უცნაური და გაუგებარი ეჩვენა. [...] გუმანით გრძნობდა მათი ერთიანობის აუცილებლობას, ხოლო სივრცეში მარადიული უკან მობრუნება და დროში მარადიული წინ მოძრაობა, მისი აზრით, ამ ერთიანობას დარღვევით ემუქრებოდა (ქარჩხაძე, 2009: 36).

ჯერმალ ქარჩხაძის პერსონაჟის მსგავსად, ამ დისერტაციაში აფხაზეთის ომის შესახებ ქართულ და აფხაზურ კოლექტიურ მეხსიერებებში დროისა და სივრცის ურთიერთმიმართება გავაანალიზე. მეხსიერება, რომელიც წარსულიდან მოდის, აწმყოში ყალიბდება და მომავლის პროექციას ახდენს. ამ ნაშრომში მიმოვიხილე: ნარატივების რაობა, ეტიმოლოგია, მიზეზები, ავტორები, მათი ინსტრუმენტალიზაცია, მათ შექმნაზე შიდა თუ გარე გარემოებების გავლენა და მოკლე თუ გრძელვადიანი მიზნები. სხვა სიტყვებით, ამ მეხსიერებების მრავალშრიანი სუბიექტებისა და ობიექტების დროსა (თითქმის 30 წელი) და სივრცეში (პოლიტიკურ გეოგრაფიასა და წარმოსახვაში) კონტექსტუალიზაცია მოვახდინე.

კოლექტიურ მეხსიერებას ამ ტრიადიდან, უმთავრესად, წარსულის შემსწავლელ დისციპლინად მოიაზრებენ, თუმცა ბოლოდროინდელი კვლევები მის

სამომავლო ორიენტაციაზე მიუთითებენ (Bryant & Knight, 2019). ადამიანებისთვის წარსულისა და მომავლის მიმართ თანაბარი ფოკუსია დამახასიათებელი (Witmer, 2007), რაც ამ ორი დროითი ცვლადის ურთიერთზეგავლენასა და მათ შორის პირდაპირი კავშირის მნიშვნელობის შესახებ კვლევის ინტერესზე მიუთითებს. ქართულ და აფხაზურ ნარატივებს შორის ასიმეტრიულობა, ყველაზე მეტად, მომავლის მიმართ მოლოდინებსა და წარმოსახვაში ვლინდება, განსაკუთრებით, ერის მშენებლობის პროცესში. მოჩვენებითად, კოლექტიური მეხსიერება მუდმივად გვაბრუნებს წარსულში, მაშინ როცა რეალურად მისი ფუნდამენტი ყურადღების ცენტრი მომავალია. სწორედ მომავლის პერსპექტივიდან ხდება წარსულის შესახებ სასურველი მეხსიერების ჩამოყალიბება.

აფხაზეთის ომის შესახებ სიჩუმის, ნაციონალიზმისა და ვიქტიმიზაციის ნარატივების, მათ შორის მასში გაჟღერებული და გაუჟღერებელი მხარეების ფუნქციების გარშემო დისერტაციის ოთხ თავში ვისაუბრე. კოლექტიური მეხსიერება, სტრუქტურული სოციალური წესრიგის პროდუქტი, აწმყოს მოთხოვნებიდან და მომავლის სურვილებიდან გამომდინარე წარსულს, უფრო კონკრეტულად კი მის შესახებ ცოდნასა და მოგონებას, პერმანენტულად ცვლის. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს წარსულის კვალის განადგურებასა თუ შენახვას (Junker-Kenny, 2010), მის ისტორიულად განმეორებად (პატერნულ) გამოვლინებას, ნარატივების მონოლოგიზმს, საგანგებო მეხსიერების ადგილების შექმნას (Nora, 1989), ნარატივების პოლიტიზირებასა და ინსტრუმენტალიზაციას, მეხსიერების ისტორიოგრაფიაში

ფართოდ გამოყენებას (Confino, 2011), ერის მშენებლობისთვის „ნაციონალური მითების“ კონსტუირებასა (Garagozov, 2005) და მრავალ სხვა გზას დომინანტური ერთხმოვანი დისკურსის შესაქმნელად.

პირველ თავში აფხაზეთის შესახებ მთავარი ქართული ნარატივის პერიოდიზაციაზე, ინსტრუმენტალიზაციასა და ავტორებზე ვიმსჯელებ. საქართველოს უახლეს ისტორიაში სამი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენის (შევერდნადის მმართველობა, ვარდების რევოლუცია და სამხრეთ ოსეთის თაობაზე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი) მაგალითზე სამი ტიპის სიჩუმე (ტრავმული, პერსონიზირებული და მსხვერპლის) მიმოვიხილე. ნარატივის გარკვეულწილად ტრანსფორმაციის მიუხედავად მისი ძირითადი ღერძი უცვლელია. ცვალებადია მისი არტიკულაცია, რომელიც აბსოლუტური სიჩუმიდან სელექციურ საუბრამდე მიდის. ეს ნარატივი 1992-1993 წლის ომის შეფასებას თავს არიდებს. ის აქცენტს გარე ძალის დესტრუქციულ ქმედებებზე აკეთებს, კერძოდ, აფხაზური ნაციონალიზმის აღზევების ხელშეწყობასა და ორივე მხარის სამხედრო აღჭურვილობის მომარაგებაზე. ასევე, ნარატივი საუბრობს თბილისში ხელისუფლების სათავეში არალეგალური ფორმირებების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებასა და მათ მიერ საქართველოს სახელმწიფოსთვის სავალალო გადაწყვეტილებების მიღების ნეგატიურ როლზე. ამ ნარატივის მიმართ ინტერესი სხვადასხვა სოციალური აქტორების მხრიდან იმდენად მაღალია (სამოქალაქო საზოგადოება, მედია, პოლიტიკური ელიტა), რომ მასში ერთპიროვნული თუ

რადიკალური შესწორებების შეტანა და ამ მიმართულებით პოლიტიკური ნარატივის ცვლილება პრობლემურია და დიდ სირთულეთანაა დაკავშირებული.

მეორე თავში აფხაზური ნაციონალიზმის გენეზისსა და ქრონოლოგიურ განვითარებაზე ვისაუბრე, როგორც თანამედროვე აფხაზურ პოლიტიკაში ერი-მშენებლობის ფუნდამენტზე. ეს ფენომენი ორი საკვანძო მიმართულებით ვითარდებოდა: ეთნო-პოლიტიკური პრაქტიკა (გამოხატული *აიზარა/სახალხო* შეკრებასა და ტრადიციულ პოლიტიკურ პერფორმანსში) და პატრონ-კლიენტური მმართველობის ადაპტირებული მოდელი (*კორენიზაციის* მემკვიდრეობა). ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ, ზოგჯერ კი ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედი გადაწყვეტილების მიღების ეს ორი განზომილება პრაქტიკულობით ნაკარნახევი რეალპოლიტიკისა და ნაციონალური ერი-მშენებლობის იდეალისტური ხედვების შერწყმაა, რომელსაც *ეთნოგრაფიული პოლიტიკა* ვუწოდებ. ის საერო და ეროვნული სულიერი საგანძურის (გამოხატული ეთნო-ატრიბუტიკასა და პრაქტიკებში) ერთიანობაა, რომელიც თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის ლეგიტიმაციის საფუძვლადაა აღებული. აფხაზური ნაციონალიზმის ნარატივში ეს ვალიდურობა აბელია, აბსოლუტური სიკეთე (ეროვნული ინტერესი), რომელიც კაენს, - აბსოლუტურ ბოროტებას (არააფხაზების სურვილს აფხაზეთში ბატონობის) უპირისპირდება. ეს ნარატივი მთავარ პოსტულატებად ბოლო 200 წლის განმავლობაში აფხაზეთის ეთნიკური დემოგრაფიის პერმანენტულ ცვლას (მაგალითად, მუჰაჯირობა, სამუშაო

მიგრაცია, „ჩასახლების“ პოლიტიკა და სხვა) განიხილავს და თითოეულზე დაწვრილებით ვსაუბრობ ეთნოგრაფიული პოლიტიკის განხორციელების ჭრილში.

პირველ თავში ძირითადი აქცენტი ქართულ დომინანტურ ნარატივზე გავამახვილე, მეორეში - აფხაზურზე, ხოლო მესამეში ორივე ნარატივის ასიმეტრიულ თხრობაზე. პოსტ-კონფლიქტური საზოგადოებებისთვის „შეჯიბრებითი ვიქტიმიზაციის“ (Vollhardt, 2012), ურთიერთდაბრალების, მოდელია დამახასიათებელი. ამისგან განსხვავებით, ქართული და აფხაზური ვიქტიმიზაციის ნარატივები მკაცრად მონოლოგური და პარალელურია. სხვა სიტყვებით, მათი მიზანი ერთმანეთთან კომუნიკაცია (თუნდაც ურთიერთდაბრალების რიტორიკულობა) არ არის, არამედ საკუთარი „სიმართლის“ ცალმხრივი თხრობაა, თანაც განსხვავებული ადრესატისთვის (დასავლეთი და რუსეთის ფედერაცია). ამგვარად, კონფლიქტის ცენტრი დარღვეული და ასიმეტრიულია. ამ ნარატივების კონსტრუირება ხდება წარმოსახვითი „მეხსიერების ადგილებით“ (Nora, 1989), როგორიცაა მემორიალები, კომემორაციის პრაქტიკები, მიკუთვნებულობის რიტორიკა გამოხატული პოპულარულ ხელოვნებაში - ფილმებში, სიმღერებში, პოეზიაში, და სხვა. ქართული ნარატივი იყენებს მიწის, ადგილისა და სივრცის პოსტულატებს, რათა აფხაზეთელობის იდენტობა და მისგან მშობლიური *კერის* სიმბოლო შექმნას და შეინარჩუნოს. აფხაზური ნარატივი კი ომის პეროიზაციის დისკურსისთვის იყენებს ქართველებთან ჩვენ/ისინი (მსხვერპლი/აგრესორი) დიქტომიას და აბსტრაგირდება ქართველებთან წარსულის გაზიარებისგან.

როგორც შესავალში აღვნიშნე, დისერტაცია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არ არის აწყობილი. თითოეული თავი კონკრეტულ პრობლემატიკას ეხება და დროსა და სივრცეში მოქნილად გადადის. ბოლო, მეოთხე თავი, უახლესი და ორი საუკუნის დროინდელი ისტორიის აღწერილობად შეიძლება ჩაითვალოს. მასში განვიხილე თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში ნაციონალიზმის ნარატივების პერსპექტივიდან გადაუჭრელი კონფლიქტის პირობებში აქტორების სამეულის (საქართველო, აფხაზეთი, რუსეთის ფედერაცია) ფუნქციების შიდა და გარე აღქმა. უფრო კონკრეტულად კი, ამ ნაციონალური როლების ეტიმოლოგია და მათზე რეგიონში ბოლო 200 წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების, განსაკუთრებით კი იმპერიალისტური პოლიტიკის ზეგავლენა. იმპერიალისტურმა პოლიტიკამ კავკასიაში მრავალმხრივი გამოვლინება ჰპოვა. ის ქართულ-აფხაზურ კონფლიქტურ ურთიერთობებში საკვანძო, მაგრამ არა ერთადერთი მიზეზია. მიმდინარე პოლიტიკურ ასპარეზზე ამ როლების კონსტრუირებას შიდასაზოგადოებრივ და საერთაშორისო არეალზე საკუთარი სათქმელის, ნარატივის მიმართ აბსოლუტური მიმღებლობა და მხარდაჭერის თვითმიზანი ამოძრავებს. ამის გამო, მათი წარმოშობისა და დანიშნულებების გააზრება კრიტიკულია.

და ბოლოს, აფხაზეთის ომის შესახებ ქართული და აფხაზური ნაციონალიზმის, ვიქტიმიზაციის, სიჩუმისა და როლური აღქმის ნარატივების ენობრივი ტროპებისა და ცენტრის ასიმეტრიულობა დროში და სივრცეში ვლინდება. განსხვავებული

ნარატივები განსხვავებულ ისტორიულ დროსა და სივრცეს უბრუნდებიან. განსხვავებული ნარატივები განსხვავებულ დროსა და სივრცეს წარმოიდგენენ მომავალში. ეს ასიმეტრიული კოლექტიური წარმოსახვა დროსა და სივრცეს საგანგებოდ თუ ირაციონალურად მუდმივად აშორებს, ცალ-ცალკე მოიაზრებს. ამით ის ამ ორი კონცეფციის რაციონალური კონტექსტუალიზაციისთვის აუცილებელ ერთიანობას არღვევს და ნაციონალურ ნარატივებში მყიფე ლეგიტიმაციისა და ილუზორული იმედების დიდი წილი შემოაქვს.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი წყაროები

ანჩაბაძე, გ. (2009). *ქართველები და აფხაზები: ისტორია და თანამედროვეობა*. თბილისი.

